ყოველკვირეული

N14/742/ 4 - 10 აპრილი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ორშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, ა... რყვნის აბსოლუტურად!!

კობა კობალაძე: „ჩემს წინამორბედს მოვიხსენიებ პატივისცემით, მან საკმაოდ ბევრი გააკეთა!“

**აბა, ვეტერანები არიან დაუნახავები და უმადურები?!**



19

პავლე კუბლაშვილი: „ადამიანებისთვის არაფერი არ იცვლება, არც ერთი ამომრჩეველი არ გახდა უკეთ იმის გამო, რომ „რესპუბლიკელები“ „ოცნებას“ გამოეყვნენ“

**ჩვენ უარს ვამბობთ კენჭი ვიყაროთ პარლამენტში**



20

## რას აპირებს უმუშევრობისთვის განწირული ათობით ათასი ტაქსის მძღოლი?

„როგორც კი ტაქსებზე ამ რეგულაციებს შემოიღებენ, ტაქსის მძღოლები მასობრივად უმუშევრები დარჩებიან, მგზავრს კი ტარიფები გაეზრდება!“




10

## ბერი ექვთიმე სამების საკათედრო ტაძარში არსებულმა ე.წ. მღვდლების მაფიამ შეიწირა

„მამაომ ზეთი აცხო ინტიმურ ადგილზე, სხვა ბრალი არ აქვს!“





13

## რეალურად, მთელი საქართველოს მასშტაბით, მხოლოდ 151 მასწავლებელს ეზრდება ხელფასი და ეს უხარია „ოცნებას“?



9



## რატომ გაიგიჟა თავი მხოლოდ თინა ხიდაშელმა და არც ერთ სხვა პოლიტიკოსს რეაქცია არ ჰქონია 31 მარტს გავრცელებულ ვიდეოებზე?

22-23

„ეს ახალი ვიდეოები სწორედაც სექსუალური ხასიათისა იყო და მასში ასახული იყო ორი მოქმედი მინისტრის სექსუალური აქტი. იქვე დააკონკრეტეს, რომ ეს 2 მინისტრი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლები, თანაპარტიელები არიან“

## „არ არის გამორიცხული, კერძო საბავშვო ბაღები დაიხუროს!“



18

## „ბიძინამ თქვა, ქვეყანას ფეხზე დავაყენებ და მალევე წავალო. მალე კი წავიდა, მაგრამ თუ ამ ქვეყანას ფეხზე დაყენებული ჰქვია, არ ვიცი...“

17



## დაუშვებელია, ქვეყანას მართავდნენ მეძავეები და თანამეცხედრის მოღალატეები, ღალატობ ოჯახს, ღალატობ ქვეყანასაც!

6

„ნუ გგონიათ ივანიშვილი გაჩუმებულია, სწორედ მისი გადაწყვეტილებით დაესვა ბევრ საკითხს წერტილი“



## მიდის თუ არა პოლიტიკაში არქიმანდრიტი ანთიმოზი?



7

## „თავდაცვის მინისტრმა თვითონ გააგებინა საზოგადოებას, კადრები ვისზე ვრცელდებოდა“



ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა „ფეისბუკზე“ პოსტს აქვეყნებს:

– ვინაა შენი მტერი და შენი ენაო – აქამდე თუ 100-მა კაცმა იცოდა, იმ კადრებზე ვისი სახელი იყო მინიშნებული, თავდაცვის მინისტრის ემოციური პოსტის მერე მთელმა საქართველომ გაიგო, ვის რას უვრცელებენ. ასეა, ჟურნალისტებს მადლობის მაგივრად რომ გამოლანძღავ, მიიღებ იმას, რასაც მიიღებ! (marshalpress.ge)

## ელჩი – მზად ვართ კონფლიქტის სამხედრო გზით დარეგულირებისთვის



აზერბაიჯანი მზად არის, კონფლიქტის დიპლომატიური გზით დარეგულირებიდან სამხედრო დარეგულირებაზე გადავიდეს. ამის შესახებ რუსეთში აზერბაიჯანის ელჩმა ფოლად ბულბულ ოღლიმ რადიოსადგურ „Говорит Москва“-ს ეთერში განაცხადა.

– ჩვენ მზად ვართ საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის, მაგრამ მშვიდობიანი გზით თუ არ გადაწყდა, მაშინ სამხედრო გზას მივმართავთ, – განაცხადა ელჩმა.

მისი თქმით, აზერბაიჯანის ტერიტორიის 21 პროცენტი სომხეთის ჯარის მიერ არის ოკუპირებული. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დაიწვა



ხანძრის შედეგად რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სახურავი ჩაინგრა. სულ ჩანგრეულია 1200 კვადრატული მეტრის ფართობი.

რუსეთის სახანძრო სამსახურის ინფორმაციით, დაზარალებული არავინაა. სრულიად დამწვარია მესამე, მეოთხე, მეხუთე სართულები და სახურავი. (ნიუპოსტი)

## ომბუდსმენი: სკოლებში პედაგოგები რელიგიურ უმცირესობათა აღმსარებლობას აკნინებენ



„საჯარო სკოლებში რელიგიური უმცირესობები ხშირად ხდებიან დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი – ორგანიზებულად დაჰყავთ მართლმადიდებლურ ტაძრებში, ხდება მათი დალოცვა“, – ამის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშშია ნათქვამი.

ომბუდსმენის ანგარიშის თანახმად, რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეები ხშირად იძულებულები ხდებიან, არ გაამჟღავნონ აღმსარებლობა იმ მოტივით, რომ უმრავლესობისგან უფრო მეტად გარიყვასა და დისკრიმინაციას აირიდებენ თავიდან.

– საანგარიშო პერიოდში კვლავაც მწვავე და სისტემური ხასიათის პრობლემას წარმოადგენდა საჯარო სკოლაში ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნების, რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვისა და დისკრიმინაციულ და შეუწყნარებელ გარემოსთან დაკავშირებული საკითხები.

რელიგიური უმცირესობები სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრებში აცხადებენ, რომ მიუხედავად კანონის მკაფიო მოთხოვნებისა, საჯარო სკოლებში მოსწავლეები სისტემატურად ხდებიან შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი, ილახება მათი რელიგიის თავისუფლება: მოსწავლეები ორგანიზებულად დაჰყავთ მართლმადიდებლურ ტაძრებში ან სასულიერო პირებს სკოლებში იწვევენ, ხდება მოსწავლეების დალოცვა, ანთებენ სანთლებს, გაკვეთილები იწყება ლოცვით, პედაგოგები დომინანტი რელიგიის უპირატესობას უსვამენ ხაზს, აკნინებენ უმცირესობათა აღმსარებლობას, ეწევიან პროზელიტიზმს, არის ინდოქტრინაციის შემთხვევები და სხვ. რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეები, რომელთა რწმენას არსებითად ეწინააღმდეგება სხვა რელიგიის რიტუალებში მონაწილეობა, ხშირად იძულებულნი ხდებიან, არ გაამჟღავნონ აღმსარებლობა და ნების წინააღმდეგ ჩაებან მსგავს ღონისძიებებში იმ მოტივაციით, რომ ამით უმრავლესობისგან უფრო მეტად გარიყვასა და დისკრიმინაციას აირიდებენ თავიდან. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ასევე კრძალავს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნით განთავსებას, საკლასო ოთახებსა და ზოგადად, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე კანონის ეს მოთხოვნა, როგორც წესი, არ არის დაცული. მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, პრობლემას ის გარემოებაც აღრმავებს, რომ უმცირესობები უმეტესწილად ერიდებიან, ღიად და კონკრეტულად ისაუბრონ სკოლებში არადომინანტური აღმსარებლობის მოსწავლეებისადმი დისკრიმინაციული მოპყრობისა და უფლებაშელახვის ფაქტებზე, – აღნიშნულია ანგარიშში.

სახალხო დამცველის თქმით, რელიგიური უმცირესობები ერიდებიან, მიმართონ რაიმე ქმედით, უფლებადაცვით ნაბიჯებს, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში ისინი უფრო მასშტაბური დისკრიმინაციის მსხვერპლნი აღმოჩნდებიან.

– ამ მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკაც არ არის თანმიმდევრული, სტრატეგიულად და ტაქტიკურად კარგად გააზრებული. ერთეული შემთხვევების გარდა, არ ჩანს კანონის იმპლემენტაციის მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისა და დარღვევებზე რეაგირების პოლიტიკური ნება, – ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დაუყოვნებლივ უნდა გადადგნენ... მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მეუღლეები ჰყავთ...“ – მოროშკინა



– ის პოლიტიკოსი ქალბატონები, რომლებიც მსხვერპლი არიან, დაუყოვნებლივ უნდა გადადგნენ. მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მეუღლეები ჰყავთ, – ეს განცხადება ლალი მოროშკინამ ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში გააკეთა.

გადაცემა „პრიორიტეტებში“ სტუმრები პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის ინტერნეტსივრცეში გავრცელების საკითხზე მსჯელობდნენ.

ლალი მოროშკინამ თემაზე საუბრისას განაცხადა, რომ თანამდებობის პირებმა, რომელთა მიმართაც განხორციელდა, ან შესაძლოა, განხორციელდეს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალით შანტაჟი, თანამდებობა უნდა დატოვონ. როგორც მოროშკინა ამბობს, მათ არ უნდა აქციონ ქვეყანა შანტაჟის მსხვერპლად.

– ოჯახში როგორ მოექცევათ მათ მეუღლე, მე არ მაინტერესებს, რქიანი ივლის თუ რქის გარეშე. აქ საუბარია მორალზე, მსოფლიოში ჯერ არსად არ გაუუქმებიათ ცოლ-ქმრის ინსტიტუტი. იმიტომ იწერენ ჯვარს და იმიტომ მიდიან ეკლესიაში, რომ ერთმანეთს შეჰფიცონ ერთად ყოფნა, – განაცხადა ლალი მოროშკინამ.

მოროშკინა ამბობს, რომ გავრცელებული კადრების აუთენტურობა მისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.

გარდა ამისა, ლალი მოროშკინა ამ საკითხს სოციალურ ქსელშიც ეხმიანება და წერს:

– არა, რა, ჩემი საშველი არ იქნება, სამჯერ გათხოვილი რომ ხარ და პაწა კიდე „ხვოსტიკი“ მოგყვება, კი უნდა გაკმინტო ხმა და მიესალმო ახალ დროებას, რომელიც „ნი ტო ჩტო“ შენს ცხოვრებისეულ ხარვეზებს, არამედ სრულიად პოლიტელიტას „აპრავებს“!

და მე ვარ ამის მერე პიარტექნოლოგი? :))

ჩემი სალამი ქმრიან მეძავეებს, თანამდებობაზე მსხდომ კახპებს და საერთოდ – ვივა პორნო ინდუსტრიას – ვივა გამომზეურებას! (pirveliradio.ge; daijesti.pia.ge)

## ამოუხსნელი ფაქტი – ასტრონავტის გამოსახულება კათოლიკური ეკლესიის ფასადზე



ესპანეთის ქალაქ სალამანკაში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია მე-12 საუკუნეშია აშენებული. ის საუკუნეების მანძილზე ესპანეთის ერთ-ერთ არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა, მაგრამ 1992 წელს ჩატარებული რესტავრაციის შემდგომ ისტორიის ერთ-ერთი ამოუხსნელი საიდუმლოც გახდა.

ფასადის განახლების შემდეგ მასზე გაჩნდა სკაფანდრში გამოწყობილი ასტრონავტის გამოსახულება, რამაც უამრავი ლეგენდა და ჭორი წარმოშვა.

ერთი ვერსიის თანახმად, შესაძლოა, ეს მოქანდაკე-რესტავრატორის მიგელ რომეროს თვითნებობა იყოს, რომელმაც ისტორიული ნაგებობის ფასადზე თანამედროვე ეპოქის დეტალი დაამატა.

ამ ვერსიას კატეგორიულად არ ეთანხმება ეკლესიის წინამძღვარი, რომელიც მიიჩნევს, რომ „იუნესკო“, რომელიც რესტავრაციის პროცესს კურირებდა, არ დაუშვებდა ამგვარ სითამამეს და ეს გამოსახულება ადრეც იყო ფასადზე, რადგან, მისი სიტყვებით, სწორედ ასე გამოსახავდნენ შუასაუკუნეების მოქანდაკეები მონსტრებს.

აღსანიშნავია, რომ ეს გამოსახულება ძალიან ჰგავს თანამედროვე ასტრონავტს, რაც იმ ჭორის საფუძველი გახდა, რომ შესაძლოა, შუასაუკუნეებში ერთ-ერთი ბერი მართლაც შეეჩეხა სკაფანდრიან უცხოპლანეტელს, იგი მონსტრად ჩათვალა და შემდეგ მისი გამოსახულება ტაძრის ფასადზე გამოსახა.

ამ კითხვებზე პასუხი დღემდე არ არსებობს... (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ირანში არაფერი იციან საქართველოს თაობაზე“ – ელჩის მოადგილე



საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩის მოადგილე მოჰსენ ქებრიაიზადმა საქართველო-ირანის ურთიერთთანამშრომლობაზე კავკასიურ სახლში ისაუბრა.

ირანის ელჩის მოადგილის, მოჰსენ ქებრიაიზადეს თქმით, ირანი ბუნებრივი გაზის რესურსის თვალსაზრისით მსოფლიოში მეორე ქვეყანაა, ხოლო პირველი იმ შემთხვევაში, თუ ერთად ვიანგარიშებთ ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოცულობებს, რაც ირანის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ენერგეტიკის საკითხს და ამ მხრივ ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის განიხილავს, როგორც ეკონომიკის სფეროს ცალსახად, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური მომენტი სათვალავში ჩასაგდები არაა.

ელჩის მოადგილემ არაერთხელ აღნიშნა, რომ რეგიონული თანამშრომლობის პოტენციალი საქართველოსა და ირანს შორის არაა ათვისებული, რასაც მიიჩნევს ხარვეზად.

– საქართველოს შესაძლებლობების შესახებ ირანის შესაბამისი უწყებები ინფორმაციას ნაკლებად ფლობენ. ამიტომაც, ჩვენი შეთავაზება იყო იმის თაობაზე, რომ ჩატარდეს ენერგეტიკული სემინარები, ტრენინგები. დიდი იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე წელს, შევძლებთ ენერგეტიკის სფეროში ერთობლივი ფორუმის ორგანიზებას. (pia.ge)

## ვიქტორ დოლიძე ყარაბახზე: რუსეთი არეულობებით ყოველთვის „ხეირობს“



„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ვიქტორ დოლიძე მთიან ყარაბახში არსებულ დაპირისპირებაში რუსულ კვალს ხედავს. როგორც მან რეგიონში შექმნილი ვითარების შეფასებისას განაცხადა, რუსეთი ყოველთვის „ხეირობს“ მსგავსი არეულობებით. დოლიძეს მიაჩნია, რომ მხარეებმა ძალიან რთული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მშვიდობიანი გზებით უნდა შეძლონ.

– ეს თუ ვინმეს აწყობს და ვინმეს ხელი შესაძლოა ერიოს, პირდაპირ როგორ გითხრათ, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთი არეულობებით ყოველთვის „ხეირობს“. ჩვენ აზერბაიჯანელ ძმებს უნდა ვთხოვოთ, რომ ძალიან დელიკატური, ძალიან რთული რეგიონალური პრობლემის გადაწყვეტა მაქსიმალურად მშვიდობიანად მოხდეს, – განაცხადა დოლიძემ. (ipress.ge)

## საქართველოს პრემიერმა ყარაბახში შექმნილი ვითარების გამო საგანგებო სხდომა გამართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთიან ყარაბახში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ძალოვან მინისტრებს, შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელ პირებსა და საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებს შეხვდა.

პრემიერ-მინისტრმა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებისგან მოისმინა ყველა ინფორმაცია, რაც მთიან ყარაბახში არსებულ ვითარებას უკავშირდება. გიორგი კვირიკაშვილმა შეშფოთება გამოთქვა სიტუაციის ესკალაციისა და საბრძოლო მოქმედებების განახლების გამო, რასაც მოჰყვა მსხვერპლი, მათ შორის მშვიდობიან მოსახლეობაში. პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით, შესაძლებელი იქნება სიტუაციის დეესკალაცია, რაც მნიშვნელოვანია მთელ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. (ნიუპოსტი)

## „ცეცხლს ნუ ეთამაშებით“ — თურქეთის გაფრთხილება სომხეთს




თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მთიან ყარაბახში განვითარებულ მოვლენებზე განცხადებას ავრცელებს და გმობს სომხეთის ქმედებებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ თურქეთი ეუთოს მინსკის ჯგუფის წევრია და საკუთარ ძალისხმევას მიმართავს მთიანი ყარაბახის კონფლიქტის მოგვარებისკენ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ფარგლებში.

განცხადებაში თურქეთის საგარეო უწყება სომხეთს აფრთხილებს „ცეცხლს ნუ ეთამაშება“. (ნიუპოსტი)

## უბედური შემთხვევა თბილისში — მე-7 სართულიდან მამაკაცი გადმოვარდა




უბედური შემთხვევა მოხდა თბილისში, კუტუზოვის, იმავე გამრეკელის ქუჩაზე – მაღალსართულიანი კორპუსის მე-7 სართულიდან მამაკაცი გადმოვარდა. იგი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც ირკვევა, მამაკაცს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. შემთხვევის დროს მისი მეუღლე სახლში არ იმყოფებოდა.

რა გახდა უბედური შემთხვევის მიზეზი, უცნობია.

როგორც შემთხვევის ადგილთან მდებარე მაღაზიის გამყიდველი ამბობს, მამაკაცმა მაღაზიაში შეიარა, ცოტა ნასვამი ჩანდა და ამბობდა, რომ დედამისისთვის უნდა დაერეკა. (ნიუპოსტი)

## თბილისში 22 წლის სტუდენტი გარდაიცვალა. წინასწარი ვერსიით, მიზეზი გაზის გაჟონვაა




სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაგის მკვიდრი, 22 წლის გიორგი გ. გაზის გაჟონვის შედეგად გარდაიცვალა.

შემთხვევა თბილისში, ნაქირავებ ბინაში მოხდა. ახალგაზრდა აბაზანაში გაგუდული ძმამ ნახა.

გარდაცვლილი მეოთხე კურსის სტუდენტი იყო. ის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლობდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

საინფორმაციო სააგენტო world news-ი „ევროპის სახალხო პარტიის“ ლიდერ ჯოზეფ დოლიზე ჟურნალისტ ალბერტ გაბანას სტატიას აქვეყნებს. სტატიაში წერია, რომ „სახალხო პარტია“ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის პროცესის ჩაშლას განზრახ ცდილობს და ამაში „სახალხო პარტიის“ ლიდერ ჯოზეფ დოლის თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილისგან დიდი ფული აქვს აღებული.

– 13 მარტს „ევროპის სახალხო პარტიამ“ საქართველოზე დეკლარაცია მიიღო, რომელშიც საქართველოს მთავრობას დემოკრატიის პრინციპების დარღვევაში, ასევე სასამართლო სისტემისა და მედიასაშუალებების შეზღუდვაში ადანაშაულებს.

პარლამენტო არჩევნებში დამარცხდა, ძალადობისა და მკვლელობების მასობრივი ფაქტების გამო მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროინდელი მაღალჩინოსნები ციხეში აღმოჩნდნენ, ხოლო თავად სააკაშვილი უკრაინაში წავიდა. იქ ის ვაშინგტონის მხარდაჭერით ოდესის გუბერნატორი გახდა“, - წერს world news-ი.

გამოცემა აღნიშნავს, რომ 2016 წლის 29 მარტს „სახალხო პარტიის“ ლიდერი ჯოზეფ დოლი თბილისში იმყოფებოდა. მან ციხეში მყოფი სააკაშვილის მაღალჩინოსნები მოინახულა და მათი განთავისუფლება მოითხოვა. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას კი დაემუქრა, რომ, თუ ამას არ გააკეთებს, ევროპარლამენტში ვიზალიბერალიზაციის საკითხს შეაჩერებს.

## „კეზერაშვილმა „ევროპის სახალხო პარტიას“ ვიზალიბერალიზაციის დასაბლოკად ქრთამი მისცა“



სწორედ ეს დაასახელა „სახალხო პარტიის“ პრეზიდენტმა ჯოზეფ დოლიმ ევროპარლამენტში საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მიზეზად. „ევროპის სახალხო პარტიას“ ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქცია ჰყავს ევროპარლამენტში და მას გადაწყვეტილების დაბლოკვა არ გაუჭირდება, – წერს world news-ი.

სააგენტოს ინფორმაციით, ჯოზეფ დოლიმ ევროპარლამენტში განაცხადა, რომ დააკვირდება საქართველოს მთავრობის ქმედებას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებით.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია. ევროპელებს კარგად ახსოვთ, რომ 2012 წელს მწვანეთა ფრაქციის წარმომადგენლებმა, „ევროპის სახალხო პარტია“ მიხეილ სააკაშვილისგან დიდი ოდენობის დაფინანსების მიღებაში დაადანაშაულეს, რის სანაცვლოდაც ეს პარტია სააკაშვილის რეჟიმის ლობირებას ეწევა ევროკავშირის ქვეყნებში.

სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა მმართველობის პერიოდში თავი გამოიჩინა პოლიტიკური რეპრესიებით, „ნაციონალური მოძრაობა“ ციხეში სვამდა და აწამებდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. ადამიანების წამებისა და გაუპატიურების ფაქტები არაერთხელ დააფიქსირეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ამის ამსახველი ვიდეომასალები გავრცელდა სოციალურ ქსელში.

მიუხედავად ამისა, „ევროპის სახალხო პარტიის“ ხელმძღვანელობა სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“, ხოლო ადამიანების წამების ფაქტს მონტაჟს უწოდებდა. 2012 წლის შემოდგომაზე სააკაშვილის პარტია საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა...

„საქართველოში 2016 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება და სააკაშვილს არ აწყობს „ქართული ოცნების“ მიერ ევროინტეგრაციით მიღებული პოლიტიკური დივიდენდები. სააკაშვილის სურვილია, რომ ვიზალიბერალიზაცია საკუთარ პარტიას მიაწეროს და ჯოზეფ დოლის ის საქართველოს მთავრობის დაშანტაჟებისა და ევროპარლამენტში საკითხის დაბლოკვისთვის იყენებს.

ჩვენმა იტალიელმა მეგობრებმა, „ევროპარლამენტში სახალხო პარტიის“ ფრაქციის წევრებმა გვაცნობეს, რომ გასული წლის აპრილში ჯოზეფ დოლი საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს, დავით კეზერაშვილს შეხვდა და მათ „ევროპის სახალხო პარტიის“ დაფინანსების გაგრძელების საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

ფრაქციის დახურულ სხდომაზე დოლიმ განაცხადა, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად გიგი წერეთელს წარადგენენ, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი უწევს რეკომენდაციას, ხოლო საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხს ევროპარლამენტში ისე დაბლოკავენ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში საერთოდ არ მოხვდეს.

უახლოეს პერიოდში „ევროპის სახალხო პარტიის“ ფრაქცია, ჯოზეფ დოლის კორუფციულ გარიგებებსა და „ევროპის სახალხო პარტიის“ სხვა წევრთა უკანონო ქმედებებს განიხილავს, – წერს გამოცემა world news-ი. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კიევის პოლიციამ ე.წ. კანონიერი ქურდი „კახა თბილისკი“ დააკავა



კიევში სამართალდამცავებმა საქართველოს მოქალაქე, ე.წ. კანონიერი ქურდი კახაბერ ორაგველიძე დააკავეს, რომელიც კრიმინალურ სამყაროში ცნობილია, როგორც „კახა თბილისკი“. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ქვეყნის ნაციონალური პოლიციის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

საქართველოში ორაგველიძე 1998 წლიდან განზრახ მკვლელობისა და ყაჩაღობის ბრალდებით იძებნება.

– არაერთხელ ნასამართლევმა „კახა თბილისკიმ“ უკანასკნელად სასჯელი რუსეთის ტერიტორიაზე მოიხადა. მან 11 წლიდან 8 წელი ე.წ. კარცერში გაატარა. იგი 2014 წლის იანვარში გაათავისუფლეს, თუმცა სცადა კიევის ტერიტორიაზე ე.წ. გარჩევის მოწყობა უკრაინაში გავლენის სფეროს გადანაწილებისა და კონტროლიორების, ე.წ. „მაყურებლების“ დანიშვნის მიზნით, – აცხადებენ სამართალდამცავ უწყებაში.

შედეგად, სამართალდამცავებმა ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს და დეპორტაცია გაუკეთეს, მას მომავალი 5 წლის განმავლობაში უკრაინის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა.

მათივე ცნობით, „კრიმინალური ავტორიტეტი“ გასულ წელს უკრაინის ტერიტორიაზე ანექსირებული ყირიმის გავლით შევიდა. კიევში იგი კრიმინალური სამყაროს „ტრადიციების მცველის“ ფუნქციას ასრულებდა და გახლდათ შუამავალი და „არბიტრი“ კონფლიქტურ სიტუაციებში.

ორაგველიძეს კვლავ დეპორტაცია ელის უკრაინიდან, იგი ქვეყნის ტერიტორიაზე 2019 წლამდე ველარ დაბრუნდება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველო მზადაა, სომხეთსა და აზერბაიჯანს მოლაპარაკებების ადგილად თბილისი შესთავაზოს



საქართველოს ხელისუფლება მზადაა, სომხეთსა და აზერბაიჯანს მოლაპარაკებების ადგილად თბილისი შესთავაზოს.

– ძალიან სამწუხარო მოვლენები ხდება. გარდა იმისა, რომ მსხვერპლთან არის ეს დაკავშირებული, არის სამხრეთ კავკასიისთვის, რეგიონის უსაფრთხოებისთვის საგანგებო ვითარება. სწორედ ის დროა, რომ მინსკის ჯგუფი სასწრაფოდ შეიკრიბოს და ეს დაპირისპირება კვლავ მოლაპარაკებების რეჟიმში გადავიდეს. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს თუ მივიღებთ მხედველობაში, ეს ერთი ცხელი წერტილი კიდევ სერიოზული გამოწვევაა საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის.

ჩვენ შეგვიძლია, თბილისი, საქართველო შევთავაზოთ ნებისმიერ ფორმატში მოლაპარაკების ადგილად, ახლა ის დროა, როდესაც მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა საგანგებო გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ. მე ვფიქრობ, რომ გაეროს უშიშროების საბჭო ის ადგილია, სადაც ამ თემაზე უნდა დაიწყოს მსჯელობა, – განაცხადა გია ვოლსკიმ. (ნიუპოსტი)

## „ეროვნულმა ფორუმმა“ კოალიცია დატოვა




„ეროვნულმა ფორუმმა“ კოალიცია დატოვა. გადაწყვეტილება პარტიის ყრილობის დასრულების შემდეგ ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად იქნა მიღებული. გადაწყდა, რომ პარტია საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას.

„ეროვნული ფორუმის“ ყრილობაზე კენჭისყრისთვის ორი მთავარი კითხვა იყო: უნდა დატოვოს თუ არა „ფორუმმა“ კოალიცია? და უნდა მიიღოს თუ არა დამოუკიდებლად არჩევნებში მონაწილეობა?

პარტიის წევრები მიიჩნევენ, რომ „ფორუმმა“ კოალიცია უნდა დატოვოს, რადგან პარტიას აქვს იმის ძალა და რესურსი, რომ დამოუკიდებლად გავიდეს არჩევნებზე. (ნიუპოსტი)

## „როგორ უნდა მოინდომო, რომ 69 პოზაში ამომრჩეველზე და სამშობლოზე იფიქრო“



საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, ცოტნე გამსახურდია სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს.

– მხოლოდ საქართველოში: მინისტრი, პოლიტიკოსი ახერხებს, ბედავს, რომ მრუშობა და ღალატი ზოგადეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მიზნებით და ამოცანებით გააპრავოს! ბევრი ილაპარაკოს ამავე დროს ოჯახზე, შვილებზე, პატიოსნებაზე...

არა, რა ჩვენი საქმეა, არც ვაპირებ განხილვას ვინ, ვის, რას უკეთებდა ატვირთულ ვიდეოში. მე, უბრალოდ, დამლაიქებლების გონებაში რა ხდება, ეს მაინტერესებს. ალბათ, როგორ უნდა მოინდომო, რომ 69 პოზაში ამომრჩეველზე და სამშობლოზე იფიქრო!

პ.ს. ქართლის დედა დგას თუ გაიქცა უკვე? – წერს ცოტნე გამსახურდია. (daijesti.pia.ge)

## ე.წ. სამხრეთ ოსეთი რომში „წარმომადგენლობის“ გახსნას გეგმავს — იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ინფორმაციას უარყოფს



რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი რომში „ოფიციალური წარმომადგენლობის“ გახსნას გეგმავდა. აღნიშნულ საკითხზე იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, სადაც მსგავს ქმედებას უარყოფს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ იტალია იზიარებს ევროპისა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის პოზიციას და არ აღიარებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

ამასთანავე, დოკუმენტში გამოხატულია იტალიის მხრიდან საქართველოს ერთიანობის სრული მხარდაჭერა, რომლის ნაწილიც სამხრეთ ოსეთი გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ რუსული საინფორმაციო სააგენტო Sputnik-ის ინფორმაციით, იტალიაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის „წარმომადგენლობამ“ მუშაობა დაიწყო. სააგენტოს ინფორმაციით, ოფიციალურად „წარმომადგენლობის“ გახსნა 2 აპრილს იყო დაგეგმილი. წარმომადგენლობას კი მაურო მურდჟა უხელმძღვანელებდა. (ნიუპოსტი)

# ილჰამ ალიევი: ვულოცავ აზერბაიჯანელ ხალხს! ჩვენ დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ!



ადგილობრივი ტელევიზიების საშუალებებით გავრცელდა ილჰამ ალიევის განცხადება, გაკეთებული უშიშროების საბჭოს სხდომაზე. ალიევმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ აზერბაიჯანული არმიის პოზიციებზე განხორციელდა სომხური შენაერთების შეტევა.

– შეიარაღებული პროვოკაციის შედეგად, ჩვენ გვყავს მსხვერპლი როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირებს შორის, – განაცხადა ალიევმა.

მან დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიმრა, დაჭრილებს კი მალე გამოჯანმრთელება უსურვა. ილჰამ ალიევმა ხაზი გაუსვა, რომ ეს არ არის პირველი პროვოკაცია აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

– პროვოკაციას ჩვენმა არმიამ სათანადოდ უპასუხა და მტერს მძიმე დარტყმები მიაყენა. შემიძლია, თამამად აღვნიშნო, რომ მოწინააღმდეგე შოკირებულია მიყენებული დარტყმის შედეგად. ჩვენმა სამხედრო დანაყოფებმა არა მხოლოდ მოახერხეს პროვოკაციის აღკვეთა, არამედ დაიკავეს ბევრად მომგებიანი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები. აზერბაიჯანმა დღესდღეობით შესამჩნევად გააუმჯობესა თავისი პოზიციები. ჩვენ მოვიპოვეთ დიდი სამხედრო გამარჯვება. მინდა მივულოცო ჩვენს სამხედროებს და ჩვენს ხალხს. ამიერიდან არც ერთი პროვოკაცია არ დარჩება პასუხგაუცემელი, – განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

# ბიძინა ივანიშვილმა ციხისძირის ახალ პარკს 87 ხე აჩუქა



ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ციხისძირში, ზღვისპირა ზოლზე ახლად გაშენებულ პარკს 87 ხე აჩუქა.

იტალიიდან ჩამოტანილი 12 სახეობის ნარგავები 4 ათას კვადრატულ მეტრამდე ფართობზე დაირგვება. კომპანია „ზიმოს“ ინჟინერ ირაკლი შანავას განცხადებით, ნარგავები იტალიიდან ბიძინა ივანიშვილმა ჩამოატანინა. მისი თქმით, 12 სახეობის მცენარეებს შორის ტიტას ხეც არის.

– 12-მდე ჯიშის მცენარე, მათ შორის ტიტას ხის ნერგიც, იტალიიდან ჩამოვიდა. გაშენდება ახალი პარკი თავისი განათებებით, ტროტუარებითა და ხე-მცენარეებით. თავის დროზე ყოფილი პრემიერ-მინისტრი მოსახლეობას შეჰპირდა პარკის გაშენებას. დაახლოებით ამდენივე ხეს ველოდებით მომდევნო ეტაპზე, – აღნიშნა ირაკლი შანავამ.

ციხისძირში პარკის მოწყობის სამუშაოებს კომპანია „ზიმო“ განახორციელებს. (daijesti.pia.ge)

# „სითი პარკის“ თანამშრომელი დაზარალებულ მძღოლს: „შე ყ...ე ქალო, შენა!“

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



„სითი პარკის“ თავხედობას რომ საზღვარი არ აქვს, ეს ცნობილი ამბავია. ავტომანქანის არაერთი მფლობელი დაუჯარიმებიათ უსამართლოდ და მანქანაც, ვარდენას ქალიშვილივით, არაერთხელ გაუტაცებიათ, მაგრამ ის, რაც რამდენიმე დღის წინ მოხდა, უკვე ყოველგვარ ზღვარს ცდება: „სითი პარკის“ თანამშრომლებმა მორიგი შემოვლისას ერთ-ერთი მოქალაქის ავტომანქანა საჯარიმო ადგილზე გადაიყვანეს და გზაში საკმაოდ გვარიანად დააზიანეს, რასაც ავტომანქანის მფლობელის პროტესტი მოჰყვა.

ამ ამბავს ცოტა უფრო დეტალურად „forum.je“-ზე ყვება ერთ-ერთი მომხმარებელი, რომელმაც თან სამი ვიდეოც გაავრცელა – „სითი პარკის“ თანამშრომლებმა მანქანა წაღებისას დააზიანეს, გამწარებული პატრონი კი სცემესო:

„თან მანქანა დაუზიანეს კაცს და თან სცემეს პატრონი ცოლ-ქმარი, რადგან გამწარებულმა კაცმა შეიგინა, დაზიანებული მანქანა რომ დაინახა. პატრულმა ზომები არ მიიღო, რომ შეაგინე, მაგიტომ გცემესო, ანუ თვითსამართალი ჩამოაყალიბა ახალმა მთავრობამ!!! ნახეთ სამივე ვიდეო და ზიმბაბვეში თუ არ ვცხოვრობთ, ესენი როგორ არ უნდა დაეკავებინათ, მითხარით!“

ვიდეოში აშკარად ჩანს, რომ „სითი პარკის“ თანამშრომლები უშვერი სიტყვებით ლანძღავენ ყველას, ვინც თვალში მოხვდებათ, მათ შორის ერთ-ერთ ქალსაც, რომელიც, სავარაუდოდ, დაზიანებული ავტომობილის მფლობელი უნდა იყოს.

ლანძღვა-გინებას არ აკლებენ დაზარალებულებს არც „სითი პარკის“ დაცვის თანამშრომლები, რომლებიც დაზარალებულს ზუსტად ასე მიმართავენ:

დაცვის თანამშრომელი №1

– ჩამო, შე თესლო! მაქედან ხარ მაგარი? შე ყ...ის შვილო, შენ! მოგიტ...ავ დედის მუ...ელს, ყ...ეო, შენ!

ამასობაში დაცვის თანამშრომელი №2:

– დედაშენს შევ...ცი მუ...ლში, შე ყ...ეო, შენ!

მესამე ვიდეოში ძიძგილაობისას ქალი (სავარაუდოდ, მანქანის მეპატრონის მეუღლე) ყვირის:

– ვის ურტყამთ, თქვე არაადამიანებო!

– შე ყ...ე ქალო, შენა! – ილანძღება „სითი პარკის“ თანამშრომელი.

**„სითი პარკის“ თანამშრომლების ამ, რბილად რომ ვთქვათ, თავხედობის ფაქტზე, „ალია“ „სითი-პარკის“ პრესსამსახურის წარმომადგენელ ლევან ტაბიძესთან დაკავშირებას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ.**

**ამის შემდეგ „ალია“, ასევე, დაუკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურს და დაინტერესდა, დაიწყო თუ არა მოკვლევა აღნიშნულთან დაკავშირებით?**

**შსს-ში განგვიცხადეს — არ ვართ მაგ ამბის საქმის კურსში, თარიღი რომ მითხრათ, როდის მოხდა ეგ ამბავი, შესაძლოა, გავიგოთ, რა რეაგირება მოჰყვა მაგ ფაქტსო. ვინაიდან აღნიშნული ინციდენტის თარიღი „forum.je“-ს მომხმარებელს მითითებული არ ჰქონდა, შესაბამისად, თავს ვერ გამოვიდებდი ვანგობაზე და ვერ დამესიზმრებოდა, როდის უტრიალეს „სითი პარკის“ თანამშრომლებმა დედის ტრაკი დაზიანებული ავტომობილის მფლობელებს.**

**ასეც ხდება: როდესაც სათანადო რეაგირებას არ ახდენ „სითი პარკის“, ხშირ შემთხვევაში, უსამართლო ქმედებებზე, ღორის ტილის არ იყოს, თავზე აგაცოცდება და აქეთ დაგიწყებს ლანძღვა-გინებას...**



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „გადადეთ ყოველგვარი მატერიალური ზრუნვა და მობრძანდით ტაძარში“



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში 7 აპრილს ხარების დღესასწაულთან დაკავშირებით, სადღესასწაულო წირვას აღავლენს.

როგორც პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, დღესასწაულთან დაკავშირებით, 6 აპრილს, 18:00 საათზე, სამების ტაძარში საღამოს ლოცვა ჩატარდება, 7 აპრილს კი წირვას მისი უწმინდესობა სვეტიცხოველში, 10:00 საათიდან აღავლენს.

– როგორც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, ხარება ისეთი დღესასწაულია, როდესაც ჩიტი ბუდესაც კი არ აკეთებს. ამ დღეს ყველა ადიდებს უფალს. ამიტომ თქვენც გადადეთ ყოველგვარი მატერიალური ზრუნვა, მობრძანდით ტაძარში და შესთხოვეთ უფალს ღვთისმშობლის მფარველობა, – ბრძანა პატრიარქმა. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „საქართველოს დიდი საფრთხე უახლოვდება“



ირინა სარიშვილი ყარაბახში მიმდინარე მოვლენებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ამ ხელისუფლების პირობებში საქართველოს მოკავშირე არ ჰყავს.

– ჩვენს ამ საყოველთაო ღლიცინში საქართველოს დიდი საფრთხე უახლოვდება – რუსეთის გააქტიურება ყარაბახში, ერთი მხრივ, რუსეთის აგონიის ნაწილია და მეორე მხრივ, ეს პროცესი ძალიან საშიშია საქართველოსთვის ისეთი ხელისუფლების პირობებში, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს პოლიტიკაზე და მხოლოდ ჯიბეების დასქელებასა და ღალატზეა ორიენტირებული!

ნაცვლად იმ ცირკისა, რომელმაც სწორედ ხელისუფლების თაოსნობით მთელი საქართველო მოიცვა, დღეს ყველა უწყება დაკავებული უნდა იყოს იმ მოსალოდნელი საფრთხეების ანალიზით, რაც რუსეთის მხრიდან სულ ახლო მომავალში წამოსულ პირობებსა და მოთხოვნებს უკავშირდება.

ამ ხელისუფლების პირობებში საქართველოს მოკავშირე არ ჰყავს!

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დღევანდელი კოლონიური ხელისუფლება რუსეთის პირობებს მიიღებს, ეს ამ ქვეყანას ვერ გადაარჩენს! ამას მათ გასაგონად ვამბობ, ვისაც ჰგონია, რომ მტერთან წანოლით რამეს გამორჩება.

აქ ძალიან მოქნილი, მაქსიმალურად სწორად გათვლილი და, რაც მთავარია, საერთაშორისო სამყაროსთან მაქსიმალური კონტაქტით უნდა იყოს ყველაფერი გაანალიზებული.

დღევანდელი ხელისუფლება არც ერთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს!

არავის შეშინება არ მინდა! უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ სიცილს, გართობას, ღლიცინს და ა.შ. თავისი დრო და ზომა აქვს! ეხლა შეგვიძლია, გავაგრძელოთ სხვის საწოლებში ჭვრიტინი! – აცხადებს ირინა სარიშვილი. (daijesti.pia.ge)

# ნანუკა ჟორჟოლიანი: დიახ, ირაკლი იმ გოგოსთან ცხოვრობს, მაგრამ არც ერთ ოჯახს მესამე არ ანგრევს, ეს ტყუილია...



საინფორმაციო სააგენტო „თაიმერის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სოდ-ის ყოფილი უფროსი ერეკლე კოდუა უკრაინული წარმოშობის გოგოსთან ცხოვრობს და მის ცოლად მოყვანას აპირებს, ნანუკა ჟორჟოლიანი ნაწილობრივ ადასტურებს.

ტელეწამყვანმა სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია ერეკლე კოდუას მიაწოდა და მან დაუდასტურა, რომ სხვა ქალთან ერთად ცხოვრობს, თუმცა, ნანუკა ჟორჟოლიანის თქმით, მასზე დაქორწინების შესახებ ჯერ არაფერი უთქვამს:

– დამიდასტურა, მაგრამ ცოლის მოყვანას ჯერ არ ჩქარობს, ამის განწყობა ჯერ არ აქვს. ჩემი პოზიცია ძალიან მარტივია: შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩემი ოჯახი ამ გოგომ დაანგრია. არავითარ შემთხვევაში! ჯერ ოჯახი ინგრევა და მერე მესამე ჩნდება.



ჩემი და ირაკლის ოჯახი, ალბათ, იმიტომ დაინგრა, რომ ურთიერთობაში ბზარი იყო, სხვანაირად არ ხდება. საერთოდ, ოჯახის დანგრევა მესამეს ბრალი არასოდესაა და ეს ტყუილია. დანარჩენი ირაკლის პირადი ცხოვრებაა და ეს უკვე მე არ მეხება.

ახლა რომ გითხრათ, წარმატებებს ვუსურვებ-თქო, გულწრფელი არ ვიქნები და ეს ჩემგან დიდი ტყუილი იქნება, თუმცა ირაკლი საბას მამაა და მინდა, რომ კარგად იყოს, – ამბობს ნანუკა ჟორჟოლიანი. (fmabkhazia.com)

# ქალები, რომლებსაც პუტინმა სახლები უყიდა



ვლადიმერ პუტინს მეგობარ გიორგი ბაევსკის დახმარებით არაერთი ქალისთვის აქვს ბინა ნაჩუქარი:

**კატერინა ტიხონოვა** – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაფართოების ყველაზე ამბიციური პროექტის ავტორი ქალი. მიუხედავად იმისა, რომ არც პუტინმა და არც მისმა პრესმდივანმა პესკოვმა გოგონა არ აღიარეს, ის მაინც მის შვილად ითვლება. კატერინას ნოოგარევოს სიახლოვეს ერგო ბინა, სადაც თავისი ფონდი დაარეგისტრირა.

**ლეისან კაბაევა** – ცნობილი ტანმოვარჯიშის, დეპუტატისა და ნაციონალური მედიაჯგუფის უფროსის ალინა კაბაევას და. არც ეს გოგონა აღიარა პუტინმა. ამბობს, არაფერი გვაკავშირებსო. კაბაევას დას ერგო მოსკოვში მდებარე 228 კვადრატული მეტრი ბინა.

**ანა ზაცეპელინა** – ალინა კაბაევას ბებია. პუტინი კაბაევას ოფიციალურ მეგობარ ქალად არ აღიარებს, მაგრამ მის 80 წლის ბებიას ერგო, პირდაპირი მნიშვნელობით, ოქროს მიწა და სახლი რუბლიოვკაზე.

**ალისა ხარჩევა** – 23 წლის „ჟურნალისტი“ ალისა (პუტინის ფოტოების ფონზე გადაღებული გოგონა) მართლაც მომხიბვლელია, რომელსაც, ბუნებრივია, პუტინის საყვარლად ოფიციალურად არავინ აღიარებს.

ეს ყველაფერი ჟურნალისტური გამოძიების შემდეგ გამოქვეყნდა, რომლის დაფარვასაც კრემლი ცდილობდა. რატომ იყო კრემლი ისტერიკაში, სანამ არსებული გამოძიების მასალები გამოქვეყნდებოდა? ამას რამდენიმე ახსნა აქვს:

1. პირადი საკითხი. ურთიერთობები. გოგონები, პირადი ცხოვრება.

2. გასაგები ხდებოდა, ვინ იყო პირადი სალარო (როტენბერგი) და ვინ მართავდა მას (ბაევსკი). გრიგორი ბაევსკი იმის მტკიცებულებაა, რომ არასოდეს გახდება ცნობილი პუტინის შვეიცარიული ბანკის ანგარიშის შესახებ. ბაევსკიმ, ტიმჩენკომ და უთვალავმა „როტენბერგმა“ რეალურად იციან, რა ქონება ეკუთვნის პუტინს.

3. გასაგებია, რატომ იღებს ასე მარტივად როტენბერგი ნებისმიერი სახის სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებას. ის ფულით უზრუნველყოფს პუტინის ოჯახს, ქალიშვილებსა და საყვარლებს. ის ყველაზე ახლო წრეშია.



4. მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს, რომ ვერაფერი დამტკიცდება. თუმცა რეალურად დოკუმენტირებულია ნამდვილი კორუფცია, რომლის განხილვაც სასამართლოშია შესაძლებელი. ბიზნესმენი, რომელიც სახელმწიფო შეკვეთებს იღებს, ყიდულობს სახლს პუტინის საყვარლის (ან შესაძლოა, უკვე ცოლის) ბებიისთვის, ეს კორუფციის კლასიკური გამოვლინებაა. (ambebi.ge)

## „ოცნებასთან“ იმიტომ ვთანამშრომლობთ, რომ მისი ლიდერი კვირიკაშვილია“



„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, თამარ კორძაია აცხადებს, რომ მათი „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა, თუნდაც არჩევნების შემდეგ, დამოკიდებული იქნება „ოცნების“ განახლებაზე.

მისივე თქმით, „რესპუბლიკელები“ „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობენ იმიტომ, რომ მათი ლიდერი გიორგი კვირიკაშვილია, რომლის საგარეო კურსთან დაკავშირებით პარტიას კითხვები არ აქვს.

– ჩვენ რაიმე მტკიცებულება რომ გვქონდეს, რომ ვიდეოშანტაჟები მოდის „ქართული ოცნებისგან“, რა თანამშრომლობაზე შეიძლება იყოს საუბარი? ამ წუთას ოდნავ მაინც რომ გვქონდეს ეჭვი, რომ ეს ყველაფერი შეიძლება სახელისუფლებო გუნდისგან მოდიოდეს, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიქნებით რადიკალურები და დაუნდობელი იმიტომ, რომ ეს არის წარმოუდგენლად საშინელი დანაშაული. ჩვენც მივიჩნევთ, რომ ეს არის ტერორი ადამიანების წინაშე.

როდესაც პარტიის თავმჯდომარე, ხათუნა სამნიძე ამბობს, რომ ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ კვირიკაშვილთან, ეს ნიშნავს, რომ კვირიკაშვილის პოზიციები საკმაოდ ნათელია და არაორაზროვნად, ცალსახად გამოხატავს, რომ ევროპული კურსის მატარებელია. ჩვენ მის ღირებულებებთან დაკავშირებით კითხვები არ გვაქვს.

ჩვენ დავაანონსეთ, რომ ჩვენი სამომავლო თანამშრომლობა თუნდაც არჩევნების მერე დამოკიდებული იქნება „ქართული ოცნების“ განახლებაზე, – განაცხადა კორძაიამ. (ipress.ge)

## ხოშტარია ყარაბახის კონფლიქტზე: შესაძლოა, საჰაერო სივრცე ან ტერიტორია მოგვთხოვონ



არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელ ელენე ხოშტარიას განცხადებით, ყარაბახის კონფლიქტი საქართველოსთვის უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევაა.

– ჩვენთვის ეს დღეს უკვე არის სერიოზული უსაფრთხოების გამოწვევა პირველ რიგში რუსეთის იმ შესაძლო ქმედებების გამო, რასაც რუსეთი მოიმოქმედებს ამ კონფლიქტში. შესაძლოა, მოგვთხოვონ საჰაერო სივრცე ან ჩვენი ტერიტორია, რომ გიუმრის ბაზა გაამაგრონ ან რაღაცა ტიპის სამხედრო მოქმედებები მოიმოქმედონ. ამიტომ ჩვენ დღეს უნდა ვიყოთ დაკავებულები არა პირადი ცხოვრების ნაგავში ქექვით, არამედ სერიოზული უსაფრთხოების გამოწვევით რომელიც გვაქვს, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

„ბიბისის“ ინფორმაციით, მთიან ყარაბახში საბრძოლო შეტაკებებს 12 აზერბაიჯანელი და 18 სომეხი ჯარისკაცი ემსხვერპლა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მსხვერპლია მშვიდობიან მოსახლეობაში და მათ შორის არიან ბავშვებიც. აზერბაიჯანულმა მხარემ მომხდარის გამო უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია.

პარალელურად, აზერბაიჯანული მედია წერს, რომ მთიანი ყარაბახის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით შეტაკებები გრძელდება. რეგიონში ვითარება შაბათს ღამით გაუარესდა. (ipress.ge)

# ლიბერთი ბანკის ბრენდის დესპანებს სამი წარმატებული ახალგაზრდა შეემატათ



31 მარტს, ლიბერთი ბანკის სათავო ოფისში, ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა პრესას ბრენდის ახალი დესპანები წარუდგინა: ნინო ხომერიკი – მოჭადრაკე, მზია ბებოშვილი – ძიუდოისტი და ელენე მიდელაშვილი – ასტრო-ფიზიკოსი.

„მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ ლიბერთი ბანკის ახალი დესპანები, უნიჭიერესი ადამიანები, რომლებიც მთელი შეგნებითა და კოლოსალური შრომით ცდილობენ წარმატების მიღწევას. თითოეული ნიჭიერი ახალგაზრდის გამარჯვება და წინსვლა, ჩვენი ქვეყნის მომავალი წარმატების ისტორიაა და ამიტომ ლიბერთი ბანკი მუდამ მზადაა, ხელი შეუწყოს ნებისმიერ სფეროში მოღვაწე გამორჩეული მონდომებითა და ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს დასახული მიზნების მიღწევაში, იქნება ეს სპორტი, მეცნიერება თუ ხელოვნება“. – განაცხადა ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა.

ნინო ხომერიკი დაიბადა 1998 წლის 10 მარტს, ქ. თბილისში. მამამისი, გიორგი ხომერიკი, საქართველოს დამსახურებული ჭადრაკის მწვრთნელი, 4 წლის ასაკიდან ყოველდღიურად წვრთნიდა მას და 5 წლისამ უკვე აქტიურად დაიწყო სატურნირო გამოსვლები.

ნინომ პირველი საჭადრაკო სერიოზული წარმატება 2007 წელს მოიპოვა, როცა საქართველოს ჩემპიონი გახდა 10 წლის გოგონებს შორის, მას შემდეგ რეგულარულად იგებს საქართველოს ჩემპიონატებს, როგორც თავისი ასაკის, ისე 2 წლით უფროსი ასაკის მონაწილეთა შორის. ასევე, მუდმივად წარდგენილია მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა ხუთეულში.

2012 წელს ნინომ მსოფლიოს პირველობა სლოვენიაში მოიპოვა და ფიდეს ოსტატის წოდება მიენიჭა, 2014 წელს ბათუმში ევროპის პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, 2015 წელს ხორვატიაში ევროპის ჩემპიონი გახდა და საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა, ვეიკ ან ზეეს საერთაშორისო ტურნირში დიდოსტატის ბალიც შეასრულა, რამაც კიდევ ერთი დიდი წარმატება მოუტანა.

მზია ბებოშვილი დაიბადა 1998 წლის 9 ივლისს, ქ. თელავში. 2011 წლიდან დაიწყო მისი წარმატებული კარიერა ძიუდოში. 2012 წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი და, ასევე, საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი. 2013 წელს ჩაერთო ევროპის დონის შეჯიბრებებში და მიიღო მესამე ადგილი ევროპის ჩემპიონატზე. ამავე წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი უფროსი ასაკის მონაწილეთა შორის. 2014 წელს გახდა საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი და საქართველოს ჩემპიონი. 2015 წლის დასაწყისში აიღო ევროპის ჩემპიონატის პირველი ადგილი, გახდა ევროპის თასის პრიზიორი საქართველოში ჩატარებულ ოლიმპიური ფესტივალის შეჯიბრებაზე, ხოლო ამავე წლის ბოლს – ოლიმპიური ჩემპიონი, შევიდა მსოფლიოსა და ევროპის რეიტინგის საუკეთესო სამეულში და დასახელდა „წლის აღმოჩენად“.

ელენე მიდელაშვილი დაიბადა 1993 წლის 3 დეკემბერს, თეთრი წყაროს რაიონის სოფ. სალრაშენში. სწავლობს მაგისტრატურის პირველ კურსზე, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის, ფიზიკისა და ასტროფიზიკის მიმართულებით; დამატებითი სპეციალობა – ფსიქოლოგია. 2008 წელს აიღო პირველი ადგილი საქართველოს მასშტაბით გამართულ ქართული ენის ლინგვისტურ კონკურსში. 2009 წელს საქართველოს პრეზიდენტისგან დაჯილდოვდა, როგორც წარჩინებული მოსწავლე. 2013-2014 წლებში ელენე გახდა სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენციის „მომავალ ფიზიკოსთა ფესტივალის“ მონაწილე და სპეციალური პრიზის მფლობელი. 2015 წლიდან ის არის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტისა და ფიზიკის მოყვარულთა კლუბის სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენციის „მომავალ ფიზიკოსთა ფესტივალის“ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. 2013 წლიდან მუშაობს, როგორც მკვლევარი, თეორიული ასტროფიზიკის ცენტრში, თეორიული ფიზიკის ინსტიტუტში, ასევე, როგორც ასისტენტ-მკვლევარი – შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტებში.

ამჟამად ლიბერთი ბანკს 5 დესპანი ჰყავს, მათ შორის არიან ირაკლი ბოლქვაძე – მოცურავე და ნიკოლოზ ბასილაშვილი – საქართველოს საჩოგბურთო ნაკრების წევრი.

ლიბერთი ბანკი მუდმივ მზადყოფნაშია ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს სპორტი, მეცნიერება თუ ხელოვნება, აღმოაჩინოს ახალგაზრდები, რომლებიც დაუღალავად შრომობენ წარმატებისთვის და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებაში.



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „კოალიცია არ არის დუქანი — ვისაც უნდა გავა, ვისაც უნდა შემოვა“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ნუკრი ქანთარიას განცხადებით, „ქართული ოცნების“ გადასაწყვეტია, რა კონფიგურაციით წარდგება ის არჩევნებზე.

– კოალიცია არ არის დუქანი, ვისაც უნდა გავა, ვისაც უნდა შემოვა. „ქართული ოცნების“ გადასაწყვეტია, რა კონფიგურაციით წარვდგებით არჩევნებზე, – აცხადებს ქანთარია.

ომარ ნიშნიანიძის თქმით, კოალიციურ რეჟიმში მუშაობა გრძელდება.

– არც პუტინისტი და არც შანტაჟისტი არ ვარ, თუმცა ისიც ვიცი, რომ პრაგმატულ პოლიტიკას უნდა მივყვეთ და მეზობლებს მაინცდამაინც, ჯოხი არ უნდა ვესროლოთ, – განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ.

შეგახსენებთ, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ საგანგებო განცხადება გააკეთა. პარტიის თავმჯდომარის თქმით, პარტია კოალიციისგან დამოუკიდებლად აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. რაც შეეხება პარტიის წევრი მინისტრების საკითხს, ხათუნა სამნიძის თქმით, ისინი თანამდებობებს მხოლოდ პრემიერის გადაწყვეტილების გამო დატოვებენ და არა ადგილობრივი სტალინელების ულტიმატუმით. (pia.ge)

## გადაცემაში „ცოდნა ფულია“ შეცდომაა - „ეს ამ ბიჭის არა, ტელევიზიაში რომ უცოდინრები სხედან, მათი ბრალია“



შალვა რამიშვილის ყოფილი მეუღლე თეა აბაშმაძე სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს. აბაშმაძე იმის შესახებ წერს, რა შეცდომა აღმოაჩინა „ცოდნა ფულიას“ კითხვაში, რომელმაც დათო პაქსაშვილს 25 ათასი ლარი მოაგებინა:

– ყველაზე ღირებული, რაც ამ ქვეყანაშია, ახალი თაობის ინტელექტუალური რესურსია მხოლოდ. ყველაზე მეტად რაც მაღიზიანებს, ისაა, რომ ჯერჯერობით ქვეყანას ის არ სჭირდება.

მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, ვინც ამ ბიჭს შეხედავს, ეგრევე სინათლეს კი არ დაინახავს, გარყვნილი ევროპის მიმდევარიაო იტყვის. ის ხომ „ნამდვილ ქართველს“ არც ერთი ნიშნით არ ჰგავს.

ეხლა აღმოვაჩინე: „ასამ შვა იოსაფატი; იოსაფატმა შვა იორამი; იორამმა შვა ოზია“ – მათეს სახარება, თავი პირველი. მაგრამ ეს ამ ბიჭის კია არა, ტელევიზიაში რომ უცოდინრები სხედან, მათი ბრალია, – წერს თეა.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# დაუშვებელია, ქვეყანას მართავდნენ მეძავები და თანამეცხედრის მოღალატეები, ღალატობ ოჯახს, ღალატობ ქვეყანასაც

## „ნუ გგონიათ ივანიშვილი გაჩუმებულია, სწორედ მისი გადაწყვეტილებით დაესვა ბევრ საკითხს წერტილი“





**„ეს ნიშნავს, რომ უსუფაშვილი უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან. ჩნდება საპარლამენტო კრიზისი, უნდა შეიქმნას ახალი უმრავლესობა და პარლამენტის ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიონ“**

„ეროვნულმა ფორუმმა“ კოალიცია დატოვა, ეს გადაწყვეტილება 3 აპრილს ოფიციალურად დადასტურდა პარტიის ყრილობაზე. „ფორუმი“ არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს. თუმცა ეს არის დისკრედიტებული პოლიტიკური ძალა, რომელსაც ბარიერის გადალახვის დიდი შანსი არ აქვს, თუკი ვინმესთან საარჩევნო ბლოკში ან კოალიციასთან არ დაწყვილდება. ამ ხნის მანძილზე „ეროვნულმა ფორუმმა“ ამომრჩეველს იმით დაამახსოვრა თავი, რომ მათ პარტიულ ლიდერს გუბაზ სანიკიძეს გადაწყვეტილი ჰქონდა მილიონის შოვნა, რომელსაც, მისი თქმით, ხალხის ბედიც ფეხებზე ჰკიდია და ნებისმიერი პოლიტიკური თანამდებობა, თუკი არ ექნება ფული. ეს კაცი, გუბაზ სანიკიძე, ასოცირდება იმ პარაზიტთან, რომელიც ლეშით იკვებება და მისი აზროვნება გადის კუჭზე. დღეს მაძღარი გუბაზი და მისი უნიათო პარტია არც არავის სჭირდება, რომლებმაც უღალატეს საკუთარ პლატფორმას, პრინციპს, იდეოლოგიას, როცა ამ პარტიამ ანტიდისკრიმინაციულ კანონს კენჭი ისე უყარა, ერთი არ წამოუკვნესია. ამას გარდა, გუბაზ სანიკიძემ მოახდინა ამ პარტიის რეალური ლიდერის – კახაბერ შარტავას დისკრედიტაცია. როდესაც 2012 წელს, როდესაც გამოქვეყნდა ოპოზიციის ფარული ჩანაწერები, ბიძინა ივანიშვილისთვის გუბაზ სანიკიძის საუბარი წყალგამყოფი აღმოჩნდა, რადგან გუბაზ სანიკიძე შეეხო მის ოჯახს, როცა მოინდომა იმის გარჩევა, რატომ ჰყავდა ივანიშვილს ალბინოსი შვილები. სწორედ მაშინ დაესვა წერტილი გუბაზ სანიკიძის პოლიტიკურ კარიერას და იმ საკითხს, რომ კახაბერ შარტავა ივანიშვილს საპრეზიდენტო კანდიდატად დაესახელებინა. ასე ჩაუჭრა გუბაზ სანიკიძემ შარტავას ყველა გზა და დღეს სანიკიძეს საკუთარ გუნდში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. თუმცა, პოლიტიკაში ყველაფერი დასაშვებია, ის, რაც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მიუღებელია და ვისთან შეიძლება დაწყვილდეს „ფორუმი“, ეს ძნელი გამოსაცნობი არ არის, რადგან მათ ჰქონდათ მცდელობა ბურჯანაძესთან ახალი პოლიტიკური ცენტრი შეექმნათ, თუმცა მათ სულზე მოუსწრო ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ. ის, რაც ხდება სექსტერორის სახით, ეს არის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, აუცილებელი არ არის ადამიანები აწამო, დახოცო, მიწას მიაბარო, საააკაშვილის მიერ შექმნილმა სექსინდუსტრიამ ძალიან ბევრ ადამიანს დაუნგრია ცხოვრება და ცოცხალ მიცვალებულად აქცია, თუმცა ყველაზე ცუდსაც აქვს თავისი დადებითი, აყროლებული პოლიტიკური გვამები უნდა გავიტანოთ პოლიტიკური ველიდან, შეიქმნას ახალი პოლიტიკური სტანდარტი. სწორედ ეს არის ევროპული ღირებულება და ფასეულობა, როცა ამომრჩეველმა ზუსტად იცის, როგორი უნდა იყოს მისი რჩეულის პოლიტიკური სტანდარტი. დიახ, დაუშვებელია, ქვეყანას მართავდნენ მეძავები და თანამეცხედრის მოღალატეები, აქსიომაა, ღალატობ ოჯახს, ღალატობ ქვეყანასაც. ასეთი ადამიანის მართვა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მხრიდან ძალიან მარტივია.

**გასულ კვირას თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა თავად ატეხა პანიკა, როგორ გაბედეს ჟურნალისტებმა პროკურატურაში მისვლა და ამბის მიტანა გაუგებარ პროგრამულ ვირუსზე, სადაც თითქოსდა, ვიღაცის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები იყო აღბეჭდილი. ქალბატონ მინისტრს კი შევახსენებთ, აქამდე ჟურნალისტის მოვალეობა იყო, მოეხდინა ფაქტის კონსტატაცია და არა ვინმესთვის ნამუსის შენახვა. თუ გაინტერესებთ, ჟურნალისტებმა ეს როგორ გაბედეს, მარტივად გეტყვით, რომ ეს ჩვენი პროფესიაა, ხოლო ბედავთ თქვენ და თანაც ძალიან ბევრს...**

ინტერნეტმუქარას, ნებით თუ უნებლიეთ, „რესპუბლიკური პარტია“ დაჰყვა, სადაც ნათქვამი იყო, რომ 31 მარტამდე უნდა დაეტოვებინათ თანამდებობის პირებს პოსტები, ვისზეც კი არსებობდა კომპრომატები. „რესპუბლიკური პარტიის“ მინისტრებს თანამდებობები არ დაუტოვებიათ, თუმცა ამ პარტიამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას და კოალიციის დაშლაც გაფორმდა.

**მამუკა არეშიძე „ალიასთან“ ინტერვიუში მიმდინარე კვირას აჯამებს და ჩვენს კითხვებს პასუხობს.**

**— ხომ არ ელოდებით, რომ პარლამენტში ხავერდოვანი გადატრიალება მოხდება და „ქართული ოცნება“ უმრავლესობას დაკარგავს?**

– თუ გაითვალისწინებთ იმ განწყობებს, რაც რამდენიმე დღის წინ გაჩნდა, ვგულისხმობ ბესელია-ებანოიძის დაპირისპირებას, არ არის გამორიცხული, „რესპუბლიკელებისა“ და „ქართული ოცნების“ ალიანსმა არჩევნებამდე ვერ გაძლოს. ჩანს, რომ „რესპუბლიკელებს“ კოალიციაში აჩერებთ მხოლოდ მათი მინისტრების არსებობა მთავრობაში, მაგრამ იმისთვის, რომ საარჩევნოდ კომფორტული სიტუაცია შეიქმნან, ეს ფორმა არ ვარგა, რადგან მთავარი, რაც „რესპუბლიკელებს“ შეუძლიათ, ეს არის მთავრობის კრიტიკა. კრიტიკის შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ, რადგან კოალიციაში რჩებიან არჩევნებამდე, თუმცა მე მაინც მგონია, რომ არჩევნებამდე ვერ გაძლებენ და გავლენ.

**— „ეროვნულმა ფორუმმა“ გადაწყვიტა უმრავლესობიდან გასვლა, თუკი იგივეს გააკეთებს „რესპუბლიკური პარტია“, კითხვას გაგიმეორებთ, „ოცნება“ უმრავლესობას თუ დაკარგავს, რა მოხდება მერე?**

– დიახ, „ფორუმი“ გავიდა უმრავლესობიდან, ეს ნიშნავს, რომ „ოცნებასაც“ და ფორუმსაც ჰქონდა სურვილი დაშორების, მე თუ მკითხავთ, ალოგიკურია ის, რასაც აკეთებენ და შლიან კოალიციას, ბევრად მომგებიანი იქნებოდა საარჩევნო პროცესში მათი ერთად ყოფნა პრაგმატული თვალსაზრისით, მაგრამ გადაწყვეტეს დაშორებოდნენ. რასაც თავიანთ ოფისებში ლაპარაკობენ, სააშკარაოზე გამოიტანეს. კოალიციაში „მრეწველებისა“ და „კონსერვატორების“ ბედია გასარკვევი, ჯერჯერობით ძიძიგურისგან ვიგებთ, რომ კონსერვატორები რჩებიან, მაგრამ მათი ბედი ჰაერშია გამოკიდებული, რადგან პარტია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას მყარად აქვს გაცნობიერებული, რომ არჩევნებში მარტონი უნდა გავიდნენ. არ გამოვრიცხავ, „კონსერვატორებისა“ და „მრეწველები“ ბედი ივანიშვილმა გადაწყვიტოს, დარჩებიან ისინი პარტიის ფორმატით კოალიციაში, თუ პერსონალურად ჩაეწერებიან სიაში. მოდით, ახლა ვნახოთ, რა მოხდება, თუკი კოალიცია არჩევნებამდე საბოლოოდ დაიშალა, „რესპუბლიკელები“ გამოვლენ უმრავლესობიდან. ეს არის ყველაზე საინტერესო მომენტი. თუკი „რესპუბლიკელები“ უმრავლესობიდან გავლენ არჩევნებამდე, მერწმუნეთ, „ნაციონალები“ დაიწყებენ ბრძოლას, პარლამენტში მინიმუმ ორი თვით მაინც მოიპოვონ უმრავლესობა. აქვთ თუ არა შანსი „ნაციონალებს“ უმრავლესობის მოპოვების, რთული სათქმელია, მაგრამ ბრძოლას მაინც დაიწყებენ. „ფორუმის“ უმრავლესობიდან გასვლა „ნაციონალებისთვის“ არაფერს ნიშნავს, რადგან მათ იციან, რომ „ფორუმი“ მათთან არ შევა გარიგებაში. თუმცა ჩნდება კითხვა, – რა, „რესპუბლიკელები“ შევლენ?!. გეტყვით, რომ „რესპუბლიკელები“ არ იქნებიან მოკავშირეები „ნაციონალების“ უახლოეს მომავალში, მაგრამ აქ საუბარია თემატურ საკითხებზე. მათ ჰყავთ მძიმეწონიანი პოლიტიკო-

ექსპერტი



სი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, და თუ ისინი ახლა გავლენ უმრავლესობიდან, ეს ნიშნავს, რომ უსუფაშვილი უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან. ჩნდება საპარლამენტო კრიზისი, უნდა შეიქმნას ახალი უმრავლესობა და პარლამენტის ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიონ. მართალია, ოპონენტი მეტყვის, რომ ძალიან ცოტა დროა დარჩენილი და ვერ მოასწრებენ ამ ყველაფერსო, ნაწილობრივ მართლებიც იქნებიან, მაგრამ ვიმეორებ, „ნაციონალებს“ ამის მცდელობა ექნებათ, ისინი „რესპუბლიკელებთან“ ითანამშრომლებენ თემატურად, ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს რეგიონებში, რასაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პოლიტიკოსები. ერთ მსხვილ რეგიონში „ქართულმა ოცნებამ“ უმრავლესობა დაკარგა და ვერც დანარჩენებმა შეინარჩუნეს თავისი სახე. მაგალითად, გორში იქამდე მივიდა საქმე, რომ მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას აქვს საკრებულოში ფრაქცია. რაც მთავარია, ეს პროცესი ჯაჭვური რეაქციის ტოლფასია. თქვენ იცით, რომ 2015 წელს „ქართული ოცნება“ ნელ-ნელა კარგავდა რეგიონებში უმრავლესობას, თუმცა ეს „ოცნებას“ დიდად არ აღელვებდა. ზოგან „ფორუმი“ ლიდერობს, ზოგან – „რესპუბლიკური პარტია“, საკრებულოში არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებიც არიან. ახლა იქ ატყდება ამბები, თუ ატყდება, რადგან ბევრ რაიონში პარტიული სიჭრელეა, უამრავ რეგიონში ახლა დაიწყება მუშაობა ზუსტად იმისთვის, რომ ადგილობრივ საკრებულოებში შეიქმნას კრიზისი, ბევრ რეგიონში დაიწყება გამგებლის იმპიჩმენტის პროცედურა და ქაოსის მოწყო-

ბის მცდელობა იქნება. უამრავ შემთხვევაში, ამის ინიციატორი კულუარულად მაინც იქნება „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ყველაზე უფრო ორგანიზებული პოლიტიკური ძალა. ქაოსში და მღვრიე წყალში კი თევზის დაჭერა უფრო ადვილია.

**— ძალიან ბევრი სიბინძურე ამოვა ზედაპირზე, მაგალითად, „ფორუმმა“ ახლა რომ დაიწყოს „ქართული ოცნების“ კრიტიკა, ხალხი არ იკითხავს, რომ ოთხი წელი ენაჩაგდებულები რომ იყავით, ახლა ჩვენ გვატყუებთ თუ საკუთარ თავს? ან როგორ წარმოგიდგენიათ, პარლამენტის თავმჯდომარემ როგორ უნდა აკრიტიკოს თავისი ცოლი, თავდაცვის მინისტრი?!.**

– დავით უსუფაშვილი არის ჭკვიანი პოლიტიკოსი, კარგად ესმის, რომ პოლიტიკანობამ შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს არა მხოლოდ „ოცნების“, არამედ „რესპუბლიკელების“ ხვალინდელი დღე. აქედან გამომდინარე, უსუფაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ შეინარჩუნოს სტატუს კვო... და თუ იქნება კრიტიკა, იყოს ზომიერი, თუმცა ყველაფერი ერთ ადამიანზე არ არის დამოკიდებული, მაშინ, როცა „ოცნებაში“ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ შეიქმნას „რესპუბლიკელებთან“ კონფრონტაციული რეჟიმი. ხშირად, პარტიული ხელმძღვანელების ნება-სურვილის გარეშეც გადასარევად მოქმედებენ. ზოგიერთ მათგანს გულწრფელად სჯერა, რაც მეტს დაარტყამენ „რესპუბლიკელებს“, მეტ მხარდაჭერას მოიპოვებენ საზოგადოებაში. ეს შეიძლება იყოს იმწამიერი ბონუსი, რაც სახელმწიფოებრივ საქმეს ნამდვილად არ წაადგება.



**— ინტერნეტმუქარის კამპანიის მიზანი იყო თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობიდან გადადგომა, ძალიან ცუდად დაემთხვა დროსა და სივრცეში კარასინის განცხადებას. როგორ ფიქრობთ, ახლა ხიდაშელის გადადგომა სწორი იქნება?**

– რამდენადაც ვიცი, ორმა სუბიექტმა მოილაპარაკა, რომ თინა ხიდაშელი შეინარჩუნებს მინისტრობას. მაგრამ მოვლენების განვითარება ხშირად არ არის ჩვენს სურვილებზე და საღ აზრზე დამოკიდებული. მოვლენების განვითარება ხშირად დამოკიდებულია იმ ძალების მოქმედებაზე, რომლებიც დაინტერესებული არიან, რომ ქვეყანაში იყოს ქაოსი. ხიდაშელი ყველაფერს გააკეთებს, რომ არჩევნებამდე შეინარჩუნოს საკუთარი მდგომარეობა, მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. თუ ხიდაშელი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, მაშინ ის უნდა გადადგეს მინისტრის პოსტიდან არჩევნებამდე ორი თვით ადრე. თქვენ მეკითხებით, როგორ უნდა მოიქცეს პარტია, რომელიც თან კოალიციაში რჩება და თან უნდა იყოს ხელისუფლების ოპოზიცია. მაგალითად, თინა ხიდაშელს აქვს შესანიშნავი უნარი დებატებში, ის ყოველთვის პოულობს გამოსავალს. ისინი კიდეც ამბობენ, – ქვეყნისთვის საჭიროა კოალიციაში ჩვენი ყოფნა, თორემ ბევრი რამ ჩვენც არ მოგვწონსო. თუ ამომრჩეველი დავა პერსონებზე და იტყვის, რომ ესა თუ ის პოლიტიკოსი არის დისკრედიტებული, ასე მთელი ქართული პოლიტიკური ელიტა დისკრედიტებულია და საერთოდ, ქართული პოლიტიკაა დისკრედიტებული. მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევნებში მონაწილეობას რომ არ აპირებს, ზუსტად ამით არის განპირობებული.

**— საოცარია, ბიძინა ივანიშვილმა როგორ შეინარჩუნა ამდენი ხნით დუმილი? როგორ ფიქრობთ, როდის გამოვა საჯარო განცხადებებით...**

– ნუ გგონიათ ივანიშვილი გაჩუმებულია, სწორედ მისი გადაწყვეტილებით დაესვა ბევრ

ექსპერტი



საკითხს წერტილი, ნურავის ჰგონია, რომ გადაწყვეტილებები, რომელიც ახლა იქნა მიღებული, იგივე „რესპუბლიკელების“ კოალიციიდან გასვლის საკითხი და ა.შ. ეს გადაწყვეტილება ვინმემ მიიღო დამოუკიდებლად. საბოლოო შეთანხმება სწორედ ივანიშვილთან მოხდა.

**— „ქართული ოცნება“ აპრილში ყრილობის ჩატარებას აპირებს, კახი კალაძე აცხადებს, რომ განახლებული სია, ფაქტობრივად, უკვე არსებობს. და მაინც, ვინ იქნებიან წამყვანი სახეები „ოცნების“ სიაში?**

– იკვეთება სიის ოცეულის კონტური, ესენი არიან მინისტრები, ფრაქციის თავმჯდომარეები და ზოგიერთი კომიტეტის თავმჯდომარე პარტია „ქართული ოცნებიდან“. ვიცი, „ქართული ოცნების სიაში მოხვდებიან გადაცემა „20/30“-ის ექსპერტები, რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილის საკითხს, როგორც ვიცი, პარტიაში მისი მომხრეებიც არსებობენ და მოწინააღმდეგეებიც. რასაკვირველია, საბოლოო სიტყვა ივანიშვილს ეკუთვნის.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზაქარია ქუცნაშვილი პარლამენტის თავმჯდომარისა და კომიტეტების „რესპუბლიკელი“ თავმჯდომარეების გადაყენებას გამორიცხავს



დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი საპარლამენტო უმრავლესობის დღის წესრიგში პარლამენტის თავმჯდომარის და კომიტეტების „რესპუბლიკელი“ თავმჯდომარეების გადაყენების საკითხის დასმას გამორიცხავს.

როგორც ქუცნაშვილი ასცხადებს, „ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ასეთი ტიპის გადაწყვეტილებას ლამის გამორიცხავს“.

ცნობისთვის, პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით, პარლამენტის თავმჯდომარე შეიძლება გადააყენოს პარლამენტმა, ხოლო პარლამენტის წინაშე ასეთი საკითხის დაყენების შესაძლებლობა, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს აქვს. საბოლოოდ, შესაბამისი პროცედურების გავლის შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით ხდება. (ინტერპრესნიუსი)

## „სისულელეები ხელისუფლებაში ყოფნისას ყველას გვიკეთებია“



იუსტიციისა და განათლების ყოფილი მინისტრი, „რუსთავი 2“-ს გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია „რესპუბლიკური პარტიის“ გადაწყვეტილებას ეხმაურება.

– ძალიან მიხარია „რესპების“ წასვლა „ოცნებიდან“. ვის მეტი, ვის ნაკლები, სისულელეები ხელისუფლებაში ყოფნისას ყველას გვიკეთებია. თუ ქვეყნისთვის არ გიღალატია, პოლიტიკაში ყოველთვის შეიძლება თავიდან დაწყება, თუ ამის შესაძლებლობას ამომრჩეველი მოგცემს. დაე, ამომრჩეველმა გადაწყვიტოს.

პ.ს. და დღის მთავარი ნიუსი ზუსტად ეგაა და არა ამ ნიუსის გადასაფარად ნაჩალიჩარი „დამპლური თამაშები“, – წერს გვარამია. (daijesti.pia.ge)

# მიდის თუ არა პოლიტიკაში არქიმანდრიტი ანთიმოზი?



## არქიმანდრიტი ანთიმოზი: „ეს არის საძაგლობა!“

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



1-ელ აპრილს არქიმანდრიტმა ანთიმოზმა (ივერიელი), საკუთარი „ფეისბუკის“ გვერდზე ძალიან უჩვეულო ამბავი დაწერა – პოლიტიკაში მივდივარ, „ქართულმა ოცნებამ“ შემომთავაზა და მივიღე, ნახალოვკაში ვიყრი კენჭსო და ატყდა ამაზე ერთი ამბავი. სოციალური ქსელის მომხმარებელთა ნაწილი კომენტარებში წერდა, რომ მამაოს მხრიდან ეს, ალბათ, საპირველაპრილო ხუმრობა იყო, თუმცა ნაწილი ულოცავდა და პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებებს უსურვებდა.

**„ალია“ დაუკავშირდა არქიმანდრიტ ანთიმოზს და დაინტერესდა, მართლაც აპირებს ის პოლიტიკაში მოსვლას?**

– ეს საპირველაპრილო ხუმრობა იყო, მაგრამ ხუმრობაში ნახევარი სიმართლეა – პოლიტიკაში წასვლის შემოთავაზებები არის, მაგრამ მე, როგორც ბერი და არქიმანდრიტი, ჩემს ბერობას არც პარლამენტის სკამზე და არც, გინდა, მინისტრის კაბინეტზე არ გავცვლი, ბერი ვარ და ბერად უნდა მოვკვდე, მაგრამ პოლიტიკაში შეიძლება, ასე ვთქვათ, ბერულად ჩავერთო.

**— ეს რას ნიშნავს? რა კუთხით გეგმავთ მაინც ჩართვას ან რატომ?**

– საქართველოში ანტიქრისტიანული ძალები ძალიან გააქტიურდნენ და ხმამაღალი საუბარი, მხილებაა საჭირო. არც ეკლესია არ აშენებს ცალკე სახელმწიფოს და არც პოლიტიკა, მთავრობა – ცალკე. ჩვენ ერთი, განუყოფელი ნაწილი ვართ და ეს კომუნისტური აზროვნება, იდეოლოგიაა, როდესაც ეკლესია და სახელმწიფო გაყვეს. ეკლესია ღვთისმსახურებაშია, რა თქმა უნდა, მაგრამ სახელმწიფოს ბედ-იღბალი არ უნდა აწუხებდეს? აუცილებელი არ არის პარლამენტში შესვლა და იქ თანამდებობების დაკავება, მაგრამ... სახელმწიფო მე, თამაზ ბიჩინაშვილს, მაღიარებს, როგორც საქართველოს მოქალაქეს. არჩევნებში რომ მივდივარ და ვიღაცას ხმას ვაძლევ, უკვე ვერევი პოლიტიკაში და ყველა სასულიერო პირი, რომელიც არჩევნებში როგორც მოქალაქე მიდის და ხმას აძლევს რომელიღაც პარტიას – უკვე ერევა პოლიტიკაში, ასე არ არის?

რაღაც ძალები „გვამხელენ“, სასულიერო პირები რატომ საუბრობენ ხმამაღლაო, რა მაგათი საქმეა პოლიტიკაო... როგორ, საქართველოს ბედი ჩვენ არ უნდა გვაინტერესებდეს?

**— წეღან ანტიქრისტიანული ძალების გააქტიურება ახსენეთ და კონკრეტულად, ვის გულისხმობთ ამ ძალებში?**

– ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას“, პლუს „ლგბტ“-ებს და პლუს არასამთავრობოებს, რომლებიც სოკოებივით არიან მათ მიერ აღმოცენებულნი.

**— გასაგებია... პოლიტიკაში ჩართვის შემოთავაზებები „ოცნებიდან“ გექნებოდათ?**

– რა გითხრათ... მე, რაც „ოცნება“ დაარსდა, პირველივე დღიდან მისი მხარდამჭერი ვიყავი, ამას არც ვმალავ და ყველამ იცის. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ორჯერ დამიჭირა იმ პერიოდში, თუმცა ეს საგაზეთო თემა არ არის...

**— რა პრობლემებს ხედავთ დღევანდელ ვითარებაში? რა გაწუხებთ ყველაზე მეტად?**

– დღევანდელ ვითარებაში ის მაწუხებს, რომ გააქტიურებულები არიან ძალები, რომლებიც ცოდვის დაკანონებას ცდილობენ, რომ ცოდვას აღარ დაუძახონ ცოდვა და ევროპელობა საყურისა და რაღაც სვირინგების გაკეთება ჰგონიათ. ჩვენ კოლხურ-იბერიული ცივილიზაციის შვილები, 4 ათასი წლის მოდგმა ვართ და ევროპამ, ან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩვენ რა უნდა გვასწავლოს? ჩვენ გაცილებით მაღლა მდგომი ნაცია და ერი ვართ, ვიდრე ერთად აღებული ამერიკა და ევროპა, თუ გინდათ პირდაპირ ასე დაწერეთ.

**— სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც მინდა შევეხო, იგივე ბოლო პერიოდში გავრცელებულ პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების კადრებს.**

– ეს არის საძაგლობა! ეს არის სიბინძურის მანქანა, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ცხრა წლის განმავლობაში შექმნა და ამ მანქანას ჩვენ ვერ ვაჩერებთ.

**— ერთია ასეთი მასალის გავრცელება, რაც თავისთავად, საშინელი დანაშაულია, თუმცა მეორეა თავად იმ ვიდეოების შინაარსი, რომლის მოქმედი გმირები პოლიტიკოსები არიან. მინდა გკითხოთ: როდესაც პოლიტიკოსზე არსებობს ამ ტიპის კომპრომატი, ასეთ დროს მან რა უნდა ქნას?**

– ის პოლიტიკოსები, რომლებზეც ასეთი კადრები არსებობს და ყოველთვის შეიძლება, ეს მათ შეახსენონ – ისინი აუცილებლად უნდა გადადგნენ, თუ დიდი თანამდებობის პირები არიან და აქვთ საიდუმლო წვდომა სახელმწიფოებრივ მასალებზე.

**— თქვენ ძალიან აქტიურობთ ხოლმე სოციალურ ქსელშიც, მონაწილეობთ სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში და ხშირად აფიქსირებთ საკუთარ აზრს ხმამაღლა. ამის გამო საზოგადოების გარკვეული ნაწილი კრიტიკულად არის განწყობილი თქვენს მიმართ, სასულიერო პირი არ უნდა მონაწილეობდეს მსგავსი ტიპის გადაცემებშიო. რას უპასუხებთ მათ?**

– ჩემო კარგო, თავიდანვე ვთქვი – მე ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ, რახან ბერი, არქიმანდრიტი ვარ, საქართველოს გულისთვის არ უნდა ვიფიქრო, თუ როგორ არის? ეს უკმაყოფილო ხალხი გასაგებია, მაგრამ მე ვცდილობ, ადამიანებმა ცოტა გამოიღვიძონ, რა. ქართველებს გვძინავს, ძილბურანში ვართ და მინდა, ხალხი ცოტა გავაღვიძო. ეს არის ჩემი პოზიცია. ხომ გეუბნებით, ჩვენ 4 ათასი წლის ცივილიზაციის მოდგმა ვართ და საერთოდ გეტყვით, რომ როცა ნოე ჩამოვიდა და შემდეგ სემი, ქამი და იაფეტი გაიშალა, ეს იყო კავკასია და ჩვენ ვართ, ასე ვთქვათ, ნოეს წიაღში, ცივილიზაციის ცენტრში.

**— თქვენი ასეთი აქტიურობის გამო, ეკლესიიდან ხომ არ გქონიათ, ასე ვთქვათ, წინააღმდეგობა, ან იმის მინიშნება, არ იაქტიუროთ ხოლმე ასე?**

– ჯანმრთელობის გამო ეკლესიიდან მე პენსიაზე ვარ გასული, მღვდელმოქმედება შეჩერებული მაქვს, ჩემით შევიჩერე და... ეკლესიას მე ყოველთვის ვიცავ, სიკვდილამდე დავიცავ და ნებისმიერი მღვდელი იქნება, თუ ეპისკოპოსი, რომელიც ეკლესიის წევრია (მეც ეკლესიის წევრი ვარ), მე ყოველთვის მათი პირველი მცველი ვიქნები. ეკლესიის წინააღმდეგ თუ წავალ და დაინახავენ, რომ ასე ვიქცევი, მერე შეიძლება სხვანაირად წავიდეს საუბარი, მაგრამ მე ეკლესიის წინააღმდეგ არასდროს წავალ.

**— გასაგებია... იმ სიტუაციაში, რომელშიც ჩვენ დღეს ვართ და რაზეც თქვენ ისაუბრეთ, ხალხი სად უნდა იყოს? რა უნდა გააკეთოს მოსახლეობამ?**

– რა გითხრათ... პირველ რიგში, ყველა ადამიანმა თავისი საქმე უნდა აკეთოს. ყველაზე ძლიერი შემოტევა, რაც გვაქვს, არის „ლგბტ“-ორგანიზაციების, მათ გვერდზე მდგომი არასამთავრობოების და მათ უკან მდგომი პარტიების მხრიდან, რომლებიც საქართველოში ცოდვის დაკანონებას ცდილობენ. ეს კი უკვე პირდაპირ არის მიმართული ეკლესიის წინააღმდეგ, ხმალამოღებული, გამოცხადებული ბრძოლაა და ამ დროს თავად იძახიან, ჩვენ რას გვერჩით, არაფერს ვაშავებთო... ცოდვის დაკანონება არ შეიძლება, გინდა მამათმავლობა იყოს, გინდა პედოფილია, მრუშობა, ცოლ-ქმრის ღალატი თუ ასე შემდეგ. ანტიქრისტეს მოსვლა იწყება იქიდან, რომ მსოფლიო ცივილიზაცია აკანონებს ცოდვას, ანუ ანტიქრისტეს უმზადებენ გზას, რადგან ისე ვერ გამეფდება, თუ ცოდვა არ გამეფდება დედამიწაზე და არ მიიღებს თავისუფლებას, სრულ ანარქიას, რასაც ლიბერასტობას ეძახიან. სახარებაში, რომელიც ვიღაცებს ზღაპარი ჰგონიათ, ეს წერია და მე მწამს სახარება, მწამს, რომ როდესაც ანტიქრისტე გამეფდება, შემდეგ უკვე იესო ქრისტე მოდის მეორედ.

## „ჯერ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა ფარული მასალების გავრცელების პრევენცია“



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, მსოფლიოში ჯერ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა ფარული მასალების გავრცელების პრევენცია

– უამრავი საიტი არსებობს და უამრავი გვარი, მაგალითად, ასანჟი და სხვა პიროვნებები, რომლებიც არა პირადი ცხოვრების ინფორმაციას, მაგრამ ავრცელებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოს აზარალებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ კიბერუსაფრთხოება და კიბერდანაშაული ჯერ კიდევ მთელი მსოფლიოს გამოწვევაა. გამოძიება სანამ არ დამთავრდება, ვერაფერს ვერ ვიტყვით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არის საქართველოს გამოწვევაც, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. (ghn.ge)

## სანდრო თვალჭრელიძე: ლარი გახდა ბინძური პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი



საქართველოს ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვან რყევებსა და მის არამდგრადობას ეკონომიკის ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე პოლიტიკურ თამაშებს უკავშირებს.

– ნებისმიერი ვალუტის გაცვლითი კურსი დამოკიდებულია ერთადერთ პარამეტრზე – მიმოქცევაში მყოფი ეროვნული ბანკნოტების მასის შეფარდება უცხოური ბანკნოტების მიმოქცევაში მყოფი მასის შეფარდებასთან. საუბედუროდ, ბოლო 2 წლის განმავლობაში ლარი გახდა ბინძური პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი. ეს თამაშები საბოლოოდ უნდა დასრულდეს.

ლარის გამყარებას და შემდეგ გაუფასურებას ორი ახსნა აქვს: პირველი – ეს არის ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის გამოუცდელობა. მან ლარის გამყარება ძალიან სწრაფად დაიწყო, რაც არასწორია. ორ კვირაში გააკეთა ის, რაც ორ თვეში უნდა გაეკეთებინა. მეორე ახსნა გაცილებით პესიმისტურია – თუ ლარი ისევ პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი გახდა, მაშინ ძალიან ნეგატიურ მოულოდნელობებსა და შედეგებს უნდა ველოდოთ არჩევნების წინ. იმედი მაქვს ეროვნული ბანკის რეზიდენტის. პირველ რიგში, ის აპოლიტიკური პიროვნებაა და მთავარია, რომ ეყოს ძალა, ბინძურ ზეწოლებს გაუძლოს. ოქროს შუალედი უნდა მონახოს, რომ არც ბიუჯეტი, არც მოსახლეობა და არც იმპორტიორ-ექსპორტიორები არ დაზარალოს, რისი გაკეთებაც სავსებით შესაძლებელია, – განაცხადა თვალჭრელიძემ. (რეპორტიორი)

# რა ხდება თსუ-ში ლადო პაპავას წასვლის შემდეგ?

**ვინ გახდება ახალი რექტორი — დეპუტატი გია ჟორჟოლიანი, „ნაციონალების“ იდეოლოგი სერგი კაპანაძე თუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული?**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22







**„ლადო პაპავა არც „ნაციონალებს“ აწყობდა და არც „ოცნებას“, მიუხედავად იმისა, რომ მან ბევრი შეცდომა დაუშვა, მაინც მყარად იდგა“**



**„არ მინდა უნივერსიტეტი იქცეს პოლიგონად, მაგრამ თუ ხელისუფლება ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს, ბუნებრივია, ჩვენით ვიმოქმედებთ. ჩვენ ვებრძოდით სააკაშვილის რეჟიმსაც, უკან არ დაგვიხევია, არც ახლა ვაპირებთ ხელისუფლების უუნარობას ვუყუროთ“**

ის, რაც ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა, წლებია მსგავსი ქაოსი, სტუდენტების დაპირისპირება და ვითარების პოლიტიკურ ვერტიკალში გადაყვანის ფაქტები, არ ყოფილა. თუმცა, „ნაციონალების“ მიერ დათესილ ბოროტებას ნაყოფი აუცილებლად უნდა გამოეღო და ლოგიკურ შედეგამდე მისულიყო პროცესები. ის, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას „ნაციონალური მოძრაობა“ აკონტროლებდა და მართვის სადავეების ხელიდან გაშვება არ უნდოდა, ფაქტია. „ალია“ წლების მანძილზე წერდა, როგორ ზრდიდნენ თაობებს უნივერსიტეტში, რა სასათბურე პირობებში ჰყავდათ თავიანთი მომხრეები, ზონდერები, დამარბევლები, ისინი მათი თვალი და ყური იყვნენ უნივერსიტეტში. „ოცნების“ ხელისუფლებამ, როგორც ყველა სექტორში, აქაც დინებაზე მიუშვა პროცესი, იყო მცდელობა, „ოდეერებით“ გაეკონტროლებინა არსებული ვითარება, რაც „ოცნების“ ხელისუფლების დიდი შეცდომა იყო და ყველაფერმა დააყენა სტუდენტური პროტესტის შედეგი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ ვერ გაუძლო ზეწოლას და თანამდებობიდან გადადგა.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი ნიკოლოზ მეტრეველი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე „ალიას“ კითხვებს პასუხობს.**

**— ექსპერტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ლადო პაპავას გადადგომა იყო შეცდომა. თქვენი ინფორმაციით, ვინ აიძულა, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა და რატომ მოვიდა თანხვედრაში „ნაციონალებისა“ და „ქართული ოცნების“ სურვილი, რომ პაპავას თანამდებობა დაეტოვებინა?**

– თავად ლადო პაპავამ განაცხადა, რომ იყო დეტალები, რაზე საუბარიც არ სურს. იმედი მაქვს, ოდესმე ამ საკითხზე ღიად ისაუბრებს, ჩემთვის პირადად მოულოდნელი არ იყო მისი გადადგომა, უნივერსიტეტში ფორსმაჟორული ვითარება იყო შექმნილი, ამ ვითარებაში დიდი პასუხისმგებლობა მასაც ეკისრებოდა. ახლა მთავარია, უნივერსიტეტში პროცესი როგორ განვითარდება, უნივერსიტეტი არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში, ფაქტობრივად, ჩიხშია შესული. წინ გვაქვს რამდენიმე არჩევნები, სავარაუდოდ, 20 აპრილს იქნება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები, რომელმაც ამ კრიზისულ პერიოდში უნდა მართოს უნივერსიტეტი, მას აირჩევს საუნივერსიტეტო საზოგადოება, პროფესურა...

**— კონკრეტულად, ვისზეა საუბარი, ხომ არ გაქვთ ინფორმაცია?**

– ჯერჯერობით, გამოკვეთილი კანდიდატი არ არის, მე არ ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ვინმე წონად ფიგურას ჰქონდეს ინტერესი, რომ გარდამავალ პერიოდში დაიკავოს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოზიცია, მე ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტიდან ვინმე გაბედული ადამიანი იქნება, ვინც ამ რთულ პერიოდში გადაიბარებს უნივერსიტეტს. ასევე, მოახლოვდა თვითმმართველობის არჩევნები, ხელახლა არის კანცლერის არჩევნები ჩასატარებელი, აკადემიური საბჭოს არჩევნები, მოკლედ, ამ ეტაპზე სრული ქაოსია უნივერსიტეტში. აქედან გამომდინარე, არ მგონია, ვინმეს უნდოდეს გამოჩენა და პროცესებში ღიად ჩართვა. ალბათ, აგვისტოში, როცა იქნება აკადემიური საბჭოს არჩევნები და ოთხი წლით აირჩევენ რექტორს, მაშინ უფრო გამოიკვეთება კანდიდატები, თუმცა, რა თქმა უნდა, არის საუბრები, მაგრამ გამიჭირდება იმის თქმა, რომ დასახელებული კანდიდატებიდან ვინმე გამოკვეთილია.

**— ერთ-ერთი ვერსიით, საუბარია „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიურ მხარდამჭერზე, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილე სერგი კაპანაძეზე...**

– ეს აზრი უტოპიურად მიმაჩნია, გამორიცხულია, უნივერსიტეტი „ნაციონალს“ ჩავუგდოთ ხელში. ახლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, სადაც არის სტუდენტების ჯგუფი შექმნილი, რომელიც მუშაობს თვითმმართველობის რეფორმაზე, ან არის ფართო მსჯელობა იმის შესახებ, როგორ მოხდება რექტორის არჩევნები. ცხადია, რომ 14-მა ადამიანმა არ უნდა გადაწყვიტოს უნივერსიტეტის ბედი. მიდის მსჯელობა, რომ გაფართოვდეს აკადემიური საბჭო, ამავდროულად, საუბარია, წარმომადგენლობითი საბჭოს დაშლაზე და ხელახლა არჩევნებზე. უნივერსიტეტში მოსალოდნელია ძალიან დიდი რეორგანიზაცია და სტუდენტობის ჯანსაღ ნაწილს ამის მზაობა აქვს. რაც შეეხება თვითმმართველობას, რეალურად ისინი გარკვეული ძალების მარიონეტები არიან და ასრულებენ იმ ჯგუფის დაკვეთას, რომელიც მე თქვენთან ინტერვიუში მანამდე დავასახელე, ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეული ძალები ხელისუფლებაში კვლავ ცდილობენ თვითმმართველობაზე გავლენის მოხდენას და აუცილებლად გავარკვევ კონკრეტულად მათ ვინაობას. რამდენიმე მათგანის გვარი ჩემთვის ცნობილია, თუმცა ამ ეტაპზე მათი დასახელებისგან თავს ვიკავებ, ვიდრე დეტალურად არ გადავამოწმებ ამ ინფორმაციას. ისინი საკმაოდ ცნობადი სახეები არიან და თავს ვიკავებ მხოლოდ ერთი მიზნით, რომ მოვიპოვო სრულყოფილი ინფორმაცია და შემდგომ გაძლევთ პირობას, რომ ამ საკითხზე პირადად თქვენ ექსკლუზიურ ინფორმაციას გეტყვით. სწორედ მათ აქვთ სურვილი, რომ ახალი კონფიგურაციით დაალაგონ თვითმმართველობა, ამავე დროს, გაიყვანონ თავიანთი სასურველი კანცლერი, ასევე, რექტორი.

**— თქვენი აზრით, უნივერსიტეტი „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალების“ დაპირისპირების პოლიგონად იქცა?**

– დიახ, ასეა, გარკვეული ძალები ცუდად აფათურებენ ხელს, თუმცა სტუდენტები არ დაუშვებენ არც ერთი პოლიტიკური ძალის ჩართვას ამ პროცესებში. გარკვეულ პერიოდში შესაძლოა, ვიღაცამ შეძლოს პროცესების ხელში აღება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ აუცილებლად დავაყენებთ იმ საკითხს, რომ უნივერსიტეტი ეკუთვნით მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

**— ნიღბიანი ახალგაზრდები უნივერსიტეტში პროვოკაციებს აწყობდნენ და ფიზიკურ დაპირისპირებასაც ჰქონდა ადგილი, ვინ იდგა ამ პროვოკაციების უკან და რა იყო მათი მიზანი?**

– პირადად მე და ჩემმა მეგობრებმა არაერთხელ მივმართეთ ამის შესახებ სამართალდამცავებს, მათგან განსხვავებით, ნიღბები არ გვეკეთა. ეს ადამიანები დღეების განმავლობაში დათარეშობდნენ უნივერსიტეტში და ამაზე ხელისუფლებას არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. ეს ბანდიტები პირდაპირ შეიჭრნენ რექტორის კაბინეტში, პოლიციის კორდონიც იყო, მაგრამ ჩემთვის დღემდე გაუგებარია, როგორ მოახერხეს ამ ადამიანებმა რექტორის კაბინეტში შეჭრა. ასევე, არის კითხვის ნიშნები, რატომ არ მოხდა დროულად აღკვეთა იმ ფაქტის, როცა ეს ნიღბიანები უნივერსიტეტის უკანა კარიდან შემოიჭრნენ, მაშინ, როცა ჩვენს აქტივისტებს უნივერსიტეტში არ უშვებდა. ჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ ხელისუფლების შუა რგოლებში არსებობს საბოტაჟის ნიშნები, ესენი არიან პორტირებული „ნაციონალები“ და ცდილობენ უნივერსიტეტის ხელში ჩაგდებას. მე დავასახელე ხარჯავანიძის გვარი, ჩომახიძე, თუნდაც გაფრინდაშვილი, ეს ადამიანები ხელისუფლებასთან, როგორც ჩანს, ძალიან კარგად გადმოპორტირდნენ.

**— რა განწყობაა პროფესორ-მასწავლებლებში, რას ამბობენ?**

### 3 რონდ

– ლექტორების უმეტესობა ემიჯნება თვითმმართველობის ძალადობრივ მოქმედებას, აქ ლაპარაკია მხოლოდ რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელზე, რომელთაც აქვთ თავიანთი ინტერესი, კერძოდ, ბურდულის დაჯგუფება, დანარჩენებს სურთ, დემოკრატიულად განვითარდეს პროცესები უნივერსიტეტში.

**— თქვენ მოუწოდებდით პროკურატურას, დაინტერესებულიყო, სად იხარჯებოდა უნივერსიტეტისთვის კუთვნილი თანხები, თქვენ არაერთი ფაქტი მოიყვანეთ, რომ ადგილი ჰქონდა მილიონების არამიზნობრივ ხარჯვას. დაინტერესდა თუ არა პროკურატურა თქვენი განცხადებით?**

– არა, ჩემი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა არის, რომ შემოვიდნენ კომპეტენტური ორგანოები და გამოიძიონ უნივერსიტეტში როგორც ფინანსური დარღვევები, ასევე სხვა სახის დარღვევები, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას მარჩიელობას, რა და როგორ ხდება. სამწუხაროდ, პროკურატურა ამ მიმართულებითაც უნიათოა ისევე, როგორც სხვა მიმართულებით. ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყანაში სამართლიანობა ვერ და არ აღდგა, გულწრფელად ვამბობ, არ მინდა უნივერსიტეტი იქცეს პოლიგონად, მაგრამ თუ ხელისუფლება ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს, ბუნებრივია, ჩვენით ვიმოქმედებთ. ჩვენ ვებრძოდით სააკაშვილის რეჟიმსაც, უკან არ დაგვიხევია, არც ახლა ვაპირებთ, ხელისუფლების უუნარობას ვუყუროთ. მოახლოვდება არჩევნები და სხვანაირად ვიმოქმედებთ, ამ ხელისუფლებაში ნურავის ექნება ილუზია, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილები

დავდგებით და ამ ყველაფერს შორიდან ვუყურებთ. ნუ დაავიწყდებათ, რომ 2012 წელს სტუდენტებმა გარდამტეხი როლი ვითამაშეთ და რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილმა, და არა იმ უმაქნისმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც ახლა არიან. სწორედ ჩვენ ვიყავით პროცესების ფლაგმანი. არც დღეს ვაპირებთ ამათ კოაბიტაციას და მაიმუნობას გულხელდაკრეფილებმა ვუყუროთ.

**— რა არის თქვენი გზავნილი ხელისუფლებისადმი?**

– ჩვენი მთავარი გზავნილი არის ის, რომ არ გვინდა უნივერსიტეტის პოლიტიზება, ამავე დროს, გვსურს ქვეყანაში დამყარდეს სამართლებრივი გარემო, ეს არის ქვეყნის განვითარების უმთავრესი პირობა, რომ ჩვენ ღირსეულად მოვახერხეთ იგივე ევროკავშირში გაწევრიანება, ასეთ ფონზე ამ მდგომარეობით, ეს არის შეუძლებელი. ამის წინა პირობა კი ვართ ჩვენ, სტუდენტები, რომელმაც გააპროტესტა ის უკანონობა,



რაც იყო უნივერსიტეტში.

**— რას ფიქრობთ სტუდენტები პოლიტიკოსების პორნოკადრებზე, რაც სოციალურ ქსელში ვრცელდებოდა?**

– შეუძლებელია, მოაზროვნე სტუდენტს მოსწონდეს ის, რაც ხდება. პირადად მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს კადრები გაკეთებულია „ნაციონალური მოძრაობის" დროს, რომელიც დღეს ვრცელდება. ამის გამოძიება კი საკმაოდ რთულია, ვინც ოდნავ ერკვევა ტექნოლოგიებში, მარტივად შეუძლია ეს კადრები გაავრცელოს. ისიც ფაქტია, რომ კადრები უამრავი ადამიანების ხელშია მოხვედრილი, მათი გავრცელება კი ნებისმიერს შეუძლია. პირადი ცხოვრება არის ხელშეუხებელი, იმ ადამიანების მიმართ, ვისზეც კადრები ვრცელდება, ისედაც უამრავი კითხვები არსებობდა. ძალიან ბევრი მედროვე ადამიანია როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციაში, რომელთაც არც იდეოლოგია და არც პრინციპები არ გააჩნიათ.

**— და მაინც, იქნებ ექსკლუზიურად გვითხრათ, ვისი კანდიდატურა განიხილება რექტორის პოსტზე და რატომ მოვიდა „ნაცებისა" და „ოცნების" ინტერესი თანხვედრაში, გადამდგარიყო ლადო პაპავა?**

– დიახ, ლადო პაპავა არც „ნაციონალებს" აწყობდა და არც „ოცნებას", მიუხედავად იმისა, რომ მან ბევრი შეცდომა დაუშვა, მაინც მყარად იდგა. მიზანმიმართულად მოქმედებდა რაღაც მომენტში და ღიად ამბობდა თავის აზრსა და გულისტკივილს, ეს ნამდვილად უჩვეულო იყო, რის გამოც აღმოჩნდა ორივე ძალისთვის მიუღებელი. ამ ეტაპზე ის დაჯგუფება, ვინც თვითმმართველობის უკან დგას, ეცდება, რომ თავისი კანდიდატი გაიყვანოს. ეს საკითხი უკვე უნივერსიტეტის კედლებს გასცდა, არ გამოვრიცხავ ხელისუფლებას უკვე ჰქონდეს გარკვეული მონახაზი, რომ თავისი კადრი დასვას. მე

3 [illegible]

ვფიქრობ, რომ რექტორის დასმა ხელისუფლებას გაუჭირდება, ამ პროცესს ძალიან ბევრი ადამიანი დააკვირდება გამადიდებელი შუშით, თუმცა გაჟღერდა გვარები, ვის სურს რექტორობა, იყო საუბარი გია ჟორჟოლიანზე კოალიცია „ქართული ოცნებიდან", თუმცა, როგორც ვიცი, მას არანაირი სურვილი არ აქვს, რექტორის თანამდებობა დაიკავოს. სხვათა შორის, რექტორობა სურს იურიდიული ფაკულტეტის დეკანს ბატონ ბურდულსაც, ეს არის მისი ოცნება.

**— როგორც ვიცი, ეს ის ბურდულია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა რომ უნდოდა?**

– დიახ, ის გახლავთ. როგორც ვიცი, ახლა კვლავაც აქვს ამის სურვილი. სწორედ თვითმმართველობის უკან მდგომი დაჯგუფება ეცდება, რომ ბურდულის კანდიდატურა გაიყვანოს რექტორის პოსტზე.

# ოდესაში პროკურატურის შესასვლელი საბურავებით ჩახერგეს — მაიდანი იწყება




ოდესაში გვიან ღამით დაახლოებით 30 ადამიანი შეიკრიბა, ოლქის პროკურატურის შესასვლელი საბურავებით ჩახერგა და მიმდებარედ კარვები დასცა. უკრაინული მედიის ნაწილი უკვე წერს, რომ ოდესაში მაიდანი დაიწყო. როგორც პროკურატურასთან შეკრებილი ოდესელები აცხადებენ, ისინი მხარს უჭერენ დავით საყვარელიძეს და არ დაუშვებენ, რომ ოდესის პროკურატურაში ნიკოლოზ სტოიანოვი შევიდეს.

აქტივისტები აცხადებენ, რომ უვადო საპროტესტო აქცია დაიწყეს. მათი თქმით, ღამის საათებში დაცვის მხრიდან პროვოკაციის მცდელობა იყო, მაგრამ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა.

ამ პროცესების პარალელურად, დავით საყვარელიძემ თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ ერთ-ერთ უკრაინულ ინტერნეტგამოცემასთან ინტერვიუში უკრაინის პრობლემებსა და მომავალ გეგმებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, რეფორმები, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ უნდა გატარდეს, მაღალჩინოსანთა ქვეყნის დამაზიანებელ ინტერესებს ეჯახება.

ჟურნალისტის კითხვაზე, სურს თუ არა გუნდის და მსოფლმხედველობის მსგავსი რადიკალური ცვლილება თავად უკრაინის პრეზიდენტს, ოდესის ყოფილმა პროკურორმა განაცხადა, რომ ის ელოდება პრეზიდენტის რეაქციას.

– პრეზიდენტის რეაქციას ველოდებით. მაშინ, როცა ტელევიზიით ჩემი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ გავიგე, პრეზიდენტმა პოროშენკომ თავისთან დამიბარა და გამიმხილა, რომ ეს გადაწყვეტილება მასთან შეთანხმებული არ იყო. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, თითქოს თანამდებობაზე დაბრუნებას ვითხოვდე, მე ადრეც დამიტოვებია გენპროკურორის პირველი მოადგილის თანამდებობა და ახლაც ამაყად ვტოვებ მაღალ ჩინს. მთავარი კი ის არის, რომ შეიცვალოს თამაშის წესები. უნდა შეიქმნას იდეოლოგიურად ახალი პროკურატურა, რომელიც სამართლიანობის, წესრიგსა და სახელმწიფოებრიობის მაგალითი გახდება, – აცხადებს საყვარელიძე.

სააკაშვილის შესახებ საუბრისას, გენპროკურორის ექსპირველ მოადგილეს ჟურნალისტმა შეახსენა ვერსია, რომ მისი გაშვებით პოროშენკომ მიანიშნა სააკაშვილს, თითქოს „მხოლოდ „უცხოების" გაკრიტიკებაა შესაძლებელი", ამაზე კი საყვარელიძემ უპასუხა, რომ ამით სააკაშვილს ვერ შეაჩერებენ:

– პოროშენკო ამით რას ელოდება? ფიქრობს, რომ მიშას შეჩერებას შეძლებს?"

(fmabkhazia.com; kvirispalitra.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# რეალურად, მთელი საქართველოს მასშტაბით, მხოლოდ 151 მასწავლებელს ეზრდება ხელფასი და ეს უხარია „ოცნებას"?

## „პედაგოგები ძალიან არიან გაბრაზებული და შეურაცხყოფილი"






განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, თამარ სანიკიძის განცხადებით, 1-ლი აპრილიდან პედაგოგების ხელფასები იზრდება. მინისტრის განცხადებით, ამისთვის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან 70 მილიონი ლარია გამოყოფილი და ხელფასის ზრდა დამოკიდებული იქნება პედაგოგის სტაჟსა და აკადემიურ ხარისხზე. როგორც მინისტრი განმარტავს, მინიმალური კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების ანაზღაურება 405 ლარი გახდება, კვალიფიკაციის მატებასთან ერთად კი ხელფასი და დანამატიც იზრდება და მაქსიმუმ 1000 ლარამდე ადის.

„შეგვიძლია, ეს სურათი განვაზოგადოთ, დეტალები გამოვრიცხოთ და საშუალო სურათი დავინახოთ – 2012 წელს ყველა კატეგორიის მასწავლებლისთვის საშუალო ხელფასი 337 ლარი იყო, აპრილიდან კი თუ დანამატებსაც გავითვალისწინებთ, მასწავლებელთა უმრავლესობას, საშუალოდ, ხელფასი 643 ლარი ექნება. არადა ეს თანხა აპრილამდე 500-550 ლარს შეადგენდა. ანუ ეს მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით, საშუალოდ, 100 ლარით იმატებს. 2013 წელთან შედარებით კი 70%-იანი ზრდა გვაქვს. ამაში მე არ ვგულისხმობ იმ 1000-ლარიან მასწავლებლებს, რომლებიც სულ 341 გვყავს. ესენი ჩემ მიერ მოყვანილ კალკულაციაში არ მოიაზრებიან. მათი რაოდენობა მცირეა და მთელ ამ 45 ათას მასწავლებელში ამინდს ვერ ქმნიან". – განმარტავს მინისტრი.

რა ხდება რეალურად, ვისი ხელფასი იმატებს და რამდენით?

**„ალიას" „საგანმანათლებლო ალიანსის" ხელმძღვანელი, მარიამ რამინაშვილი ესაუბრა:**

– პედაგოგები, მინისტრის ამ განცხადების გამო ძალიან არიან შეურაცხყოფილები და მათი ეს შეურაცხყოფა დაიწყო მაშინ, როდესაც ცოტა ხნის წინ, ქალბატონმა მინისტრმა სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგები აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად შეაფასა და გამოაცხადა, რომ პედაგოგების 83%-მა ვერ გადალახა გამოცდის მინიმალური ზღვარი და არ დააკონკრეტა, რომ ეს 83% იყო კონკრეტულად იმ გამოცდაზე გასული პედაგოგების პროცენტული მაჩვენებელი და არა, ზოგადად, მთლიანი პედაგოგების მაჩვენებელი.

მეორე ფაქტორი კი, რის გამოც პედაგოგები არიან შეურაცხყოფილი, არის ის, რომ ამ მატებას სამინისტრო ფუთავს, როგორც რაღაც მნიშვნელოვან მატებას და ფიქრობს, რომ ამით აუმჯობესებს პედაგოგთა მდგომარეობას. რეალურად კი პედაგოგები ამას ასე არ თვლიან.

**— აბა, რა ხდება?**

– არ ბეზრდება მთავრობას მასწავლებელთა მოტყუება. თურმე, დადგა პედაგოგებისთვის დაანონსებული ხელფასის მატების დროც. საბაზო ხელფასი, ხელზე ასაღები, 324 ლარი გახდება, რაც შემდეგ ამ მთავრობის ექვსთვიანი სალაპარაკო თემა იქნება.

**— რა ხდება რეალურად, ვისი ხელფასი იმატებს და რამდენით?**

– დღეს საქართველოს ჰყავს 60 500-მდე პედაგოგი. აქედან – 15 000-მდე უფროსი მასწავლებლის სტატუსით, 151 – წამყვანი მასწავლებლის სტატუსით და 45 400-მდე პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით.

საქართველოს 151 პედაგოგის ხელფასი გახდება ხელზე ასაღები 687 ლარი – ისიც თუ დოქტორია, თუ სრული განაკვეთი და 5-დან 10 წლამდე სკოლაში მუშაობის სტაჟი აქვს. ეს თანხა იტრიალებს მასწავლებელთა ხელფასის მატების „ოცნებისეულ" ნიშნულად, არადა, ასეთი პედაგოგი მხოლოდ 151-ია. 45 400-მდე პედაგოგისთვის კი 433 ლარი იქნება მაქსიმალური ხელფასი – ისიც თუ სრული დატვირთვა აქვს, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი და 5-დან 10 წლამდე სკოლაში მუშაობის სტაჟი. ისე, საზოგადოებას, შევახსენებ მაინც – 2012 წელს პედაგოგთა ხელზე ასაღები საბაზო ხელფასი 244 ლარი იმ დროისთვის 146 დოლარის ეკვივალენტი იყო. 2016 წლის ხელზე ასაღების საბაზო ხელფასი 327 ლარი 137 დოლარია. აი, ეს არის ამ მთავრობის საპირველაპრილო ხელფასის მატება პედაგოგებისთვის.

ასევე, საინტერესოა, რამდენია იმ 151 პედაგოგში ყოფილი 1 000-ლარიანი პედაგოგი. ამის სტატისტიკას სამინისტრო შეგნებულად არ აცხადებს. შესაბამისად, ამ პედაგოგებისთვის, არანაირ წინსვლას არ წარმოადგენს სამინისტროს მიერ დაანონსებული ეს მატება.

პრაქტიკულად გამოდის, რომ პრაქტიკოსი პედაგოგების ხელფასი, რომლებიც არიან უმრავლესობაში, 405 ლარია, ეს არის ის, რასაც ჩვენ დარიცხულ ხელფასს ვუწოდებთ, რომლის ხელზე ასაღები რაოდენობა 327 ლარით განისაზღვრება, რაც არანაირად არ უუმჯობესებს პედაგოგებს მდგომარეობას და იმ პირობებში, რომელიც სამინისტრომ მათ პროფესიული განვითარების სქემის სახით შესთავაზა, აბსოლუტურად უამრავი უაზრო აქტივობით გაუათასმაგდათ სამუშაო, რომელიც სწავლის ხარისხზე ასახვას არ ახდენს და მიმართულია, უბრალოდ, ფურცლომანიისკენ.

**— თუ რეალურად მატება მარტო 151 პედაგოგს შეეხება, მაშინ რას ემსახურება ასეთი რიხიანი განცხადება?**

– ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმ წინასაარჩევნო სტრატეგიის გაგრძელება, რომელიც დაიწყეს ერთი წლის წინათ და ასე, „წარმატებით" აგრძელებენ დღესაც. ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან – რა მოხდა აპრილში, თუ მატება იყო, მაშინ რატომ არ განხორციელდა ეს მატება ოქტომბერშივე, როცა რაღაც მატება დაფიქსირდა. ამიტომაცაა ეს ყველაფერი წინასაარჩევნო აქტივობაა, რითაც ცდილობენ, პედაგოგებს გაუჩინონ იმის მოლოდინი, რომ 6 თვეში კიდევ ერთხელ მოხდება მათი საბაზო ხელფასის მატება. ბუნებრივია, რომ 6 თვეში ერთხელ ხდება საპიაროდ ხელფასის თითქოს გადახედვა, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ 151 პედაგოგს. რაც შეეხება წინასაარჩევნოდ სკოლებში საკადრო საკითხს, არჩევნებთან მიმართებაში, თუ გავიხსენებთ რა ხდება დღეს თბილისის ბაგა-ბაღებში, ამ მიმართულებით სკოლებში

[illegible]

2014 წელსვე იზრუნეს, ვგულისხმობ სკოლების დირექტორების შესარჩევ კონკურსებს და ამ საკითხთან დაკავშირებულ ამბებს. მაშინ, ადამიანები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს გამოცდები, შიდა გასაუბრების გზით დაბლოკეს და სამეურვეო საბჭოებს არ წარუდგინეს ასარჩევად. სამეურვეო საბჭოებს მარტო მათთვის სასურველი ადამიანების სია წარუდგინეს და მოხდა მათი არჩევა.

**— რის საფუძველზე ხდება მატება, თუნდაც იმ 151 პედაგოგისთვის? ეს ყველაფერი გაწერილი იყო ბიუჯეტის პროექტში?**

– ეს იყო გათვლილი და სწორედაც ამიტომაა ეს ყველაფერი წინასწარ დადგმული სპექტაკლი, თითქოს ისინი მუდმივად ზრუნავენ პედაგოგთა სახელფასო მატებაზე, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არ შეესაბამება სიმართლეს. ეს ყველაფერი კარგად იცის ხელისუფლებამ, მაგრამ ვერაფერს აკეთებს მინისტრის მიმართულებით იმიტომ, რომ მთავრობისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა, ისეთი კადრის გამოძებნა, რომელიც სრულიად ჩამონგრეულ განათლების სისტემას წინასაარჩევნოდ პასუხისმგებლობის ქვეშ აიღებდა. მე მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომ მიმდინარეობდა ახალი სამინისტრე კადრის შერჩევა ახალი პრემიერ-მინისტრის პირობებში, მაგრამ მსგავსი ვერ იპოვეს, არავინ არ აიღო თავის თავზე ამ პირობებში მუშაობა და შესაბამისად, გვიწევს ამ ყველაფრის ჩვენს თავზე გადატანა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოსკოვი ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს 8 მილიარდზე მეტ რუბლს გამოუყოფს




მოსკოვი წელს ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს 8 მილიარდზე მეტ რუბლს გამოუყოფს. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში, ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერთან, ლეონიდ თიბილოვთან შეხვედრაზე განაცხადა.

პუტინის თქმით, დახმარების ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სოციალური პროექტის განხორციელება.

თავის მხრივ, თიბილოვმა განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთისთვის გარე აგრესიისგან დაცვა" პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. (ინტერპრესნიუსი)

## დაპირისპირება ბათუმში — თურქულმა კომპანიამ ტაძრის გალავანი დაანგრია

ბათუმში წმინდა ევდემოზ კათოლიკოსის სახელობის ტაძრის გალავანი დაანგრიეს. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, გალავნის დემონტაჟი ეკლესიის გვერდით მშენებარე საცხოვრებელი კორპუსის წარმომადგენლებმა იმ მოტივით განახორციელეს, რომ მათი კუთვნილი მიწის ფართობი მრევლმა მიითვისა.

ირკვევა, რომ ტერიტორია თავიდანვე სადავო იყო, თუმცა მიმდინარე წლის დასაწყისში ტაძრის ტერიტორიის მესაკუთრე შალვა მელაძესა და მშენებარე კორპუსის მეპატრონე ნარგიზ ჰასთაოღლუს შორის წერილობით შეთანხმება შედგა, რომლის მიხედვითაც გალავნის მშენებლობას ხელი არ შეეშლებოდა.

როგორც მღვდელი ლუკა მიქიაშვილმა ამბობს, თურქულმა კომპანიამ ეკლესიის გალავანი უკანონოდ და გაუფრთხილებლად დაანგრია.

– ვფიქრობ, რომ გალავნის დანგრევა უკანონო იყო. თქვენ როგორ ფიქრობთ, თურქეთში რომ ჩავიდე და მეჩეთის პატარა კენჭს შევეხო, რას მიზამენ? არც კი გავუფრთხილებივართ, ისე მოიყვანეს ტრაქტორი და ყაჩაღურად დაანგრიეს. როგორ გაბედეს გაუფრთხილებლად ამის გაკეთება, ძალიან მიკვირს, – აცხადებს სასულიერო პირი.

მიწა, რომელზეც ახლა ეკლესია შენდება, ბერი ევდემოზის საკუთრებაში იყო, რომელმაც ეკლესიის ასაშენებლად ის ამჟამინდელ მეპატრონეს შალვა მელაძეს გადასცა. მისი თქმით, ეკლესიის მრევლი კანონის შესაბამისად მოიქცევა.

– ინციდენტი არ მომხდარა, ეს იყო კერძო დავა, რომელიც გადაიზარდა გაუგებრობაში. მაგათ რომ იცოდნენ, რა გააკეთეს, ჩოქვით მოვიდოდნენ და პატიებას ითხოვდნენ. როგორც კანონი გადაწყვეტს, ისე მოვიქცევით. მე რა უფლება მაქვს, რამე გადავწყვიტო. კანონზე წინ ვერ წავალ, – აცხადებს ბერი ევდემოზი. (regnews.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



თბილისის მერიაში ტაქსების რეგულირების სამუშაო დოკუმენტი განიხილეს. თბილისის მერის განცხადებით, ის დისკომფორტი, რაც მოქალაქეებს აქვთ ტაქსებთან დაკავშირებით, ეტაპობრივად უნდა აღმოიფხვრას, ტაქსით მგზავრობა გახდეს უსაფრთხო და კომფორტული. მერმა განაცხადა, რომ თბილისში 12 ადგილზე მრავალსართულიანი პარკინგის ასაშენებლად ტენდერიც გამოცხადდება – ნარმანია ამბობს, რომ ამან შესაძლოა, ბიზნესის პოლიტიკის კუთხით

ჩათვალეს, რომ ჩვენს გარეშე ბევრად კომფორტულად იგრძნობდნენ თავს. როგორც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რეალურად, არანაირი დოკუმენტი არ არსებობს და დიდი ალბათობით არც იარსებებს ამ ხელისუფლების პირობებში, ამის გამოცდილება ჩვენ უკვე მივიღეთ. უკვე სამ წელზე მეტია, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებიდან ვისმენთ შედეგს მოკლებულ სიტყვებსა და განცხადებებს, რაც იძლევა იმის თამამად თქმის საფუძველს, რომ ვთქვათ – აღნიშნულ გუნდს, რომელიც დღეს მართავს თბილისის მერიას, არანაირი კომპეტენცია, შესაძლებლობა და სურვილი არ გააჩნიათ,

შუალებაა, იმიტომ, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი, ფაქტობრივად, ამორტიზებულია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი არ გვაქვს.

რაც შეეხება მგზავრების უსაფრთხოებას, ნამდვილად, დღეს, ქალაქში გადაადგილდება ტაქსების გარკვეული რაოდენობა, რომელთა ავტომობილებიც არის ტექნიკურად გაუმართავი და შეიძლება მგზავრობისთვისაც იყოს საშიში, მაგრამ ასევე არსებობს სატაქსო კომპანიები, რომელთაც ჰყავთ არაჩვეულებრივი, ახალი, ევრო 4 სტანდარტის ავტომობილები, რომელიც არის მაღალი უსაფრთხოების სტანდარტების მა-

მიზნით. ეს არის ცინიზმი, რომელსაც უკვე საზღვრები აღარ აქვს.

შესაბამისად, ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ამ ყველაფრის უკან დგას გარკვეული პირების ბიზნესინტერესები. სატაქსო გადაყვანები დღეს საქართველოში საკმაოდ მასშტაბური დასაქმებისა და ბიზნესწყაროა, რომელიც ეკუთვნის ხალხს, ხალხს, რომელსაც უკიდურესად უჭირს და ეს მათთვის ერთადერთი დასაქმების წყაროა. შესაბამისად, მსგავსი რეგულაციითა და ლიცენზიის შემოღებით თბილისის მერია შექმნის ბიუროკრატიულ მექანიზმებს, რისი გადალახვაც არ შეეძლება ჩვეულებრივ

**მიმართულებით?**

– ჩვენ ყოველთვის ვმუშაობთ და ვიმუშავებთ, როგორც მომხმარებლების, ასევე, სფეროში დასაქმებული ადამიანების უფლებების დასაცავად. ეს გადაწყვეტილება დღევანდელი არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, არის უსამართლო, არ ეყრდნობა არანაირ კვლევებსა და სტატისტიკას, შესაბამისად, ჩვენ გავუწევთ ამ საკითხს მონიტორინგს და მაქსიმალურად ჩავერთვებით პროცესში, რათა დაცული იყოს როგორც მომხმარებლების, ასევე სფეროში დასაქმებული ადამიანების ინტერესები.

# რას აპირებს უმუშევრობისთვის განწირული ათობით ათასი ტაქსის მძღოლი?

**„როგორც კი ტაქსებზე ამ რეგულაციებს შემოიღებენ, ტაქსის მძღოლები მასობრივად უმუშევრები დარჩებიან, მგზავრს კი ტარიფები გაეზრდება!"**



**„როცა ჩვენ ვაპარკინგებთ ავტომობილს, 11 მძღოლი ამ დროს ეძებს ადგილს თავისი ავტომობილის დასაპარკინგებლად, ადგილს, რომელიც არ არსებობს"**




**„ამ ყველაფრის უკან დგას გარკვეული პირების ბიზნესინტერესები"**

დედაქალაქის პოლიტიკა შეცვალოს.

რამდენად არის რეალობასთან მიახლოებული მერის ეს განცხადება? რა წერია ტაქსების რეგულირების სამუშაო დოკუმენტში? არის მისი მიღების რეალური საფუძველი, რის მიღწევა უნდათ? უნდა ველოდოთ თუ არა ტაქსისტების ფართომასშტაბიან გამოსვლებს? რას აპირებს არასამთავრობო სექტორი?

**„ალიას" „ეკო ტრანსპორტ ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– თბილისის მერიაში, დიდი ხანია საუბრობენ ტაქსების რეგულაციაზე. როგორც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, თბილისის მერიამ დაიწყო მუშაობა ტაქსების რეგულაციის რეფორმაზე, სამუშაო ჯგუფში ჩართულია რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაც, მაგრამ მათ შორის არ არის ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია. ალბათ, ჩვენი ორგანიზაციის პრინციპული და კრიტიკული დამოკიდებულების გამო,

განავითარონ ტრანსპორტის სისტემა ქალაქში.

**— ნარმანიამ კი განმარტა მიზეზი, მაგრამ რა არის მისი მიღების რეალური საფუძველი, რის მიღწევა უნდათ?**

– გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ინიციატივა მოდის გარკვეული ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე და მგზავრთა უსაფრთხოება ამ შემთხვევაში ისეთივე აბსურდია, როგორიც იყო ეკოლოგიური უსაფრთხოების მიზნით მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ გადაწყვეტილებას არანაირი კავშირი არ აქვს მგზავრობის უსაფრთხოებასთან და მოძრაობის განტვირთვასთან. დღეს ტაქსების სფერო არის თვითრეგულირებადი, ყოველგვარი ბიუროკრატიული სისტემის გარეშე, ერთადერთი ადგილია, სადაც ათასობით ადამიანია თვითდასაქმებული, სწორედ იმიტომ, რომ ამ სატრანსპორტო საშუალებებზე რეალურად არის მოთხოვნა. დღეს თბილისში ტაქსი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სატრანსპორტო სა-

ტარებელი, თუმცა ასევე ამ სერვისით მომსახურება გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე შედარებით მოძველებული თვითდასაქმებული რიგითი ტაქსისტის მომსახურება. ამ ყველაფერს, მერწმუნეთ, მოქალაქე ძალიან კარგად ხედავს და აფასებს, თუ ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს უსაფრთხო გადაადგილებაზე, შეგვიძლია, არჩევანი გავაკეთოთ მაღალი ხარისხის ავტოპარკის მქონე კომპანიის სერვისზე, მაგრამ თუ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ეკონომიურობა და ტარიფი, ვარჩევთ კომპანიას ან პირს, რომელიც ყველაზე დაბალ ფასში მოგვემსახურება, შესაბამისად, ეს არის ჩვენი არჩევანი, ვერავინ ვერ დამარწმუნებს იმაში, რომ თბილისის მერია ჩვენზე მეტად ზრუნავს ჩვენსავე უსაფრთხოებაზე. მერიას, რომლის მუნიციპალური ტრანსპორტია ამორტიზირებული და მგზავრობისთვის საშიში, როგორც ავტობუსები, ასევე კუსტარულად ბუნებრივ აირზე გადაყვანილი მიკროავტობუსები და მეტროს ვაგონები, რომელიც უკვე ლიანდაგიდანაც გადადის, სურს, მოსახლეობა დაარწმუნოს იმაში, რომ სატაქსო ლიცენზიებზე მუშაობას იწყებენ მგზავრთა უსაფრთხოების

თვითდასაქმებულ მოქალაქეს, მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან შედარებით დიდი კაპიტალის მქონე კომპანიები, გაიზრდება მათი შემოსავალი, ხოლო ათასობით თვითდასაქმებული პირი დარჩება უმუშევარი. რაც შეეხება მომხმარებელს, ბაზარზე კონკურენცია შემცირდება, მომხმარებელს აღარ ექნება დიდი არჩევანი, ბიუროკრატიულ ბარიერებზე „გადამხტარ" კომპანიებს ექნებათ დაკისრებული დამატებითი გადასახადები, რის საფუძველზეც გაიზრდება მათი ექსპლუატაციის ხარჯი და რა თქმა უნდა, გაიზრდება მგზავრობის ტარიფები მომხმარებლებისთვის. შესაბამისად, დაზარალდება ის მომხმარებელი, რომელიც არჩევანს აკეთებდა ეკონომიურობაზე, ხოლო იმ მომხმარებლისთვის, ვინც თავისთავად არჩევანს აკეთებდა უსაფრთხოებასა და კომფორტზე, მათთვის არაფერი არ შეიცვლება, თუ არ ჩავთვლით ტარიფების ზრდას.

**— ხომ არ უნდა ველოდოთ ტაქსისტების ფართომასშტაბიან გამოსვლებს? ხომ არ გასაუბრებიხართ მათ? რას აპირებთ უშუალოდ თქვენ, ხომ არ გეგმავთ რაიმე ნაბიჯების გადადგმას ამ**

**— თბილისში 12 ადგილზე მრავალსართულიანი პარკინგის ასაშენებლად ტენდერი გამოცხადდება — ნარმანია ამბობს, რომ ამან შესაძლოა ბიზნესის პოლიტიკის კუთხით დედაქალაქის პოლიტიკა შეცვალოსო — რამდენად არის რეალობასთან მიახლოებული მერის განცხადება?**

– პარკირება, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მოძრაობის უსაფრთხოებაში და დღეს პარკირების სისტემის გაუმართაობა ერთ-ერთი მიზეზია საცობების წარმოქმნის. ოფიციალური სტატისტიკა არის საგანგაშო, 2014 წლის მონაცემებით თბილისის მასშტაბით ერთ ოფიციალურ სადგომზე, სადაც პარკირება ნებადართულია, 12 ავტომობილი მოდიოდა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ, როცა ჩვენ ვაპარკინგებთ ავტომობილს, 11 მძღოლი ამ დროს ეძებს ადგილს თავისი ავტომობილის დასაპარკინგებლად, ადგილს, რომელიც არ არსებობს, სწორედ ამიტომ გვხდება ავტომობილები დაპარკინგებული ისეთ უცნაურ ადგილებზე, როგორიცაა ქვეითისთვის განკუთვნილი ბილიკი, სადარბაზოს შესასვლელი და სხვა. სამწუხაროდ, 2014 წლის

შემდეგ ეს მაჩვენებელი გაუარესდა, გაიზარდა ავტომობილების რაოდენობა და შემცირდა პარკირების ადგილები, შენდება ახალი საცხოვრებელი და კომერციული დანიშნულების ობიექტები, გვხდება ადგილები, სადაც იყო ავტომობილების სადგომი, მაგრამ დღეს უკვე შენდება კომერციული ობიექტი. რა თქმა უნდა, დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მთელი პასუხისმგებლობის მძღოლებზე გადაბრალება და მხოლოდ მათი შევიწროება არის უსამართლობა. ხელისუფლებამ ჯერ უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა და როცა ინფრასტრუქტურა იქნება გამართული, მხოლოდ მაშინ აქვს ლეგიტიმაცია, დაიწყოს მძღოლების შევიწროება და დაჯარიმება.

ავტომობილების პარკირების პრობლემა მსოფლიოს ყველა დიდ და განვითარებად ქალაქში მდგარა და დგას დღესაც, შესაბამისად, ამ მიმართულებით ტექნოლოგიები და ინჟინერია ელვისებური სისწრაფით ვითარდება. არსებობს უამრავი ქვეყნის მოდელი და მაგალითი, იაპონიის, ბრიტანეთის, ჩინეთისა და სხვა. საინჟინრო ტექნოლოგიები იმდენად განვითარდა ამ მიმართულებით, რომ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ უბნებშიც კი შესაძლებელია პარკინგის ადგილების შექმნა, მინიმუმ 20 კვადრატულ მეტრზე, სადაც რეალურ პირობებში შესაძლებელია მხოლოდ 2 ან 3 ავტომობილის დაპარკინგება, შესაძლებელია რკინის კონსტრუქციის, ლიფტის პრინციპით მომუშავე, რკინის კონსტრუქციის მქონე 10-სართულიანი პარკინგის ადგილის შექმნა. სადაც არის საშუალება მრავალსართულიანი პარკინგის შენობა-ნაგებობების მშენებლობისა. როგორც უკვე აღვნიშნე, აუცილებელია, ეს პროცესი მოექცეს ერთიან სატრანსპორტო სისტემაში, უნდა შეიქმნას ქალაქის ერთიანი სატრანსპორტო ქსელი, პარკირების ადგილები უნდა არსებობდეს მუნიციპალური ტრანსპორტის, მეტროს სადგომებთანაც, სადაც ადამიანს შეეძლება მეტროს სადგურამდე გადაადგილდეს ავტომობილით, დაპარკინგდეს და შემდეგ მგზავრობა განაგრძოს მუნიციპალური ტრანსპორტით.



მერიის სატრანსპორტო სამსახურის წარმომადგენლის ინფორმაციით, ამ საკითხს ქონების მართვის სააგენტო განიხილავს, ის ერთგვარ კვლევას აწარმოებს და უნდა დადოს დასკვნა, თბილისის რომელი ადგილი სად იძლევა მრავალსართულიანი პარკინგის მოწყობის საშუალებას. თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახური თავისივე განცხადებით, ადასტურებს იმ პრობლემებს, რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ეს არის არაკომპეტენტურობა და ყველა პრობლემის საფუძველი, როცა ქონების მართვის სააგენტო განიხილავს, კვლევას აწარმოებს და თან უნდა დადოს დასკვნა, ამ დროს კი თბილისის ტრანსპორტის სამსახური ელოდება ქონების მართვის სააგენტოს დასკვნას, ეს შემთხვევა შეგვიძია, მართლა იუმორში გავატაროთ.



ჩვენ, მოქალაქეები, ადგილობრივ თვითმმართველობას ვირჩევთ სულ რაღაც 4 წლით, მომავალ წელს უკვე არჩევნებია, სადაც ავირჩევთ თბილისის ახალ მთავრობას, ამ დროს კი, მესამე წელი დაიწყება და ჩვენ ჯერ კიდევ დასკვნებსა და კვლევის შედეგებს ველოდებით.

### საფრთხე

**„ალია“ დაინტერესდა, არსებობს თუ არა რეალურად თბილისის მერიაში ტაქსების რეგულირების სამუშაო დოკუმენტი.**

თბილისის მერის მოადგილის, ირაკლი ლექვინაძის თქმით, აღნიშნული დოკუმენტი არსებობს და ის სპეციალისტებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა, რომელიც მსჯელობისა და განხილვის შემდეგ ეტაპობრივად საბოლოო სახეს მიიღებს: „სპეციალისტებისგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა განიხილა სამუშაო დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს თბილისში ტაქსის სექტორის რეგულირებას. დოკუმენტი აგებულია რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპზე. მთავარი ამოსავალი წერტილია უსაფრთხოება, რომელიც იყოფა ორ ნაწილად. ავტომობილის უსაფრთხოება, რომელიც ეფუძნება რამდენიმე პრინციპულ მომენტს. მეორე ნაწილია მძღოლის უსაფრთხოების ნაწილი. ჩამოთვლილი იყო კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მძღოლი. დოკუმენტში აღწერილია სტიმულირების მექანიზმები, როგორ შეიძლება ეტაპობრივად მოხდეს სფეროს განვითარება. თუ რეგულაციებზე იქნება საუბარი, ეს უნდა იყოს ისე, რომ მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ იქონიოს ამ სფეროში დასაქმებული ადამიანის შემოსავლებზე“.

## ბათუმში ქმარმა ცოლი ნაჯახით დაჭრა




ბათუმში 51 წლის ქალი მეუღლემ ნაჯახით დაჭრა. მრავლობითი ჭრილობებით ქალი ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული.

როგორც საავადმყოფოს ექიმი გიორგი კიკაბიძე აცხადებს, პაციენტს ჭრილობები საფეთქელთან და მხარზე აქვს. ექიმის განმარტებით, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

– ქალი მოყვანილია სახლიდან. როგორც თვითონ ამბობს, მეუღლემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. სახის არეში ჭრილობები, თავის ტვინის შერყევა და იდაყვის ძვლის მოტეხილობა აქვს. გაუკეთდა თაბაშირი და პაციენტი მოთავსებულია ნეიროქირურგიულ განყოფილებაში, – აღნიშნა გიორგი კიკაბიძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს 118-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს. (ინტერპრესნიუსი)

## „არ მგონია, რომ „რესპუბლიკელების“ გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ შედეგებზე ცუდად აისახოს“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ გიორგი კახიანის შეფასებით, „რესპუბლიკელების“ გადაწყვეტილებაზე, არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა, გავლენა იქონია კოალიციაში მიმდინარე დაპირისპირებამ. კახიანის განმარტებით, ანალოგიური გადაწყვეტილება კოალიციაში შემავალმა ნებისმიერმა პარტიამ შეიძლება მიიღოს, მათ შორის, „ქართულმა ოცნებამაც“.

– „რესპუბლიკელების“ გადაწყვეტილებაზე, ალბათ, გარკვეული გავლენა იმ დაპირისპირებამ იქონია, რაც ბოლო დღეებში, კოალიციის შიგნით სხვადასხვა წევრებს შორის იყო. შესაძლოა, ამან რაღაც-რაღაც ქმედებების პროვოცირებაც მოხდინა, ამის უარყოფა არ შეიძლება, თუმცა ეს „რესპუბლიკელების“ გადაწყვეტილებაა, – აღნიშნავს კახიანი.

დეპუტატის თქმით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „რესპუბლიკელების“ მთავარი გამოწვევა 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა იქნება.

– რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ჩვენთვის გუნდის ნებისმიერი წევრი მნიშვნელოვანია, მაგრამ არ მგონია, რომ „რესპუბლიკელების“ გასვლა „ქართული ოცნების“ შედეგებზე ცუდად აისახოს. ვფიქრობ, რომ „ქართულ ოცნებას“, როგორც დამოუკიდებელ პარტიას, დიდი შანსები აქვს, რომ საპარლამენტო არჩევნებში არა მხოლოდ გაიმარჯვოს, არამედ უმრავლესობით მოვიდეს, – განაცხადა გიორგი კახიანმა. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსული მედია — რუსეთის უშიშროების სამსახურმა უკრაინელი ჯაშუში დააკავა




რუსული მედიის ინფორმაციით, უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა რუსეთში უკრაინელი ჯაშუში დააკავა, რომელიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მიერ იყო მომზადებული.

რუსული მხარის განცხადებით, საუბარია უკრაინის უშიშროების სამსახურის ცენტრალური აპარატის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელ იური ივანჩენკოზე, რომელსაც **ФСБ**-ში შეღწევის დავალება ჰქონდა მიღებული უწყებისთვის საკუთარი მომსახურების შეთავაზების გზით.

როგორც უკრაინული მედია წერს, უკრაინის უშიშროების სამსახურმა დაკავების ფაქტი დაადასტურა.

უწყების ხელმძღვანელმა ვასილი გრიცაკმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იური ივანჩენკომ რუსეთში ჩასვლა სამსახურთან შეუთანხმებლად გადაწყვიტა. გარდა ამისა, 2014 წლიდან მას შეეზღუდა წვდომა ქვეყნის სახელმწიფო საიდუმლოებებთან.

რუსული მხარის განმარტებით, დაკავებულს უკრაინაში გააძევებენ და რუსეთში ჩასვლა აეკრძალება. (ინტერპრესნიუსი)

## რამაზ საყვარელიძე — კარგია, რომ „რესპუბლიკელებმა“ საყვედრებლად თავი არ გაიხადეს



პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძისთვის „რესპუბლიკური პარტიის“ გადაწყვეტილება არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, მისაღებია.

– „რესპუბლიკური პარტია“ კარგი გამოცდილებისა და წარსულის მქონე პარტიაა, თან ის ერთადერთი პოლიტიკური პარტიაა, რომელიც დასავლური ტიპის პარტიების სტანდარტებს უახლოვდება. ასეთ პარტიას სულ ჰქონდეს წამოსაყვედრებელი, რომ შენი ხმებით არ ხარ გასული და სხვამ გაგიყვანაო, ამასაც თავისი მოთმინების ფიალა აქვს. ის, რომ ასე საყვედრებლად თავი არ გაიხადეს და გადადგეს ეს ნაბიჯი, კარგია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯში არის რისკი, რადგან ბარიერი შეიძლება ვერ გადალახონ მათაც, ისევე როგორც სხვა პარტიებმა. ვფიქრობ, ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის ეს ნაბიჯი უდავოდ გაჯანსაღების როლს შეასრულებს, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## „ბრიუსელის აეროპორტში ISIS-ის, სულ მცირე, 50 მომხრე მუშაობს“



ბრიუსელის ზავენტემის აეროპორტში ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“, სულ მცირე, 50 მომხრე მუშაობს.

ამის შესახებ ბელგიური გაზეთი **De Standaard** ბრიუსელის პოლიციის თანამშრომელთა ღია წერილსა და საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერს. როგორც გამოცემა აღნიშნავს, „ისლამური სახელმწიფოს“ მომხრეები უსაფრთხოების სამსახურის საშვებს ფლობენ და თვითმფრინავის სალონში მოხვედრის შესაძლებლობაც აქვთ.

მედიის ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ სავარაუდო მხარდამჭერები აეროპორტის მაღაზიებში, დასუფთავების სამსახურში, ასევე, ბარგის გადამზიდავ სამსახურში მუშაობენ. აეროპორტში დასაქმებულ პირებს შორის არიან კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანები, ამიტომ, როგორც გამოცემა ვარაუდობს, ტერორისტებს თანამზრახველების პოვნა არ გაუჭირდებოდათ. (accent.com.ge)

## თამაზ მეჭიაური — „რესპუბლიკელებმა“ კარგად გამოიყენეს სახელისუფლო რესურსი და არჩევნებზე ბარიერსაც გადალახავენ



თამაზ მეჭიაურის განცხადებით, „რესპუბლიკელებმა“ საკმაოდ კარგად გამოიყენეს სახელისუფლებო რესურსი და არჩევნებზე ბარიერსაც გადალახავენ.

– დიდი ალბათობით, ისინი გადალახავენ ბარიერს, რადგან მათ საკმაოდ კარგად გამოიყენეს ყველა ის სახელისუფლებო რესურსი, რომელსაც ისინი ფლობენ. ისინი ფლობენ საკმაოდ შთამბეჭდავ თანამდებობებს. წარმოდგენილი არიან, ერთი მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობებში, მერიებში, საკმაოდ სერიოზულ სამინისტროებში. ძალიან მრავლად არიან იქ უმრავლესობაში. ასევე, მეორე პოზიციას ფლობენ ყველა სამინისტროში. მომხრეები ჰყავთ დასაქმებული და აქედან გამომდინარე, არ გაუჭირდებათ ბარიერის გადალახვა მომავალ არჩევნებში. პატივს ვცემ ამ გადაწყვეტილებას, დამოუკიდებლად მიიღონ მომავალ არჩევნებში მონაწილეობა. თუმცა, ამ პარლამენტში როგორ წარმოუდგენიათ კოალიციური რეჟიმი, ამის თქმა მიჭირს. ერთი მხრივ, ამის გაკეთება პარლამენტში უფრო ადვილადაა შესაძლებელი. კონკრეტული თემის ირგვლივ შეიძლება მოხდეს შეთანხმება. რაც შეეხება მთავრობაში, მე მიჭირს ამის წარმოდგენა, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 2250 ევრო ყველა მოქალაქეს საჩუქრად



შვეიცარიაში გადაწყვიტეს ყველა მოქალაქეს ყოველთვიურად 2500 შვეიცარიული ფრანკი (დაახლოებით 2250 ევრო) გადაუხადონ, იმის მიუხედავად მუშაობენ თუ არა ისინი. არ დავიწყებიათ არც ბავშვები – მათ თვეში ერთხელ 625 ფრანკს გამოუყოფენ. 5 ივნისს გაიმართება საყოველთაო რეფერენდუმი, სადაც ქვეყნის მოსახლეობა გადაწყვეტს, სურს თუ არა ყოველთვიურად სახელმწიფოსგან 2250 ევროს საჩუქრად მიღება. თუ უმრავლესობის პასუხი დადებითი იქნება, შვეიცარია გახდება მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელიც თავის ყველა მოქალაქეს კონკრეტული შემოსავლით უზრუნველყოფს.

ინიციატივას მხარს ძირითადად ხელოვანების ჯგუფი უჭერდა და სწორედ მათი დამსახურებაა ის, რომ მალე რეფერენდუმი ჩატარდება. პოლიტიკოსები (როგორც კონსერვატორები, ისე სოციალისტები) წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან ქვეყნის ბიუჯეტს ეს დამატებით ძალიან დიდ ხარჯად დააწვება.

კანონპროექტის მომხრეთა მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც ყველა მოქალაქეს გარკვეული შემოსავალი ექნება სახელმწიფოსგან, ისინი, უბრალოდ, ფულისთვის კი არ იმუშავებენ, არამედ იმ სამსახურს ნახავენ, რაც მათ ნამდვილად დააინტერესებთ. ასევე, ამ კანონპროექტის დამტკიცების შედეგად მოქალაქეები მეტ დროს დაუთმობენ საკუთარ ოჯახებს. (timepress.net)

## 2015 წელს საქართველოს საგარეო ვალი 15 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2014 წლის ბოლოსთან შედარებით, საქართველოს საგარეო ვალი 1.2 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 15 მილიარდი დოლარი (36 მილიარდი ლარი) შეადგინა. ვალის ზრდასთან ერთად, ლარის გაუფასურების გამო, მნიშვნელოვნად გაიზარდა საგარეო ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის მაჩვენებელი, რაც ვალის ტვირთის გამომხატველია. 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი 2015 წლის მშპ-ის 113%-ია, 2014 წლის ბოლოს საგარეო ვალი მშპ-ს 86% იყო.

2015 წელს 135 მილიონი დოლარით გაიზარდა მთავრობის საგარეო ვალი, ხოლო ეროვნული ბანკის ვალი 33 მილიონი დოლარით შემცირდა. 266 მილიონი დოლარით გაიზარდა კომერციული ბანკების საგარეო ვალი. 13 მილიონი დოლარით შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით არსებული კომპანიათაშორისი სესხები. (forbes.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რადგან მართლმადიდებელი ვარ, რა დავაშავე?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



**პრიცინიზმი**

უჩა ნანუაშვილი რაც სახალხო დამცველად დაინიშნა, მას შემდეგ იმ ფსევდოლიბერალთა მხარდამჭერად იქცა, რომლებიც გააფთრებით ებრძვიან ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და მუდმივად სპეკულირებენ საქართველოში სხვა ტრადიციული რელიგიებისა და სექტების შევიწროების „ფაქტებით“. ნანუაშვილი, თუ სხვ რელიგიის მიმდევართა უფლებები უმცირესად მაინც დაირღვა, მაშინვე განგაშს ტეხს, ბრიფინგებს მართავს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ხვდება, იცავს ამ უფლებადარღვეულებს, მაგრამ, თუ მართლმადიდებელთა უფლებები დაირღვა, მაშინ ხმა ჩაუწყდება, ამ ფაქტების შესახებ არაფერს ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ მის ოფისთან ამგვარი, სხვათაგან შეურაცხყოფილი მართლმადიდებელი ადამიანების არაერთი საპროტესტო აქცია გამართულა და მათ ერთადერთი მოთხოვნა ჰქონიათ – ომბუდსმენს დაეცვა მათი უფლებები. უჩა ნანუაშვილი არის რელიგიურ უმცირესობათა, ზოგადად, მხოლოდ უმცირესობათა სახალხო დამცელი და არა ქვეყნის ომბუდსმენი, საქართველოს მილიონობით მოქალაქის რელიგიური გრძნობები საერთოდ არ ადარდებს და მხოლოდ სხვა რელიგიის მიმდევართა და სექტანტთა შევიწროებაზე რეაგირებს. უჩა ნანუაშვილს ხმა არ ამოუღია, როცა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერმა საქართველოს პატრიარქს გეი პატრიარქი უწოდა და ამით, მართლმადიდებელთა გრძნობები ფეხქვეშ გათელა, ნანუაშვილი დუმდა, როცა, ასევე, პატრიარქს ქვეყნის მტერი უწოდეს ჰომოსექსუალთა ლიდერებმა, სულ ახლახან, მცხეთაში, ჯვრის მონასტერზე, თურქულ და არაბულ ენებზე გაჩნდა მართლმადიდებელთა შეურაცხმყოფელი წარწერები და ნანუაშვილს კრინტი არც ამ ფაქტზე დაუძრავს... რადგან მართლმადიდებელი ვარ, რა დავაშავე? ფეხქვეშ რომ გამქელონ, ხმა არ უნდა ამოიღოს ნანუაშვილმა? არა, არ ამოიღებს, რადგან ხომ მოგახსენეთ, ეგეც იმათ ბანაკშია, რომლებიც ქართულ ეკლესიას, მართლმადიდებლობას გააფთრებით ებრძვიან და მისთვის ზიანის მიყენების ვერც ერთ ფაქტს ვერ ხედავენ, თვალებთანაც რომ აუფარო.

სახალხო დამცველმა ამ დღეებში გამოაქვეყნა ანგარიში და ამ ანგარიშში მართლაც რომ სასეირო ფაქტები მოხვდა:

**„საჯარო სკოლებში რელიგიური უმცირესობები ხშირად ხდებიან რელიგიური უმრავლესობის მსხვერპლნი — ორგანიზებულად დაჰყავთ მართლმადიდებლურ ტაძრებში, ხდება მათი დალოცვა, ანთებენ სანთელს“, — ნათქვამია ანგარიშში. „პედაგოგები დომინანტი რელიგიის უპირატესობას უსვამენ ხაზს, აკნინებენ უმცირესობათა აღმსარებლობას, ეწევიან პროზელიტიზმს, არის ინდოქტრინიზაციის შემთხვევები და სხვა რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეები, რომელთა რწმენას არსებითად ეწინააღმდეგება სხვა რელიგიის რიტუალებში მონაწილეობა, ხშირად იძულებულნი ხდებიან, არ გაამჟღავნონ აღმსარებლობა და ნების წინააღმდეგ ჩაებან მსგავს ღონისძიებებში იმ მოტივაციით, რომ ამით უმრავლესობისგან უფრო მეტად გარიყვასა და დისკრიმინაციას აირიდებენ თავიდან“,**

– ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში. უჩა ნანუაშვილი, ასევე, დასძენს, რომ უფლებადარღვეული სხვა რელიგიის წარმომადგენლები ერიდებიან ღია და კონკრეტულ საუბარს „სკოლებში არადომინანტური აღმსარებლობის მოსწავლეებისადმი დისკრიმინაციული მოპყრობისა და უფლებაშელახვის ფაქტებზე“.

კი, ბატონო, სხვისი რელიგია არ უნდა დაამციროს პედაგოგმა, საკამათოა ისიც, გაკვეთილები ლოცვით უნდა დაიწყოს თუ არა, როცა კლასში სხვა რელიგიის მიმდევარი მოსწავლეებიც სხედან. ამგვარი რიტუალი უფრო საპატრიარქოს ეგიდით არსებულ სკოლებშია მისაღები. ეს შეიძლება მართლა სხვისი რელიგიური გრძნობების შელახვად მივიღოთ, მაგრამ, თუ მასწავლებელმა ბავშვი, თუნდაც სხვა რელიგიის მიმდევარი, დალოცა, უთხრა, „ღმერთმა დაგლოცოსო!“ აქ რა არის შეურაცხმყოფელი? აბა, რა უნდა ქნას მორწმუნე მართლმადიდებელმა მასწავლებელმა – დაწყევლოს არამართლმადიდებელი მოსწავლე და მხოლოდ მართლმადიდებელი დალოცოს? მე, მართლმადიდებელი რელიგიის წარმომადგენელი, ნებისმიერი ტრადიციული რელიგიის წარმომადგენელმა, საკუთარი რწმენის, საკუთარი ღმერთის სახელით რომ დამლოცოს, დიდ მადლობას ვეტყვი და ამას, ცხადია, შეურაცხყოფად არამც და არამც არ მივიღებ, პირიქით... აქ სად არის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და ვინ და რატომ გრძნობს შეურაცხყოფილად თავს, იქნებ დაეკონკრეტებინა სახალხო დამცველს?

თურმე სხვა რელიგიის წარმომადგენელთა შეურაცხყოფაა, როცა მასწავლებელი დომინანტი, ამ შემთხვევაში მართლმადიდებლური რელიგიის უპირატესობას უსვამს ხაზს. აბა, რა ქნას ისტორიის მასწავლებელმა, თუ მართლმადიდებლობის უპირატესობას არ გასვა ხაზი? ისე საქართველოს ისტორიას ვერ ასწავლის ბავშვებს. საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებლობას განსაკუთრებული როლი მიუძღვის, ეს ფაქტია, ამის დამადასტურებელი უამრავი ცნობა არსებობს ჩვენს ისტორიაში. ახლა, ვთქვათ, თორნიკე ერისთავის ცხოვრება ისე როგორ უნდა ასწავლო ბავშვს, რომ საქართველოში მართლმადიდებლობის დომინანტობას არ გაუსვა ხაზი? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველო საუკუნეების მანძილზე ებრძოდა ორ უზარმაზარ მუსლიმანურ სახელმწიფოს ირანსა და ოსმალეთს, დღევანდელ თურქეთს. ამ საუკუნოვანი დაპირისპირებას საფუძვლად სწორედ რელიგია ედო, ოსმალეთისა და ირანის მმართველთა მთავარი მიზანი სწორედ ქართველთა გამუსლიმანება იყო, დაპყრობილი ტერიტორიები და უზარმაზარი ხარკი, რასაც ამ ომების შემდეგ საქართველოდან ეზიდებოდნენ, მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის საშუალებები გახლდათ. ამ ბრძოლებს შეეწირა მილიონობით ქართველი, ამ ბრძოლებმა საქართველოს აჩუქა არაერთი წმინდანი, სახალხო გმირი და ახლა რა უნდა უჩა ნანუაშვილს, ისტორიის მასწავლებელმა ისე როგორ ასწავლოს ბავშვებს საქართველოს ისტორია, ისტორიის ეს მონაკვეთი, თუ მართლმადიდებლური რელიგიის დომინანტობას არ გაუსვა ხაზი?

უჩა ნანუაშვილი ძალიან წუხს იმის შესახებ, რომ თურმე საჯარო სკოლებიდან მოსწავლეები ექსკურსიებზე ორგანიზებულად დაჰყავთ მართლმადიდებლურ ტაძრებში. ახლა, ამაზე დიდ იდიოტობას სახალხო დამცველი ველარ იტყვის. ახლა, სად დაჰყავთ ეს ბავშვები, არ იკითხავთ? ვარძიაში, გელათში, უფლისციხეში, დავით გარეჯის ლავრაში, გრემში, ნეკრესში. სვეტიცხოველში, გერგეთის სამების ეკლესიაში, ბოლნისის სიონში, თბილისის სამების ტაძარში... რა ქნას მასწავლებელმა, რომელსაც სურს, რომ მოსწავლეებს საკუთარი თვალით ანახოს ქართული მართლმადიდებლური და ხუროთმოძღვრების ძეგლები? ექსკურსიაზე სხვა რელიგიის მიმდევარი მოსწავლეები რომ არ წაიყვანოს, ეს არ იქნება ამ ბავშვების დისკრიმინაცია, ბატონო უჩა? გარდა ამისა, ამ ეკლესია-მონასტრებს მარტო რელიგიური დატვირთვა არ გააჩნია, ისინი ხუროთმოძღვრების შედევრებია და ეს ყველაფერი თუ ნახეს, ვთქვათ, მუსლიმანმა და ებრაელმა ბავშვებმა, მათი თვალსაწიერი არ გაიზრდება? მეტ ცოდნას არ მიიღებენ? ან იმაში რა არის ცუდი, რომ თუნდაც სხვისი რელიგიის საკულტო შედევრებს შეისწავლიან? რა, აწყენთ? ეს ვინმეს ხელს უშლის საკუთარი რელიგიის სწავლებაში? ამას ვინმე უზღუდავს?

ახლა, წარმოიდგინეთ, იტალიის რომელიმე ქალაქის სკოლიდან, რომში, წმინდა პეტრეს ტაძრის სანახავად ექსკურსიაზე რომ წაიყვანონ ბავშვები, მათ შორის არაკათოლიკენი, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებიც იყვნენ და ამაზე იტალიის სახალხო დამცველმა ერთი ამბავი ატეხოს, ეს რელიგიურ უმცირესობათა უფლებების შელახვაა, დომინანტი რელიგიის – კათოლიციზმის უმცირესობებისთვის თავსმოხვევაო. ამგვარ სახალხო დამცველს ერთი წამით არ გააჩერებენ იტალიაში, იტყვიან, ეს კრეტინიაო და თავად საზოგადოება მოაშორებს ამ პოსტს.

უჩა ნანუაშვილი თუ საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებათა დამცველად გადაიქცევა, მხოლოდ უმცირესობების დარღვეულ უფლებებზე ყაყანს მოეშვება და რელიგიური და სხვა უმრავლესობების უფლებებსაც მიხედავს, კარგი იქნება. უჩა ნანუაშვილისთანა არარაობები 2000 წელია, ებრძვიან მართლმადიდებლობას, 16 საუკუნე – ქართულ ეკლესიას, მაგრამ ვერაფერი დააკლეს და ვერც დააკლებენ.

ვიდრე უჩა ნანუაშვილს უმრავლესობის უფლებები ფეხებზე ჰკიდია და მხოლოდ უმცირესობათა უფლებებს იცავს, საკუთარ სამსახურებრივ კომფორტს არ ივიწყებს. სახალხო დამცველის ოფისი, შეფის პირადი მომსახურებისთვის 105 500 ლარად ღირებულ, 2016 წლის გამოშვების „მერსედესს“ ყიდულობს, ცხადია, ბიუჯეტის ფულით. შესაძლოა, ამ კლასის „მერსედესი“ 45 000 დოლარზე ნაკლები არც ღირს, ამაზე არ ვდაობ, მაგრამ ჩვენი გაძვალტყავებული ბიუჯეტიდან რა აუცილებელია, სახალხო დამცველმა ამხელა საფასურიანი ავტომობილით იმოძრაოს? მის ოფისში აცხადებენ, უჩა ნანუაშვილის 7 000 ლარად შეფასებული „ჰიუნდაის“ ავტომობილი მოძველდა და ამიტომ ვყიდულობთ მისთვის ახალ „მერსედესსო“. იმ 7 0000-ლარიანი „ჰიუნდაიდან“ სახალხო დამცველი 15 ან 20 000-დოლარიან ავტომობილში რომ გადამჯდარიყო და არა 45-ათასიანში, რა, ჩინ-მედლებს ჩამოართმევდნენ? ეს იქნებოდა ერთდროულად უმცირესობასა და უმრავლესობაზე ზრუნვა, რადგან ამხელა თანხა არც ერთს არ მოაკლდებოდა. როცა ქვეყანაში სიღატაკე მძვინვარებს, როცა ხალხი ნაგვის ურნებში ეძებს საჭმელს და ასეთი ადამიანი ათასობითაა, როცა ოფიციალური სტატისტიკით, ქვეყანაში ყოველწლიურად 300 ბავშვი კვდება შიმშილით, ამ დროს სახალხო დამცველის მიერ 45 000-დოლარიანი ავტომობილის შეძენა ცინიზმი და ამ ხალხის დაცინვაა და სხვა არაფერი.

**უჩა ნანუაშვილს ხმა არ ამოუღია, როცა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერმა საქართველოს პატრიარქს გეი პატრიარქი უწოდა**

**სულ ახლახან, მცხეთაში, ჯვრის მონასტერზე, თურქულ და არაბულ ენებზე გაჩნდა მართლმადიდებელთა შეურაცხმყოფელი წარწერები და ნანუაშვილს კრინტი არც ამ ფაქტზე დაუძრავს...**

**ვიდრე უჩა ნანუაშვილს უმრავლესობის უფლებები ფეხებზე ჰკიდია და მხოლოდ უმცირესობათა უფლებებს იცავს, საკუთარ სამსახურებრივ კომფორტს არ ივიწყებს. სახალხო დამცველის ოფისი, შეფის პირადი მომსახურებისთვის 105 500 ლარად ღირებულ, 2016 წლის გამოშვების „მერსედესს“ ყიდულობს, ცხადია, ბიუჯეტის ფულით.**



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# ბერი ექვთიმე სამების საკათედრო ტაძარში არსებულმა ე.წ. მღვდლების მაფიამ შეიწირა

## „მამაომ ზეთი აცხო ინტიმურ ადგილზე, სხვა ბრალი არ აქვს!“

2016 წლის 31 მარტი, თბილისის საქალაქო სასამართლო. პროკურორი – თამარ პაპავა. მოსამართლე – ქოქოაშვილი. გაიმართა უპრეცედენტო პროცესი – ბერ ექვთიმეს (თეიმურაზ ხუციშვილს), რომელიც ბოლოს კვეთებულ ლოცვებს ატარებდა სამების საკათედრო ტაძარში, მიუსაჯეს 6 წლით პატიმრობა. ბერი ექვთიმე დააპატიმრეს 2015 წლის 4 ივლისს და ბრალი წაუყენეს, რომ მან კვეთებულის ლოცვის დროს არასრულწლოვან (14 წლის) ბიჭს,

ამქვეყანაზე. მათ იცოდნენ, რომ მაცხოვრის მოსვლით ახლო იყო მათი აღსასრულის ჟამი. მეორედ მოსვლის დროს ისინი წარსდგებოდნენ უფლის სამსჯავროზე და მიეცემოდნენ ძლიერ სატანჯველს.

მაცხოვარმა დაამარცხა სიბოროტე. მოგვცა ძალა და შეწევნა, რომ ჩვენც სწორი ცხოვრებით გამარჯვება მოვიპოვოთ ეშმაკზე. წმინდა მღვდელთმთავრებმა, ბასილი დიდმა, იოანე ოქროპირმა და სხვებმა შეადგინეს სპეციალური ლოცვა, რომელიც ადამიანს აძლიერებს ბოროტი სულის ზეწოლის დროს. ამ ლოცვას ჰქვია „შერისხვა და განდევნა ბოროტ სულთაგან კვეთებულსა

ტაძარში არსებულმა ე.წ. მღვდლების მაფიამ შეიწირა:

„ადამიანის ასე გასამართლება და ციხეში გაშვება, მგონი, არსად არ ხდება, ეს იყო მარაზმი, ეს სასამართლო კი არა, ბოსელია. როგორია, ასეთ რაღაცას რომ დააბრალებენ? ლახვარის ლოცვა ტარდება მტკივან ადგილზე, ანუ სადაც გაწუხებს, ტკივილია, აბა, რა არის, როცა ბიჭი კაცობას კარგავს! მამაომ ლოცვა წაუკითხა, რომ ეს ცოდვა აღარ გაიმეოროს და ვნებამ არ შეაწუხოს, უკანა ტანში კი არ ცხო ზუსტად, ზემოთ, კუდუსუნთან გაუკეთა ლახვარი. სასამართლომ კი ეს

პროკურორს ლოცავდა, რომელიც პირდაპირ ხელს ადებდა, როგორ შეიძლება, დამნაშავე იყოს? მე მას დიდი ხანია ვიცნობ, ასეთი რამ გამორიცხულია. ძალიან საწყალია. თავიდან სხვა ადვოკატი ჰყავდა, 3 ათასი დოლარი მოითხოვა და ამან ვერ გადაუხადა. მერე სხვა დაუნიშნეს უფასოდ, მაგრამ არაფერი, 6 წელი მიიღო. ბერი ექვთიმე ადრე ქვათახევის მამათა მონასტერში იყო, მერე პატრიარქმა გადმოიყვანა სამებაში, იქ ჰქონდა კელია. მოსამართლესაც სთხოვა, მის უწმინდესობასთან მინდა შეხვედრაო, სასამართლომ არ







„სამებაში საშინელი რაღაცები ხდება, ხანძარიც შემთხვევით არ გაჩენილა!“

„მამა ექვთიმე გაბრიელ ბერთან იყო ძალიან ახლოს და მასაც აქვს ნათქვამი, რომ დააპატიმრებდნენ ისეთ საკითხზე, საერთოდ ვერ წარმოიდგენდა“

ვ.ქ-ს ინტიმურ ადგილზე, კერძოდ, კუდუსუნზე სცხო ზეთი. ბერ ექვთიმეს თავის დროზე უჩივლეს არასრულწლოვნის მშობლებმა. როგორც ინკოგნიტო წყარო უყვება „ალიას“, მამაო სრულიად უდანაშაულოა:

„მამაომ ზეთი აცხო ინტიმურ ადგილზე, სხვა ბრალი არ აქვს. ბავშვი მოუყვა, ბიჭებთან კონტაქტი მაქვსო, მამაომ უთხრა, ეს ცუდი საქციელიაო და შეულოცა. თვითონვე არ უნდა გახმაურება, იმიტომ, რომ ადვოკატი უკრძალავს, ექსპერტიზა ჩაუტარდა და ვერაფერი დაამტკიცა. ეს ჯანმრთელობის ლოცვებია, ანუ ადამიანს სადაც ტკივილები აწუხებს, იქ უკეთებს ლახვარს და ზეთს სცხებს. პატრიარქის კურთხევით ატარებდა ამ ლოცვებს. ეს ბავშვი ერთ-ერთ სტადიონზე ბიჭებთან დადიოდა, იქ სვამდნენ, თვრებოდნენ და მერე ამყარებდნენ სექსუალურ კავშირს. მას უთქვამს მამაოსთვის, ასეთი საქციელი შვიდჯერ ჩავიდინეო, შეეცოდა, დაარიგა, ლოცვები წაუკითხა“.

აქ საინტერესო იქნება, გავიხსენოთ, კონკრეტულად რას ითვალისწინებს კვეთებულის ლოცვა. საეკლესიო ენით რომ განვმარტოთ:

„კვეთებულის ლოცვა არის ბოროტების დამარცხება და ჭეშმარიტ გზაზე დადგომა. სახარებაში ნათქვამია, ქრისტესთან მივიდნენ ეშმაკეული ძალები და უსაყვედურეს, თუ რატომ მოვიდა ზედა“. კვეთებულის ლოცვის წაკითხვა, ძირითადად ბერების საქმეა.

საქართველოში ამას აკეთებენ მამა სოგრატი, მამა იობი, მამა რაფაელი, მამა აკაკი და კიდევ რამდენიმე სასულიერო პირი, მათ შორის იყო შავი ბერი ექვთიმე. კვეთებულის ლოცვა იკითხება დილით. აუცილებელია ლოცვაზე დასწრების წინ, თუნდაც მხოლოდ იმ დღეს იყოთ მარხული. კვეთება ხდება მხოლოდ მორწმუნეებზე, რომლებსაც განსაცდელს უწყობს ბოროტი. ამ დროს ადამიანი ითრგუნება, აქვს გაზვიადებული უძილობა, გრიპები, ნევროზი, დავრდომილობა. ახასიათებს ისეთი ავადმყოფობა, რომელსაც ექიმებიც ვერ უსვამენ ზუსტ დიაგნოზს. როდესაც ადამიანი მძიმედაა ავად ან რაიმე სულიერი ან ხორციელი დაბრკოლებების გამო ვერ ახერხებს, კვეთებას დაესწროს, ეკლესიაში შესაძლებელია, მიიტანოთ მისი პერანგი. ტანსაცმელზე კვეთება იგივენაირად მოქმედებს ადამიანზეც. შესაძლებელია, ოჯახიდან ხატის წაღებაც. კარგია, თუ აცხებთ შვილებს რომელიმე წმინდანის წმინდა ზეთს, ეს დიდი მადლია. კვეთებულის ლოცვები არ არის მარტო ავადმყოფის განკურნება, ის ეშმაკის დაძლევაა“.

მართალია, არსად წერია, ავადმყოფს ზეთი იქ უნდა ეცხოს, სადაც ტკივილები აქვს, ან სხეულზე რა ადგილებზეც პრობლემა აქვსო, მაგრამ, როგორც სასულიერო პირები ამბობენ, ლახვარის დროს არ არის გამორიცხული, ინტიმურ ადგილებშიც „მოხვდეთ“. ინკოგნიტო წყარო კი „ალიასთან“ საუბარში ამტკიცებს, რომ ბერი ექვთიმე სამების საკათედრო

ჩათვალა გარყვნილ ქმედებად, გაუპატიურება არ დასტურდება, ექსპერტიზა ვერ ადასტურებს. ამ ბავშვამდე მამაოს კაცი მიუგზავნეს, ვიღაც ნაციხარი, ის კაცი თავს დაესხა. მამაომ იყვირა, მეზობლებს გააგებინა, მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს და ის ტიპი დააკავეს. ეტყობა, იმას რომ არ გამოუვიდა, მერე ეს ბავშვი გაუგზავნეს. ეს ყველაფერი სამებიდან არის ჩაწყობილი, იქ მამაოები ერთმანეთს ჭამენ. ბერი ექვთიმე მკაცრი ტიპიკონის მომხრე იყო, სულ ჩიოდა, მონასტერს ტიპიკონი არ აქვსო, ყველა თავისუფლად დადისო, არ ლოცულობენო, ბერულად არ ცხოვრობენო, სამება მონასტერს არ ჰგავს, როგორც გარეჯსა და შიომღვიმეშიაო. აი, ამიტომაც მოიშორეს. სამებაში სომეხი მამაოს კლანიც არის, მე უფრო ამას ვუკავშირებ, ყოველ შემთხვევაში, ამ კლანზე ვეჭვობ. სამებაში საშინელი რაღაცები ხდება, არც ხანძარი გაჩენილა შემთხვევით. სპეციალისტებმა უკვე დაასკვნეს, რომ ცეცხლი სადენებიდან არ გაჩნდა. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, ზოგიერთი მამაო სამებაში სიგარეტს რომ აბოლებს. მე მინდა, რომ როგორმე ბერ ექვთიმეს დავეხმარო, ის მართლა უდანაშაულოა, პატრიარქთან შეხვედრას ითხოვს და ბლოკავენ. მისმა უწმინდესობამ არაფერი იცის, უნდა გაიგოს, რაც სამებაში ხდება. წარმოგიდგენია? სასამართლო პროცესზე ბერი ექვთიმე იმ

გაითვალისწინა. დამიჯერეთ, ეს შეთითხნილი საქმეა. მთავარი არის პატრიარქი, მხოლოდ მას შეუძლია მამაოს გადარჩენა. სხვათა შორის, მამა ექვთიმე გაბრიელ ბერთან იყო ძალიან ახლოს და მასაც აქვს ნათქვამი, რომ დააპატიმრებდნენ ისეთ საკითხზე, საერთოდ ვერ წარმოიდგენდა. პროკურორს უთქვამს, ეს საქმე კბილებით უნდა გავიტანოო, სხვა გზა არ მაქვსო. მამაოები ქვეყანას აწგრევენ ჯიპებით და ეს საცოდავი კიდევ ციხეში გამოამწყვდიეს. ბავშვობიდან მონასტერში იყო, იზრდებოდა ეფრემ მეორესთან. მისი მშობლები თავის დროზე იყვნენ მაღალჩინოსნები და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ წინა პატრიარქთან. ექვთიმე ძალიან მდიდარ ოჯახში გაიზარდა და ბერად რომ წავიდა, ქონება სხვებს დაუტოვა მოწყალების მიზნით. ფულზე არ კითხულობდა ლოცვებს, ვიღაც მამაოებს ეგონათ, ფულს იღებსო და შეუთვალეს, წილში გაგვიყვანეო. ვიმეორებ, საპატრიარქოში ბევრი მიგზავნილია, აგენტებითაა სავსეა იქაურობა, რაღაც საშინელება ტრიალებს, პატრიარქის ერთგულებს ებრძვიან და იშორებენ“.

### სკანდალი

ჩვენ დავინტერესდით, იციან თუ არა ამ ფაქტის შესახებ რამე საპატრიარქოში? როგორც საპატრიარქოს პრესსამსახურის წარმომადგენელმა, მაია გაგუამ გვითხრა, მათთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი, შეიძლება იურისტებმა იცოდნენო. თუმცა მას არაფერი გაუკეთებია, რომ საკითხი გაერკვია. რაც შეეხება ბერი ექვთიმეს ადვოკატს, ლევან ბუაძეს, ის „ალიასთან“ საუბარში მომხდარს ადასტურებს, მაგრამ ამბობს, მამაოსთან შეთანხმების გარეშე კომენტარს ვერ გავაკეთებო.

სურს თუ არა სინამდვილეში ბერ ექვთიმეს პატრიარქთან შეხვედრა? როგორც ადვოკატი გვეუბნება, სურს, მაგრამ მას არავინ ჰყავს ისეთი, ვინც ამაში დაეხმარება. ჩვენ შევთავაზეთ, რომ საუკეთესო გამოსავალი საქმის გახმაურებაა, ამ შემთხვევაში პატრიარქიც გაიგებს, ერიც და ბერიც. თუმცა ბატონმა ლევანმა ამაზეც თავი შეიკავა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ამ სტატიას მაინც ვაქვეყნებთ, რადგან, როგორც ბერ ექვთიმესთან დაახლოებული ინკოგნიტო წყარო გვიმტკიცებს, ეს საქმე შეთითხნილია და არ არის გამორიცხული, მის სიცოცხლეს საფრთხეც ემუქრებოდესო. სხვათა შორის, ბერი ექვთიმე 9 თვე ისე ჰყავდათ წინასწარ პატიმრობაში, არავინ არაფერი იცოდა. მეტიც, როდესაც 2015 წლის ივლისში ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ მცირე ინფორმაცია გაავრცელა, ბერი დაიკარგაო, რამდენიმე საათში დაიწყო მუქარები და სააგენტოს ვებ-გვერდიდან ინფორმაცია გაქრა. აქედან დასკვნა: საპატრიარქოში უკვე ხდება ისეთი რაღაცები, რაც ლოგიკაშიც კი აღარ ჯდება. ჩვენ კვალში ჩავუდგებით ამ ფაქტებს და იმასაც შეგატყობინებთ, თუ რა რეაქცია მოჰყვება ამ სტატიის გამოქვეყნებას.

# აჩვენეთ ასეთი მრჩევლები მსოფლიოს და... ბაღებში ბავშვები აღარ დარჩებიან!



ქალაქ გორის საკრებულოს თავმჯდომარე ილია მეტრეველი ქალაქის ბაღებიდან რაიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აღსაზრდელების გარიცხვას უახლოეს ხანებში აპირებს. ამის შესახებ ილია მეტრეველს მისმა მრჩეველმა ირაკლი ოქრუაშვილმა ურჩია.

განმარტებით ბარათში, რომელიც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს ხელში ჩაუვარდა, საკითხის ინიციატორად სწორედ ოქრუაშვილი სახელდება.

– ეს ინიციატივა მთლად ოქრუაშვილს არ ეკუთვნის, – გვითხრა გორის საკრებულოს წევრმა დავით რაზმაძემ, რომელიც გასული წლის პერიოდს იხსენებს, როდესაც მერის მოადგილედ ნუკრი ჯოხაძე მუშაობდა.

– ნუკრი ჯოხაძემ დეტალურად შეისწავლა ეს საკითხი. გაირკვა, რომ ქალაქის ბაღებში რაიონის ტერიტორიიდან საკმაოდ ბევრი ბავშვი დადის, – ამბობს დავით რაზმაძე.

გორის მერმა ზურაბ ჯირკველიშვილმა იმ პერიოდში ერთი ხელის მოსმით ქალაქის ბაღებიდან რაიონში რეგისტრირებული ბავშვების გარიცხვა ვერ გაბედა. მისი სურვილი იყო, რომ ამ ბავშვების შენახვის ხარჯები რაიონის გამგეობას გაეღო, თუმცა რაიონის გამგებელმა დავით ონიაშვილმა ამ ინიციატივაზე უარი შეუთვალა.

ამჯერად კი ქალაქის საკრებულოს ახალმა თავმჯდომარემ მოამზადა განკარგულების პროექტი, რომელსაც 1-ლი აპრილის სხდომაზე დასამტკიცებლად შეიტანენ. პროექტის დამტკიცების შემდეგ საბავშვო ბაღების დირექტორები გაფრთხილებას 16 აპრილამდე მიიღებენ.

საკრებულოს განათლების კომისიამ პროექტი მოიწონა. კომისიაში 7 წევრია და როგორც საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მარიკა ზაქარაშვილი ამბობს, კომისიაზე წინააღმდეგი არავინ წასულა.

– პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხების გამოთავისუფლება. კერძოდ, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები დაფინანსებას იღებენ თითოეული ბავშვის მიხედვით, მათ შორის არიან გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახის ბავშვები, რომელთა დაფინანსების ვალდებულება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია, – წერია განმარტებით ბარათში.

ოქრუაშვილი ფიქრობს, რომ ამ პროექტით ქალაქის ბიუჯეტს 415 000 ლარი დაეზოგება, რაც შესაძლებელია, სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტებისკენ წარიმართოს.

რაიონის ბავშვები კი, რომლებიც სკოლამდელ აღზრდას ქალაქის საბავშვო ბაღებში იღებენ, დაფინანსებას 1-ელ სექტემბრამდე მიიღებენ. შემდეგ კი მათი დაფინანსება მშობლების იურიდიული მისამართის მიხედვით მოხდება. (qartli.ge)

## ნავთობზე ფასი გაიზარდა




მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე ფასი გაიზარდა.

„როიტერის“ ინფორმაციით, 28 მარტის ვაჭრობის შემდეგ აშშ-ის ნედლ ნავთობზე ფასმა 30 ცენტით მოიმატა და ბარელზე 39,96 დოლარი შეადგინა.

45 ცენტით გაძვირდა „ბრენტის“ მარკის ნავთობი, რომლის ფასმა ბარელზე 40,89 დოლარი შეადგინა. გასული კვირის განმავლობაში, „ბრენტის“ მარკის ნავთობზე ფასი, ჯამში, 2%-ით შემცირდა. (bpn.ge)

## პრემიერი თუ გამათავისუფლებს, წავალ — გიგლა აგულაშვილი



„რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენელი მინისტრები თანამდებობების დატოვებას არ აპირებენ. ამის შესახებ განცხადება გარემოს დაცვის მინისტრმა, გიგლა აგულაშვილმა გააკეთა:

– სანამ მე ვარ აქ, სანამ პრემიერ-მინისტრი გადაწყვეტს სხვანაირად, მაგალითად, მთავრობის ახალი შემადგენლობის დაკომპლექტებას, მე შევასრულებ ჩემს ვალდებულებებს. ჯერჯერობით, ხედავთ, რომ ვმუშაობ, პრემიერი თუ გამათავისუფლებს, წავალ, – განაცხადა გიგლა აგულაშვილმა. (ნიუპოსტი)

## სტალინის სურათებთან თანამშრომლობა არ გვექნება — ლევან ბერძენიშვილი



„რესპუბლიკური პარტიის“ გადაწყვეტილება, ტოვებს თუ არა კოალიცია „ქართული ოცნების“ რიგებს, კვლავ უცნობია. აღნიშნულ თემაზე პარტიის ლიდერები კონკრეტულ განცხადებებს არ აკეთებენ. თუმცა, ლევან ბერძენიშვილის განმარტებით, პარტიას საკუთარი გადაწყვეტილებები ექნება:

– ჩვეულებრივი ევროპული პრაქტიკაა, კოალიცია არის, მაგრამ კოალიციის შემადგენელი პარტიები შეიძლება მონაწილეობდნენ არჩევნებში დამოუკიდებლად. სტალინის სურათებთან არ გვექნება თანამშრომლობა, კოალიციას თავისი გადაწყვეტილებები ექნება, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# ეკა ბესელია: „ყველაფერი ამოწურულია, ნოდარ ებანოიძე მოვიდა, ამიხსნა და მოიბოდიშა“

# ნოდარ ებანოიძე: „ეკა ბესელიასთვის ბოდიში არ მომიხდია! და საერთოდ, რატომ უნდა მომეხადა?“






**„ხელებს ნუ იშვერთ და ნუ ყვირიხართ. თქვენი ლოგიკა დაასაბუთეთ, ხელებს ნუ მიშვერთ მაქედან, გითხარით. რაღაც დღეს მეტისმეტად გაცხარებული ბრძანდებით და ამას პირველად არ ისმენთ. იმედია, პოლიტიკურ ნოტაზე არ ხართ გადასული. ნერვები დაიწყნარეთ და თავი გააკონტროლეთ. კაცო, ეს პოლიტიკური მოცემულობა როგორ ცვლის ხალხს, ამ კანონზე შეიძლება ასეთი რაღაცები აკეთო?!“ —**

ეს სიტყვები ეკა ბესელიამ ბაღების კანონპროექტის განხილვის დროს ტრიბუნიდან ნოდარ ებანოიძის მისამართით თქვა. ნოდარ ებანოიძის შენიშვნები პროექტის იმ ნაწილს ეხებოდა, რომელიც ბაღებში ასაკობრივი ჯგუფების შექმნას გულისხმობს. ებანოიძის თქმით, კანონპროექტთან დაკავშირებით ბევრ კითხვას ვერ გაეცა პასუხი... ეს პატარა ინციდენტი კი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის უკვე იმის დასტური გახდა, რომ „ოცნება“ და „რესპუბლიკელები“ ღია ოპონენტებად გადაიქცნენ.

**„ალია“, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, „რესპუბლიკელ“ ნოდარ ებანოიძეს ესაუბრა:**

**— უკვე ვხედავთ, რომ „ოცნების“ წარმომადგენლები, პლენარულ სხდომაზე ერთგვარ ოპოზიციურ რიტორიკას მოგაწერენ, ბესელიას ინციდენტს ვგულისხმობ თქვენთან მიმართებაში, უკვე დაიწყო მკვეთრი კონკურენცია და ოპონირება პარტიული კუთხით?**

– ჩემი მხრიდან იყო ჩვეულებრივ კანონპროექტთან არსებული შეკითხვა და პასუხი მისი მხრიდან, რომელიც არ უნდა ეთქვა. არადა, იგივე კითხვას, იგივე რიტორიკით შევეკითხებოდი წინა ოთხშაბათსაც და ზოგადად, ამ კითხვებს კონკრეტულ კანონპროექტთან მიმართებაში ვსვამ უკვე თვე-ნახევარია და პასუხი არ არის.

**რადგან მიკროფონი არ მქონდა და ვერ გაიგონა კარგად, რას ვამბობდი, თქვა და დამაბრალა ის, რაც არ უნდა ეთქვა და არც იყო მართალი.**

**— აბა, მოგვიანებით, ბესელიამ სხვა კომენტარი რატომ გააკეთა, — ებანოიძე მოვიდა და ბოდიში მომიხადაო, მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და ინციდენტი ამოიწურაო?!**

– კი, თქვა, ბოდიში მომიხადაო, არადა რეალურად ვერ მოვიხდიდი ბოდიშს იმისთვის, რომ, უბრალოდ, მერამდენედ, ეს კითხვა დავსვი.

**— ანუ ბესელიამ მოიტყუა. კარგი, გადავიდეთ კოალიციის დაშლის თემაზე, „რესპუბლიკელებმა“ გადაწყვიტეთ, არჩევნებზე დამოუკიდებლად სცადოთ ბედი, თუმცა ამავე დროს ინარჩუნებთ პოსტებს, ხართ ხელისუფლებაშიც და მოგიწევთ ყოფნა ოპოზიციაში, ერთ-ერთ მთავარ მმართველ რგოლად, როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი? რაღაც ძალიან აბსურდული სიტუაცია არ არის?**

– ასე იქცევა ევროპა, ჩვენ მათკენ მივდივართ და არა წარსულისკენ, ეს კითხვა რომ დაუსვათ, მაგალითად,

**გერმანიის ბუნდესტაგის წევრებს, რომელთაც აქვთ კოალიცია, მაგრამ ყველა არჩევნებში გადიან ცალ-ცალკე, ქმნიან ერთიან მთავრობას, რომ ჰკითხოთ, მომავალ არჩევნებში ხომ ცალ-ცალკე უნდა გახვიდეთ და რატომ ხართ მთავრობაში ერთადო, ვერც გაიგებენ ამ კითხვას. ეს ჩვენთან ბადებს კითხვას, თორემ დემოკრატიული პროცესია.**

**— თუმცა ევროპულ დემოკრატიამდე ძალიან ბევრი გვაკლია, ამიტომაა ეს კითხვებიც.**

– თუ არ ვცადეთ, არასოდეს არ გვექნება დემოკრატიის მაღალი ხარისხი, ამიტომ ნელ-ნელა უნდა წავიდეთ წინ. რაც შეეხება კითხვას, რატომ ვრჩებით მთავრობასთან ამ ფორმით კოალიციაში, პასუხი ცალსახაა, პასუხისმგებლობა ერთად ავიღეთ მოსახლეობასთან, რაიმე გაუგებრობები „ქართულ ოცნებასთან“ ქვეყნის კურსთან დაკავშირებით არ გვაქვს. გვქონია საპირისპირო აზრი, რამდენიმე კანონთან დაკავშირებით. სადმე ვთქვით, რომ, თუ გული მოგვივა, მთავრობას ჩამოვშლით თუ რა? პროცესი უნდა მივიდეს მშვიდობიანად ბოლომდე, ჩვენ უბრალოდ ვიქნებით კარგი ოპონენტები და პოლიტიკური კონკურენტები არჩევნებზე.

**— სწორედ ესაა საქმე, როცა ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობის ნაწილი თქვენს გუნდსაც ეკუთვნის, მინისტრების და სხვა მაღალი პოსტებიდან უნდა აკრიტიკოთ თქვენივე ხელისუფლება? თუ როგორ უნდა აწარმოოთ საარჩევნო კამპანია?**

– თუ წინასაარჩევნო პროცესი იქნება ევროპული, სადაც კომპრომატების ომი კი არ არის გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი, არამედ პარტიები ერთმანეთს ეჯიბრებიან ქვეყნის ხედვაში, ეკონომიკურ პროგრამებში, განათლების სისტემის განვითარებასა თუ სხვა თემებში, თავის მოსაზრებებს დებენ, ამან ხელი როგორ უნდა შეუშალოს, მაგალითად, გარემოს დაცვის მინისტრს, რომელიც „რესპუბლიკელია“, მას აქვს თავისი დღის წესრიგი, ასრულებს პრემიერის მითითებებს. ჩვენ ბევრი პრობლემის მიმართ ერთმანეთთან თანხვედრილი ვართ. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ალთას იქნება და მეორე ბალთას, რეალობა შეიცვლება. რაც შეეხება პარლამენტს, ეს კიდევ სხვა პასუხისმგებლობაა. აგერ „ფორუმმაც“ განაცხადა, რომ კოალიციიდან გასვლას აპირებს, ავდგეთ ახლა და იმათაც და ჩვენც დავშალოთ უმრავლესობა, მივიყვანოთ ქვეყანა რიგგარეშე არჩევნებამდე, ქვეყანა ავრიოთ? თუ რა ვქნათ?

**— თუმცა ხელისუფლებაში ყოფნამდეც, მანამდეც და ახლაც „რესპუბლიკური პარტიის“ წინააღმდეგ არის ერთგვარი კამპანია, მუდმივად აპელირება იმაზე, რომ თქვენ ერთპროცენტიანი პარტია ხართ, მუდმივად გამადლიდნენ კოალიციაში ყოფნას, რეალურად რამდენპროცენტიანად თვლით თქვენს პარტიას?**

**— ყველაზე ახლო არჩევნები, როცა მარტო გამოვედით, იყო 2008 წელს და ავიღეთ 4%-მდე, ჯერ ერთი, 4% არაა 1% და მეორე, ჩვენ, დიდი ნაწილი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისა, ვყოფილვართ პარლამენტს გარეთაც და ეს არაა ტრაგედია. შეიძლება ადამიანების რაღაც ნაწილს მართლა არ მოვწონვართ, შესაძლოა, ატეხილი ისტერიკა და „ერთპროცენტიანობის“ მიკერება გამიზნული შავი პიარია. გასაგებია, რომ საქართველოში ლიბერალური შეხედულების ადამიანები უმრავლესობაში არ არიან, თუმცა არცთუ ისე მცირეა, ორნიშნა ციფრი ნამდვილად არის, დაახლოებით 20-25 პროცენტი, თუმცა ლიბერალური პლატფორმა მარტო ჩვენ არ გვაქვს და „თავისუფალი დემოკრატებიც“ ოპონენტები არიან ამ მხრივ. მხოლოდ ლიბერალობის გულისთვის შეიძლება არ მოგვცენ ხმა, ზოგს სხვა რამის გამო მოვწონვართ, ინტელექტუალ და გამოცდილ პოლიტიკოსებად მივაჩნივართ ვიღაცას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ დრომდე პარტიაში რჩება პარტიის 4 ყოფილი თავმჯდომარე. როგორც წესი, თავმჯდომარეობიდან რომ მიდიან, პარტიასაც ტოვებენ ხოლმე, მაგრამ აქ ერთიანი ბირთვი არ იცვლება. მყარი ხალხი ვართ. გვაქვს ნაკლიც, წარმატებებიც, მოკლედ, ჩვეულებრივი ადამიანები ვართ.**

**— ბატონო ნოდარ, გულწრფელად გვითხარით, საბოლოო გადაწყვეტილება „რესპუბლიკურმა პარტიამ“ მიიღო კოალიციისგან დამოუკიდებლად არჩევნებზე გასვლის, თუ ორთვიანი შიდაკოალიციური დაძაბულობის შემდეგ გასცეს მსგავსი დირექტივა „შუშის სასახლიდან“?**

– არა, არა, არაფერ შუაში არაა ჩვენს გადაწყვეტილებასთან თოფაძესთან დაწყებული დაპირისპირება, არც თავმოყვარეობის თემაა მხოლოდ. ჩვენ ვართ პოლიტიკური პარტია, რომელსაც გვაქვს 27-კაციანი ეროვნული კომიტეტი, 2 თვეში ერთხელ ვჯდებით და ვსაუბრობთ, რიგი საკითხებია ხოლმე, აზრთა გაცვლა-გამოცვლა ჩვეულებრივი ამბავია და აქ 2-3 კაცი არაფერს არ წყვეტს. თუმცა არიან ჩვენ შორის უფრო დიდი პოლიტიკური გამოცდილების პირები, ვთქვათ, უსუფაშვილი, ბერძენიშვილები და ა.შ. და მათ სიტყვას ჰქონდეს უფრო დიდი წონა, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ გადაწყვეტილებები საერთოა. ახლა მოახლოვდა არჩევნები, რომელსაც სჭირდება გარკვეული მობილიზება, გარკვეული ტაქტიკა, ჩვენ ვისაუბრეთ ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, აშკარად ემჩნეოდა „ქართულ ოცნებასაც“ დამოუკიდებლად გასვლის სურვილი, ესეც გავითვალისწინეთ და მივიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილება და არავის არაფერი არ დაუძალებია არსაიდან.

**— თუმცა „ოცნების“ ზოგიერთი წევრისგან და მათი მხარდამჭერებისგან, სავარაუდოდ, „რესპუბლიკელების“ მომავალი ხელისუფლებიდან ჩამოშორების სურვილი უფრო იკვეთება, ვიდრე არჩევნებში დამოუკიდებლად ძალის მოსინჯვის, არ მეთანხმებით?**

– არ მიმაჩნია ასე, თუ პარტიას ურჩევნია, ჩვენთან ერთად ან ჩვენს გარეშე გავიდეს არჩევნებზე, ამ შემთხვევაში, „ქართულ ოცნებას“, ეს მათი უფლებაა, ვნახოთ, რა იქნება და როგორი კოალიცია შეიქმნება არჩევნების შემდეგ,

**მთავარია, არ მივიღოთ**

## ოპოზიციონერებს

**ერთპარტიული უმრავლესობა, ეს იქნება ტრაგედია. თორემ პოლიტიკოსისთვის არ უნდა იყოს ტრაგედია ხელისუფლებაში არმოხვედრა, ამის იქითაც ბევრი საქმეა. მიუხედავად იმისა, რომ ხალხის დიდ სიყვარულს არ მოგვაწერენ, გაიხსენონ კარგად გასული წლები ახლანდელმა მეგობარმა პარტიებმა და ის უშიშარი ბრძოლა, რაც გვიწევდა, 2004-ში, 2007-ში, 2009-შიც და ა.შ. როცა ისინი სრულიად უმოქმედოები იყვნენ.**

**— „თავისუფალმა დემოკრატებმა“, რომელთანაც ბევრი საერთო გაქვთ, გადაჭრით განაცხადეს, რომ მხოლოდ მარტო გავლენ არჩევნებზე, რამდენად შესაძლებელია, რამე შეიცვალოს?**

– სიმართლე გითხრათ, ნაკლებად ველოდები ბლოკს. ამის წინაპირობა არ ჩანს, მაგრამ კიდევ არავინ იცის ბოლომდე, რა იქნება. ისე კი, ერთი ლიბერალური ოჯახის წევრები ვართ, კონტაქტი და კარგი ურთიერთობა მათთან კოალიციიდან მათი წასვლის შემდეგაც არ გაგვიწყვეტია. თუმცა ამ ეტაპზე გამორიცხულად მიმაჩნია, პარტიაშიც საერთოდ არ განხილულა ეს საკითხი.

**„ალია“ კომენტარისთვის ეკა ბესელიასაც დაუკავშირდა:**

**„მე რაც ვთქვი, სწორედ ასე იყო, სხდომის დასრულების დროს მოვიდა, თავისი ინიციატივით, ამიხსნა, რომ ცუდად გამოუვიდა და განმარტა, რას გულისხმობდა, სიტყვა ბოდიში არაა ყოველთვის საჭირო. ადამიანი ქცევით და სხვა სიტყვებით გამოხატავს ხშირად ამას და ძალიან სამწუხაროა, თუ ნოდარ ებანოიძემ ასეთი მართებული და ღირსეული ქცევა, საკუთარი არასწორი საქციელის გამოსწორება უარყო. კაცს არ ამცირებს შეცდომის აღიარება, მით უფრო ქალ კოლეგასთან, პირიქით, და თუ ესეც ეუხერხულება, მით უარესი... საკითხი 2 წელია, მზადდება ჩემს კომიტეტში და სკოლამდელი რეფორმა არის უკეთილშობილესი რეფორმა. ებანოიძემ არამარტო ჩემ მიმართ, გაეროს ბავშვთა მიმართაც გამოხატა არაკორექტული დამოკიდებულება. ასე რომ, თუ ამის მობოდიშების შერცხვა, ეს უფრო მძიმედ ახასიათებს მას, ვიდრე პირველი ქცევა“.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# ლალი მოროშკინა: „როცა მე ვხვდებოდი, რომ ერთ მამაკაცთან ამოვწურე ჩემი პოტენციალი, ვეყრებოდი... ყოველ შემთხვევაში, რქიანს არ ვატარებდი“




არასამთავრობო ორგანიზაცია „ძლიერი ქალი – ძლიერი სახელმწიფოს“ ხელმძღვანელი, ლალი მოროშკინა აცხადებს, რომ თანამდებობის ის პირები და პოლიტიკოსები, ვისზეც ვიდეოკომპრომატები არსებობს, არიან ქმრიანი მეძავები, კახპები და აუცილებლად უნდა დატოვონ საჯარო სამსახურები. მისი აზრით, ვინც ეწინააღმდეგება კადრების შემქმნელების, გამტანებისა და ამტვირთველების დასჯას – ნამდვილი „ნაციონალია“. ვინც ასაჯაროებს კადრებს იმ მიზნით, რომ დაადანაშაულოს მთავრობა – „ნაციონალთა“ მხარდამჭერია. შანტაჟის მიუხედავად, ვინც ურცხვად რჩება თანამდებობაზე ქვეყნისთვის საზიანო მომენტში – „ნაციონალთა“ გუნდის წევრია! ლალის ამ სიტყვებს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ინტერნეტში, ეს ვის მორალზე ლაპარაკობსო, ლალი თითდაუკარებელი, ლალი უმანკოო... ამის შემდეგ ლალიმ „ფეისბუკზე“ დაწერა: „არა რა, ჩემი საშველი არ იქნება, სამჯერ გათხოვილი რომ ხარ და პაწა კიდე „ხვოსტიკი“ მოგყვება, კი უნდა გაკმინტო ხმა და მიესალმო ახალ დროებას, რომელიც „ნი ტო ჩტო“ შენს ცხოვრებისეულ ხარვეზებს, არამედ სრულიად პოლიტ ელიტას „აპრავებს“! და მე ვარ ამის მერე პიარტექნოლოგი? ჩემი სალამი ქმრიან მეძავეებს, თანამდებობაზე მსხდომ კახპებს და საერთოდ ვივა პორნო ინდუსტრიას, ვივა გამომზეურებას!“

**„ალია“ პარასკევი დღის „გმირს“ ლალი მოროშკინას ესაუბრა:**

— **ლალი, ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე გამოგიჩნდა მას შემდეგ, რაც განცხადება გააკეთე, რომ ესენი კახპები არიან და უნდა გადადგნენ, ამაზე მოროშკინა არ უნდა ლაპარაკობდეს, თავადაც არანაკლები წარსული აქვსო...**

– მე დღეს მლანძღავს „ნაციონალებთან“ და ირაკლი ალასანიას პარტიასთან ასოცირებული ხალხი. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როდესაც პოლიტიკაში ხარ, როდესაც მაღალი თანამდებობა გიკავია, პირად ცხოვრებას უნდა გაუწიო კონტროლი. ქვეყანაში, სადაც აგინებენ პატრიარქს და შორენა ბეგაშვილის შვილზე წერდნენ საზიზღრობებს, ამის მერე რაღა უნდა გამიკვირდეს? საზოგადოების რაღაც ნაწილი გვკარნახობს ახალ მოდელს: მერე რა მოხდა, რომ გათხოვილი ხარ? შეიძლება გყავდეს რამდენიმე მამაკაცი და გქონდეს ხშირი, ანუ მდიდარი სექსი, ამავე დროს იყო მაღალ თანამდებობაზე. რა ვიცი, თუ ასეთი მორალი მკვიდრდება, მაშინ რაღაზე ვილაპარაკო? მაგალითად, როცა მე ვხვდებოდი, რომ ერთ მამაკაცთან ამოვწურე ჩემი პოტენციალი, ვეყრებოდი... ყოველ შემთხვევაში, რქიანს არ ვატარებდი. ახლა ამათი მორალი პოლიტიკაზე გადის, არ უნდათ სკამების დაკარგვა, კარგი შემოსავლები და ამიტომაც ქადაგებენ უცნაურ იდეებს. საარჩევნო წელია, ყველა თავისთვის იწერს ქულებს და ყველა თავისას ცდილობს თავისებურად. ქუჩაში რომ გავიარე, ხალხი ძალიან კარგად მხვდება, ბევრი მკოცნის... „ნაცები“ და მათი სატელიტები აშკარად კარგავენ რეიტინგს.

— **ლალი, შენ გაგიხსენეს კიდევ ერთი ცხოვრებისეული დეტალი: როდესაც მოკრივე**

### მორიგე

**გიორგი კანდელაკთან გქონდა ურთიერთობა, თუ არ ვცდები, მაშინ თანამდებობაზეც იყავი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე და როგორც ამბობენ, იყო რაღაც ოჯახური პრობლემები კანდელაკის მხრიდან.**

– არა, ჩვენ ორივე გაცილებულები ვიყავით. გამარჯობის თქმიდან ერთი თვის თავზე ჩვენ ვიყავით თავისუფლები და ამის შემდეგ დავიწყეთ ურთიერთობა.

— **ესე იგი, ამ მხრივ, „ჩეპე“ არ გაქვს.**

– არანაირი... ბევრი გულზე სკდება, მაგრამ არ მაქვს. ასე რომ, ჩემი მაგინებლები არც ისე ბევრნი არიან. რაც მთავარია, ხალხმა გული მოიფხანა და ყველა ხვდება, ვინ რას წარმოადგენს. ვაიმე, ეს გაბუშტულები მლანძღავენ? აკანონებენ ბოზობას და რა ქნან? ვერ ეღირსებიან!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# რა გველის, თუ ყარაბახის კონფლიქტი გაგრძელდება

**აზერბაიჯანმა და სომხეთმა ისევ დასცხეს ერთმანეთს. ყარაბახში ომია. ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით საფრთხე გვაქვს ყველა მხრიდან, იქით სომხეთის მოკავშირე რუსეთია, აქეთ აზერბაიჯანის მხარდამჭერი თურქეთი. შუაში კი ჩვენ ვართ და ყოველ წუთას შეიძლება გავიჭყლიტოთ. „ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**

– დავიწყოთ იქიდან, ვის აწყობს დღეს აზერბაიჯანისა და სომხეთის კონფლიქტი? რა თქმა უნდა, ეს აწყობს რუსეთს – ახლა ავტომატურად გაიზრდება რუსეთის, როგორც შემრიგებლის, როლი. კრემლი როგორი შემრიგებელი და მშვიდობისმყოფელია, ეს საკუთარ თავზე უკვე გამოვცადეთ. დაუკვირდი, როგორც კი პირველი ქვემეხი გავარდა ყარაბახში, მაშინვე მოიცალა ლავროვმა, დაურეკა საგარეო საქმეთა მინისტრებს, პუტინიც გამოვიდა განცხადებით და ასე შემდეგ. სინამდვილეში დღეს არც ევროპაში და არც ამერიკაში არავის არ სცალია ყარაბახისთვის. ახლა ევროპაც და ამერიკაც ამ კონფლიქტის ჩაქრობას დიდი სიამოვნებით მიანდობს რუსეთს – მუნჯის ენა დედამ იცის, ეს მაინც რუსეთის გავლენის სფეროა, ყოფილი საბჭოთა სივრცეა და ასე შემდეგ. ამის შემდეგ ბაქო პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო დამოკიდებული გახდება რუსეთზე... თუ ყარაბახში დიდი ომი დაიწყო, ჩაერთვება რუსეთიც და ჩაერთვება თურქეთიც, რომელიც დაიკავებს აზერბაიჯანის მხარეს. პრინციპში, ეს არ იქნება ფართომასშტაბიანი ომი და სტატუს კვოს აღდგენა, ამ ლოკალური შეტაკებებით რუსეთი ალიევს ეუბნება, არც ისეა საქმე, როგორც შენ გგონიაო. ფაქტობრივად, ახლა ამ კონფლიქტისთვის არავის არ სცალია, ობამა მიდის, ევროპაში რაც ხდება, ვხედავთ, აგერ ამერიკაში შეიკრიბნენ ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე და შედეგი არის ნული, ვერაფერს ვერ მიაღწიეს.

— **ბატონო სოსო, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თბილისი მზადაა, აზერბაიჯანსა და სომხეთს შესთავაზოს შუამავლობა, ჩვენ რა შუამავლობა უნდა გავუწიოთ მეზობლებს, იქით საფრთხე გვაქვს, არ გადაგვიარონ კიდევ ერთხელ?**

– კი, იყო ერთი განცხადება, შეიძლება თბილისში გაიმართოს მოლაპარაკებებიო. საერთოდ, ასეთ დროს ორივე მხარე უნდა ენდობოდეს შუამავალს, რუსებს რომ თავი დავანებოთ, სომხები უკვე დიდი ხანია, აღარ გვენდობიან და ბოლო დროს იმასაც მივაღწიეთ, აზერბაიჯანის ნდობა დაგვეკარგა, უკვე ეჭვის თვალით გვიყურებენ. გარდა ამისა, ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა რამე განცხადება გააკეთა? ადრე მინისტრის გვარს მაინც ვიმახსოვრებდი ხოლმე, ვიცოდი, ახლა ხშირად მავიწყდება ხოლმე. კაცი რომ საერთოდ არაფერს ამბობს თვეების განმავლობაში, დამავიწყდება, აბა, რა იქნება?



დღეს რომ ქართული დიპლომატია იყოს ძლიერი, ჩვენ გვქონდა თეორიული შანსი, სომხებისთვის და აზერბაიჯანელებისთვის გვეთქვა, მოდით, ეს რეგიონული პრობლემაა, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთო. ჩვენ არ გაგვაჩნია ამის რესურსი. დავუშვათ, ჩამოვიდნენ თბილისში და დაიწყო მოლაპარაკებები, ჩვენ რას ვთავაზობთ, გვაქვს რაიმე პოზიცია? ომი არ იყოს, ძალა არ გამოიყენოთო? ეს უკვე რუსეთზეა დამოკიდებული და აზერბაიჯანიც წკიპზეა. აქ ჩვენი დიპლომატია კასტრირებულია. ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ როცა სიტუაცია დღითი დღე იძაბება მსოფლიოში, ამ დროს ჩვენი პოლიტელიტა მარჩიელობს, „რესპუბლიკელები“ გადიან კოალიციიდან თუ არ გადიან, რას იზამს „ფორუმი“, ხვალ ჩანაწერი ვისზე გავრცელდება და ასე შემდეგ... ვინ შექმნა ეს პრობლემები? მე არ შემიქმნია, რაც ახლა გასაჯაროვდა, ამის შესახებ ჩვენ წლების განმავლობაში ვიცოდით და ვიცით. იცი, ჩვენ რა სიტუაციაში ვიყავით? ბრმას რომ ცოლი მოუკვდა და ნუ ეტყვითო. კი, ბატონო, ნუ ვეტყვით, მაგრამ ღამე გვერდით რომ აღარ მიუწვება, მაინც ხომ დაინახავსო? ის, რომ „რესპუბლიკელები“ სულ სხვანაირი ფილოსოფიის ხალხია და დანარჩენებს კიდევ რომ არანაირი ფილოსოფია არ გააჩნიათ, გარდა კარგი ცხოვრების სურვილისა, ეს ახალია? ეს ჩვენ არ

### ომი

ვიცოდით? შეიძლება ზუსტად არ ვიცოდით, ვინ ვისი საყვარელი იყო, მაგრამ კარგი რომ არაფერი სჭირდათ, ამაზე ყველა ლაპარაკობდა. ამ ქვეყანაში ვერ გაიგეს, რომ მინისტრისა და მაღალი თანამდებობის პირის პირადი ცხოვრება პირობითია, არ არსებობს. თუ მე მხარს მიჭერს მოსახლეობის რაღაც ნაწილი, დამალული არაფერი არ უნდა მქონდეს, ხალხმა ისიც უნდა იცოდეს, რა ფერის „ტრუსიკი“ მაცვია შარვლის ქვეშ. ასეა ამერიკაში, ასეა ევროპაში. ჩემი „ტრუსიკის“ ფერი მოეწონება თუ არა ამომრჩეველს, ეგ სხვა საკითხია, მაგრამ თუ შარვლის ქვეშ არაფერი მაცვია, საზოგადოებამ ესეც უნდა იცოდეს. ისევ საგარეო პოლიტიკას რომ დავუბრუნდეთ, ერთი რამ ცხადია, დღეს არავის არ ანაღვლებს ჩვენი ნატოსა და ევროკავშირში შესვლა, რაც მთავარია, ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. დავუშვათ, მოგვცეს ეს ვიზალიბერალიზაცია, რა ფასი აქვს, როცა მილიონ-ნახევარ მუსლიმანს ევროპაში მისცეს მუშაობის უფლება და სწავლის უფლება, რაც ჩვენ საერთოდ არ გვეხება? იმათ აქვთ მუდმივი მუშაობის უფლება, შენ კი გითვლიან დღეებს. თუ ერთი დღე გადააცილე, შავ სიაში შეგიყვანენ და საერთოდ აღარ შეგიშვებენ. მაშინ მოვითხოვოთ, რომ ლტოლვილებთან გაგვათანაბრონ. ჩვენ თავებს მაინც არ ავიფეთქებთ, ამის გარანტიას მივცემთ. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება გავაკეთოთ, მაღაზიები გავქურდოთ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ვინ მოკლა მარიკა ლორთქიფანიძის 14 წლის შვილიშვილი — პროკურატურამ მკვლელობა გახსნა



საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თბილისში 2004 წლის 27 ოქტომბერს მომხდარი, დავით ოთხმეზურის გახმაურებული მკვლელობის ფაქტი გახსნა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაკავებულია განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული ასლან ბეჟანიძე. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს:

– ფაქტზე გამოძიება 2004 წელს დაიწყო, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა ხალხმრავალ ადგილას მოხდა, სამართალდამცავების მიერ დანაშაული ცხელ კვალზე ვერ იქნა გახსნილი. 2015 წლის მარტში საქართველოს პროკურატურამ მოცემულ საქმეზე გააააქტიურა გამოძიება, ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მოძიებული და დაკითხული იქნენ მკვლელობის უშუალო თვითმხილველები, ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც გამოძიების მიერ სრულად იქნა აღდგენილი 12 წლის წინათ ჩადენილი გახმაურებული მკვლელობის გარემოებები.

კერძოდ, გამოძიებით დადგინდა, რომ 2004 წლის 27 ოქტომბერს, დაახლოებით 19:00 საათზე, პეკინის გამზირზე, დავით ოთხმეზურსა და ასლან ბეჟანიძეს შორის მობილურ ტელეფონთან დაკავშირებით წარმოიშვა კონფლიქტი, რა დროსაც ასლან ბეჟანიძემ დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა დავით ოთხმეზურს, მათ შორის ერთ-ერთი გულ-მკერდის არეში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დავით ოთხმეზური გადაყვანილ იქნა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

ასლან ბეჟანიძე, 2016 წლის 26 მარტს სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებული იქნა ბრალდებულის სახით. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით წარედგინა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. საქმეზე გრძელდება გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით, რაც სასჯელის სახედ და ზომად შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# „უროს ყიდვა ომარმა მთხოვა და ეს რვეულში მქონდა ჩაწერილი“



მეუღლისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძის თქმით, ურო და ლურსმნები მან ქმრის თხოვნით იყიდა.

სასამართლო პროცესზე მაგდა პაპიძემ აღნიშნა, რომ ის ფინანსურ ხარჯთაღრიცხვას რვეულში აწარმოებდა.

– რადგან მნიშვნელოვანია თითოეული დეტალი, მინდა გამოვეხმაურო ბრალდების მხარეს. იმ ოთახში მე, ჩემი მეუღლე და შვილი ვცხოვრობდით, სადაც სისხლის კვალი აღმოაჩინა გამოძიებამ. ჩემს ჩვენებაშიც ვთქვი – როდესაც ქმრის მოსულიერებას ვცდილობდი, ხელები სისხლით დამესვარა და სწორედ ამის გამო იყო ოთახში სისხლის კვალი. რაც შეეხება ჩანაწერს, მე ყოველთვის ვაწარმოებდი ფინანსურ ხარჯთაღრიცხვას. მე ვიმყოფებოდი მე-5 დაწესებულებაში, როდესაც გამომძიებლები განმეორებით დაკითხვაზე მოვიდნენ. ჩემი ინიციატივით ვთხოვე, რომ ჩემი რვეული ენახათ, რადგან იქ მქონდა ჩანიშნული, რომ უროს და ლურსმნის ყიდვა სწორედ ჩემმა მეუღლემ დამაბარა. თურმე, ეს რვეული რამდენიმე დღით ადრე უკვე ამოღებული იყო. რომელი ჭკუათმყოფელი სთხოვდა საკუთარი ინიციატივით გამომძიებელს, რომ ჩანაწერები ენახა? ველოდებოდი, რომ ჩანაწერში იქნებოდა ომარის მიერ დავალებული უროსა და ლურსმნების აღრიცხვა, თუმცა არ აღმოჩნდა. რაც შეეხება შპალერზე არსებულ სისხლის ლაქებს, პირველი დათვალიერების შედეგად არაფერი ჩანს. გლოვის დღეები როცა იყო, მთელმა საქართველომ იტირა ჩემი ქმარი და შვილი, დავიჯერო, ვერავინ შეამჩნია სისხლის კვალი კედელზე? – აღნიშნა მაგდა პაპიძემ.

მაგდა პაპიძე წარდგენილ ბრალდებას არ ეთანხმება და თავს დამნაშავედ არ ცნობს. (pia.ge)

# რამაზ საყვარელიძე — კარგია, რომ „რესპუბლიკელებმა“ საყვედრებლად თავი არ გაიხადეს

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძისთვის „რესპუბლიკური პარტიის“ გადაწყვეტილება არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, მისაღებია.

– „რესპუბლიკური პარტია“ კარგი გამოცდილებისა და წარსულის მქონე პარტიაა, თან ის ერთადერთი პოლიტიკური პარტიაა, რომელიც დასავლური ტიპის პარტიების სტანდარტებს უახლოვდება. ასეთ პარტიას სულ ჰქონდეს წამოსაყვედრებელი, რომ შენი ხმებით არ ხარ გასული და სხვამ გაგიყვანაო, ამასაც თავისი მოთმინების ფიალა აქვს. ის, რომ ასე საყვედრებლად თავი არ გაიხადეს და გადადგეს ეს ნაბიჯი, კარგია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯში არის რისკი, რადგან ბარიერი შეიძლება ვერ გადალახონ მათაც, ისევე როგორც სხვა პარტიებმა. ვფიქრობ, ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის ეს ნაბიჯი უდავოდ გაჯანსაღების როლს შეასრულებს, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



პროფესიონალი



## გია ბურჯანაძე: „ქართული ოცნება“ იგივე დამნაშავე ხელისუფლება გახდა!“

## „ის, რომ ხალხს ქუჩაში აღარ ურტყამენ და არ ხოცავენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხი ქუჩაში არ გამოსულა! რომ გამოსულიყვნენ, არ გამოვრიცხავ, იგივე გაკეთებინათ“

**„ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა, რომ ოთხი წელი ისხდნენ დამნაშავეებთან ერთად. ჩხუბობდნენ, არ ჩხუბობდნენ, ტელევიზიით დედას აგინებდნენ თუ თავში ბოთლებს ურტყამდნენ, სულ არ მაინტერესებს, დამნაშავეებთან ერთად იყავით? — დამთავრდა ჩემთვის ყველაფერი!“**

**რას ფიქრობს მსახიობი და „სახალხო კრების“ წევრი გია ბურჯანაძე ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე, სადაც პრიორიტეტი პოლიტიკური ელიტის პორნოსკანდალებია და ამ ფონზე მოსახლეობა უკიდურეს პრობლემებშია, როგორ აფასებს იგი „ქართული ოცნების“ მმართველობის ოთხ წელს, აპირებს თუ არა მიიღოს მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში? ამ და სხვა საკითხებზე „ალიას“ კითხვებს პასუხობს გია ბურჯანაძე.**

**— პოლიტიკური ელიტის პორნოსკანდალებმა მოსახლეობაში ნიჰილიზმი გააჩინა, ვის ინტერესში შედის მორალური ტერორი და ფიქრობთ თუ არა, რომ მაღალი თანამდებობის პირები, ვისზეც არსებობს ფარული ჩანაწერი, დაკავებული თანამდებობებიდან უნდა გადადგნენ?**

– არა, მაგათ ყველაზე აქვთ ჩანაწერი და ყველამ რომ თანამდებობა დატოვოს, სახელმწიფო სამსახურები ხელმძღვანელების გარეშე დარჩებიან. ეს არის ნეობოლშევიკების ხელწერა, რასაც „ნაციონალების“ სულიერი წინაპრები – ბოლშევიკები აკეთებდნენ, საბჭოთა კავშირის დროს ადამიანები შანტაჟის ქვეშ ჰყავდათ, ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რასაც „კაგებე“ აკეთებდა საკუთარი მოქალაქეებისა და თუნდაც უცხოეთის მოქალაქის წინააღმდეგ, ზუსტად ის ხელწერაა. მათ კარგად აქვთ შესწავლილი თავიანთი სულიერი წინაპრის მოღვაწეობა, იმიტომაც აკეთებდნენ ამ ჩანაწერებს. არათუ ქართველი მინისტრები, სახელმწიფო მოღვაწეები თუ ჟურნალისტები ჰყავთ ჩაწერილი, ეჭვი მაქვს, რომ ის უცხოელები, რომლებიც ასე გაშმაგებით იცავენ „ნაციონალებს“, შეიძლება ისინიც შანტაჟის ქვეშ ჰყავთ. მსოფლიოში ყველა ადამიანი ერთნაირია, მათი ცდუნება ძალიან იოლია. ერთი კითხვა მინდა საზოგადოებას დავუსვა დასაფიქრებლად, არც არავის დარწმუნებას ვაპირებ და არც ახალს ვამბობ, მაგრამ ისინი, ვინც ევროპულ ლიბერალურ ღირებულებებზე გველაპარაკებიან, იმათ ღირებულებებში ჯდება, რასაც ილებდნენ, რა საარჩევნო გარემოც გვქონდა, ადამიანის უფლებები ფეხქვეშ რომ იყო გათელილი, სასამართლო არ არსებობდა, ეს ხომ ლიბერალური ღირებულების პოსტულატებია და ამას რომ არღვევდა და ფეხქვეშ თელავდა ის ხელისუფლება 9 წლის მანძილზე, ახლა რანაირად იძახიან ამათზე, ჩვენი წევრები არიანო?! „ევროპის სახალხო პარტია“ პოლიტპატიმრად რომ აცხადებს უგულავას, მერაბიშვილსა და ახალაიას, ჰკითხონ ქართველ ერს, ამ ადამიანებს თვლიან თუ არა პოლიტპატიმრებად?!. ქართველების მეხსიერებაში, „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავე პარტიად არის ჩამოყალიბებული. ამიტომ ვეჭვობ, უცხოელებიც შანტაჟის ქვეშ ჰყავთ. მაგრამ საჭიროა პოლიტიკური ნება, რომ მათ დაუმტკიცონ დანაშაული და, შესაბამისად, დაისაჯონ, სამწუხაროდ, საქართველოში ეს ნება არ არის.

**— თქვენი აზრით, დღევანდელი გადასახედიდან ვინ არის დაინტერესებული, რომ ეს დანაშაულებრივი ძალა ბოლომდე იხსნას და გადაარჩინოს?**

– აბსოლუტურად ყველა, საქართველოს მეგობრები არ ჰყავს, საქართველო არის მცირერიცხოვანი ერი პატარა ტერიტორიით, რომელიც არის გენიალურ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში. ყველას თვალი აქვს ჩვენზე დადგმული, სამხრეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით თუ აღმოსავლეთით, დაბეჩავებული, დაქცეული და გაუბედურებული საქართველო ყველას ინტერესებში შედის, ძლიერი საქართველო კი უნდა შედიოდეს ქართველების ინტერესში, მაგრამ ჩვენ თვითონ, ქართველები არ ვართ დაინტერესებული, რომ კარგი ქვეყანა გვქონდეს, სხვისგან რაღას ვითხოვთ?!. ჩვენსავე სახელმწიფოებრიობას ვუდგებით უდიერად, კიდევ ერთხელ ვამბობ, დაქცეული საქართველო აწყობს ყველას, თუ საქართველო ოდესმე იქნა ძლიერი, შეიძლება ვინმეს ინტერესში ჩაჯდეს. თუმცა არა მგონია, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ინტერესში იყოს ძლიერი საქართველო. ოდესმე შეიძლება დადგეს ეს მომენტი, მაგრამ ამ დროისთვის ყველას აწყობს დაქცეული საქართველო.

**— კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, ძმები ბერძენიშვილები, ირაკლი ალასანია გვარწმუნებდნენ, რომ მათი მთავარი ამოცანა იყო „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა და მათთან კოაბიტაცია ქართველი ხალხის დაკვეთილია. იყო თუ არა შეკვეთა კოაბიტაცია, რაც ბუმერანგივით დაუბრუნდათ ზემოჩამოთვლილ ლიდერებს? სწორედ მათ იწვნიეს, რა ნიშნავს ბოროტ ძალასთან კოაბიტაცია...**

– თავისთავად სირცხვილია იმის თქმა, რომ ქართველი ხალხის დაკვეთა იყო კოაბიტაცია, არასდროს არ ყოფილა ეს ქართველი ხალხის დაკვეთა. დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის 99%-მა არც იცოდა სიტყვა „კოაბიტაციის“ მნიშვნელობა. ახლაც კი, როცა ამ თემაზეა კამათი, ხშირად ვეკითხები მათ, ერთი ფაქტი მომიყვანეთ კოაბიტაციის, მაგრამ არ იციან ისტორიიდან ფაქტი, სადაც მსგავსი მოდელი იყო. უბრალოდ, ყველამ ისწავლა ამ სიტყვის მნიშვნელობა. თავიდან იმასაც ვერ არკვევდნენ კოჰაბიტაცია ეთქვათ თუ კოაბიტაცია. ახლა გაიგეს ამ სიტყვის მნიშვნელობა, რომ კოაბიტაცია ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს თანაცხოვრებას. კოაბიტაცია საფრანგეთში ჟაკ შირაქის პერიოდში მოხდა, გოლისტური პარტიები სოციალისტებთან შევიდნენ კოაბიტაციაში, რასაც საფრანგეთისთვის კარგი არაფერი მოუტანია. საქართველოს შემთხვევაში დამნაშავე ძალასთან კოაბიტაცია მისი მომავლისთვის არის ძალიან ცუდი, რადგან ირღვევა სამართლიანობა. მე არ ვარ მომხრე იმისა, რომ ყველანი ციხეში ჩავკეტოთ, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი რომ უნდა დაერქვას, თუნდაც პირობითი განაჩენების გამოტანა მოხდეს, მაგალითად, გერმანიაში მოხდა დენაციფიკაცია, ჰიტლერის შემდეგ პერიოდში ვინც ნაცისტებთან თანამშრომლობდა, ცნობილ ადამიანებს, მეცნიერებს აუკრძალეს ლექციების წაკითხვა და პოლიტიკური თანამდებობების დაკავება 10 წლით. მაგალითად, მეოცე საუკუნის უდიდეს მოღვაწეს, ფილოსოფოს მარტინ ჰაიდეგერს აუკრძალეს ლექციების წაკითხვა, რადგან ნაცისტური პარტიის წევრი იყო. თუ ჩვენ განვითარებასა და წინსვლაზე ვფიქრობთ, არ შეიძლება ყველაფერს თავისი სახელი არ დავარქვათ. ძალიან ბევრი კამათი და დაპირისპირება ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ყველაფერს თავისი სახელი არ ერქმევა და რაც დღეს ხდება, ყველაფერი კოაბიტაციის ბრალია, დაუსჯელობის სინდრომმა მოიტანა ეს შედეგი. ახლა აქტიური დებატებია ერთ კონკრეტულ საკითხზე, მინისტრები, ვისზეც არსებობს ჩანაწერები, უნდა გადადგნენ თუ არა?.. რაც არ ვიცი, იმაზე ვერ ვილაპარაკებ. სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს იმის გარკვევა, ვინ იყო, როგორ იყო და რა იყო. ვინც მართავს ქვეყანას, მათ უნდა გაარკვიონ ყველაფერი, მოსახლეობის გასარჩევი საქმე არ არის ეს. სახელმწიფო მოხელეებს ევალებათ ქვეყნის მართვა. რაც ქვეყანაში ხდება, კარგი ან ცუდი, ეს არის ხელისუფლების დამსახურება და ყველაფერი უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ ქვეყანა იყოს კარგად. მე არც არავის კადრები მაინტერესებს და არც ის, ვინ არის იმ კადრებში გადაღებული. თუ ვინმე ჩვენს სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნის, არსებობენ ვეებერთელა ხელფასიანი ჩინოვნიკები – პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტარები, უსაფრთხოების სამსახური და იზრუნონ იმაზე, რომ ქვეყანა იყოს დაცული, რაც უფრო ნაკლებს ვილაპარაკებთ საჯარო სივრცეში ჩანაწერებზე და მის შინაარსზე, უფრო ნაკლებად შევუწყობთ ხელს იმ არაადამიანებს, ვინც ამ ბინძურ საქმეს აკეთებს.

**— „ნაცმოძრაობა“ არ იღებს პასუხისმგებლობას ამ ბინძურ ჩანაწერებზე, გია ბარამიძე აცხადებს, — ის ნაძირალები ჩვენც გვიღებდნენ, ამ ხელისუფლებამ კი მათი დასჯა ვერ მოახერხაო.**

– ჯერ ერთი, არ მაინტერესებს მათი მოსაზრებები და შეხედულებები, თავიანთი სულიერი წინაპრების – ბოლშევიკების ისტორიას გადაავლონ თვალი და ნახავენ, რომ იქაც ზუსტად ასეთი რაღაცები ხდებოდა. მეორეც, ვისაც ხელი მოჰკიდეს და დასაჯეს, გამოვარდნენ ტელევიზიებით და ყვირიან, პოლიტიკური ნიშნით დევნის ადამიანებს ხელისუფლება და ქვეყანას პოლიტპატიმრები ჰყავსო. ეგ ზღაპრები მოუყვნენ თავიანთ დიდ ბელადს ოდესაში. მაგათი აზრი არ მაინტერესებს, კარგად ვიცით, 9 წლის მანძილზე ვინ მართავდა ქვეყანას და ადამიანებმა მათ საკუთარ გონებაში თავის შეფასება გააკეთეს, ყველაზე მეტად გული მტკივა, რომ „ქართული ოცნება“ იგივე დამნაშავე ხელისუფლება გახდა, რაც დღეს ხდება, ამაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ უნდა აიღოს, „ნაციონალებს“ რაღაცებს კი ნუ გადააბრალებენ, ნება იბოძონ და თუ დამნაშავეები არიან, მე კი ნუ მეუბნებიან ტელევიზიით, კეთილი ინებონ და შეცვალონ პროკურატურა, სადაც იგივე დამნაშავეები ჰყავთ, ყველა სტრუქტურა გაწმინდონ და აღადგინონ სამართლიანობა. ვსვამ კითხვას, აქამდე რატომ არ გაწმინდეს სტრუქტურები? რატომ არ გამოიძიეს საქმეები? რატომ ვერ მოახერხეს ის, რომ სასამართლო სისტემა ასეთი სამარცხვინო არ იყოს? ამიტომ ვამბობ, „ნაციონალები“ ვინც არიან, კარგად ვიცით, შენ თუ კოაბიტაციაში ხარ დამნაშავესთან, შენც დამნაშავე ხარ. თქვენ წარმოიდგინეთ, ნიურნბერგის პროცესის შემდეგ გერმანიის ხელისუფლებაში ისევ ნაცისტებ-

პროინტერვიუ

# „ბიძინამ თქვა, ქვეყანას ფეხზე დავაყენებ და მალევე წავალო. მალე კი წავიდა, მაგრამ თუ ამ ქვეყანას ფეხზე დაყენებული ჰქვია, არ ვიცი...“



„შენ როცა ხელდასასხმელად მიდიხარ ამერიკაში, რაც პაატა ბურჭულაძემ გააკეთა და წავიდა ამერიკაში სენატორებთან შესახვედრად თავისი ფონდის სახელით, ეს ცოტა სასაცილოა, მონღოლების დროს რომ მიდიოდნენ ურდოში ხელდასასხმელად, ან მოსკოვში რომ მიდიოდნენ, რაიკომის მდივნებად რომ დაემტკიცებინათ, იმას ჰგავს. ეს არის სირცხვილი“



„ბატონებო, ტელევიზიით რომ გამოდიხართ და გვიმტკიცებთ, რომ „ნაცმოძრაობა“ 9 წლის მანძილზე დანაშაულს სჩადიოდაო, წარამარა წამოძახების რეჟიმში რომ ხართ, თქვენს დროს უარესი ხდებოდაო, ვიცით, ამიტომ მოგიყვანეთ ხელისუფლებაში, მაგრამ თქვენ რომ არაფერს აკეთებთ?!.“

ის რაღაც ნაწილი რომ ყოფილიყო და ბუნდესტაგში ერთად დამსხდარიყვნენ ლიბერალური ღირებულებების მქონე პარტიები და ნაცისტები, ეს ხომ სასაცილოდ არ ეყოფა რომელიმე გერმანელს?! „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა, რომ ოთხი წელი ისხდნენ დამნაშავეებთან ერთად, ჩხუბობდნენ, არ ჩხუბობდნენ, ტელევიზიით დედას აგინებენ თუ თავში ბოთლებს ურტყამენ, სულ არ მაინტერესებს, დამნაშავეებთან ერთად იყავით? – დამთავრდა ჩემთვის ყველაფერი, „ოცნება“ იმ საშინელი ცხრა წლისა და უბედურების საფუძველზე მოვიდა ხელისუფლებაში და მმართველობის ოთხ წელს ისე ამთავრებს, რომ პოლიტიკური შეფასება არ მისცა, რა ჰქვია ამას?!

**— პირადად თქვენთვის ახალი ხელისუფლების პირობებში არაფერი შეიცვალა?**

– არც არაფერი! ის, რომ ხალხს ქუჩაში აღარ ურტყამენ და არ ხოცავენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხი ქუჩაში არ გამოსულა. რომ გამოსულიყვნენ, არ გამოვრიცხავ, იგივე გაკეთებინათ. „ოცნების“ წინააღმდეგ ხალხი ქუჩაში იცით, რატომ არ გამოდის? ხალხი ფიქრობს, ჩვენ რომ ქუჩაში გამოვიდეთ „ოცნების“ წინააღმდეგ, ვინმემ არ ჩაგვთვალოთ „ნაციონალების“ მომხრეებად და მათ წისქვილზე წყალი არ დავასხათო... ამდენ რამეს პატიობენ „ოცნებას“. ერთია ხელისუფლება, რასაც ყოველდღიურად ვხედავთ ეკრანზე, მაგრამ მეორეა სტრუქტურები, სადაც იგივე ხალხია დარჩენილი, ზოგი დაწინაურებულიც კია, ვინც „ნაციონალების“ დროს ძალოვან უწყებაში იყო. ესენი ხომ არსად წასულან, მე ხომ ორჯერ გამასამართლა წინა ხელისუფლების მოსამართლემ – მოსამართლე ეფრემიძე და მოსამართლე დარასელია, ორივე მუშაობს და შესაძლოა, ორივე დაწინაურებულიც კია. ჩემთვის არაფერი შეცვლილა. რომელ სამართლიანობაზეა ლაპარაკი, ხელისუფლებაში გვიზის დამნაშავე ორგანიზაცია. ჩემი უამრავი მეგობარია პარლამენტში და ამ ადამიანებს სალაპარაკოდაც ველარ ვხვდები, რადგან ეს ხალხი საზოგადოებას უკვე მოსწყდა, ბატონებო, ტელევიზიით რომ გამოდიხართ და გვიმტკიცებთ, რომ „ნაცმოძრაობა“ 9 წლის მანძილზე დანაშაულს სჩადიოდა, წარამარა წამოძახების რეჟიმში ხართ, თქვენს დროს უარესი ხდებოდაო, ვიცით, ამიტომ მოგიყვანეთ ხელისუფლებაში, მაგრამ თქვენ რომ არაფერს აკეთებთ?!. დავიღალეთ ამის მოსმენით, მიმართეთ სასამართლოს, მაგრამ რომელიმე პროკურატურამ გამოიძიოს, რომლებიც ამ საშინელებას სჩადიოდნენ თუ იმ მოსამართლეებმა გაასამართლონ, პროკურატურის ნოტარიუსის ფუნქციები რომ ჰქონდათ?!

**— კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლას როგორ აფასებთ, თქვენთვის ეს შედეგი მოსალოდნელი იყო?**

– არ მაქვს ინფორმაციები, რა ხდება შიგნით, რადგან არ მაქვს ურთიერთობა დღევანდელ ხელისუფლებასთან. სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს, რა ხდება კულუარებში. წინასწარ ხომ ყველამ ვიცოდით, ერთად ვერ იქნებოდნენ. ეს იყო „რესპუბლიკელების“ მოძლიერება, რომელსაც არჩევნებზე 5 პროცენტი არც ერთხელ არ აუღია, ეს პარტია დღეს ქვეყანას მართავს, „რესპუბლიკელები“, „ნაციონალები“ და „თავისუფალი დემოკრატები“, მხატვრულად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე ოთახიდან იღებენ ხელფასებსა და დავალებებს. ეს სამი პარტია შეიძლება კოალიციაში არ იყვნენ, არც ბლოკი გააკეთონ, მაგრამ თუ ისევ – „ნაციონალები“, „რესპუბლიკელები“ და ალასანიას პარტია ხელისუფლებაში დომინანტი იქნებიან, ისევ ისე წავა ყველაფერი და ქვეყანას სიკეთე არ დაადგება იმიტომ, რომ იქნებიან სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებლები. ჩემთვის, როგორც ოკუპანტი ქვეყნის ინტერესის გამტარებელია ჩვენი ქვეყნის უბედურება, იგივეა, მეგობარი ქვეყანაა თუ პარტნიორი, მაინც სხვა ქვეყნის ინტერესის გამტარებელი ხარ. ის შენი ქვეყნის ინტერესის გამტარებელი არ იქნება, საქართველოსი და სხვა ქვეყნის ინტერესი ეჯახება ერთმანეთს, როცა შენ ხელდასასხმელად მიდიხარ ამერიკაში, რაც პაატა ბურჭულაძემ გააკეთა და წავიდა ამერიკაში სენატორებთან შესახვედრად თავისი ფონდის სახელით, ეს ცოტა სასაცილოა, მონღოლების დროს რომ მიდიოდნენ ურდოში ხელდასასხმელად, ან მოსკოვში რომ მიდიოდნენ, რაიკომის მდივნებად რომ დაემტკიცებინათ, იმას ჰგავს. ეს არის სირცხვილი. ამომრჩევლები ვირჩევთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების გამტარებელს და არა სხვა ქვეყნის. ხანდახან ვხუმრობ, დიდი სიამოვნებით გავხდებოდი აშშ-ს 51-ე შტატი, ოღონდ ისეთივე ხელფასი მქონდეს და ისეთივე დაცული ვიყო, როგორც აშშ-ს მოსახლეობაა დაცული, იგივე სამუშაო პირობა მქონდეს, იგივე დემოკრატია, როგორიც ამერიკაშია და კი, ბატონო, რუსეთის გუბერნიად გადაქცევას, მირჩევნია აშშ-ს 51-ე შტატი მერქვას. სამწუხაროდ, ისე ხდება, რომ დასავლეთის ინტერესს ატარებენ და ჩვენი ქვეყნის ინტერესი უკანა პლანზე იწევა და ამით მოახერხეს, რომ ამომრჩეველი არჩევნებზე აღარ მივიდეს.

**— თქვენი აზრით, 2016 წლის არჩევნები როგორი იქნება?**

– ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული, სულ იმას ვამბობ, რომ ვერც დასავლეთი, ვერც ჩრდილოეთი და ვერც სამხრეთი იმდენს ვერ დაგვიშავებს, რამდენსაც თვითონ საქართველოს მოსახლეობა. 2012 წლის შემდეგ ჩატარდა ორი არჩევნები და არჩევნებზე მოსული ხალხის რაოდენობა სულ იკლებს. ბოლო არჩევნებზე 27% მივიდა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ვინ არიან დღეს ხელისუფლებაში – „რესპუბლიკელები“... არ მინახავს საქართველოში ადამიანი, ვისაც ამ პარტიისადმი ჰქონდეს სიმპათია, ჯერ ის ვერ გამიგია, რატომ უნდა გიყვარდეს პოლიტიკოსი, მე მას ჩემს ხმას ვაძლევ იმიტომ, რომ საქმე გააკეთოს, ვაძლევ ლეგიტიმაციას, რომ ჩემს ქვეყანას მოუაროს. როცა ვხედავთ, ხელისუფლება არაფერს აკეთებს და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიდის, უნდა გაგვიჩნდეს პროტესტი, რომ არ გვინდა ასეთი ხელისუფლება. არჩევნებზე უნდა მივიდეს და თავისი ნება დააფიქსიროს. ხალხი ნიჰილიზმშია ჩავარდნილი და ამბობენ, რომ არჩევნებზე აღარ მივალთ, ეს არ არის სწორი გზა, დაკარგე 15 წუთი, მიდი არჩევნებზე და ყველა გადახაზე, ეს უფრო მოქალაქეობრივი და ჭკვიანურია, ვიდრე არმისვლა. 15 წუთის დაკარგვა არ უნდა დაგეზაროს, არ მოგწონს ესა თუ ის პოლიტიკური ძალა, დაწერე შენი პრეტენზია ბიულეტინზე, მერე რა, რომ ბათილი გახდება, მაგრამ ხომ ველარავინ გამოიყენებს. არჩევნებზე არმისვლა დანაშაულია, ეს უნდა შეიგნოს მოსახლეობამ.

**— აკისრებთ თუ არა ივანიშვილს პასუხისმგებლობას?**

– ბიძინამ თქვა, ქვეყანას ფეხზე დავაყენებ და მალევე წავალო. მალე კი წავიდა, მაგრამ, თუ ამ ქვეყანას ფეხზე დაყენებული ჰქვია, არ ვიცი...

**— აპირებთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას?**

– ყველა მთავრობა მთხოვდა, პოლიტიკურ პროცესში მიმეღო მონაწილეობა, კენჭი მეყარა, მაგრამ მე მაქვს ჩემი პროფესია, არ შეიძლება, პარლამენტში იყვნენ მსახიობები და სპორტსმენები, არაპროფესიონალები, ვისაც არ აქვს იურიდიული განათლება, არ არის ეკონომისტი, მე არც ერთი არ ვარ, ან ვიღაცის ადგილი უნდა დავიკავო, ან უნდა ვიყო ვიღაცის ხელის დაქნევაზე – ახლა ამას მიაჭირე ხელი, იმას ხმა მიეციო. უნდა იცოდე კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რომ პარლამენტარი იყო, რაც არ ვიცი, ისეთ საქმეს ხელს ვერ მოვკიდებ. არც ბრმა ნაწლავის ოპერაციას მანდობს ვინმე და არც სახლის აშენებას, წახვალთ და კარგ სპეციალისტს მონახავთ, რატომ გვგონია ქართველებს, რომ ჩვენი ბედი უნდა ვანდოთ იმ ადამიანებს, ვინც ამ საქმეში მცოდნე და კვალიფიციური არ არის. ამიტომ პარლამენტში უნდა იყვნენ კვალიფიციურები, ვინც საქმე იცის, ოღონდ პატრიოტები და სუფთა ადამიანები, რომლებიც გაატარებენ ქართულ, ეროვნულ კურსს და არ უნდა იყვნენ სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებლები. ჩერჩილი ჩემზე ჭკვიანი იყო და თქვა, – ქვეყნებს მეგობრები არ ჰყავთ, მათ აქვთ ინტერესები. იმის გამო, რომ სხვა ქვეყნის ინტერესი გავატარო, არ შეიძლება ჩემი ქვეყნის ინტერესებს დავუპირისპირდე.

**— არჩევნებამდე სამთავრობო კრიზისს, გართულებას და ხავერდოვან რევოლუციას ხომ არ ელოდებით?**

– ყველაფერს ველოდები იმიტომ, რომ საქართველოში დაუშვებელი და წარმოუდგენელი არაფერია, ამ მხრივ, კარგი „გამოცდილება“ გვაქვს, დადგმული რევოლუციები და დადგმული გადატრიალებები მინახავს. ამიტომ ყველაფერი დასაშვებია. აქედან გამომდინარე, ქართველმა ერმა არჩევნების გზით ხელისუფლებაში უნდა მოიყვანოს ისეთი პატრიოტული ძალები, ვისაც გამოცდილება და კომპეტენცია აქვს, ამ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში ქვეყანა რომ სწორი გზით წაიყვანოს.

ჯერ დედა უნდა უყვარდეთ და მერე ძიძა. ჩვენთან, სამწუხაროდ, სხვანაირადაა, დედა არ გვახსოვს, ძიძას ვეფერებით. კი ბატონო, ძუძუ გვაჭამეს და გადაგვარჩინეს, მაგრამ დედას ვერ დავუძახებ. როცა ყველა საგანს თავის სახელს დავარქმევთ, მაშინ ძალიან ბევრი პრობლემა იხსნება. ძიძა ძიძაა, დედა დედაა, მშობელი და ჩემი სამშობლო არის საქართველო.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ის ნაძირალა“ „ამ ნაძირალებს“ ლანძღავს



„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ გიორგი ბარამიძის განცხადებით, პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გამავრცელებლები, უპირველესად, დამნაშავეები არიან ყოფილი ხელისუფლების წინაშე.

როგორც ბარამიძემ ტოქ-შოუ „პრიორიტეტის“ ეთერში განაცხადა, ფარულად იღებდნენ დავით ბაქრაძესა და გიგი უგულავას მეუღლეებთან ერთად და „ნაციონალური მოძრაობის“ ბევრ წევრს.

– ის, ვინც ამას აკეთებდა, არის დამნაშავე ყველას წინაშე და პირველ რიგში, ჩვენი ხელისუფლების წინაშე. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ცნობილი ფაქტია, როგორც ჩანს, ეს ნაძირალები, რომლებიც ამ ხელისუფლებამ არ დააპატიმრა, არათუ არ დააპატიმრა, გადმოილოცა სისტემაში, იღებდნენ დავით ბაქრაძეს თავის მეუღლესთან ერთად, გიგი უგულავას თავის მეუღლესთან ერთად და კიდევ ბევრ ჩვენგანს, – აღნიშნა ბარამიძემ.

მისივე თქმით, თუ ვინმეს ეჭვი აქვს, რომ ფარული კადრების გადაღების საქმეში ყოფილი ხელისუფლების თანამდებობის პირები იყვნენ გარეულები, პროკურატურა დღემდე ვინმეს ბრალს წაუყენებდა.

– რამდენად შეიძლება, რომ თითოეული ჩვენგანი ვყოფილიყავით ამასთან დაკავშირებით ინფორმირებულნი ან ჩვენ ნებართვა მიგვეცა, ეს თავად განსაზღვრეთ.

ხოლო, თუ ეჭვი არის, რომ უმაღლესი რანგის თანამდებობის პირები ყოფილიყვნენ ამაში გარეულები, რამე საფუძველი რომ ყოფილიყო, აქამდე ამ ხელისუფლებას არ მოერიდებოდა და პროკურატურა ვინმეს წაუყენებდა ბრალს, – აღნიშნა ბარამიძემ. (ინფო9)

## თურქეთში მომხდარ მორიგ ტერაქტს 4 პოლიციელი ემსხვერპლა

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დიარბაქირის პროვინციაში ავტოსადგურზე მომხდარ ძლიერ აფეთქებას 4 პოლიციელი ემსხვერპლა.

გავრცელებული ინფორმაციით, დანაღმული ავტომანქანის აფეთქების შედეგად 14 ადამიანი დაშავდა. თუმცა, ამ დროისთვის, დაჭრილთა ზუსტი რაოდენობა არ კონკრეტდება. სხვადასხვა ინფორმაციით, მათი რაოდენობა 20-მდე გაიზარდა.

დანაღმული ავტომობილი იმ დროს აფეთქდა, როდესაც ავტოსადგურთან პოლიციელებმა გაიარეს. (ინტერპრესნიუსი)

## მოსკოვში ქართველი „კანონიერი ქურდი“ დააკავეს



მოსკოვის გარეუბანში, ხიმკის რაიონში 28 წლის ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი, მეტსახელად რუსლანი, დააკავეს. ამის შესახებ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ირინა ვოლკმა განაცხადა.

მისი ინფორმაციით, დაკავებულს აღმოაჩნდა პარკი, რომელშიც აკრძალული ნივთიერება – მეტადონი ჰქონდა შეხვეული. რუსლანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. (kvira.ge)

## იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა შემოსავალს გადააჭარბა

წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2016 წლის თებერვალში საქართველოს ეკონომიკის ზრდამ – 2,6 პროცენტი, იანვარ-თებერვლის საშუალო რეალურმა ზრდამ კი 1,7 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის ინფორმაციით, 2016 წლის იანვარ-თებერვალში საქონლის ექსპორტმა 280,9 მილიონი დოლარი შეადგინა. აღნიშნული მონაცემი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 13,2 პროცენტით ნაკლებია. 2 პროცენტითაა შემცირებული საგარეო ვაჭრობის ბრუნვაც, რამაც 1,413 მილიონი დოლარი შეადგინა. 2016 წლის იანვარ-თებერვლის წინასწარი მონაცემებით, 1,3 პროცენტითაა გაზრდილი საქონლის იმპორტი. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ახლად დარეგისტრირებულმა საწარმოთა რაოდენობამ 4208 ერთეულს მიაღწია. სტატისტიკური მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები შემოსავალს აჭარბებს.

კერძოდ, იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა 598,4 მილიონი ლარი, შემოსავლებმა კი 578,5 მილიონი ლარი შეადგინა.

რაც შეეხება თებერვალს, გასულ თვეში ხარჯები 625,2 მილიონ ლარს, ხოლო შემოსავლები 571, 2 მილიონს შეადგენდა.

რაც შეეხება საბანკო სფეროს, მიმდინარე წლის იანვარში კომერციული ბანკების მთლიანი გამოშვება 104,1 მილიონი ლარი, ხოლო ეროვნული ბანკის – 5,4 მილიონი ლარი იყო.

თებერვალში კი კომერციული ბანკების მთლიანი გამოშვება 105, 9 მილიონი ლარი, ხოლო ეროვნული ბანკის – 5,0 მილიონი ლარია. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# „არ არის გამორიცხული, კერძო საბავშვო ბაღები დაიხუროს!“

## დიმიტრი შაშკინი: „არ გიფიქრიათ, საერთოდ რა შუაშია ეკა ბესელიას კომიტეტი და საბავშვო ბაღები?!“




„ბესელიას კანონპროექტი თუ დამტკიცდა, მოხდება კერძო ბაგა-ბაღების კონტროლი და რაც მთავარია, ეს გახდება ფულის კეთების, კორუფციის წყარო“

ხელისუფლება სკოლამდელი აღზრდის სფეროს მასშტაბური რეფორმისთვის ემზადება. პარლამენტში შესაბამისი კანონპროექტის განხილვა უკვე მიმდინარეობს. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი ეკა ბესელიაა, რომელიც ამბობს, რომ რეფორმის ძირითადი სიახლე არის ის, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში, აღზრდასთან ერთად, განათლების კომპონენტიც შემოდის.

მისივე განმარტებით, კანონპროექტის მიხედვით, დამტკიცდება ერთიანი მიდგომა – შეთანხმებული სტანდარტი ყველა ბაგა-ბაღისთვის – შემოღებული იქნება სავალდებულო სტანდარტები, მათ შორის კვებასა და ჰიგიენასთან დაკავშირებით; შემოდის აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი; პირველად იქნება შემოღებული ავტორიზების სისტემა როგორც საჯარო, ისე კერძო ბაგა-ბაღებისთვის; შემოდის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდება ჯგუფების ჩამოყალიბების წესი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, ასევე, ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა და სხვა.

კანონპროექტში ორი ნაწილი გახდა სადავო – პირველი ნაწილი საბავშვო ბაღებში ასაკობრივი ჯგუფების შექმნას გულისხმობს, ხოლო მეორე იმას, რომ გამგეობას მიენიჭება უფლება, შეამოწმოს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ბაღები. კონკრეტულად, რა უარყოფითი მხარეები აქვს ამ კანონპროექტს, რა საფრთხეებს შეიცავს ის? ვისი ინტერესები ტარდება კანონის მიღებით და ხომ არ მიგვიყვანს ეს კანონპროექტი კერძო საბავშვო ბაღების დახურვამდე?

**„ალიას“ განათლებისა და მეცნიერების ექსმინისტრი დიმიტრი შაშკინი ესაუბრა:**

– ამ კანონპროექტის გაცნობის შემდეგ, ერთადერთი ლოგიკური დასკვნა, რაც შესაძლებელია, რომ გამოვიტანოთ, არის შემდეგი – ვიღაცას სურვილი აქვს, გააკონტროლოს კერძო ბაღები. სხვა ლოგიკური ახსნა, ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ კანონპროექტს არ აქვს.

**— რა უარყოფითი მხარეები აქვს ამ კანონპროექტს, იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რაში ხედავთ საფრთხეებს?**

– პირველი მინუსი მდგომარეობს შემდეგში – კონტროლის მექანიზმს აძლევენ გამგეობებს, რომელსაც არ გააჩნია არც ინტელექტუალური და არც ფინანსური პოტენციალი, რომ ეს საკითხი აიღოს თავის თავზე. წარმოიდგინეთ, უნდა მოვიდეს გამგეობის ჩინოვნიკი და გააკონტროლოს, ბავშვებს როგორ ასწავლიან, რა პროგრამები აქვთ და ა.შ. მაგალითად, როდესაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არსებობს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც სკოლებს ამოწმებს, მათ შორის კერძო სკოლებსაც, იქ არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებმაც მინიმუმ იციან, რა არის ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმა. გამგეობებში, ასეთი სპეციალისტი არ არსებობს. ასევე, არ არსებობს ერთიანი ეროვნული საბავშვო ბაღების სტანდარტი.

**— პროექტით არ არის გათვალისწინებული ამ ადამიანების გადამზადება, ან ამ სტანდარტის შექმნა?**

– ასეთი რამ არ არსებობს ბუნებაში და ვერც იქნება.

**— რატომ?**

– განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არსებობს სპეციალური სამმართველო, რომელიც მუშაობს სტანდარტებზე, მაგრამ სკოლამდელი განათლება არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის სახის. როდესაც არსებობს გარკვეული პროგრამა, რომელიც ბავშვმა უნდა აითვისოს სკოლაში, მაგრამ საბავშვო ბაღებში სულ სხვა სპეციფიკაა. არიან ბაგა-ბაღები, სადაც დიდ ყურადღებას ანიჭებენ ენების სწავლას, სხვა ბაღები, სხვა მიმართულებით მუშაობენ მეტი დატვირთვით... სანამ ასეთი სტანდარტი დაიწერება, ამგვარი რეგულაციების შემოტანა გამოიწვევს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ, რომელიღაც ჩინოვნიკი, და ძალიან დიდ ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ, სავარაუდოდ, კოკიდან ჩამოსული, შემოვა საბავშვო ბაღში და დაიწყებს პრობლემების შექმნას საბავშვო ბაღისთვის, ან ჩვეულებრივ აიღებს ქრთამს და წავა სახლში, ან რესტორანში. რეალურად, ამ კანონპროექტის მიღებით, სახეზე გვექნება ის, რომ მოხდება კერძო ბაგა-ბაღების კონტროლი და რაც მთავარია, ეს გახდება ფულის კეთების, კორუფციის წყარო. აქვე, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ სკოლებისგან განსხვავებით, კერძო ბაღებს არ აფინანსებს სახელმწიფო. კანონპროექტი ამბობს, რომ 3 და 4 წლის ბავშვები არ უნდა იყვნენ ერთ ჯგუფში, რაც არის სრული აბსურდი. ფინეთის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ის არის, რომ მეცნიერებმა დაამტკიცეს – ბავშვები ერთმანეთისგან სწავლობენ და ამ ასაკის ბავშვების ერთ ჯგუფში განთავსება, არათუ აკრძალული, არამედ რეკომენდებულიცაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთან, საჯარო ბაღებში, ერთ ჯგუფში 40 ბავშვია, ალბათ, ხვდებით, რამხელა პრობლემის წინაშე დგებიან და როგორ მოაგვარონ ეს საკითხი, ესეც კი არ იციან, მაგრამ იციან მთავარი – როგორ გააკეთონ ფული.

**— რა ტიპის კონტროლზეა საუბარი, რაზე შეუძლია მოედავოს საბავშვო ბაღში შესული გამგეობის თანამშრომელი ბაგა-ბაღის ხელმძღვანელობას?**

– კარგი შეკითხვაა! მაგალითად, სკოლებში რაც ხდება, პირობითად, როდესაც სკოლა იღებს ავტორიზაციას, მერე უკვე, ამ სკოლას, წლების განმავლობაში არ აწუხებენ. ამ კანონპროექტში არ არსებობს ასეთი დათქმა – ანუ, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ჩინოვნიკს, როდესაც მოუნდება, დაიწყებს გამგეობიდან ბაგა-ბაღის შემოწმებას. ანუ გადავდივართ მარაზმში, ეს იგივეა, გამგეობებს რომ მივანიჭოთ უფლება, შეამოწმონ ფიზიკის ინსტიტუტში როგორ მიმდინარეობს კვლევები. დარწმუნებული ვარ, როგორც ესმით საბავშვო ბაღების სპეციფიკა, ისევე ესმით ფიზიკაც.

**— ზემოთ კონკრეტული პირების ინტერესები ახსენეთ. ვის მოიაზრებთ, ვისი ინტერესები შეიძლება ტარდებოდეს?**

– მთლიანად ეს პროცესი მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს კერძო პირების ინტერესი. როდესაც ქვეყანას აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, როდესაც ქვეყანას აქვს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი პარლამენტში, იქ მუშაობს ხალხი და ხელფასს იღებს იმაში, რომ მოამზადოს კანონპროექტები, რა შუაშია ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი და ეკა ბესელია, რომელსაც გააქვს ეს კანონპროექტი?! არ გიფიქრიათ, რა კავშირი აქვთ ეკა ბესელიასა და საბავშვო ბაღებს ერთმანეთთან? ალბათ, შემდეგი ნაბიჯი იქნება ის, რომ ახალ სამხედრო სტრატეგიას გამოიტანს გარემოს დაცვის კომიტეტი და ა.შ. კონკრეტულად ვისი ინტერესები დევს, ამის ხელაღებით თქმა არის რთული, მაგრამ დაველოდოთ, ამოქმედდება კანონი და აუცილებლად გამოიკვეთება. ამ ეტაპზე კი, ფაქტია, გამგეობებს უჩნდებათ ფული, შემოსავლის წყარო, გამგეობას, რომლის საქმეც ბაგა-ბაღები არ არის.

**— ხომ არ მიგვიყვანს ეს კანონროექტი იმ რეალობამდე, რომ ბაგა-ბაღებმა ზეწოლას ვერ გაუძლონ და დაიხურონ?**

– ორი ვარიანტია – ან კორუფცია აყვავდება, ან ვინც არ შევა კორუფციულ გარიგებაში, უბრალოდ, ადგება, დახურავს ბაგა-ბაღს და წავა სახლში. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ეკა ბესელიას ეს კანონი არის კლასიკური კორუფციული კანონის მიღების მაგალითი, რომელიც აუცილებლად უნდა შევიდეს სახელმძღვანელოში. ამის თქმის საშუალებას კი მაძლევს ის, რომ არ არის გაწერილი, რატომ, რის საფუძველზე, როგორ, რა სტანდარტით ხდება შემოწმება. ამით ჩინოვნიკის ხელში იყრის თავს განუსაზღვრელი ოდენობის ძალაუფლება, რომელსაც თავისი ნება-სურვილის მიხედვით გამოიყენებს და მას ამ ქმედებებს არავინ გაუკონტროლებს.

**— ყოველთვის იყო საუბარი იმაზე, რომ უკონტროლოა კერძო ბაღები და ამის გათვალისწინებით, დადებითი საერთოდ არაფერი აქვს ამ კანონპროექტს?**

– ამ კითხვაზე არსებობს ძალიან მარტივი შეკითხვა – როდესაც არსებობს ინსტიტუტი, რომელიც ამოწმებს სკოლებს ავტორიზაციის კუთხით, ეს არის გასაგები, იმიტომ, რომ მოსწავლე სახელმწიფოსგან ფინანსდება ვაუჩერით, მშობელი წყვეტს მერე, ეს ფული სად წაიღოს – კერძო თუ სახელმწიფო სკოლაში. ამიტომაც სახელმწიფო ზრუნავს თავისი ფინანსების სწორ განკარგვაზე. ლოგიკა მარტივია – თუ მე ვაფინანსებ როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლას, მე უნდა გავაკონტროლო. კერძო საბავშვო ბაღებს არ აფინანსებს სახელმწიფო, ბავშვის სწავლას მთლიანად მშობელი აფინანსებს, ამიტომ მშობელი თავად წყვეტს, სად წაიყვანს, რომელ საბავშვო ბაღში ბავშვს. ამიტომაც, არ ვიცი, რატომ ჰგონიათ დეპუტატებს, რომ მშობლებზე მეტად მათ უყვართ სხვისი შვილები. კერძო ბაღებში რომ დარღვევები იყოს, ამაზე რეაგირებას ხომ თავად მშობელი მოახდენს?!

**— ხომ არ გისაუბრიათ კერძო ბაღების ხელმძღვანელებთან, რას ამბობენ ისინი, როგორ ხვდებიან ამ სიახლეს?**

– ყველასთვის დიდი სიურპრიზია და ელოდებიან, რომ ეს იქნება შავი ფულისთვის გზის გახსნა. დღეს პარლამენტი იმდენად ალოგიკურად იქცევა, რომ ჭირს რაიმე დასკვნის, პროგნოზების გამოტანა. გულწრფელად მეგონა, რომ ბუსუსებიანი პრეზერვატივის აკრძალვის შემდეგ, არაფერი არ გამიკვირდებოდა ამ ხალხისგან, მაგრამ უარესს აკეთებენ.

*კონტრს?!*

# კობა კობალაძე: „ჩემს წინამორბედს მოვიხსენიებ პატივისცემით, მან საკმაოდ ბევრი გააკეთა!“

## აბა, ვეტერანები არიან დაუნახავები და უმადურები?!

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



**ვეტერანთა საქმეთა დეპარტამენტის უფროსობიდან ირაკლი შიხიაშვილის გადაყენების შემდეგ, ამ თანამდებობაზე გენერალი კობა კობალაძე დაინიშნა. რა გეგმები აქვს და როგორ აპირებს გენერალი კობალაძე ვეტერანთა მძიმე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, ამის შესახებ ის „ალიას“ ესაუბრა.**





**„ვინმე არის დაუნახავი ან უმადური? ან რა პოზიციაა, მიდიხარ თანამდებობაზე, იკავებ ადგილს და და მერე წინამორბედის ლანძღვას იწყებ? შიხიაშვილი საკუთარი განცხადებით წავიდა და ახლა მე დავდგე და მაღალი ტრიბუნიდან ვლანძღო ირაკლი შიხიაშვილი?“**

**— ბატონო კობა, ვეტერანები ირაკლი შიხიაშვილს თანხების მითვისებაში ადანაშაულებდნენ, რას აპირებთ, შეიყვანთ თუ არა აუდიტს და შეამოწმებთ, რა გაიფლანგა და რა — არა?**

– რა თქმა უნდა, შემოწმება აუცილებლად მოხდება და გავიგებთ, რეალური მდგომარეობის არსს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა ფინანსური დარღვევებია, ან რა არის საერთოდ?

**— თქვენი აზრით, თუ მართლა გაფლანგული და შეჭმულია თანხები, ეს შიხიაშვილს უნდა შერჩეს?**

– მე მართლა არ ვიცი, ვინ რა შეჭამა. ასე ვერაფერს ვიტყვი, ყველაფერი შემოწმდება და გაირკვევა, წინასწარ ამაზე ვერ ვილაპარაკებთ.

**— ბატონო კობა, პირველ რიგში, რის გაკეთებას აპირებთ, და როგორ აპირებთ ვეტერანთა იმ მრავალრიცხოვანი პრობლემების მოგვარებას, რომელიც მათ აწუხებთ. ჩვენ მათ პრობლემებზე ბევრს ვწერდით, ეს გახლავთ, უპირველესად, ჰოსპიტალის საკითხი, ასევე, სამუშაო ადგილები და საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა და ნორმალური პენსია...**

– კი, მე ვიცი, ყველა იმ პრობლემის შესახებ, რომელიც ვეტერანებს აწუხებთ. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს შევხვდი და უკვე დავსახეთ ამ პრობლემის მოგვარების გზები. რეალურად, ვეტერანთა სოციალური პროგრამები უნდა აღდგეს და მოხდეს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. გეგმიურად ვაპირებ ამ პრობლემების მოგვარებას და ამის მზაობაც მაქვს. რაც შეეხება ჰოსპიტალის საკითხს, ვეტერანთა ჯგუფებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ვაპირებ შეხვედრას. ამ პერიოდში აღებული მაქვს ტაიმ-აუტი, რომ გავერკვიო სიტუაციაში, შევხვდე ვეტერანებს და ჰოსპიტალის მედპერსონალს და შემდეგ გვეცოდინება, როგორ ვიმოქმედოთ.

**— რა ელოდება ჰოსპიტალს, შეინარჩუნებთ თუ არა, აღდგება თუ არა ის დაფინანსება, რომელიც ჰოსპიტალს ჰქონდა?**

– ჰოსპიტალში არსებული რეალური სიტუაციის შეფასება მას შემდეგ მოხდება, როცა ჰოსპიტალის მედპერსონალს შევხვდები. პრობლემის გადაწყვეტის თავი და ბოლო მხოლოდ ჰოსპიტალი არ არის. ჩვენ უნდა წავიდეთ რეგიონებშიც, იქ უნდა შევხვდეთ ვეტერანებს და მთლიანი სიტუაცია შევისწავლოთ: თელავში, ბათუმში, ფოთში და სხვა ქალაქებში. გავიგოთ, იქაურ ვეტერანებს რა პრობლემები აწუხებთ. ერთი სიტყვით, სწორი სოციალური სტრატეგია უნდა შევიმუშაოთ. კონკრეტული ამოცანები და კონკრეტული ვადები განსაზღვრული გვაქვს, რა დროშიც უნდა წარმოვადგინოთ კონკრეტული ხედვა. ეს ხედვა იქნება შეთანხმებული დამსახურებულ ხალხთან. როდესაც ერთიანი პროგრამა შემუშავდება, ყველას წინაშე წარვადგენთ, ჰოსპიტალის დამსახურებული მედპერსონალი თავს არ უნდა გრძნობდეს დაჩაგრულად და უსარგებლოდ.

**— ჰოსპიტალის მედპერსონალს 3 თვეა, ხელფასი არ მიუღია.**

– პირველი რიგის ამოცანა იქნება ამ პრობლემების მოგვარება, თუ რა მიმართულებით მოგვარდება და როგორ, ეს საჯარო დისკუსიის შედეგად გამოჩნდება.

**— ვეტერანთა პენსიების საკითხის მოგვარებას როგორ აპირებთ, მოემატებათ ვეტერანებს პენსიები თუ არა?**

– ამ პროგრამაზე და მის სტრატეგიაზე როცა გესაუბრებით, ეს ყველაფერი ამ პროგრამის ფარგლებში იქნება მოქცეული და ჩამოყალიბებული. ჯერ რეალური სურათი გვინდა დავდოთ, ვეტერანთა გარკვეული კატეგორია უზრუნველყოფილია, მაგრამ ვეტერანთა დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ჩვენი ამოცანაა, რომ საზოგადოების ამ ფენას შევუქმნათ ღირსეულად ცხოვრების საშუალება, თუმცა, ეს მხოლოდ კობა კობალაძის ან სახელმწიფოს გადასაწყვეტი კი არა, მთელი საზოგადოების გადასაწყვეტია. თუ რეალურად საზოგადოებამ არ გაითავისა, რომ თითოეული ვეტერანი ჩვენი საზოგადოების ნაწილია, ისე არაფერი გამოვა.

**— რას გულისხმობთ?**

– ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვეტერანთა მიმართ საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაუცხოება შეინიშნება. საზოგადოებაში იქმნება გარკვეული კლასიფიკაციური დაყოფა და „შენჩემობა“. ამიტომ, მე, როგორც არასდროს, მაქვს სურვილი, ვეტერანთა გაერთიანება და საზოგადოებაში მათი ღირსეულ ადამიანებად დამკვიდრება მოხდეს. ასევე, კონკრეტული ამოცანები მაქვს, რომელსაც საზოგადოების წინაშე გავიტანთ და მათი მხარდაჭერით ამ ამოცანებს გადავწყვეტთ.

**— როგორ გადაწყდება ვეტერანთა საბინაო პრობლემები? ამას წინათ, როგორც ვეტერანებმა გვითხრეს, ერთ-ერთი უბინაო გენერალი „გარაჟიდან“ გაასვენეს...**

– მე ახლა თავიდან ჩაგიკითხოთ ის პროექტი, რომლის შესრულებასაც ვაპირებთ? ეს არის სოციალური პროგრამა, სადაც საბინაო საკითხები განცალკევებულად არ არის გამოყოფილი. გვაქვს სტრატეგია, რომელიც მხოლოდ პროექტი კი არ არის, ის უნდა შესრულდეს: საუბრით, კრიტიკითა და აზრების შეჯერებით. ამ ყველაფრის შემდეგ, ჩვენი მოთხოვნების საკანონმდებლო ორგანოში წარდგენას და მის დამტკიცებას მოვახდენთ, რათა მას საკანონმდებლო სახე მიეცეს და ამის შემდგომ შევუდგეთ მის განხორციელებას.

**— ბატონო კობა, თქვენ „ალიასთან“ ერთ-ერთ საუბარში განაცხადეთ, ჩემს წინამორბედს მოვიხსენიებ პატივისცემით, მან საკმაოდ ბევრი გააკეთა! რა გამოდის, თუ შიხიაშვილი ვეტერანებზე ზრუნავდა, ამ დროს ვეტერანები დაუნახავები იყვნენ, შარს ეძებდნენ ამ კაცის მოსაშორებლად?**

– არა, ახლა მისმინეთ, ჩემო კარგო! ახლა უკვე თქვენ გადადიხართ ზღვარს და არღვევთ ჟურნალისტიკის ეთიკას, ეს არ არის კითხვა.

**— რატომ, ბატონო კობა, შეკითხვის დასმით ვარღვევ ეთიკას?**

– ეს არის ბრალდების წარდგენა და შეურაცხყოფა იმათზე, ვისზეც თქვენ საუბრობთ.

**— არა, შეურაცხყოფა სულაც არ გვიფიქრია, ეს შეკითხვა რეალურია და დღემდე ვეტერანებს აწუხებდათ, სწორედ ის, რომ თქვენს წინამორბედს მათთვის პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია, იმიტომაც ითხოვდნენ შიხიაშვილის გადადგომას და თქვენ ამბობთ, ბევრი რამ გააკეთაო?!**

– ვინმე არის დაუნახავი ან უმადური? ან რა პოზიციაა, მიდიხარ თანამდებობაზე, იკავებ ადგილს და და მერე წინამორბედის ლანძღვას იწყებ? შიხიაშვილი საკუთარი განცხადებით წავიდა და ახლა მე დავდგე და მაღალი ტრიბუნიდან ვლანძღო ირაკლი შიხიაშვილი?

**— არავის ლანძღვა არ გვინდა, თვეებია ვეტერანები შიხიაშვილის გადადგომას ითხოვენ, აქციებიც მოაწყვეს., ალბათ, ვეტერანების პრობლემები რომ მოგვარებულიყო და შიხიაშვილს ბევრი რომ გაეკეთებინა, მის გადადგომასაც აღარ მოითხოვდნენ და არც თქვენ იქნებოდით აქ...**

– შიხიაშვილის მოქმედებების შემფასებელი ვერ ვიქნები, მე სულ რაღაც 2-3 დღეა, რაც ამ თანამდებობას ვიკავებ, თითქმის ყველა თქვენს შეკითხვას ამომწურავი პასუხი გავეცი, დანარჩენზე ლაპარაკს არ ვაპირებ, კარგად ბრძანდებოდეთ...

***რედაქციისგან:*** **დიდ გამარჯვებას — შიხიაშვილის გადაყენებას ულოცავს „ალია“ ვეტერანებს! მრავალი სტატია მივუძღვენით მათ ბრძოლას. ვუსურვებთ, რომ ახალი ხელმძღვანელის, კობა კობალაძის მოსაშორებლადაც არ გაუხდეთ საშიმშილოდ საქმე! ამისთვის კი, პირველ რიგში, წინამორბედის შეცდომების დანახვა და გამოსწორებაა აუცილებელი. აბა, წარმატებები!!!**

## შენზეც?!

# „გიგი უგულავას ხელმოწერით, 2007 წელს 100-ზე მეტი ბაღის დირექტორი განთავისუფლდა“



2007 წელს განთავისუფლებული ბაგა-ბაღების დირექტორების უფლებების დამცველი, ლალი ბიწოშვილი გიორგი ვაშაძეს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, უფლებათა დამცველებს, ქართულ მედიასა და მერიას მიმართავს.

– მოგეხსენებათ, თბილისის მერიის წინა ხელმძღვანელობის დროს, ყველა საბავშვო ბაღის დირექტორს სამსახური ერთდროულად დაატოვებინეს და ქუჩაში გამოყარეს. მე, როგორც წინა ხელისუფლების დროს განთავისუფლებული ბაგა-ბაღების დირექტორების უფლებების დამცველი, კითხვით მივმართავ „ნაციონალურ მოძრაობას“: სად იყავით მაშინ, როდესაც თბილისის მაშინდელი მერის, გიგი უგულავას ხელმოწერით, მთავრობის მხოლოდ ერთი დადგენილებით 100-ზე მეტი ბაღის დირექტორი განთავისუფლდა? ნუთუ მაშინ არ იკვეთებოდა ამ ყველაფერში პოლიტიკური კვალი, როდესაც მოქმედ დირექტორებს შესთავაზეს, რომ არჩევნების დროს ყოფილიყვნენ საუბნო კომისიების თავმჯდომარეები და დაეცვათ სახელისუფლებო პარტიის ინტერესები? რატომ არ გაგიჩნდათ მაშინ პროტესტის გრძნობა, როცა ამ ადამიანების სამსახურიდან გაშვების მიზეზად მიუთითეს შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა, როცა ასეთი დოკუმენტი ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა.

მივმართავ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უფლებათა დამცველებს, რომლებიც დღეს გამოთქვამენ მზადყოფნას, დაიცვან მონიტორინგის დასკვნის შედეგად გათავისუფლებული დირექტორების უფლებები: რატომ არ ამოიღეთ ხმა 2007 წელს, როდესაც ბაგა-ბაღების დირექტორები მთელი რიგი დარღვევებით პარტიის ინტერესების გათვალისწინებით გაათავისუფლეს?

ასევე, ვსვამთ შეკითხვას, რატომ არ დაინტერესდა მაშინდელი საკრებულო, პარლამენტი ან განათლების კომიტეტი, რატომ მოხდა ერთდროულად ამდენი დირექტორის გაშვება? როგორ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესები, რომელსაც ამ დაზარალებული ადამიანების ბედი უნდა გადაეწყვიტა? – აცხადებს ადვოკატი ლალი ბიწოშვილი. (pia.ge)

# „რუსეთმა შესაძლოა, საქართველოს ნატო-სთან დაახლოება კიდევ ერთხელ შეაჩეროს“



ექსპერტ დევიდ კრამერის განცხადებით, შესაძლოა, რუსეთმა საქართველოს ნატოსთან დაახლოება კიდევ ერთხელ შეაჩეროს.

აღნიშნული განცხადება „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში, მაკკეინის ინსტიტუტის უფროსმა დირექტორმა ადამიანის უფლებების მიმართულებით, დევიდ კრამერმა გააკეთა.

მისი განმარტებით, რუსეთის ფედერაცია უკრაინაში მიღებული შედეგით კმაყოფილია. ამასთანავე, სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის მიერ რუსეთის სამხედრო დახმარებით დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოზე“ მიტანილი წარმატებული იერიშების შედეგად პუტინი დღეს თავს გამარჯვებულად მიიჩნევს. ამასთანავე, რუსების უმრავლესობას მიაჩნია, რომ პუტინმა რუსეთი იმ სახელმწიფოდ აქცია, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

– ამ სიმხნევით წაქეზებულმა რუსეთმა შეიძლება იფიქროს, რომ სწორედ ახლაა დრო, სხვა მიზნებსაც მიაღწიოს და საქართველოს ნატოსთან დაახლოება კიდევ ერთხელ შეაჩეროს, – აცხადებს კრამერი.

კონფლიქტების პრევენციის მემორანდუმში რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესიის გაძლიერების მხოლოდ შესაძლებლობებია განხილული და რაიმე სახის პროგნოზს არ აკეთებს. კრამერის განცხადებით, მისი ნაშრომის დანიშნულებაა დასავლეთში პოლიტიკის შემმუშავებლებს მომდევნო თვეების განმავლობაში საქართველოსთვის მეტი ყურადღების დათმობისკენ უბიძგოს, განსაკუთრებით, ვარშავის სამიტის მოლოდინში.

რუსეთი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას საკუთარი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებად აღიქვამს და ეს საფრთხე სამხედრო დოქტრინაშიც კი აქვს შეტანილი. შესაბამისად, მოსკოვის მიზანი საქართველოს ნატოში გაწევრიანების ყველა მეთოდით ხელშეშლაა. კრამერი აღნიშნავს, რომ „პუტინი რუსეთის ნებისმიერი მეზობლის ევროპასთან დაახლოებას სამეზობლოს პუტინისეული მოდელის წინააღმდეგ მიმართულ გამოწვევად აღიქვამს“ და ყველაფერს გააკეთებს ამ პროცესისთვის ხელის შესაშლელად.

საქართველოს დასავლეთთან დაახლოება და საბოლოო ჯამში, ევროსტრუქტურებში გაწევრიანება, თბილისთან ერთად დასავლეთის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს. მისი შეფასებით, საქართველოს დიდი პროგრესი აქვს, რეგიონში სამაგალითო ქვეყანაა და გამორჩეულად პროდასავლურია. დასავლეთმა ეს უნდა დაინახოს და დააფასოს.

– საქართველომ ყველას დაანახა, რომ საერთაშორისო უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლია. ახლა, ჩვენი ჯერია საქართველოს სამაგიერო გადავუხადოთ, – აცხადებს კრამერი „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

**»» ნაციონალოფილი**

# პავლე კუბლაშვილი: „ადამიანებისთვის არაფერი არ იცვლება, არც ერთი ამომრჩეველი არ გახდა უკეთ იმის გამო, რომ „რესპუბლიკელები“ „ოცნებას“ გამოეყვნენ“

## ჩვენ უარს ვამბობთ კენჭი ვიყაროთ პარლამენტში



*მაკა დეკანოსიძე*
*551 99-18-19*



**„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, წინა ხელისუფლების დროს არანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილება, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღების მხრივ არ ყოფილა. რა ხდებოდა, ვინ იღებდა, ვინ იყენებდა, ეს უნდა გაირკვეს“, — აცხადებს „ალიასთან“ საუბარში, ახალი პოლიტიკური ცენტრის — „გირჩის“ წევრი, „ნაციონალყოფილი“ პავლე კუბლაშვილი, რომელსაც მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესაფასებლად დავუკავშირდით:**

**— სანამ კოალიციის დაშლასა და უშუალოდ პოლიტიკური პროცესების შეფასებაზე გადავიდოდეთ, მანამდე იქნებ თქვენი ყოფილი თანაგუნდელის, გიორგი ბარამიძის განცხადებაზე ვისაუბროთ, მან ნაძირალები უწოდა იმ ადამიანებს, ვინც კადრებს იღებდა და საზოგადოებას ამცნო, რომ, არათუ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების პირად ცხოვრებასაც იღებდნენო, ცოლებთან კავშირსაც კი იღებდნენო, თან პასუხს ამ ხელისუფლებას სთხოვს, ანუ რა გამოდის, პასუხისმგებლობას იმაზე, რაც ხდებოდა თქვენი ხელისუფლების პირობებში, ახალ ხელისუფლებას აკისრებს? პრეტენზიები თავისივე გუნდის წევრებთან რომ მოეკითხა, არ სჯობდა?**

– ვერ გეტყვით, რას გულისხმობდა კონკრეტულად ან რა იცოდა ბარამიძემ ამ საკითხზე... რაც შეეხება იმას, ვის უნდა გამოეძიებინა და ვისი ბრალია არსებული ვითარება და ა.შ. რა თქმა უნდა, ყველა ის საკითხი, რაც უკავშირდება ასეთი ვიდეოების შექმნას, შანტაჟის მიზნით გამოყენებას, შემდეგ გამოქვეყნებას, ვინც ყველა ამ რგოლში მონაწილეობდა, უკლებლივ ყველაა ამ დანაშაულის თანამონაწილე და უნდა იყოს დასჯილი, მაგრამ არც ერთი მათგანი არაა დასჯილი, ესაა პრობლემა. ამიტომ თუ რამე გამოიწვევს მსგავსი დანაშაულის პრევენციას სამომავლოდ, ეს არის სწორედ სასჯელის გარდაუვალობა. ყველამ უნდა იცოდეს, ვინც ამას აკეთებდა რომ ასეთი ჩარევა პირად ცხოვრებაში და ამის გამოყენება შანტაჟის მიზნით და ამის გასაჯაროება, ისჯება კანონით და ისჯება მკაცრად.

**— რა უცნაურია, ყოფილი მთავრობის წევრები, ყველანი დასჯაზე საუბრობთ. თქვენც, როგორც წინა ხელისუფლების ერთ-ერთ აქტიურ ფიგურას, მინდა გკითხოთ, ამ ფორმით ბრძოლა ოპონენტებთან არ იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და ეს მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურების „შემოქმედებაა“?**

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა. რა ხდებოდა, ვინ იღებდა, ვინ იყენებდა, ეს უნდა გაირკვეს.

**— ალბათ, თქვენი ყოფილი გუნდის გარკვეული ნაწილი აძლევდა სწორედ ძალოვნებს ინსტრუქციებს, ასე თვითნებურად არაფერი ხდება...**

– არ მაქვს ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია, მაგრამ არ მგონია, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილების ნაწილი იყოს. მგონია, რომ, თუ რაიმე ჯგუფი არსებობდა სპეცსამსახურებში, რომელიც ამას აკეთებდა, ყველა ეს ადამიანი უკლებლივ უნდა დაისაჯოს. ამას არც გამართლება, ან რაიმე მიზეზების მოფიქრება არ სჭირდება, ეს არის დანაშაული, რომელიც უნდა ისჯებოდეს მკაცრად.

**— თქვენმა ყოფილმა თანაგუნდელმა მიხეილ მაჭავარიანმა ისიც კი განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების დროს არასოდეს გაყალბებულა არჩევნები. ეს შეფასება რაზე მიანიშნებს — ახლა უფრო არადემოკრატიული მმართველობა გვყავს და მოსალოდნელია გაყალბება?**

– მე ერთი რამ ვიცი, ზოგადად, მრავალფეროვანი პოლიტიკური სპექტრი პრობლემა არ არის. რაც უფრო მეტი პოზიცია იქნება წარმოდგენილი, მით უკეთესი. ყველაზე მეტად რაც არ მომწონს, არის ის ფორმულა, რაც თავის დროზე დანერგა ბიძინა ივანიშვილმა – „შუა უნდა გაიკრიფოს“. ეს ასე არ უნდა ხდებოდეს და არ უნდა მოხდეს, ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს საშუალება, თავისი პოზიცია დაიცვას და ამომრჩეველსაც ჰქონდეს საშუალება, იხილოს მრავალფეროვანი პოლიტიკური სპექტრი, რომელთა შორისაც აარჩევს მისთვის შესაბამის და მოსაწონ პოლიტიკურ პლატფორმას.

რაც შეეხება იმას, რომ არჩევნები ყალბდებოდა, გაყალბდება და ა.შ. დარწმუნებული ვარ, რომ თანამედროვე პირობებში, როდესაც არის აქტიური არასამთავრობო სექტორი, როდესაც არის ბევრი პარტია და მათი წარმომადგენლები, როდესაც არის რეალური შესაძლებლობა კონკურენციის, ასევე, რეალურად ძალიან დიდი მეთვალყურეობა ექნებათ პროცესებზე საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორც ეს ხდებოდა წინა წლებში, შეუძლებელია ასეთ პირობებში არჩევნების გაყალბება და დარწმუნებული ვარ, ეს ვერ მოხდება, მით უფრო იმიტომ, რომ სამოქალაქო საზოგადოება იქნება აქტიური.

**— ადმინისტრაციული რესურსიც მნიშვნელოვანია, რომელსაც, როგორც წესი, ყოველი ხელისუფლება სათავისოდ კარგად იყენებს...**

– ბუნებრივია, ადმინისტრაციული რესურსის არსებობა ფაქტია ქვეყანაში და ამას ვერავინ უარყოფს, ეს ასე ხდებოდა წინა წლებშიც, მაგრამ ადმინისტრაციული რესურსი არ არის გადამწყვეტი არჩევნებზე, ეს შესაძლოა, იყოს დამატებითი შესაძლებლობა, ხმათა რაოდენობა ხელისუფლებისთვის, მაგრამ ხელისუფლებას ეს, როგორც წესი, არ შველის. თუ მათ არ აქვთ მხარდაჭერა საზოგადოებისგან, ადმინისტრაციული რესურსი ვერ წყვეტს არჩევნების ბედს.

**— თუმცა ამ ეტაპზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოსა და მინისტრთა კაბინეტში, ასევე, უკვე კონკურენტი პარტიები არიან. როგორც უკვე ღიად გახდა ცნობილი, „რესპუბლიკელები“ დამოუკიდებლად გავლენ არჩევნებზე. როგორ ფიქრობთ, ხელოვნურად მოხდა მათი ჩამოშორება? მათ ბარიერის გადალახვის პრობლემასაც კი უწინასწარმეტყველებენ...**

– მგონია, რომ საზოგადოებას ახლა ყველაზე ნაკლებად აინტერესებს, რა ხდება კოალიციის კულუარებში, რადგან ადამიანებისთვის არაფერი არ იცვლება, არც ერთი ამომრჩეველი არ გახდა უკეთ, არ გაუარესდა ან გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა იმის გამო, რომ „რესპუბლიკელები“ გამოეყვნენ „ოცნებას“. ეს არის პოლიტიკური თამაშის ნაწილი, რომელიც მიდის ცალკე და სამწუხაროდ, ამის გამო რეალურ პრობლემებზე, რაც უკავშირდება ეკონომიკას, სოციალურ მდგომარეობას, ბევრ სხვადასხვა მართლა მნიშვნელოვან საკითხს ქვეყანაში, ყურადღების გადატანა ხდება ისევ პოლიტიკურ კინკლაობებზე, თამაშებზე, კონფიგურაციებზე და ა.შ. ყველას ვურჩევდი, რომ თავიანთი ხედვები წარადგინონ საზოგადოების წინაშე. ეს არის მთავარი და ვინ, სად, როდის, როგორ იქნება, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

**— თქვენმა პოლიტიკურმა გუნდმა წარადგინა საარჩევნო პროგრამა და უკვე საარჩევნო კამპანიაშია, თუმცა რეალურად რამდენად გადალახავთ ბარიერს, საკითხავია, რადგან მაინც ძველ 9 წელთან უჩნდებათ ასოციაცია, მიუხედავად იმ განაცხადისა, რომ არც ერთი ძველი სახე არ აპირებს „გირჩიდან“ პარლამენტში შესვლას...**

– ჩვენი პოლიტიკური ცენტრი არჩევნებში წარდგება ისეთი პოლიტიკური ჯგუფით, იმდენად განახლებული შემადგენლობით, რომ ყოველგვარი კავშირი რაიმე სხვა ჯგუფებთან შეიძლება იყოს გამორიცხული. ჩვენი მთავარი მიზანი არის ახალი ხალხის მოყვანა ქართულ პოლიტიკაში, ახალი ინტელექტი, ახალი ენერგია სჭირდება დღეს ქართულ პოლიტიკას და ეს არის მნიშვნელოვანი. თუ ამას შევძლებთ, დარწმუნებული ვარ, საზოგადოება იქნება ჩვენ გვერდით.

**— გოგა ხაჩიძის მსგავსად, თქვენც უკანა პლანზე აპირებთ დარჩენას ხომ? თუმცა მაინც ამ გუნდთან ასოცირდებით...**

– არამარტო უკანა პლანზე გადავიწევთ, ჩვენ უარს ვამბობთ, კენჭი ვიყაროთ პარლამენტში. მხარს დავუჭერთ ამ გუნდს, ყველანაირად შევეცდებით, დავეხმაროთ მათ ახალ სახეებს, ახალ იდეებს მივცეთ საშუალება, მოვიდნენ ქართულ პოლიტიკაში, დანარჩენს დრო გვაჩვენებს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „იმ ველურების ჯგუფმა რომ შიმშილობა გამოაცხადა, ეს მათი უფლებაა, მაგრამ ასეთ ვითარებაში გადადგომა უპასუხისმგებლობაა“



პოლიტოლოგი გია ნოდია ლადო პაპავას გადაწყვეტილებას თსუ-ს რექტორის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, უპასუხისმგებლობას უწოდებს და მიიჩნევს, რომ პაპავამ რეალური მიზეზები უნდა განმარტოს. ნოდია ვარაუდობს, რომ ყოფილ რექტორზე გაცილებით მნიშვნელოვანი ზეწოლა განხორციელდა, ვიდრე სტუდენტების შიმშილობაა.

– ლადო პაპავას გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე აბსოლუტურად მიუღებელია. ის კარგი რექტორი იყო თუ ცუდი, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იმ ველურების ჯგუფმა რომ შიმშილობა გამოაცხადა, ეს მათი უფლებაა, მაგრამ ასეთ ვითარებაში გადადგომა უპასუხისმგებლობაა თუნდაც იმიტომ, რომ შთაბეჭდილებას ქმნი, რომ ველურების ზეწოლას ექვემდებარები. ალბათ, სინამდვილეში რაღაც სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი ზეწოლები იყო ამის უკან, მაგრამ არც ესაა გამართლება. როგორც მინიმუმ, პაპავა უნდა გამოვიდეს და კარგად აუხსნას საზოგადოებას, რატომ გადადგა (ოღონდ ის არ თქვას, რომ სამშობლო და ღმერთი თანამდებობაზე მაღალია).

ამ კონკრეტული უნივერსიტეტის ავტონომიასა და საქართველოში უნივერსიტეტის ავტონომიის იდეას ამ გადაწყვეტილებით სერიოზული ჩრდილი მიადგა. მაგრამ დამნაშავე არის არა მხოლოდ ის, ვინც პაპავაზე ზეწოლას ახდენდა, არამედ პირველ რიგში ლადო პაპავა, რომელიც ზეწოლას დაექვემდებარა, – წერს გია ნოდია. (news.ge)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**საქართველოში მთავრდება პოლიტიკური პროსტიტუციის ეპოქა თუ პირიქით, ახალი ტალღა წამოვა და საერთოდ წაგვლეკავს? რასაც ვუყურებთ, არა მხოლოდ პოლიტიკური პროსტიტუცია ძლიერდება, ცხოვრების ბოზური წესიც კანონდება საქართველოში. „ალიას“ მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი ესაუბრება:**

**— ბატონო თემურ, მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ დღეს მიდის პოლიტიკოსების, თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური პარტიების ლუსტრირება. ბოლო რამდენიმე თვეში უკეთესად გამოჩნდა, ვინ რას წარმოადგენს.**

– უფრო მეტი გამოჩნდება არჩევნებამდე. თუ ბიძინა ივანიშვილი უარს იტყვის მოღალატე პოლიტიკოსებზე, შეიძლება, მივიღოთ ცოტა უკეთესი შედეგები. ვგულისხმობ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ღალატის ხარჯზე გადახტნენ გამსახურდიადან შევარდნაძესთან, შევარდნაძიდან სააკაშვილთან, ხოლო სააკაშვილიდან ივანიშვილთან. საერთოდ, საქართველოში მოღალატე პოლიტიკოსებს დიდ პატივს სცემენ, პარტიიდან პარტიაში მომთაბარეებს ძალიან აფასებენ. ჰოდა, ახლა ვხედავთ, რომ მათ ჩვეული გამყიდველობა ვერ მოიშალეს. მაშინ ვფიქრობდი, რომ ბიძინა ივანიშვილი ამათ არ იცნობდა და ამიტომ დაემართა ასე, მაგრამ ძალიან შევშფოთდი მისი ერთი ინტერვიუს გამო, სადაც თქვა, მარგველაშვილს არ ვიცნობდიო. არადა, ალბათ, გახსოვთ, ამ პიროვნებისთვის თავი გამოიდო. კი, მაგრამ „თავისუფლების ინსტიტუტი“ რომ მან შექმნა, სოროსის ფონდთანაც რომ იყო დაკავშირებული და „ენდიაისთანაც“ საქმე ჰქონდა, ეს არ იცოდი? სიმართლე გითხრათ, გული დამწყდა, ბატონმა ბიძინამ მოახერხა და წინა პლანზე წამოსწია მომთაბარეები, მოღალატეები, რამაც გამოიწვია პოლიტიკური პროსტიტუციის განვითარება, რომელიც დაიწყო შევარდნაძის დროს. მეგონა, პიკი იყო სააკაშვილის მმართველობის პერიოდი, მაგრამ შევცდი, პიკი არის ახლა. დღეს გასავალი აქვს კაცს, რომელიც ლაპარაკობს დედაკაცის ენით, ან ქალია და ლაპარაკობს კაცის ენით, ვისაც გავლილი აქვს ე.წ. დასავლური არასამთავრობო ორგანიზაცია. მაშინ, როცა ხალხი სულს ღაფავს, ამ ადამიანებს 15-20 ათასი დოლარი ჰქონდათ ხელფასი არა ქართული საქმის საკეთებლად, არამედ ქვეყნის დასაქცევად. თუ საარჩევნო სიებში ისევ ესენი მოხვდებიან, ცხადია, ეს პოლიტიკური პროსტიტუციის დასასრული კი არა, ახალი ეპოქის დასაწყისი იქნება. გამოვიდეს ბიძინა ივანიშვილი და დაასახელოს, რომელ კადრში არ შეცდა? თბილისის მერი აყენებს სამარცხვინო მდგომარეობაში, ყველა გამგებელი ერთნაირად სამარცხვინოა. ამას წინათ ერთ-ერთ რეგიონში ვიყავი, გლეხები იძახიან, არც წინა ხელისუფლებისა გვჯეროდა, არც ამ ხელისუფლებისა გვჯერაო. რატომ-მეთქი? სოფლის გამგებლად დაგვინიშნეს ისეთი კაცი, რომელიც ყველაზე გაუნათლებელი და ჩამორჩენილი იყოო. ვინც კი ბავშვობაში დედამ დაწყევლა, ყველა რაღაც თანამდებობაზე დანიშნეს, ყველა საკრებულოში მოხვდაო. როცა ქუთაისში ვიყავი თანამდებობაზე, ერთი ადამიანის გამო შემიკლეს ხელში, საავადმყოფოს მთავარ ექიმზე ამბობდნენ, შაშიაშვილის ნათესავიაო. არადა, მართლა არ იყო ისეთი, რომ უფროსობა ეკუთვნოდა. ამ ადამიანს რამდენიმეჯერ ვუთხარი, არ გინდა მთავარი ექიმობა-მეთქი, მაგრამ არ ქნა. დღეს ასეთი სიტუაციაა მასობრივად, ხალხი იმ საქმესთან მიიყვანეს, რაც მათი საქმე არ არის. დღეს საქართველოში ყველამ იცის პოლიტიკოსობა და ხელისუფლებაში მოდიან ფულის საშოვნელად ან ფულის დასაცავად. ახლა იქამდეც მიგვიყვანეს, გამოდიან და აცხადებენ, პირად ცხოვრებას ნუ შეეხებით, მეც მყავს საყვარელი, ჩემს ქმარსაც ჰყავს საყვარელი, ასე ვართ შეთანხმებული ოჯახშიო. საქართველოში გვეუბნებიან ამას მაშინ, როცა ამერიკაში ასეთებს ხელისუფლებაში ცხვირს არ შეაყოფინებენ.

**— ბატონო თემურ, დღეს დიდი დავა მიდის იმაზე, სექსვიდეოების „გმირები“ უნდა გადადგნენ თუ არა თანამდებობებიდან? საზოგადოებაში ჩვენს თვალწინ ინერგება ახალი მოდელი სახელწოდებით: „თუ ვბოზობ, მერე რა“?**

– თქვენ ხომ იცით და გსმენიათ, ვისზეა ეს ჩანაწერები გაკეთებული?

**— კი, ვიცი და მსმენია.**

– იმაზეც ვთანხმდებით, რომ ამაზრზენია, რაც არის გაკეთებული, ხომ? გული მწყდება... ბატონმა ბიძინამ, რომელიც მუდმივად ოჯახის სიწმინდეზე ლაპარაკობს, ასეთი ადამიანები დანიშნა თანამდებობებზე. ამ ვიდეოებს გამოაქვეყნებენ თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს, ივანიშვილმა ხომ იცის, რომ ეს ყველაფერი სიმართლეა? აი, უკვე გაოგნებული ვარ, ეს რა მარაზმში აღმოვჩნდით საერთოდ? ქალი, რომელიც ამას აკეთებს კაბინეტებში თუ სხვაგან, ის კიდევ თანამდებობაზეა? გამარკვიეთ ერთი, რომელ ქვეყანაში ჰქვია ამას პირადი ცხოვრება? მისი პირადი ცხოვრება არის ოჯახის შიგნით და თანამდებობის პირის ოჯახიც კი ღია უნდა იყოს. საქართველოში გეუბნებიან, ეს მეძავია, მაგრამ თანამდებობაზე უნდა იყოსო. ვიმეორებ, ბიძინა ივანიშვილმა ხომ იცოდა და დღესაც იცის, რომ ეს ჩანაწერები გააკეთა ამ სულწამხდარმა სააკაშვილმა? ეს ადამიანი აღმოჩნდა სექტის შექმნის ოსტატი... რა არის სექტა? ეს გახლავთ კომპრომეტირებულთა ერთობა და ვინც იქიდან გაბედავს გასვლას, იმაზე ყველაფერი გამომჟღავნდება. ამ ვიდეოებს ულებნდენ არა იმიტომ, რომ მერე აუცილებლად უნდა გამოექვეყნებინათ, არამედ იმიტომ, რომ ამით დაჭერილი ჰყავთ ყურებით... უარესს გეტყვით: ძალიან ბევრი ცნობილი და ლამაზი ქალია გადაღებული, რაც შემდეგ ხელისუფლებაში ბევრმა ნახა და გამოიყენა კიდეც. როგორ შეიძლება, დღეს ჩვენ ამ ხალხის მიმართ ნდობა გვქონდეს? ისინი მხოლოდ კი არ უნდა გადადგნენ, ბოდიში მოიხადონ და გარკვეული პერიოდით ხალხს თავი დაავიწყონ! აგერ, გამოქვეყნდა ვიდეო, გამოვარდა მეორე დღეს პრეზიდენტი და აცხადებს, ჩემი ქვეყანა უნდა დავიცვა, როგორ შეიძლება ამის ჩვენებაო? მან დაიცვა თავისი თავი, შეიძლება ხვალ მისი კომპრომატიც გამოიფინოს. ყველა, ვისაც ეშინია და ვისზეც ჩანაწერია, გამოვარდა და დაიწყეს, ეს შეურაცხმყოფელიაო. რა თქმა უნდა, ვინც ეს გააკეთა, არის უზნეო, მაგრამ ყველა ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს, არ ჰყავდეს თავის რიგებში ასეთი ადამიანები. ამისთვის სპეცსამსახურები არსებობს, იკვლევენ, უთვალთვალებენ, რომ რამე ისეთი არ გამოეპაროთ. კადრები ასე ღიად არ უნდა აჩვენონ, თორემ რა, ამ კუთხით ამერიკაში არ მუშაობენ, ინგლისში არ მუშაობენ, გერმანიაში თუ საფრანგეთში? როცა თანამდებობაზე ვიყავი, ძალიან ბევრი ადამიანი მოდიოდა ჩემთან კონსპირაციულად და ბოდიშებს იხდიდნენ, თქვენზე უშიშროებაზე რაღაცები გვაქვს დაწერილი, სხვა გზა არ გვქონდაო. ესე იგი, თანამდებობის პირებზე აგროვებდნენ მასალებს, ხომ? რამდენად სიმართლე იყო, ეს სხვა საკითხია, მაგრამ „კაგებე“ მუშაობდა და სპეცსამსახურები ახლაც მუშაობენ. კარგი, ამათ არ აქვთ იმდენი ნამუსი, რომ წავიდნენ, ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი როგორ მუშაობს ამ ხალხთან? როგორ მუშაობდა ამათთან ბიძინა ივანიშვილი? როგორ მუშაობდა ირაკლი ღარიბაშვილი? რამდენიმე დღის წინ ერთ ინტელიგენტურ ოჯახში ვიყავი სტუმრად, 30 კაცი იჯდა, ამ დროს ეს ქალბატონი გამოხტა ტელევიზორში. უმძიმესი სიტყვები მოვისმინე მისი მისამართით. ის დღეს მინისტრია, თან იძახის, არ არსებობს ძალა, რომელიც მე შემაჩერებს.

**— იყო დრო, კოალიციაში შესვლას ამათ ვერავინ ასწრებდა.**

– არადა, ყოველდღე ჩაგვჩიჩინებდნენ, ჩვენ ერთად ვართ, ერთნი ვართ, ერთობა გვაქვსო. თურმე შიგნით ლაპარაკობდნენ, აქ რა გვინდაო? გამოდის, ყველა გვატყუებდა, არ ყოფილა არავითარი ერთობა, ხომ? ახლა მებადება კითხვა: ხომ არ არის ამ ყველაფერში დიდი მზაკვრობა ჩადებული? მე ჯერ კიდევ 1993 წელს განვაცხადე, ყოველგვარი ალიანსებისა და ბლოკების წინააღმდეგი ვარ... როდესაც ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა, ჩემი პირველივე შეთავაზება იყო – არავითარი კოალიცია, ყველამ დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში-მეთქი. ახლა რას იტყვის? აი, ამ ხალხმა არ გაამართლა, ახლა „ოცნება“ ცალკე იქნება და გაჩვენებთ, რას გავაკეთებო? მე მგონი, ასე გამოდის. თუ გამოვა და იტყვის, – ხალხო, მე ისიც შევძელი, რომ გამეშიშვლებინა ყველა და ახლა არ ვდგები არავის მხარესო, მაშინ დავიჯერებ მის კარგ კაცობას. მან ბევრი კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ პოლიტიკაში მოსვლით და ასეთი ადამიანების წინ წამოწევით გააფუჭა სიტუაცია. ის სახელმწიფო კაცი უფროა, მაგრამ მაინცდამაინც პოლიტიკურ ლაბირინთებში შევიდა. ივანიშვილმა შეყარა არაფრისგამკეთებელი პარტიები, მიანიჭა კვალიფიკაცია და მორჩა, აკეთებინა ფული. როდემდე? გადის წლები, ვუყურებთ ერთსა და იმავე მარაზმს!

# „ამ ვიდეოებს გამოაქვეყნებენ თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს, ივანიშვილმა ხომ იცის, რომ ეს ყველაფერი სიმართლეა?“

**„პრეზიდენტი აცხადებს, ჩემი ქვეყანა უნდა დავიცვა, როგორ შეიძლება ამის ჩვენებაო? არადა, მან დაიცვა თავისი თავი, შეიძლება ხვალ მისი კომპრომატიც გამოიფინოს!“**





**„ერთ-ერთ რეგიონში ვიყავი, გლეხები იძახიან, არც წინა ხელისუფლებისა გვჯეროდა, არც ამ ხელისუფლებისა გვჯერაო. რატომ-მეთქი? სოფლის გამგებლად ისეთი კაცი დაგვინიშნეს, რომელიც ყველაზე გაუნათლებელი და ჩამორჩენილი იყოო. ვინც კი ბავშვობაში დედამ დაწყევლა, ყველა რაღაც თანამდებობაზე დანიშნეს, ყველა საკრებულოში მოხვდაო.**

**„ახლა იქამდეც მიგვიყვანეს, გამოდიან და აცხადებენ, პირად ცხოვრებას ნუ შეეხებით, მეც მყავს საყვარელი, ჩემს ქმარსაც ჰყავს საყვარელი, ასე ვართ შეთანხმებული ოჯახშიო. საქართველოში გვეუბნებიან ამას მაშინ, როცა ამერიკაში ასეთებს ხელისუფლებაში ცხვირს არ შეაყოფინებენ“**

## მხილება

სო. ქალი რომ ამას იტყვის, წარმოგიდგენიათ, რა დღეში ვართ?! აი, ასეთები მოსწონთ ამ ქვეყანაში... მე კი ეს გარემო მკლავს. დღეს ჩვენ ვიმყოფებით გზაგასაყარზე: ან მკვიდრდება ეს უზნეობა და შემდგომში უფრო გაიზრდება მასშტაბები, ან ყველაფერს უნდა მოეღოს ბოლო. ახლა ვისმენდი ტელევიზორში, ერთ-ერთი პოლიტიკოსი ამბობს, ჩვენ კოალიციიდან ჯერ კიდევ დეკემბერში გვინდოდა გასვლაო. ნახეთ, ტრაბახი დაიწყეს უკვე, ერთმანეთს ეტრაბახებიან, ჩვენ უფრო ადრე გვინდოდა გასვლაო.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვოლსკი: რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთი წევრი უცნაურ განცხადებებს აკეთებს, მკაცრს, ცუდი ენით



საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო ბლოკად დარჩენის საფუძველს კომპრომისებში ხედავს. იგი „რესპუბლიკური პარტიის“ წევრების განცხადებებს უცნაურს უწოდებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ ეს განცხადებები მთლიან პოლიტიკურ ატმოსფეროს არ განაპირობებს.

– „რესპუბლიკური პარტიის“ ზოგიერთმა წარმომადგენელმა იცის ხოლმე, რომ უცნაურ განცხადებებს აკეთებს, მკაცრს, ცუდი ენით, მაგრამ ეს მთლიანად პოლიტიკურ ატმოსფეროს არ განაპირობებს. ურთიერთობებზე ცუდად მოქმედებს, მაგრამ მთლიანობაში, სახელმწიფოსთან მიმართებაში პოლიტიკური კონიუნქტურა, ვფიქრობ, დადებითია. მთავარი პოზიციები უნდა გამოიკვეთოს, სად გვაქვს ერთიანობა, სად – კომპრომისების მეშვეობით – შესაძლოა ერთიანობა. თუ ეს კომპრომისები არ არის შესაძლებელი, ვერ იქნება ერთიანი ბლოკი, წინასაარჩევნოდ, – განაცხადა ვოლსკიმ. (news.ge)

## პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების საქმის არაეფექტური გამოძიების გამო შოთაძის გადადგომას ითხოვენ

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების საქმის არაეფექტური გამოძიების გამო მთავარი პროკურორის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ამის შესახებ განცხადება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელმა გააკეთა:

– ჩვენ პირველ რიგში ამაში პროკურატურის პასუხისმგებლობას ვხედავთ. დღევანდელ პროკურორს აღარ აქვს უფლება, იყოს იმ თანამდებობაზე, სადაც ის იმყოფება, რადგანაც მან დაკარგა წლები, როდესაც არ ჩაატარა ეფექტური გამოძიება. შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს და ეს საქმე უნდა აბსოლუტურად სხვა ადამიანს ჩაბარდეს, რომლის მიმართაც საზოგადოებას უფრო მეტი ნდობა ექნება, – განაცხადა ეკა გიგაურმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ეს ტრაგედია არ არის“ — რას ამბობენ უმრავლესობაში „რესპუბლიკელების“ მიერ კოალიციის შესაძლო დატოვებაზე



საპარლამენტო უმრავლესობის წევრები „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ კოალიციის დატოვების შესაძლო ფაქტს აფასებენ.

ეკა ბესელია კოალიციის დაშლაში ტრაგედიას ვერ ხედავს. მისი თქმით, გუნდის შიგნით ამ თემაზე საუბარი მიდის, თუმცა გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

– ზოგჯერ დგება ეტაპი, როდესაც ჯობია, პოლიტიკურმა პარტიებმა ინდივიდუალურად მოსინჯონ თავიანთი შესაძლებლობები. ვერ ვხედავ ტრაგედიას, რომ კოალიცია დაიშალოს. ჩემთვის მისაღებია, რომ ცალ-ცალკე გავიდეთ არჩევნებზე და შემდეგ ისევ შევქმნათ კოალიცია, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, კოალიციიდან „რესპუბლიკელების“ წასვლა ამ პარტიაზეა დამოკიდებული, თუმცა მისი პირადი აზრით, კოალიცია არჩევნებზე სრული შემადგენლობით უნდა წარდგეს.

– მე ვიყავი და ვრჩები გაერთიანებების მომხრე პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. ჩვენი მრავალპარტიული სისტემა უნდა დავიდეს 5-4 სუბიექტზე და ამ სუბიექტებს შორის კონკურენცია უნდა იყოს, – განაცხადა დეპუტატმა.

ქუცნაშვილი აცხადებს, რომ არჩევნებზე „რესპუბლიკურმა პარტიამ“ შანსები თვითონ უნდა განსაზღვროს და გადაწყვეტილებაც ამის მიხედვით უნდა მიიღოს.

რაც შეეხება „ქართულ ოცნებაში“ არსებულ მწვავე დაპირისპირებას, ამ ინფორმაციას დეპუტატი არ ადასტურებს.

– კოალიციაში შემავალ სუბიექტებსა და „რესპუბლიკელებს“ შორის არსებულ დაპირისპირებაზე დასმულ კითხვას მე არ უნდა ვპასუხობდე. კითხვების ადრესატი „რესპუბლიკური პარტიაა“. როგორ შეიძლება მე მათი აღქმების თაობაზე გავაკეთო კომენტარი. მათი ემოციები და მოლოდინების შესახებ განცხადება, ალბათ, მათ უნდა ჰკითხოთ, – განაცხადა დეპუტატმა.

„რესპუბლიკური პარტიის“ განმარტებას ელოდება ირაკლი სესიაშვილიც.

– პარტია განცხადების გაკეთებას აპირებს, მოდით, დაველოდოთ. მათთან სამუშაო განწყობა მაქვს, ჩემს განწყობას რაც შეეხება დილიდან კარგ ხასიათზე ვარ, – განმარტა დეპუტატმა.

ცნობისთვის, „რესპუბლიკელებსა“ და კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებს კოალიციის დატოვებაზე ღიად მიანიშნა „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ.

– ცუდი არ იქნება, თუ ყველა პარტია დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში და მერე უკვე პარლამენტში მივიღოთ გადაწყვეტილება, შეიქმნება თუ არა კოალიცია, – აღნიშნა კალაძემ თემის კომენტირებისას. (ნიუპოსტი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# რატომ გაიგიჟა თავი მხოლოდ თინა პოლიტიკოსს რეაქცია არ ჰქონია 31

## „ეს ახალი ვიდეოები სწორედაც სექსუალური ხასიათისა იყო და მასში დააკონკრეტეს, რომ ეს 2 მინისტრი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“





**თურმე ჩვენ, ჟურნალისტებს, იმის უფლებაც არ გვაქვს, რომ, თუ მოქმედი ან ყოფილი პოლიტიკოსის უზნეო საქციელის შესახებ ინფორმაცია მივიღეთ, ის გავასაჯაროოთ. თურმე უნდა დავმალოთ საგულდაგულოდ იმ ადამიანების ამორალური ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები, რომელთაც ამ ქვეყნის მართვა ჩავაბარეთ და საამისოდ, უზარმაზარ ფულს ვუხდით**

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერისა და ყოფილი მინისტრის ფარული კადრები 11 მარტს აიტვირთა „იუთუბიზე“, მეორე სერია უკვე 14-ში და ამ ვიდეოს თან ახლდა მუქარის ტექსტი. აშანტაჟებდნენ ინგა გრიგოლიას და მოქმედ მინისტრებს – თინა ხიდაშელსა და თამარ სანიკიძეს. თუ არ წახვალთ 31 მარტამდე, თქვენი სექსუალური ცხოვრების ამსახველ კადრებს და სხვა სახის კომპრომატებსაც გავასაჯაროებთო. ნახევარი თვე ეს ტიკიდან წადიო. გრიგოლიამ ამის საპასუხოდ განაცხადა, „ნურას უკაცრავად“ ვერ მოგართვითო. 11 მარტს გავრცელებული სექსკადრებისგან განსხვავებით, რომელიც, ალბათ, მთელმა საქართველომ ნახა, თან დაფარულიც კი არ იყო სახე, ამჯერად სამართალდამცავებმა მათი დაბლოკვა მოახერხეს, ეს კი, უპირველესად, იმ 4 ადამიანის დამსახურებაა, რომელთაც „ფეისბუკში“ მოუვიდათ ამ სექსვიდეოების ლინკები. მოკლედ, იმის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ ამ ვიდეოში ასახული კონკრეტული ადამიანები 3 ჟურნალისტისა და 1 მსახიობის დიდად მადლიერნი უნდა იყვნენ.

თემა არ გაციებულა, ყველა ელოდა ამ 31 მარტს და შანტაჟისტებმა მუქარა ნაწილობრივ აასრულეს. 31 მარტს ჟურნალისტებს მაკა რაზმაძეს, ირაკლი ყურაშვილს, რაულ ქირიასა და მსახიობ ბესო ზანგურს „ფეისბუკზე“ ერთი კონკრეტული ადამიანის სექსვიდეოები ჩაუყარეს. სანამ იმაზე გადავალ, ვინ იყვნენ, სავარაუდოდ, ამ სექსუალური აქტის მონაწილენი, იქამდე რამდენიმე საყურადღებო დეტალზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას. ისევე, როგორც 14 მარტს გასაჯაროებულ კადრებს, ამასაც ახლდა მუქარის შემცველი ტექსტი, ოღონდ, ამჯერად ის მხოლოდ ინგა გრიგოლიას ეხებოდა. მას ემუქრებიან, შენი უცხოეთში წასვლა არ გვინდა, ჟურნალისახლა ვნახოთ, როგორ გამოხატა ერთ-ერთმა ჩვენმა პოლიტიკოსმა ეს მადლიერების გრძნობა მათ მიმართ. თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა, იმავე დღეს, 31 მარტს „ფეისბუკში“ ვრცელი და უმადური სტატუსი დადო:

„ძალიან, ძალიან ბევრი ადამიანის წინაშე მაქვს პასუხისმგებლობა აღებული. ბევრი ადამიანის ბედზე და წარმატებაზე. აქ შეცდომა დაუშვებელია, ემოციები უსარგებლო. ის რასაც დღეს ვაკეთებ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რაც კი ოდესმე მიკეთებია, და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ყველა იმ საკეთებელზე, რისი კეთებაც შემდეგი წლების მანძილზე მომიწევს. ამიტომ ვცდილობ ბოროტებს, უზნეოებს, ჭორიკნებს, მატყუარებს პასუხი არ გავცე, ემოცია დავთრგუნო, ყველაფერი, რაც მე პირადად მეხება, გვერდზე გადავდო, არ ავყვე და პირიქით, მეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით შევუძახო საკუთარ თავს, რომ სწორედ ამ პასუხისმგებლობის და საქმის მნიშვნელობის გამო უნდა ავიტანო, მოვითმინო, საქმეში დავიკარგო. მაგრამ ახლა გიგა მოვიდა სახლში. ისეთი დაღლილია, არაფრის თავი არ მაქვსო, გამოგვიცხადა. მამა დაუჯდა და საშინაო დავალება-მოთხრობას უკითხავს. მე მთელი დღე ეკრანს ვუყურებდი და ვერ მივხვდი, რამე უნდა დამეწერა თუ არა. ახლა ზუსტად ვიცი, რომ არ უნდა გავატარო.

სცენარი იგივეა, თითქოს არაფერი მომხდარა განსაკუთრებული. ვიდეო აიტვირთა, მერე დაიბლოკა, ირკვევა რომ პრაქტიკულად არავის უნახავს, ჭორაობა დაიწყო. თუმცა იყო ერთი „მცირე“ დეტალი. პროკურატურის რეგისტრატურის წინ მდგომ დასაკითხად მისულ ახალგაზრდას ჟურნალისტმა ჰკითხა „პოლიტიკოსის კადრები იყო?“ „დიახ“ — იყო პასუხი. ასევე, ქალბატონი იმავე პროკურატურასთან, იმავე მიზნით მისული, ასევე, სხვათაშორის ამბობდა, რომ „პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო“.

ამ პატარა გასაუბრებით ამოცანა შესრულდა. ეჭვი გაჩნდა და მგმობელი, მორალისტი, მაწყევარი, მაგინებელი არ დაილია.

და არც კი ვიცი, სერიოზულად უნდა ვიკითხო თუ არა, მაგრამ ამ 2 ადამიანს მინდა ვკითხო, ასეთ ტყუილს რომ იტყვი, ადამიანს ლაფში ამოსვრი, სრულიად ჩვეულებრივ ცილისმწამებლად და შანტაჟისტად რომ იქცევი, მერე რით განსხვავდები იმ ხალხისგან, ვისაც ასე გულმოდგინებით „გმობ“ ვიდეოების გავრცელებისთვის?

აღარაფერს ვამბობ სრულიად ქართულ ტელემედიაზე, რომელმაც არ დაიზარა და მთელი დღე ტირაჟირებდა ამ ტყუილს, რომ პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების კადრების მორიგი სერია გამოჩნდა ინტერნეტსივრცეში. უკვე წარმომიდგენია, როგორი მჭევრმეტყველი იქნება ხვალ ბეჭდური მედია. თუმცა შესაძლოა, ამოცანაც ეს იყო.

დაიდო სრულიად გაუგებარი ვიდეო, 20-მა ნახა, 200-მა ამბავს ყური მოჰკრა, მერე ტელევიზიით 200 ათასმა ცილისწამება და ტყუილი მოისმინა, მერე ვიღაცამ ჭორაობით გული იჯერა ზოგმა განზრახ, ზოგმა „გულწრფელი აღშფოთებით“ და მორჩა. ისინი ფიქრობენ — მიზანი მიღწეულია. მაგრამ, როგორც თავში მოგახსენეთ, ბატონებო, ჩემი მიზანი, რომელსაც ვემსახურები, ვიშრომო, ვიბრძოლო, ვიცხოვრო ჩემი შვილების და თქვენი შვილების ბედნიერებისთვის, გაცილებით უფრო დიდია, უფრო საინტერესო, უფრო მშვენიერი და ჯერ არავის მოუფიქრებია და არ გამოუგონია ძალა, რომელიც გამაჩერებს“.

ნახეთ, რაზეა გაბრაზებული თინა ხიდაშელი? თურმე, მაკა რაზმაძეს იმის უფლებაც არ ჰქონია, ჟურნალისტებისთვის დაეკონკრეტებინა, რომ ის სიბინძურე, რაც ნახა, პოლიტიკოსს შეეხებოდა. ახლა მივყვეთ თავდაცვის მინისტრის პრეტენზიულ ლოგიკას. თურმე ჩვენ, ჟურნალისტებს, იმის უფლებაც არ გვაქვს, რომ, თუ მოქმედი ან ყოფილი პოლიტიკოსის უზნეო საქციელის შესახებ ინფორმაცია მივიღეთ, ის გავასაჯაროოთ. თურმე უნდა დავმალოთ საგულდაგულოდ იმ ადამიანების ამორალური ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები, რომელთაც ამ ქვეყნის მართვა ჩავაბა-

### სექსვიდეოები

რეთ და საამისოდ, უზარმაზარ ფულს ვუხდით. თინა ხიდაშელი გვარს არ ასახელებს, მაგრამ აცხადებს, რომ ეს ჟურნალისტი ტყუოდა, ადამიანი ლაფში ამოსვარა და ჩვეულებრივ ცილისმწამებლად და შანტაჟისტად იქცა.

**თინა ხიდაშელის ეს ბრალდება თუ პრეტენზია, მაკა რაზმაძეს უპასუხოდ არ დაუტოვებია და, ასევე, „ფეისბუკპოსტით“ გამოეხმაურა:**

„ბესო ზანგური, ჩვენი ბრალი ყოფილა. მთელი დღე თავი რომ გავიგიჟეთ ზედ გადაფარებით და დაცვით და იმით, რომ არც სქესი და არც არაფერი ნიშანი არ წამოგვცდა... მეტის ღირსები ვართ.... რაც გძულდეს და რასაც ებრძოდე, ის დაგაბრალონო....

რა გვინდოდა, რას მივედით პროკურატურაში. ვყოფილიყავით ჩუმად... ასეა ხალხი, ალბათ, ნაჩვევი და „ეს შენ გეხება“ მხოლოდ ფარსია. როგორც კი მართლა დააპირებ ბრძოლას, მაშინვე აქეთ დაგდებენ ბრალს და ტალახს გესვრიან. არაუშავს... ამასაც გადავიტანთ... არადა გულით მჯეროდა და რა ვქნა, ახლაც მჯერა, რომ ტყუილსა და ცილისწამებას უნდა შეებრძოლო — მათ შორის შენს წინააღმდეგაც! რა უხერხულია, როცა უსამართლოდ გირტყამენ ...როცა რეალური დამნაშავის ნაცვლად შენზე იწმენდენ ხელებს მხოლოდ იმის გამო, რომ ეცადე, სოლიდარული ყოფილიყავი...“

საინტერესოა, რომ მთავარი პროკურორის მოადგილემ, მამუკა ვასაძემ კადრების გავრცელებიდან მეორე დღესვე „გააპრავა“ თინა ხიდაშელი. აი, რა განაცხადა მან გაუგებარი ქართულით, გავრცელებული კა-

დრების შესახებ: „გავრცელებული კადრებით იმის იდენტიფიცირება, არის თუ არა ეს რომელიმე პირი, ვინ არის და არის თუ არა რომელიმე პირის პირადი ცხოვრება, ამის გარკვევა შეუძლებელია“... მოკლედ, ადამიანურ ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, მთავარი პროკურორის მოადგილე ირწმუნება, გავრცელებული კადრებით მასზე ასახული პირის ამოცნობა შეუძლებელიაო. ამ უწყების მაღალჩინოსნები არაერთხელ შემიმჩნევია, სულ მცირე, შეუსაბამო განცხადებებში და შესაბამისად, არც ახლა მჯერა მათი. უფლებას ვიტოვებ, ეჭვი შევიტანო მამუკა ვასაძის განცხადებაშიც. ჩემი ვარაუდით, მთავარი კოსების და ინგა გრიგოლიას კომპრომატებს დავდებთო, მაგრამ მუქარა მხოლოდ ნაწილობრივ და ძალიან ცუდად შეასრულეს, „ფეისბუკში“ გავრცელებული ინფორმაციით, მხოლოდ 2 პოლიტიკოსის ერთმანეთთან სექსის ვიდეო დადეს, ისიც ცოტა ხანში დაიბლოკა და სეირის მაყურებლები დარჩნენ გაწბილებულები. გასაგებია, რომ ინგა გრიგოლიას კიდევ მისცეს შანსი, ჟურნალისტიკიდან წადი და გადარჩებიო. აი, ვისაც დაემუქრნენ, იმ ხალხზე რატომ არ ატვირთეს ვიდეოები? რატომ დაინდეს ეს პოლიტიკოსები? რატომ გაწირეს მხოლოდ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი პოლიტიკოსი ქალბატონი... ტიკური სპექტრი, არასამთავრობო სექტორი და ჟურნალისტთა კორპუსი პანიკაშია. არავინ იცის, ვისზე რა აქვთ და არც არავინაა ანგელოზი ამ ქვეყანაზე. მოკლედ. ლამის ნახევარი საქართველო პანიკაშია და არ ვიცი, შესაძლოა, შანტაჟისტებს ხელს აძლევთ ეს პანიკური სიტუაცია. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ამ ვიდეოს გამავრცელებლებზე უკვე გავიდნენ კონკრეტული პოლიტიკოსები, ისინი, ვისაც დაემუქრნენ და ვისაც ჯერ არ დამუქრებიან, მაგრამ მათზე კომპრომატები აქვთ (ანდაც პირიქით, შანტაჟისტები დაუკავშირდნენ ობიექტებს). შესაძლოა, ვიდეოების არგავრცელების

**პირადი ცხოვრების ხელყოფა მკაცრად დაისჯება. „კანონი გაამკაცრებს პირადი ცხოვრების უკანონო დარღვევას. ეს იქნება სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლად დამატებული და არ ექნება სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი, გარდა ამ ფაქტის დადგომისა. სასჯელი არის 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და სხვა სანქციები დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. მთლიანობაში, დანაშაული გავა მძიმე კატეგორიაში“, — აცხადებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია. გასაგებია, რომ ეს კომიტეტი და მისი თავმჯდომარე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის**

## სექსვიდეოები

**ტომ აფარებს ამ კანონით პარლამენტი ხელს ხელისუფლების წარმომადგენელთა ამორალურ საქციელს და მათი უზნეობის გამავრცელებლებს ასე მკაცრად რატომ სჯის? ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჟურნალისტს? ჟურნალისტის უფლება-მოვალეობასაც თავი დავანებოთ, ეს კანონი კონსტიტუციასთან მოდის წინააღმდეგობაში, რადგან კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამ შემთხვევაში, ორივე მხარის უფლება ირღვევა — ინფორმაციის მიმღებისაც და გამავრ-**

# ხიდაშელმა და არც ერთ სხვა მარტს გავრცელებულ ვიდეოებზე?

**ასახული იყო ორი მოქმედი მინისტრის სექსუალური აქტი. იქვე შემავალი ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლები, თანაპარტიელები არიან“**








პროკურატურა ხელს აფარებს კონკრეტულ პოლიტიკოსს თუ პოლიტიკოსებს, არ ამბობს, რომ ამ ვიდეოში პოლიტიკოსის თუ პოლიტიკოსთა პირადი ცხოვრების შემცველი, უფრო კონკრეტულად, სექსის ამსახველი კადრები იყო.

**ახლა კი იმის შესახებ მოგახსენებთ, რატომ გაიგიჟა თავი მხოლოდ თინა ხიდაშელმა და არც ერთ სხვა პოლიტიკოსს, მსგავსი მწვავე რეაქცია არ ჰქონია ამ გავრცელებული ვიდეოების შესახებ. ახლა რასაც მოგახსენებთ, ეს არ გახლავთ ჩემი პოზიცია, ვწერ მხოლოდ იმას, რაც ამ დღეებში „ფეისბუკით“ გავრცელდა სტატუსებისა და კომენტარების სახით, ანუ სხვის აზრებს გადმოგცემთ. „ფეისბუკით“ გავრცელებული ინფორმაციით, ეს ახალი ვიდეოები სწორედაც სექსუალური ხასიათისა იყო და მასში ასახული იყო ორი მოქმედი მინისტრის სექსუალური აქტი. იქვე დააკონკრეტეს, რომ ეს 2 მინისტრი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლები, თანაპარტიელები არიანო. ერთი კაცია და მეორე — ქალი (ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, ესეც უნდა დაკონკრეტდეს). ამის მეტს აღარაფერს ვიტყვი.**

კიბერშანტაჟისტებმა კი დააანონსეს, 31 მარტს პოლიტიკოსები... ნი? ჰო, ვიცით, რომ კიდევ ერთ დეპუტატს, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს გაუვრცელეს სექსვიდეო, მაგრამ იმ ვიდეოში პრაქტიკულად არაფერი ჩანს და შეიძლება ითქვას, პირველისგან განსხვავებით, დაინდეს. ახლა ხომ ამ შანტაჟისტებისთვის ერთი ფასი აქვს, რამდენ ვიდეოს ატვირთავენ? თუ დაიჭირეს, სასჯელს მაინც იგივეს მიიღებენ – 2 წლამდე ციხეს ან გამოსასწორებელ სამუშაოებს. მართალია, ახლა პარლამენტი საკანონმდებლო ცვლილებებს ამზადებს და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღება-გავრცელება 10 წლით დაისჯება, მაგრამ მათ ეს ახალი კანონი არ შეეხებათ, რადგან კანონს უკუქცევითი ძალა არ აქვს და როცა მათ ეს დანაშაული ჩაიდინეს, ეს კანონი ძალაში არ იყო. შესაბამისად, მათ შეუძლიათ, რომ ვიდრე ახალი კანონი ამოქმედდება, მანამდე გაავრცელონ კადრები და ძველი, მსუბუქი კანონით დაისჯებიან, თუკი მათ გამოძიებამ მიაგნო. ამ კითხვებზე ჯერ მხოლოდ შეგვიძლია სავარაუდო პასუხები გავცეთ. შესაძლოა, შანტაჟისტები არც მოელოდნენ, თუ ამ მასშტაბის აურზაური მოჰყვებოდა მათ მიერ ვიდეოების გავრცელებას. გადაუჭარბებლად ვიტყვი, მთელი პოლი-

საფასურად, გარკვეული ფინანსური ან სხვა სახის სარგებელიც მიიღეს. შეგვიძლია, ისიც ვივარაუდოთ, რომ არც არანაირი გარიგება არ ყოფილა, უბრალოდ, შანტაჟისტებმა გეგმა შეცვალეს და 31 მარტს არ გამოაქვეყნეს ვიდეოები, სხვა კომპრომატები და ახლო მომავალში გამოაქვეყნებენ. თუ ასეა, მათ საპარლამენტო არჩევნებამდე აუცილებლად ვიხილავთ, რადგან არჩევნების შემდეგ, მათ გამოქვეყნებას ფასი დაეკარგება, იმ პოლიტიკოსთა მიმართ მაინც, ვინც მიასწრებს და პარლამენტში შერგავს თავს. გავიხსენოთ, რომ, როცა პირველი სექსვიდეო გამოქვეყნდა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ქალბატონის მონაწილეობით, შანტაჟისტები მუქარასთან ერთად განმარტავდნენ, რომ სწორედ ამგვარი კომპრომატებით აშანტაჟებდნენ წლების მანძილზე ხელისუფლების წარმომადგენლებს და ამან ხელი შეუშალა სამართლიანობის აღდგენის პროცესს. ეს ხალხი კი ამ კომპრომატების გამოქვეყნებით, სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაჩქარებას აპირებს.

**უკვე მოგახსენეთ, რომ პარლამენტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებებს ამზადებს და მალე,**

**უფლებას უნდა იცავდნენ, მაგრამ ჩემს, ჟურნალისტის, უფლებებს ვინ დაიცავს? ამ კანონპროექტის მიხედვით, რომელიც მზადდება, მკაცრად ისჯებიან, როგორც სხვათა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის უკანონოდ მომპოვებლები, ასევე, გამავრცელებლები. დავუშვათ, მე მომიტანეს კონკრეტული ჩინოვნიკის ჯგუფური სექსის ამსახველი ფოტოსურათები. რა უნდა ვქნა? უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ფოტოები უკანონოდ იქნება მოპოვებული და სექსორგიის მონაწილენი ფოტოებს არავის გადააღებინებდნენ საკუთარი ნებართვით. მე ეს სურათები რომ დავბეჭდო გაზეთში, მეც და ჩემს გამომცემელსაც, სავარაუდოდ, დაგვსჯიან. დაბეჭდვა კი არა, ვერც კი დავასახელებ ვინაობას. უნდა ავდგე, ეს ფოტოები პროკურატურაში მივიტანო და პირზე კლიტე დავიდო — არაფერი არ მინახავს, არაფერი მსმენია. აი, ამას ითხოვს ჩემგან კანონი. მაგრამ რა ვუყოთ ჟურნალისტის მთავარ მოვალეობას, ინფორმაციის მოძიება-გავრცელებას? რატომ მიზღუდავს პარლამენტი ახალი კანონით საქმიანობას? რატომ ართმევენ მოქალაქეებს იმის უფლებას, რომ მათ მივაწოდო ჩინოვნიკზე კომპრომატი? ხალხს ხომ სწორედ ეს აინტერესებს? რა-**

**ცელებლისაც, რადგან ორივე იზღუდება.**

**საზოგადოების მაღალი ინტერესების გათვალისწინებით, მას უნდა დავუტოვოთ უფლება, რომ ქართველი პოლიტიკოსების ამორალური საქციელის შესახებ ინფორმაცია მიიღონ. კი, ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, ამაზე არ ვკამათობ, მაგრამ, როცა ეს ადამიანი პოლიტიკაში მოდის, როცა პრეტენზიას აცხადებს, რომ ქვეყნისა და ხალხის ბედი უნდა მართოს, მათგან სოლიდური დაფინანსებაც მიიღოს, აი, აქ უნდა დაამუხრუჭოს, აქედან მისი პირადი ცხოვრება ვეღარ იქნება ხელშეუხებელი, რადგან ის უკვე საზოგადოების მაღალი ინტერესების სფეროშია მოქცეული და როცა ხალხი გადაწყვეტილებას იღებს არჩევნებზე, ვის აუნთოს მწვანე შუქი, მაშინ პოლიტიკოსთა პირად ცხოვრებასაც ითვალისწინებს. იმ პოლიტიკოსს, მინისტრსა თუ დეპუტატს კი უნდა ახსოვდეს, რომ ის პოლიტიკოსია სავარძელშიც, სამიტებზეც, კონფერენციებსა თუ თათბირებზეც და როცა უცხოეთში მივლინების დროს სასტუმროს კარს მიიხურავს, მაშინაც, ზნეობრივი ცხოვრება იმ დროსაც მოეთხოვება, როცა კამერები მის ცხოვრებას აღარ აკონტროლებს.**

## ბესელიას თაღლითობის ბრალდებით გასამართლებული პირის მფარველობაში ადანაშაულებენ



საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას თაღლითობის ბრალდებით გასამართლებული პირის მფარველობაში ადანაშაულებენ. დაზარალებულმა რუსუდან ლეჟავამ პროკურატურას მიმართა. ის საგამოძიებო უწყებისგან საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს.

ლეჟავა ამბობს, რომ ნინო ჯიქიამ 2010 წელს ბინა იპოთეკით თაღლითური გზით ჩაადებინა, შემდეგ კი თანხის დაბრუნებაზე უარი თქვა, რის გამოც ოჯახმა საცხოვრებელი დაკარგა. მისი ინფორმაციით, ეჭვმიტანილმა საპატიმრო შეწყალების კომისიის გადაწყვეტილებით დატოვა და მას ამ საქმეში ბესელია მფარველობდა.

– ბესელია ეხმარება და აუცილებლად გამოუშვებსო. ფაქტი სახეზეა, 2 წელიწადში და 8 თვეში გამოვიდა. სამმა პროკურორმა განიხილა ჩემი საქმე, აქედან 2 მეუბნებოდა, რომ თაღლითობაა და აუცილებლად დაიჭერდნენ, მერე იბლოკებოდა. ბესელიამ გამოუშვა და ახლა ისევ ბესელია დაიჭერს, – განაცხადა რუსუდან ლეჟავამ. (პირველი რადიო)

## კიკეთის ეკლესიამ 50 ადგილობრივ ოჯახს მოსაშენებლად ხბოები უყიდა

კიკეთის ეკლესიამ ადგილობრივ ოჯახებს 50 სხვადასხვა ჯიშის ხბო გადასცა. კიკეთის წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის ტაძრის წინამძღვარმა, მამა ანდრია ჯალმაიძემ განაცხადა, რომ მათ სხვადასხვა სოფლიდან 50 სხვადასხვა ჯიშის ხბო შეიძინეს და საქონლის მოშენების მსურველებს გადაეცემათ.

– საქონელი დანომრილია და ვინმეს გული რომ არ დასწყდეს, კენჭისყრით შეხვდებათ ნომრის შესაბამისი საქონელი. მოსახლეობასთან გვაქვს მოლაპარაკება, რომ საქონელს არ დაკლავენ და სხვა მიზნებისთვის არ გამოიყენებენ. გაამრავლებენ და რძის პროდუქტით ისარგებლებენ. კიკეთის მოსახლეობა ტრადიციულად მესაქონლეობას მისდევდა. სოფელი ამით ცხოვრობდა და იქ ადრე მეურნეობაც იყო. რაღაც პერიოდში სოფელში მოსახლეობაც შემცირდა და საქონელიც გაწყდა. დარჩენილი ნაწილი, ვისაც კიდევ ჰყავს საქონელი, გვინდა, რომ გაძლიერდეს, – განაცხადა მამა ანდრიამ.

მისივე თქმით, ეკლესიამ კიკეთის მოსახლეობას გასულ წელს 33 ხბო გადასცა. (bpn.ge)

## და რა, არ გვისმენენ, რო?!



– ჩვენ გვაქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსტიტუტი, შევქმენით სისტემა, სადაც სახელმწიფო პასუხისმგებელია ნებისმიერი ისეთი ქმედებისთვის, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებას სჭირდება.

ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გია ვოლსკიმ განაცხადა.

ვოლსკი არ იზიარებს კამპანიის – „ეს შენ გეხება“ პოზიციას, რომ ისევ გვისმენენ.

– საჭიროა ძალიან კრიტიკული არასამთავრობო ორგანიზაციები და ძალიან კრიტიკული მედია, მაგრამ განსხვავებული აზრი მაქვს, მაგალითად, მოსმენების თემაზე არსებულ კამპანიაზე. ჩვენ გვაქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსტიტუტი, შევქმენით სისტემა, სადაც სახელმწიფო პასუხისმგებელია ნებისმიერი ისეთი ქმედებისთვის, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებას სჭირდება. ეს არის განსხვავება იმას შორის, რაც იყო და რაც გვაქვს. მე წინააღმდეგი ვარ, რომ პროვაიდერებს გადაეცეთ ეს საშუალება. ისინი ვერ დახარჯავენ შესაბამის თანხას, რათა ტექნიკურად აღჭურვონ თავიანთი დაწესებულება და ვინც ვერ დახარჯავს, ბაზრიდან უნდა გავიდეს. 4-5 მსხვილი პროვაიდერი არაპროფილურიცაა და სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემა არ შეიძლება გადაერთოს მათი მომსახურების ფორმატში. არ მომწონს, როცა ადამიანებს აწვდიან ინფორმაციას, რომ ისევ გვისმენენ, ისევ გვითვალთვალებენ. „ისევ“ რას ნიშნავს – რაც იყო, იგივე სისტემა გვაქვს დღეს? ვფიქრობ, ეს არაობიექტურია, – განაცხადა გია ვოლსკიმ. (kvira.ge)

## „ოჯახი არის 2 ადამიანის კავშირი, სადაც სქესს მნიშვნელობა არ აქვს“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ მარიამ საჯაიას განცხადებით, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს და მკაცრად არ უნდა საზღვრავდეს პირთა ჯგუფებს, რომელთა შორისაც შესაძლოა, დამყარდეს კერძო სახელშეკრულებო ურთიერთობა.

– ოჯახი ჩემთვის არის ორი თანასწორი ადამიანის ნებაყოფლობითი კავშირი, სადაც სქესს მნიშვნელობა არ აქვს. ოფიციალური ქორწინება არის ჩვეულებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა და ეს ხელშეკრულება შესაძლო უნდა იყოს, რომ გაფორმდეს როგორც განსხვავებული სქესის, ასევე, ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის. ამასთანავე, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს და მკაცრად არ უნდა საზღვრავდეს პირთა ჯგუფებს, რომელთა შორისაც შესაძლოა, დამყარდეს კერძო სახელშეკრულებო ურთიერთობა, – განუცხადა მარიამ საჯაიამ „17 მაისს“ კითხვის საპასუხოდ, ჰომოსექსუალი წყვილების მიმართ ხომ არ არის დისკრიმინაციული ის ფაქტი, რომ სახელმწიფო არ-ეგისტრირებს ჰეტეროსექსუალურ ქორწინებას. (exclusivenews.ge)

შიში იხრის

# რატომ დაუპირისპირდა სინამდვილეში ირაკლი ოქრუაშვილი გორის მერს?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



„ქართული პარტიის“ ლიდერი, ირაკლი ოქრუაშვილი გორში გავლენის გაძლიერებისა და საპარლამენტო არჩევნებისთვის ამ ქალაქში თავისი კანდიდატურის დაყენებისთვის ბრძოლას აგრძელებს. ცოტა ხნის წინ, ოქრუაშვილის პოლიტიკური გავლენა გორში მინიმალური იყო, თუმცა, შემდეგ საკრებულოში ძალთა ბალანსი შეიცვალა, „ქართული ოცნება“ უმცირესობაში დატოვეს „ნაცმოძრაობამ“. „თავისუფალმა დემოკრატებმა“, „ქართულმა პარტიამ“ და ერთმა დამოუკიდებელმა დეპუტატმა, 15-კაციან საკრებულოში უმრავლესობა, 8 ხმა მოაგროვეს და „ქართული ოცნების“ საკრებულოს თავმჯდომარე პაპუნა კობერიძე გადააყენეს. ოქრუაშვილის ამბიციებმა მას შემდეგ იძალა, რაც კობერიძის ნაცვლად მისი თანაპარტიელი, ილია მეტრეველი აირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარედ და ცოტა ხნის წინ, თავად ოქრუაშვილი დაინიშნა მეტრეველის მრჩევლად. მართალია, გორის დონეზე, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში რაღაც ადგილი დაიჭირა. გორში ამბობენ, რომ ილია მეტრეველს ოქრუაშვილი რასაც ჩასძახებს, ისიც იმას ამოიძახებსო. საკრებულოს, ფაქტობრივად, ოქრუაშვილი მართავს და არა მისი თავმჯდომარე, ილია მეტრეველს არავინ არაფერს ეკითხებაო. ირაკლი ოქრუაშვილი თავის დროზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც ბევრ რამეს არ ეკითხებოდა და გენპროკურორობისას, შსს თუ თავდაცვის მინისტრობისას დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებებს, დიდწილად ამასაც შეეწირა მისი კარიერა და ილია მეტრეველს რომ არაფერს დაეკითხოს, ეს არავის გაუკვირდება. გავრცელებული ინფორმაციით, არჩევნებამდე ოქრუაშვილის მიზანია, გორის მერად თავისი კაცი დანიშნოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სრულად გააკონტროლოს, რათა, როცა არჩევნებში კენჭს იყრის, სახელისუფლებო რესურსი სათავისოდ გამოიყენოს. საკრებულოს დონეზე კი ამას ნამდვილად ვერ მოახერხებს, ეს რესურსი, უმთავრესად, სწორედ ქალაქის მერის ხელშია.

ჰოდა, როგორც გორში ამბობენ, სწორედ ამის გამო დაუპირისპირდა ოქრუაშვილი გორის მერს, ზურაბ ჯირკველიშვილს. ოქრუაშვილმა მას დინოზავრების ხანის გადმონაშთი უწოდა. „წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება ქალაქში. ერთი მნიშვნელოვანი რამე, რაც მინდა მასთან მიმართებაში ვთქვა. მის კისერზე დამოკლეს მახვილი უკვე დადებულია, მან უნდა აირჩიოს – გამოვა კაბინეტიდან, გამოვა ქალაქში, გააკეთებს რამეს და გაინძრევა, თუ მის კისერზე დამოკლეს მახვილი დაეშვება და მისი თავი ქალაქში გაგორდება, მისი არჩევანია, რომელს გადაწყვეტს“. ოქრუაშვილი მას შემდეგ გაწიწმატდა, რაც გორის მერმა, ზურაბ ჯირკველიშვილმა მის ინციატივებს საკრებულოს სხდომაზე წინააღმდეგობა გაუწია.

საკითხები ეხებოდა გორში, ლომჭაბუკის ძეგლის სიახლოვეს ბაზრის მოწყობას და ქალაქის ბაგა-ბაღებიდან რაიონში რეგისტრირებული ბავშვების სასწავლო წლის დასრულებისთანავე გარიცხვას.

ოქრუაშვილის ინიციატივა ამ ბავშვების გარიცხვას ან მათი დაფინანსების რაიონის ბიუჯეტისთვის გადაბარებას ეხებოდა. ქალაქ გორის ბაგა-ბაღებში იმ ბავშვებს უნდა აკრძალვოდათ სიარული, ვინც გორში არ არის ჩაწერილი, ასეთი კი ასეულობით ბავშვია. ოქრუაშვილის ინიციატივით, ამით ქალაქის ბიუჯეტი 400 000 ლარზე მეტს დაზოგავდა, მაგრამ რის ხარჯზე? სად უნდა წაეყვანათ ბავშვები იმ მშობლებს, რომლებიც გორის ახლომახლო სოფლებიდან გორის ბაგა-ბაღებში ატარებენ ბავშვებს თუნდაც იმიტომ, რომ მათ სოფლებში, მათი სოფლების სიახლოვეს, ბაგა-ბაღები საერთოდ არ არის? ოქრუაშვილის ამ სულელურ წინადადებას დაბლოკავდა გორის მერი, აბა, რას იზამდა? მით უფრო, მის ნათქვამს გორში მშობელთა საპროტესტო აქციები მოჰყვა?! ჯერ სადა ხართ, საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი კიდევ ბევრჯერ გაგაოცებთ!

მოკლედ, ოქრუაშვილი ჯირკველიშვილს მუშაობას უწუნებს და ვიდრე ეს კაცი ქალაქს არ მიხედავს, არ გავჩერდებიო, – აცხადებს. ძალიან კომიკური სახე მიიღო ჯირკველიშვილის მიმართ გამოთქმულმა კრიტიკამ, კონკრეტულად კი შემდეგმა წინადადებამ: „მის კისერზე დამოკლეს მახვილი უკვე დადებულია, მან უნდა აირჩიოს – გამოვა კაბინეტიდან, გამოვა ქალაქში, გააკეთებს რამეს და გაინძრევა, თუ მის კისერზე დამოკლეს მახვილი დაეშვება და მისი თავი ქალაქში გაგორდება, მისი არჩევანია, რომელს გადაწყვეტს“. უმეტესობამ ეს ისე გაიგო, თითქოს ირაკლი ოქრუაშვილი ზურაბ ჯირკველიშვილს ემუქრებოდა, თუ საქმეს არ გააკეთებ, ჩემი ხელით მოგაჭრი თავსო. სოციალურ ქსელშიც დიდი ამბავი ატყდა ამის გამო, ოქრუაშვილის დაჭერას მოითხოვდა ხალხი, სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი ნიშნები აშკარად სახეზეა, სასწრაფოდ საქმე აღძარით ოქრუაშვილის წინააღმდეგ და გამოძიება დაიწყეთო. არადა, ძველი ბერძნული თქმულების მიხედვით, სირაკუზელმა ტირანმა დიონისიოსმა, ერთ-ერთ ნადიმზე თავისი ადგილი დაუთმო თავის მოშურნეს – დამოკლეს და მის თავზე ძუით დაკიდა მახვილი. აი, აქედან იღებს სათავეს ეს გამოთქმა და ისეთ ადამიანზე იტყვიან, ვისაც მუდმივი საფრთხე ელის, ვის თავზეც ისეა დაკიდებული, როგორც დამოკლეს თავზე – მახვილი და კაცმა არ იცის, როდის დაეშვება ეს „მახვილი“, როდის გაეხვევა კაცი შარში. რა ვიცი, როცა მე ათეულობით სტატიას ვწერდი ირაკლი ოქრუაშვილის სავარაუდო დანაშაულების შესახებ და კონკრეტული ფაქტებიც მომყავდა მისი, ასევე, სავარაუდო დანაშაულს შესახებ, რომლებიც მართლა შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, როცა ვამბობდი, ოქრუაშვილი დასაჭერია-მეთქი, იმავე სოციალურ ქსელში მლანძღავდით და მე „ნაცების“ აგენტს მეძახდით. გადაეფოფრეთ, ყველა დანაშაული აპატიეთ მასაც და მის თანაგუნდელებსაც. ეს კაცი ერთ დროს მთელ საქართველოს ატერორებდა, მაგრამ პასუხი არაფერზე მოგითხოვიათ. ახლა კი, როცა თქვენი საკრებულოს თავმჯდომარე ამოაყირავა იმავე „ნაციონალებთან“ ალიანსის წყალობით, თავისი პარტიის წევრი დასვა საკრებულოს შეფად და მალე „ქართული ოცნების“ გორის მერსაც მიადგება, ერთი ფრაზის გამო ოქრუაშვილი სისხლისმსმელი და სერიული მკვლელი გახდა? ეგ კაცი ადრე უნდა მოგეთოკათ, როცა დრო იყო, შავბნელი საქმიანობისთვის უნდა ეგო პასუხი, რაც „ნაციონალებთან“ ერთად ჩაიდინა 2003-2006 წლებში. თუნდაც იმისთვის, რაც გორში ათეულობით ბიზნესმენს დამართა, უდანაშაულო ხალხი გაატყავა, ქონება წართვა და ბიზნესს ვინ ჩივის, ბევრს სახლ-კარი გააყიდვინა.





**სოციალურ ქსელშიც დიდი ამბავი ატყდა ამის გამო, ოქრუაშვილის დაჭერას მოითხოვდა ხალხი, სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი ნიშნები აშკარად სახეზეა, სასწრაფოდ საქმე აღძარით ოქრუაშვილის წინააღმდეგ და გამოძიება დაიწყეთო**

ახლა ისევ ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ჯირკველიშვილის დაპირისპირებას დავუბრუნდეთ. უკვე მოგახსენეთ, რომ ოქრუაშვილს უნდა, ხელში ჩაიგდოს გორის მთელი თვითმმართველობა და არჩევნებისთვის გამოიყენოს. თუ ოქრუაშვილმა მოახერხა, გორის საკრებულოში შეკრა კოალიცია და საკრებულოს თავმჯდომარე, პაპუნა კობერიძე მოიცილა (ფორმალურადაც და იურიდიულადაც ეს კოალიცია ახლაც არსებობს), ხომ შეუძლია იმ უმრავლესობით გორის მერისთვის იმპიჩმენტის გამოცხადება და შემდეგ მისი გადაყენებაც? კი, ლოგიკურად ასეა, მაგრამ „ნაციონალები“ და „თავისუფალი დემოკრატები“, რომელთა მხარდაჭერითაც „ქართული ოცნების“ საკრებულოს თავმჯდომარე გადააგდო ოქრუაშვილმა, მის მხარდაჭერას არ აპირებენ. მათი ერთობა ხელოვნური იყო და იმის დემონსტრირება მოახდინეს, რომ გორში „ქართული ოცნების“ ერთპიროვნულ მმართველობას ბოლო მოუღეს. აი, გორის მერის გადაყენების შესახებ კი ეს ორი პარტია თავს იკავებს. არც „ნაციონალებსა“ და არც „თავისუფალ დემოკრატებს“ არ უნდათ, რომ ზურაბ ჯირკველიშვილის ადგილზე ირაკლი ოქრუაშვილის კაცი მოვიდეს მერად, არ სურთ, ახლა ოქრუაშვილმა მართოს ქალაქი ერთპიროვნულად. გორში არც მალავენ, რომ საკრებულოს იმ დეპუტატების ნაწილს, რომელთაც „ქართული ოცნების“ კანდიდატი გადააყენეს და ოქრუაშვილის კაცი მოიყვანეს თავმჯდომარედ, ერთგვარი შიშიც აქვთ თავდაცვის ყოფილი მინისტრისა. ეჭვობენ, თუ მან ქალაქი ხელში ჩაიგდო, მის გაკონტროლებას ველარ შეძლებენ. ეს კი შემდგომში მასთან სერიოზულ დაპირისპირებას გამოიწვევს. ოქრუაშვილთან დაპირისპირება კი, რომელიც ერთდროულად ამ ხელისუფლების მფარველობით სარგებლობს და თან, მეორე ხელით, გორში „ქართულ ოცნებას“ ებრძვის, არავის არ უნდა. რაღა დასამალია და ერთ დროს ქვეყანაში ყველაზე მრისხანე მინისტრის შიში საკრებულოს ზოგიერთ წევრს ჯერ არ განელებია. „ნაციონალები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ ოქრუაშვილს სთავაზობენ, „ქართული ოცნების“ მერი მოიშორონ და მერად მათი პარტიის წევრი აირჩიონ. თუმცა, ეს ვარიანტიც ჩიხშია შესული. ერთი, რომ, როგორც ამბობენ, ოქრუაშვილს ამის გაგონებაც არ უნდა, მას მერის პოსტზე მხოლოდ თავისი კაცი წარმოუდგენია. მეორეც, „ნაციონალები“ და „თავისუფალი დემოკრატებიც“ ვერ რიგდებიან ერთმანეთში, ორივეს უნდა, რომ გორის მერი მათი პარტიის წევრი გახდეს და მერის სავარძელი ჯერ ვერ გაუყვიათ. გორში კი ამბობენ, რომ გამორიცხული არ არის, ამ ორი ოპოზიციური პარტიის დეპუტატებმა, ბოლოს და ბოლოს, დათმონ ამბიციები და ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის წევრი მოიყვანონ მერად, კიდევ ერთხელ იმის საილუსტრაციოდ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გორში საერთოდ დაკარგა გავლენა და შესაბამისად, მართვის ბერკეტებიც. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას საკრებულოს დეპუტატები დამოუკიდებლად ვერ იღებენ და დასტურს საკუთარი პარტიების ცენტრალური ოფისებიდან ელიან.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



მეცნიერი გვიწვევს, მეცნიერი

# ჩვენთან გეები თურმე ისე იჩაგრებიან, საჯაროდ ვერ „ზასაობენ“ და ვერც სექსუალურ ურთიერთობას ამყარებენ!




**რა წერია კვლევაში — „ადამი და ადამი — გეი წყვილთა პრობლემები და ურთიერთობათა ნგრევის მიზეზები“**



ჩვენ, ქართველები, კარგახანია იმას ვჩივით, რომ გვაქვს დემოგრაფიული პრობლემები, ამ მხრივ ვიმყოფებით კატასტროფულ მდგომარეობაში და ასე შემდეგ. ოფიციალური მონაცემების თანახმად, მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა და ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა ვითარებამ კრიზისულ ზღვრამდე შეამცირა შობადობა და გაზარდა სიკვდილიანობა. მაგალითად, თუ 1980-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად, საშუალოდ, 94 ათასი ბავშვი იბადებოდა, ამჟამად ახალშობილთა რაოდენობა განახევრებულია. ამჯერად ამ თემაზე არ ვაპირებ საუბარს, როგორც ჩანს, ჩვენ დღეს გაცილებით დიდ უბედურებაში გვაქვს თავი გაყოფილი და უახლოეს ხანში უფრო მეტი პრობლემა გვექნება, ვიდრე გვგონია. მოგეხსენებათ, ამჟამად საქართველოში მიდის ბრძოლა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებისთვის და სექსუალური უმცირესობების „უბინო“ ცხოვრების უფრო მეტად წინა პლანზე წამოწევისთვის. ვის რაში სჭირდება ქართული ყოფის გაუკუღმართება, ეს სხვა თემაა, ამაზე ბევრი იწერება და ბევრს საუბრობენ, მაგრამ რასაც ახლა მოგახსენებთ, არ დაიჯერებთ, თუმცა ფაქტია: თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ჩვენს ქვეყანაში, ასევე, ძალიან დიდი „დემოგრაფიული“ პრობლემები ჰქონიათ გეი წყვილებს, ანუ მათი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ადამსა და ადამს. ცოტა ხნის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ბაზაზე ჩატარდა „სერიოზული“ კვლევა, რომელსაც უწოდეს: „ადამი და ადამი – გეი წყვილთა პრობლემები და ურთიერთობათა ნგრევის მიზეზები“ ავტორი – კობა ბიწაძე. სხვათა შორის, ეს კვლევა წარდგენილი იყო სტუდენტთა მე-3 კონფერენციაზე განხილვის მიზნით. ახლა კი დადგა დრო, კარგად ჩავიხედოთ „იდენტობის“ მიერ დადებულ დასკვნაში და ცოტა უკეთესად გავერკვეთ, რა ხდება „ადამისა და ადამის“ ბაღში. თავი პირველი – ურთიერთობის გამოხატვა. თურმე საქართველოში გამოკითხული გეებიდან თითქმის არც ერთი მონაწილე არ (ვერ) გამოხატავს სასიყვარულო-რომანტიკულ ურთიერთობას მამაკაცთან საჯარო სივრცეებში.

მეტიც, ისინი ურთიერთობას ნიღბავენ ძირითად შემთხვევებში წარმოაჩენენ, როგორც ორი ჰეტეროსექსუალი მამაკაცის მეგობრობას:

**„ერთადერთი გარეგნული ნიშანი, რაც სხვებისთვის მაინც შეუმჩნეველი რჩება, არის თვალებით კონტაქტი და მხარის გაკვრა“.**

გაიგონეთ? ჩვენთან გეები თურმე ისე იჩაგრებიან, საჯაროდ ვერ „ზასაობენ“ და ვერც სექსუალურ ურთიერთობას ამყარებენ, მათ დარჩათ მხოლოდ ერთადერთი გზა – თვალებით კონტაქტი და მხარის გაკვრა. ნუ, ახლა თვალებით კონტაქტი ჯანდაბას, მაგრამ ხომ შეიძლება მხარისა თუ ბეჭის გაკვრის დროს უბედური შემთხვევა მოხდეს, ერთ-ერთი დაეცეს და თავ-პირი დაიმტვრიოს?!

კვლევის თანახმად, თურმე საჯარო სივრცეებიდან გამონაკლისს მაინც წარმოადგენს გეი-კლუბები, სადაც არ ერიდებიან კოცნას. თუმცა ერთი, რომელმაც კაფეში გამოხატა საკუთარი გრძნობა პარტნიორის მიმართ, დისკრიმინაციის მსხვერპლი აღმოჩნდა და ამ ფაქტსაც იხსენებს:

> **„ჩემს ბოიფრენდთან ერთად ვიჯექი კაფეში ერთხელ და უბრალოდ მივეხუტე. ამ დროს დაცვა ამოვიდა და გაგვაფრთხილა, ნუ ეხუტებითო. არ „ვზასაობდით“ და ისეთ დღეში არ ვიყავით, რომ გოგოსთან და ბიჭთან რომ მიხვიდე და უთხრა, რომ სხვები ზიან და იქნებ არ „იზასაოთ“. თან არავინ არ იჯდა. უბრალოდ, კამერაში დაინახა, რომ მიხუტებული ვიყავი და მითხრა, გადაიხადე და გადიო“.**

ჩვენ არ ვიცით, რომელ კაფეში მოხდა ეს „ინციდენტი“, მაგრამ დარწმუნებული ვართ, დაცვის ამ წევრს უჩივლებდნენ და სამსახურიდან გააგდებდნენ. ისე, რა წესია, ადამიანს ჩახუტება მოუნდა და შენ კიდევ უშლი? რა მნიშვნელობა აქვს, ძმაო, ქალს ჩაეხუტება, კაცს, თუ „პოლის“ ჯოხს?!

როგორც „მკვლევარი“ კობა ბიწაძე აცხადებს, ყველაზე დაცული სივრცე გეი წყვილებისთვის მაინც ახლო სამეგობრო წრეა, სადაც გამოხატვის ფორმები უფრო მრავალფეროვანია. არ გაინტერესებთ, რა შედის ამ მრავალფეროვნებაში? თურმე ეს შეიძლება იყოს ერთმანეთთან ახლოს ჯდომა, ჩახუტება, კოცნა, მოფერება და ასე შემდეგ:

**„საჯარო სივრცეებში ურთიერთობის გამოხატვისგან თავის შეკავება ნაკლებად იყო შემაწუხებელი იმ ადამიანებისთვის, ვინც ამას სამეგობრო წრეში მაინც ახერხებდა, მაგრამ საპირისპიროს ამბობენ ის ადამიანები, ვისაც გამოხატვის შესაძლებლობა საერთოდ არ გააჩნდათ“.**

რას ამბობენ, ის ადამიანები, რომლებსაც საჯარო სივრცეში გამოხატვის შესაძლებლობა არ გააჩნიათ? რას და... „ოჯახები“ გვენგრევაო, ურთიერთობები გვიფუჭდება და ასეთი გაუნათლებელი საზოგადოება გვაიძულებს, ერთმანეთს დავშორდეთო. დასკვნაში არის შემდეგი თავი სათაურით: „დაშორების მიზეზები“, საიდანაც ირკვევა, რომ ბოლო პერიოდში გახშირდა კონფლიქტები:

**„ხასიათების შეუთავსებლობა, ღალატი, ტყუილი, მობეზრება, სექსუალურ პრაქტიკაში შეუთავსებლობა, ერთმანეთისთვის თავისუფალი დროის ვერგამოყოფა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დაშორების მიზეზებში არის ერთფეროვანი ურთიერთობა და მუდმივი მალვა“.**

თქვენი არ ვიცი და... მე უკვე გული მიკვდება, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ ფაქიზი გრძნობების ადამიანებს ამდენი პრობლემები ჰქონდათ. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

**„როდესაც ორი ადამიანი ერთმანეთს ხვდება ძალიან ხშირად მალულად, ის არის სტრესის ქვეშ და ბუნებრივია, შენც ხარ სტრესის ქვეშ, რომ ვიღაცამ არ გაიგოს ეს ყველაფერი... გიჭირს, ამ ადამიანს შეხედო სხვადასხვა კუთხიდან. ძალიან რთულია ერთად მარტო დარჩენილი ორი ადამიანის კომუნიკაცია. იქ ყოველთვის ჩნდება რაღაც ნაცრისფერი, აღარ არის ეს ყველაფერი მრავალფეროვანი. შენ არ გაქვს შესაძლებლობა, ეს ადამიანი დაინახო სხვადასხვა ადამიანებთან კომუნიკაციის დროს. შემდეგ ეს შესაძლებლობა, რომ არ გაქვს რაღაცები, თავისთავად ხდება დაშორება“.**

მკვლევარის მტკიცებით, უმეტეს შემთხვევაში რესპონდენტები ამბობენ, რომ მათი ურთიერთობების გადარჩენა შესაძლებელი იყო. მართალია, ურთიერთობათა ნგრევის მიზეზებს საკუთარ და პარტნიორთა თავებში ეძებენ, მაგრამ მაინც მიიჩნევენ, რომ აუცილებელია გარემოს მხრიდან მხარდაჭერაც. გარემო – ეს შენ ხარ, პატივცემულო საზოგადოებავ, რომელმაც ყველაფერზე თვალი უნდა დახუჭო, რაც შესაძლებელს შესაძლებელს გახდის, გეები არ დაიმალონ და ურთიერთობები ჯანსაღად განვითარდეს.

ალბათ, გახსოვთ, 2015 წლის ბოლოს გავრცელდა ხმები, თითქოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შედიოდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც ქუჩაში, სკვერებში, ტრანსპორტში თუ საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში აიკრძალებოდა კოცნა, პროშნა და მტლაშა-მტლუში, არ ექნებოდა მნიშვნელობა, გეი იქნებოდა, ლესბოსელი თუ ჰეტერო. საბოლოოდ ადმინისტრაციული კოდექსის 171-ე მუხლი ასე ჩამოყალიბდა:

**„სპირტიანი სასმელების სმა ქუჩებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია, ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფ მდგომარეობაში ყოფნა, — გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე“.**

დაუკვირდით, მართალია, აქ თავიდან ბოლომდე ლოთობაზეა საუბარი, მაგრამ არის ერთი ფრაზა, რომელიც შესაძლებელია მტლაშა-მტლუშის დროსაც წამოგიყენონ: „ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფ მდგომარეობაში ყოფნა“. პირადად მე დარწმუნებული ვარ, ქალი რომ ჩავაყენო „საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში“, ისეთ ჯარიმას ამაკრავენ, მთელი ცხოვრება ველარ ამოვისუნთქავ, მაგრამ გეებს იქით აქვთ პრეტენზიები, საჯარო სივრცეში უნდა „ვიზასაოთ“ და ტაში დაგვიკარითო!

კიდევ ერთი მაზალო თავი ამ კვლევაში: რა მოლოდინები, ანუ როგორი გემოვნება აქვთ ჩვენს ფაქიზ გეებს და როგორია იდეალური პარტნიორი მათ წარმოსახვაში? ძირითადი კრიტერიუმები კი ასეთია: ფიზიკურად ლამაზი, დამოუკიდებელი, შეეძლოს სითბოს გამოხატვა, იყოს ერთგული, იყოს დასაქმებული, ჰქონდეს მიღებული განათლება. რა ვიცი, ხალხო, ეგეთი ერთი დიმიტრი იყო გელოვანი და როგორც ამბობენ, ისიც გეი არ ყოფილა.

„იდენტობის“ კატასტროფული დასკვნა: საქართველოში ურთიერთობის ხანგრძლივად შენარჩუნებასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა უმეტესობა სამომავლო პერსპექტივებს ვერ ხედავს:

> **„გეები ხშირად იტანჯებიან იმით, რომ ვერ პოულობენ ისეთ პარტნიორს, ვინც გრძელვადიანი ურთიერთობით არის დაინტერესებული. ამ პრობლემას, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიზეზები აქვს, მაგრამ არსებობს ერთი საერთო რამ — გეები არიან დაჩაგრულები. ისინი იჩაგრებიან დაბადებიდანვე, როდესაც იზრდებიან ჰეტერონორმატიულ გარემოში და ეს ქმნის სირთულეებს“.**

გაიგონეთ, რას გვეუბნებიან? გეები იჩაგრებიან დაბადებიდანვე იმიტომ, რომ ჰეტეროებთან ერთად იზრდებიანო. ტყუილი, ტყუილი და ტრაკში პერო! ჯერ ერთი, დაბადებიდანვე არავინ იცის თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და მეორეც – რა გავაკეთოთ, ჰეტეროები გადავასახლდეთ სადმე კუნძულზე, რათა გეები თავიანთივე გარემოში გაიზარდონ? იქნებ პირიქით გაგვეკეთებინა და გეები გადაგვესახლებინა რომელიმე კუნძულზე?!

დაბოლოს, როგორ უნდა მოვიქცეთ, რა უნდა გავაკეთოთ, რომ აღარ დაენგრათ გეებს „ოჯახები“? უნდა დავაკანონოთ ერთსქესიანთა ქორწინება. სხვათა შორის, ერთსქესიანთა ქორწინებას ჩვენში ბევრი ზერელედ უყურებს, მაგრამ არც ასეა საქმე, დაკანონების შემდეგ შესაქმნელია საკანონმდებლო ბაზა, სადაც ჩაიწერება, ვინ რომელ პოზიციაზე იქნება, ანუ ვინ ასრულებს მდედრის როლს და ვინ – მამრის. ასევე, უნდა ჩაიწეროს, „ოჯახის“ დანგრევის შემთხვევაში ვის რა ვალდებულება ეკისრება და ვის რა ქონება ერგება. მოხვედი, მიხმარე, წახვედი, ეგრე აღარ იქნება, ძმაო... თუ ბავშვს აიყვანენ, იქ ალიმენტიც უნდა იხადონ, თუ თანაცხოვრების პერიოდში შეიძენენ ქონებას, მერე შუაზე უნდა გაიყოს და ასე შემდეგ. ბუნებრივია, ასეთი რეგულაციების შემოღება შედარებით შეაკავებს „ოჯახების“ დანგრევის პროცესს და იმედია, ისე „გავმრავლდებით“, ცოტა ხანში მთელ დუნიაზე ჩვენ ვიქნებით!



## ოღონდ ჯიბეები გაივსონ, ბავშვების ჯანმრთელობასაც კი იკიდებენ ფეხებზე!



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ფალსიფიკაციის ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა რძის პროდუქტების მწარმოებელი და რეალიზატორი საწარმოების – შპს „ნამდვილი პროდუქტების“, შპს „ამირანი XXI“-ს და შპს „ჯიესენ“-ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები: თევდორე გარიშვილი, კონსტანტინე შარვაშიძე, ნინო გიორგაძე, ნინო ბერაია, სერგო ჩარგეიშვილი და ავთანდილ გაგუა.

გამოძიებით დადგენილია, რომ აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელ პირებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე ჰქონდათ ვალდებულება, რძის ნაწარმით საბავშვო ბაგა-ბაღები რუსთავში მოემარაგებინათ.

– ბრალდებულები შემოსავლის გაზრდისა და დანახარჯის შემცირების მიზნით, რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევით, იაფფასიანი მინარევების გამოყენებით აწარმოებდნენ ფალსიფიცირებულ კარაქს და უწევდნენ რეალიზაციას საბავშვო ბაგა-ბაღებში. გარდა ამისა, სხვადასხვა სპრედების ერთმანეთში გადარევის გზით, ბრალდებულები იღებდნენ უხარისხო პროდუქციას, აფასოებდნენ, როგორც ნამდვილ ნაღებ კარაქს და ამარაგებდნენ რუსთავის ათეულობით საბავშვო ბაგა-ბაღს. საგამოძიებო სამსახურის მიერ არაერთი საბავშვო ბაღიდან და ხსენებული საწარმოებიდან ამოღებულია ფალსიფიცირებული პროდუქცია, რაზეც ჩატარდა ექსპერტიზა და კარაქში, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, რძის ცხიმის შემცველობა აღმოჩნდა მცირე და ის ნაწარმოები იყო სხვა იაფფასიანი მცენარეული ცხიმებისგან, – წერია განცხადებაში.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე. (tabula.ge)

## „სანამ პერსონალურად არ შეეხო, მანამდე რატომ არ იყო პრინციპული მათი პოზიცია“ — ვაშაძე ალასანიას განცხადებაზე

– სანამ პერსონალურად არ შეეხოთ ეს საკითხები, მანამდე არ მოგვისმენია ჩვენ „თავისუფალი დემოკრატების“ პოზიცია და მორალის კითხვას ვისმენთ ახლა ჩვენ, – ასე უპასუხა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ირაკლი ალასანიას მიერ „არჩევანის“ ეთერში გაკეთებულ იმ განცხადებებს, სადაც „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ფარულ მიყურადებასა და ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ შანტაჟზე საუბრობდა. ალასანიას თქმით, ასეთ ფაქტებზე ხელისუფლებამ უნდა აიღოს მოქალაქეების დაცვაზე ვალდებულება.

– დაუსვით კითხვა, ხვედელიძემ რომ გაავრცელა კადრები, რატომ არ იყო პრინციპული? იმავე ბარამიძესთან მიმართებაში, სანამ პერსონალურად არ შეეხო მის თანაგუნდელებს, მანამდე რატომ არ იყო პრინციპული? მის თანაგუნდელებთანაც მქონია დებატები, სადაც ამართლებდნენ ხელისუფლების პოზიციას, – მიმართა გიორგი ვაშაძემ ირაკლი ალასანიას. (ნიუპოსტი)

## მაია ფანჯიკიძე: „რესპუბლიკელებთან“ არანაირი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს



„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი წევრი მაია ფანჯიკიძე, გავრცელებულ ინფორმაციას აფასებს, რომლის მიხედვითაც საპარლამენტო არჩევნებზე „რესპუბლიკელებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ გაერთიანება განიხილება.

– ამის თაობაზე უკვე გაკეთდა კომენტარი. არანაირი მოლაპარაკებები არ ყოფილა, არც იქნება. ეს განხილვის დონეზეც არ არის. ჩვენი პარტია არჩევნებზე გასვლას დამოუკიდებლად აპირებს. ჩვენ ეს უკვე განვაცხადეთ 2014 წლის ნოემბერში, როდესაც გამოვედით კოალიციიდან და არაფერი არ შეცვლილა, – აცხადებს მაია ფანჯიკიძე. (primetimenews.ge)

## ცხრა თვის შემდეგ ლიკა კიკიანმა მუქარის შემცველი მესიჯები ისევ მიიღო

კუს ტბის საბაგიროსთან მომხდარი ინციდენტიდან ცხრა თვის შემდეგ ლიკა კიკიანმა „ფეისბუკ“-გვერდზე მუქარის შემცველი მესიჯები ისევ მიიღო. დაუდგენელი პირი მესიჯებში ლიკას უშვერი სიტყვებითაც მოიხსენიებს, აგინებს, ემუქრება, რომ ვაკეში გასვლის უნდა ეშინოდეს და რაც მთავარია, იმ შემთხვევაში, თუ ეს მესიჯები გასაჯაროვდება, ის, რაც კუს ტბაზე მოხდა, ლიკასთვის მონაგონი იქნება.

კონკრეტულად ვინ არის ამ მესიჯების ავტორი, ლიკა კიკიანმა არ იცის, თუმცა მესიჯებში რამდენიმე ისეთი ფრაზა ამოიკითხა, რაც ვარაუდს უჩენს, რომ ის აუცილებლად პოლიციელია და, სავარაუდოდ, მის დაკითხვასაც ესწრებოდა.

ლიკა კიკიანისთვის გამოცანად რჩება, რას უკავშირდება თითქოს მივიწყებული საქმის ხელახალი გააქტიურება. თითქოს პოლიციელებს მისი დაშანტაჟების ინტერესი აღარ უნდა ჰქონდეთ, რადგან საქმე ოფიციალურად ისევ ძიებაშია, მაგრამ 9 თვის განმავლობაში არავინ დასჯილა.

ლიკა კიკიანს ახლა ყველაზე მეტად ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნება სურს, ამბობს, რომ არც მაშინ შეშინებია, როდესაც მას და მის მეგობრებს ემუქრებოდნენ და არც ახლა ეშინია, თუმცა, თუ მუქარა სისტემატურ სახეს მიიღებს და დამნაშავეები დაუსჯელები დარჩებიან, იძულებულები გახდება სამშობლო კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე სამუდამოდ დატოვოს. (rustavi2.com)

ლაურა აბრამია
591 97-67-09





ბოლოდროინდელმა ფართომასშტაბიანმა ტერორისტულმა აქტებმა ევროპაში კიდევ ერთხელ წამოწია თემა, რომ თითქოს ცნობილი ბულგარელი წინასწარმეტყველის ვანგას მიერ ეს ყველაფერი ნაწინასწარმეტყველებია. გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ ამას წინათ წერდა, „ვანგას თანამედროვე მიმდევრები და შეთქმულების თეორეტიკოსები ბოლო დროს სულ უფრო ხშირად იხსენებენ მის წინასწარმეტყველებებს და

1989 წელი – ტერორისტების თავდასხმაზე ნიუ-იორკში ტყუპ ცათამბჯენებზე.

მან ისიც იწინასწარმეტყველა, რომ აშშ-ს 44-ე პრეზიდენტი აფროამერიკელი იქნებოდა, თან უკანასკნელი.

ახლა ვნახოთ, რა იწინასწარმეტყველა ბულგარელმა ნათელმხილველმა 2016 წლიდან...

2016 წელი – „მუსლიმანები“ შეიჭრებიან ევროპაში, რომელიც შეწყვეტს არსებობას ახლანდელი სახით. მისი გაპარტახება გაგრძელდება მრავალი წელი.

3797 წელი – კაცობრიობა დაეუფლება ახალ ვარსკვლავურ სისტემას.

სტატიის მიხედვით, ვანგა ასევე ამბობდა: „რუსეთს ვერავინ ვეღარ შეაჩერებს. თავისი გზიდან ყველას ჩამოიშორებს და არა მხოლოდ გადარჩება, არამედ მთელი მსოფლიოს მბრძანებელი გახდებაო“.

„2016 წლის დასრულებამდე ევროპა ისეთი სახით, როგორც ახლაა, შეწყვეტს არსებობას. ისლამისტები ქიმიურ იარაღს ევროპელების წინააღმდეგ გამოიყენებენ. ყველაფერი კი 2043

# თამაზ ჭეიშვილი: „ვანგას ეს წინასწარმეტყველებები მითხრა, არავისთვის მომიყოლია, რადგან



„ქართველები ძალიან სტუმართმოყვარე ხალხი ხართო, მაგრამ ისე გაბოროტდებითო, რომ ერთმანეთს დაერევითო, უფრო მეტ სისხლს დაღვრით ერთმანეთისასო“



„აი, თქვენი ქართველი ახლა რომ მოსკოვშია (შევარდნაძე), ის ჩამოვა და საქართველოს პრეზიდენტი გახდებაო, მაგრამ მანამდე თქვენ სხვა პრეზიდენტი გეყოლებათ, რომელსაც მოკლავენო, ვინ მოკლავს-მეთქი“



წელს ევროპული ხალიფატის შექმნით დამთავრდება, რომლის ცენტრიც რომში იქნება“. – ნათქვამია „ნიუ-იორკ პოსტში“.

სრულიად განსხვავებულად აღწერს ცნობილი წინასწარმეტყველის ამ და სხვა მსოფლიო მნიშვნელობის

ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებსაც უკავშირებენ“... სტატიის ავტორი აქვე დასძენს, რომ მკითხველს შეიძლება ეს ყველაფერი ზედმეტად დრამატიზებული მოეჩვენოს, მაგრამ ნიშანდობლივიაო, რომ ვანგას წინასწარმეტყველებები თითქმის ყველაფერი ახდაო და იქვეა არასრული ჩამონათვალი, რა დროს რა მოხდებოდა ვანგას წინასწარგანჭვრეტით:

1950 წელი – ვანგა საუბრობდა გლობალურ დათბობაზე.

2023 წელი – დედამიწის ორბიტა შეიცვლება.

2025 წელი – ევროპის მოსახლეობა პრაქტიკულად გაქრება.

2028 წელი – ადამიანები ვენერაზე დასახლდებიან.

2033 წელი – პოლარული ყინულები გალღვება და ზღვის დონეები მოიმატებს.

2043 წელი – ევროპა გადაიქცევა ისლამურ ხალიფატად დედაქალაქით რომში. დედამიწაზე ეკონომიკური ბუმი იქნება.

2084 წელი – ბუნების აღორძინება.

მოვლენების განჭვრეტას ცნობილი ქართველი ექსტრასენსი, ჟურნალისტი თამაზ ჭეიშვილი. ის ზემოხსენებულ სტატიაში ნათქვამს სრულიად გადაჭარბებულს უწოდებს. ის იყო პირველი ქართველი, ვინც ვანგას შეხვდა 80-იან წლებში. მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონიათ, უსაუბრიათ როგორც ისლამურ საფრთხეზე, ასევე მოვლენებზე, რომლებიც საქართველოში განვითარდებოდა....

**თამაზ ჭეიშვილი:**

– ეს იყო 1987 წელს, მე მიმიწვიეს ჯერ მოსკოვში ცნობილ გადაცემა „ვზგლიადში“, ამის შემდეგ დამიკავშირდა ბულგარელი ჟურნალისტი, ტელეწამყვანი სტას პოპოვი, სხვათა შორის, ვანგა ხორვატი იყო წარმოშობით და არა ბულგარელი, სოფელი პეტრიჩიდან... ჯერ იქ ჩამიყვანა ამ კაცმა, ის ორსართულიანი აივნებიანი სახლი მაჩვენა, სადაც ვანგა ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ წავედით სოფელ „რუპიტეში“, სადაც, ასევე, პატარა სახლი ჰქონდა და იქ იღებდა ხალხს. როცა მივედით, ვანგას სახლის წინ აუარება ხალხი იცდიდა, ასევე ჰქონდათ კარვები, სადაც კვირაობით უცდიდნენ თავიანთ რიგს. სტასმა მითხრა, რომ გავჩერებულიყავით. მითხრა, ამ ხალხს ხომ ვერ გადავახტებითო, მერე ცოტა ხანში მე უკანა ეზოდან შევალ და ვეტყვი, რომ მიგვიღოსო... არ გასულა 10 წუთი და ვანგას სახლიდან ვიღაც კაცი გამოვიდა და დაიძახა, აქ საქართველოდან ვინ არისო? მე გავჩუმდი, გავიხედ-გამოვიხედე, მე ვარ-მეთქი, ვუთხარი, მობრძანდით, ვანგა თქვენ გიხმობთო. სოფიიდან წამოგვყვნენ ჟურნალისტი ქალები, ოთხნი იყვნენ, ისინიც შემოგვყვნენ. რომ შევედით, იყო გრძელი ვიწრო ოთახი, ფანჯარასთან მაგიდა იდგა და ამ მაგიდასთან გრძელი ფიცრული სკამები რომაა, ისეთზე იჯდა დედაბერი, ჩვეულებრივი სოფლის მოხუცი, თავზე ხილაბანდწაკრული, თვალები დაშრეტილი ჰქონდა, მივხვდი, რომ ეს ვანგა იყო. ის კაცი, როგორც აღმოჩნდა, მისი თანაშემწე იყო. რომ შევლაგდით ამდენი ხალხი, ვანგამ ამ ქალებს მიმართა: თქვენ აქედან წაეთრიეთო, ამ ნათელ კაცს რომ მოჰყევითო, თქვენ აქ არაფერი გესაქმებათო და გაყარა ისინი. სტას პოპოვს უთხრა, – შენ დარჩიო. იცით, რომ ვერ ხედავდა, მაგრამ ისე გვესაუბრებოდა, თითქოს გვიყურებდა. მოდით, დაჯექით ჩემს წინო. წინ ედგა იგივენაირი გრძელი სკამი, ჩამოვსხედით, სტას პოპოვს გულზე შავი ბაფთა ეკეთა, რამდენიმე ხნის წინ მამა გარდაეცვალა... ეუბნება, ეს ბაფთა რომ გიკეთიაო, აი, მამაშენი ახლა აქა დგასო და შენზე გაბრაზებულიაო, რატომ დააგვიანე მის დაკრძალვაზეო? – სტასი დაიბნა, გათეთრდა, დიახ, საფრანგეთში ვიყავი და ფრენა არ იყოო, საფლავზე ძლივს მივუსწარი ბოლო წუთებში დაკრძალვას, სანთლის დანთებაც ვერ მოვასწარიო. მერე ეუბნება, ეს კაცი, „გრუზინეცი“ რომ მომიყვანე აქაო, ამას რა ჩემი მოყოლა უნდაო, ყველაფერი ჩემზე კარგად იცისო, მე მომმართავს უკვე: გარშემო ძალიან ბევრი ხალხი გახვევიაო, ამერიკაში გინდა წასვლაო. მართლაც ვაპირებდი. 3-4 წლის მერე წახვალო, მაგრამ იქ ვერ გაძლებო. ვერც ერთ ქვეყანაში ვერ გაჩერდები, გამძაფრებული ნოსტალგია დაგემართება და დაბრუნდები ისევო. მართლაც ასე იყო, ცნობილი ამბავია, რომ ნოსტალგიისგან გულის დაავადებაც კი დამემართა...

**— ბატონო თამაზ, საქართველოზე რა გელაპარაკათ? კონკრეტულად რა და როგორ თქვა?**

– დიახ, იქამდეც მივალ. რასაც ახლა გიყვებით, ჯერ არავისთვის მომიყოლია, იმიტომ რომ მაშინ მის ნათქვამს ვერ ჩავწვდი. მე, რა თქმა უნდა, ბულგარული ენა არ მესმოდა, სტასი მითარგმნიდა სიტყვასიტყვით ყველაფერს... დიახ, საქართველოზე ძალიან ბევრი ილაპარაკა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სიცრუეა, როცა ვიღაცები ამტკიცებენ, თითქოს ის მოვლენებს ათარიღებდა, ის წლებს არასდროს არ ასახელებდა. მოკლედ მივყვეთ, მან თქვა,

# საქართველოს შესახებ, რაც მან პირადად მე მაშინ მის სიტყვებს ვერ ჩავწვდი!“



**„სტას პოპოვს გულზე შავი ბაფთა ეკეთა, რამდენიმე ხნის წინ მამა გარდაეცვალა... ეუბნება, ეს ბაფთა რომ გიკეთიაო, აი, მამაშენი ახლა აქა დგასო და შენზე გაბრაზებულიაო, რატომ დააგვიანე მის დაკრძალვაზეო? — სტასი დაიბნა, გათეთრდა, დიახ, საფრანგეთში ვიყავი და ფრენა არ იყოო“**




**„ქართველები ძალიან თბილი ხალხი ხართო, თქვენი სამშობლოს გარეშე ვერსად ვერ გაძლებთო და დადგება დრო, რომ მასობრივად გაიქცევა ხალხი თქვენი ქვეყნიდანო, ვხედავ, რომ მიდიან და მიდიანო, თუმცაო, იმ შიმშილში და უბედურებაში რა გააჩერებთო...“**

**„ეს ომი ყველა ომზე საშიში იცი, რითიაო? ადამიანები მიწებზე, ძალაუფლებებზე, მდგომარეობისთვის და ა.შ. რომ იბრძვიან, ეს სხვა რამეა, მაგრამ წარმოიდგინე, როდესაც კაცი შევა ხალხმრავალ შენობაში ან მოედანზე და თავს აიფეთქებსო, იმას რამე უნდაო? ეს ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი ბრძოლა იქნება კაცობრიობის წინააღმდეგო, მე ალალად გეტყვით, მაშინ ვერაფერი ვერ გავიგე მისი ამ სიტყვებიდან...“**

– საქართველოში რამდენიმე წელში, დედაქალაქში ძალიან ბევრი სისხლი დაიღვრებაო, ამას საბჭოთა ჯარისკაცები გააკეთებენო. გადავხედე სტას პოპოვს, მერე, აირ-დაირევა თქვენი ქვეყანაო, ქართველები ძალიან სტუმართმოყვარე ხალხი ხართო, მაგრამ ისე გაბოროტდებითო, რომ ერთმანეთს დაერევითო, უფრო მეტ სისხლს დაღვრით ერთმანეთისასო. აი, დიდი ქვემეხი ხომ გინახავსო, აი, ასეთი ქვემეხებით დაერევით ერთმანეთსო. ამ დროს ხელები აუკანკალდა, აღელდა, მეც თმები ლამის ყალყზე დამიდგა... სახლები დაიწვება, დაინგრევაო, მერე ეს ცეცხლი და სიკვდილი მთელ საქართველოს მოედებაო. სიცივემ დამიარა ტანში, ამას ამბობდა ვანგა, და არა ვინმე თვითმარქვია. ვიცოდი, რომ ეს ადამიანი თავისი შესაძლებლობებით ნოსტრადამუსს უტოლდებოდა... უცებ გავიფიქრე, ვაიდა ახლა ისეთი რაღაცა მითხრას ჩემზე ან ჩემს ოჯახზე, რომ აქვე გული გამისკდეს-მეთქი, გაფიქრება ვერ მოვასწარი და მეუბნება: ნუ გეშინიაო, მე შენ ისეთ რამეს არ გეტყვიო, შენ შენი მეუღლისთვის წამალს ეძებო, ეს საშიში არააო და გეტყვი, რა უშველისო. მართლაც ასე იყო... კიდევ რა მოხდება-მეთქი? კიდევ რა მოხდება, რომ გითხრა, მაგარი გული გაქვსო? ხომ გაქვს მაგარი გული და გეტყვიო. რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიას დაიპყრობსო, როგორ-მეთქი? როგორ და საჰაერო სივრციდანო, ტანკებით, იარაღითო, კონკრეტულად ჩეჩნეთი არ უთქვამს, მერე კარგა დიდი დრო გავაო, თქვენი ქვეყანა დიდი ხანი არ დამშვიდდებაო, ბევრი ვილაც შეეწირება, ბევრი გმირი, ბევრი მოღალატე გამოიკვეთებაო... თქვა, – რუსეთს არ ეჩხუბოთო, ნუ გამოიწვევთო, რუსეთის ამერიკასაც კი ეშინიაო, დადგება დრო, რუსეთი და ამერიკა შეთანხმებულად იმოქმედებენო. ვფიქრობ, გაგანია საბჭოთა კავშირია, მართალია, „პერესტროიკა“ უკვე დაწყებული იყო, მაგრამ რა ურთიერთობა უნდა გავიფუჭოთ რუსეთთან-მეთქი?.. საქართველოს რაც შეეხება, ისევ განაგრძო და თქვა, აი, თქვენი ქართველი ახლა რომ მოსკოვშია, შევარდნაძეზე, ის ჩამოვა და საქართველოს პრეზიდენტი გახდებაო, მაგრამ მანამდე თქვენ სხვა პრეზიდენტი გეყოლებათ, რომელსაც მოკლავენო. ვინ მოკლავს-მეთქი, რა მნიშვნელობა აქვსო, მოკლავენ და მერე ჩამოვა ის მეორეო. ის კაცი, პირველი პრეზიდენტი ვინც იქნება, ახლა ავადააო. მართლაც პრეზიდენტ გამსახურდიას დაცვის სამსახურის უფროსს შემდგომ, როცა ზვიადი იყო მმართველობაში, ვიცნობდი და ნათქვამი ჰქონდა, ფეხები ისე უსივდება ზვიადს, რომ ფეხსაცმელს ვერ იცვამსო.

**— იცოდით, რომ ის შეიძლება მართლა მოეკლათ და არავისთვის არაფერი გითქვამთ?**

– იმ დაცვის უფროსმა მთხოვა, იქნებ უმკურნალოო, მაგრამ მაშინ ისეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში იყვნენ, რომ მასთან მიახლოება შეუძლებელი იყო, თან ვიცოდი, რომ ზვიადს ვერ მოვარჩენდი, მე გაცნობიერებული არ მქონდა ყველაფერი, რაც ვანგამ მითხრა, წარმოუდგენლადაც მიმაჩნდა, მივსულიყავი და მეთქვა, მე ვანგამ მითხრა, რომ უნდა მოგკლანო, დამიჯერებდა? იმ პერიოდში ის არავის ენდობოდა მაინცდამაინც და მე ვინ ვიყავი?

**— კიდევ რა გითხრათ საქართველოსა და ქართველებზე?**

– იცი, რა არისო? აი, ქართველები ძალიან თბილი ხალხი ხართო, თქვენი სამშობლოს გარეშე ვერსად ვერ გაძლებთო და დადგება დრო, რომ მასობრივად გაიქცევა ხალხი თქვენი ქვეყნიდანო, ვხედავ, რომ მიდიან და მიდიანო, თუმცაო, იმ შიმშილში და უბედურებაში რა გააჩერებთო... წარმოგიდგენიათ, როდის მეუბნება ამას? მაშინ ეს ყველაფერი ჩემს თავში აირ-დაირია. სიმართლე გითხრათ, ამ გადასახედიდან დავალაგე და მივხვდი, როცა ეტაპობრივად ყველაფერი აცხადდა, სამწუხაროდ... კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ კონკრეტულ წლებსა და ციფრებს არ ასახელებდა. მინდა არ გამომრჩეს, ასევე, რაც ძალიან მენიშნა, – თქვენი ქვეყანა ერთ-ერთ ეპოქაში იყო ძალიან ძლიერი და დამოუკიდებელიო, ეს დავით აღმაშენებლის ეპოქა იგულისხმა, ალბათ, მას მერე ხან აღმოსავლეთზე ხართ დამოკიდებული, ხან ჩრდილოეთზეო, სულ ასე იქნება, მე კოსმოსიდან ვხედავ თქვენი ქვეყნის მდებარეობას, ორ ზღვას შუა არისო, ეს თქვენი გასასვლელი ყველას ერთნაირად აინტერესებს, ამიტომ ღია გასასვლელ-გამოსასვლელად დარჩებაო...

**— რაც შეეხება საუბარს ისლამური სამყაროს მიერ ევროპაზე გაბატონებაზე, ამის შესახებ რა ისაუბრა თქვენთან?**

– მე მას ვკითხე, მესამე მსოფლიო ომზე რომ მიდის ლაპარაკი, რეალურად მოხდება თუ არა-მეთქი. მან მითხრა, მესამე მსოფლიო ომი, ფაქტობრივად, 21-ე საუკუნეში შეუმჩნევლად დაიწყებაო, ვერავინ მიხვდება რეალურად, რომ ეს მესამე მსოფლიო ომიაო, ეს ომი ისლამური სახელმწიფოებიდან წარმოიქმნება, ახლო აღმოსავლეთიდან წამოვა და მთელ მსოფლიოს მოედებაო. ახლა ხომ ექიშპებიან ერთმანეთს რუსეთ-ამერიკა, ასევე ბევრი ქვეყანა, აი, მაშინ, მთელი მსოფლიო გაერთიანდება, ამ საფრთხეს წინ რომ აღუდგესო, ეს ომი ყველა ომზე საშიში იცი, რითიაო? – ადამიანები მიწებზე, ძალაუფლებებზე, მდგომარეობისთვის და ა.შ რომ იბრძვიან, ეს სხვა რამეა, მაგრამ წარმოიდგინე, როდესაც კაცი შევა ხალხმრავალ შენობაში ან მოედანზე და თავს აიფეთქებსო, იმას რამე უნდაო? ეს ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი ბრძოლა იქნება კაცობრიობის წინააღმდეგო, მე ალალად გეტყვით, მაშინ ვერაფერი გავიგე მისი ამ სიტყვებიდან...

**— რამე არ გენიშნათ მაშინ? ან ახლა ამ ყველაფრის ფონზე, როცა რეალურად ფანატიზმისა და იდეოლოგიის დონეზე ღიად რომ იბრძვის ისლამური სამყარო, როგორ ხსნით ვანგას ამ სიტყვებს, იქნებ ნაწილობრივ ახდა თუ დადგა ის ჟამი, რომელზეც ის საუბრობდა?**

– იცით, რა? ამის შესახებ

### წინასწარმეტყველება

ვანგას მარტო ჩემთვის არ აქვს ნათქვამი, რაკი გამუდმებით მიდის ამაზე საუბარი, გაზეთები პერიოდულად აქვეყნებდნენ ვანგას წინასწარმეტყველებებს მაშინ და ახლა გაიხსენეს, მაგრამ ზოგიერთები წლებს ასახელებენ, იმდენი ხანი დავყავი მასთან, არც ერთი წელი არ დაუსახელებია, ამიტომ მიმაჩნია, რომ ვიღაცების მოგონილია ეს თარიღები. სხვათა შორის, არც ნოსტრადამუსი არ ასახელებდა თარიღებს. რაც შეეხება მსოფლიოს დაპყრობას, მან შემდეგნაირად თქვა, ეს ისლამური უბედურება მთელ მსოფლიოს დაატყდება თავსო, ახლა რომ ჰგონიათ, მათი სამიზნე მარტო ისრაელიაო, არაო, მთელ მსოფლიოში მოხდება თავდასხმები, მათ შორის ამერიკაშიცო. ამიტომ, სადაც კი სისხლი დაიღვარა მე-20 საუკუნეშიო, სადაც კი თოფი გავარდაო, სულ რუსეთისა და ამერიკის ხელი ურევია, დადგება დრო და, როდესაც ისლამური საფრთხე მოედება ყველაფერს, ეგენი მოკავშირეები გახდებიანო, თუმცა, ყველაფერი ისევ რუსეთისა და ამერიკის წამოწყებული იქნება და მერე ესენი ველარ გააკონტროლებენო. მან ასევე სიტყვასიტყვით თქვა, რომ საერთოდ არ შეიძლება მაჰმადიანური სახელმწიფოების განაწყენება, ეს ძალიან სახიფათოაო...

## ჩრდილოეთ ოსეთში „რუსთავისა“ და „ბანის“ კონცერტები ანშლაგით ჩატარდა



ვლადიკავკაზში, ჯგუფი „ბანი“ რუსეთში პირველი ფედერალური საგასტროლო ტურნეს ფარგლებში ჩავიდა. ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში, სადაც 28 მარტს ქართული ფოლკჯგუფი ოსი მაყურებლის წინაშე პირველად წარდგა, სრული ანშლაგი იყო.

ქართული სახელმწიფო ანსამბლის „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფის ფრიდონ სულაბერიძის თქმით, ჩრდილო ოსები მათ უმაღლეს დონეზე დახვდნენ:

– მიუხედავად იმისა, რომ სეპარატისტები ცხინვალიდან კატეგორიულად ითხოვდნენ ორივე ამ ღონისძიების ჩაშლას და 50-კაციანი ორგანიზებული პიკეტიც მოაწყვეს, ვლადიკავკაზელები „რუსთავსაც“ ოვაციებით შეხვდნენ, აქაც ყველა ბილეთი გაიყიდა. ჩვენ ვართ ხელოვანი ხალხი, ჩვენ ვაჩვენებთ ჩვენი ქვეყნის ხელოვნებას. არაფერი აქ პოლიტიკური არ არის, ჩამოვედით, რომ იყოს მშვიდობა, რომ ვიყოთ ერთმანეთთან კარგად, აქაური მხარე არაჩვეულებრივად დაგვხვდა... (pia.ge)

## ნადეჟდა სავჩენკოს გაცვლაზე აშშ უარს აცხადებს



ნადეჟდა სავჩენკოს გაცვლაზე აშშ უარს აცხადებს. უცხოური მედიის ინფორმაციით, უკრაინული მფრინავის გაცვლის წინადადებით აშშ-ს რუსულმა მხარემ მიმართა.

აშშ-ის საელჩოს პრესმდივან უილიამ სტივენსის განცხადებით, მსგავს წინადადებას ვაშინგტონი არ განიხილავს.

„ვაშინგტონი არ განიხილავს ვიქტორ ბუტსა და კონსტანტინ იაროშენკოზე უკრაინელი მფრინავის გაცვლას. მსგავს შესაძლებლობას ჩვენ არც განვიხილავთ“.

აღნიშნულ საკითხს უკრაინაში აშშ-ის ელჩი ჯეფრი პაიეტი გამოეხმაურა და დიპლომატმა გავრცელებულ ინფორმაციას სასაცილო უწოდა.

ცნობისთვის, რუსი მფრინავის კონსტანტინ იაროშენკოს ექსტრადირება ლიბერიიდან აშშ-ში 2010 წელს მოხდა. მას ნარკოტიკების კონტრაბანდისტობაში დასდეს ბრალი.

2011 წელს სასამართლომ მას 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

რაც შეეხება ბიზნესმენ ვიქტორ ბუტს, ის 2008 წელს ტაილანდში დააკავეს და აშშ-ში იქნა ექსტრადირებული. იარაღის უკანონო ვაჭრობის გამო, სასამართლომ მას 25-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. (pia.ge)

## ვახტანგ ხმალაძე — სუს-ის ანგარიში არის ზედმეტად ზოგადი და კონკრეტიკა აკლია



– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში არის ზედმეტად ზოგადი და მას მთელ რიგ საკითხებში კონკრეტიკა აკლია, – ასე შეაფასა სუს-ის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ.

– მე ვგულისხმობ კონკრეტიკას როგორც ღია ინფორმაციის ნაწილში, ასევე, შესაძლებელია, ყოფილიყო რაღაც ისეთი, რაც შეიძლება დახურულ რეჟიმში თქმულიყო. ამიტომ გავითვალისწინოთ, რომ ეს არის ამ სამსახურის პირველი ანგარიში. აქედან გამომდინარე, ობიექტური თუ სუბიექტური დამოკიდებულებით რა შეიძლება ვთქვათ, რა შეიძლება არ ვთქვათ... – მოკლედ, პრობლემები არის. მინდა სამივე კომიტეტს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შევთავაზო, იქნებ შევიწუხოთ თავი და შევიმუშაოთ ამ სპეციფიკური სამსახურის ანგარიშის რაღაც სტანდარტი – რა უნდა იყოს წარმოდგენილი იმისთვის, რომ ქმედითი საპარლამენტო კონტროლი განხორციელდეს, რა შეიძლება ითქვას ღია ნაწილში, რა შეიძლება ითქვას დახურულ რეჟიმში და შემდგომი ანგარიში ამ სტანდარტის შესაბამისად მოვისმინოთ. მაშინ დარწმუნებული ვარ, ინფორმაციაც იქნება უფრო ზუსტი, კითხვებიც იქნება უფრო ნაკლები და შედეგი იქნება უკეთესი, – განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

ხმალაძის შეფასება ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ არ გაიზიარა. კენჭისყრისას მისმა კომიტეტმა სუს-ის მიერ მომზადებული დოკუმენტი დადებითად შეაფასა. ანგარიში დადებითად შეაფასა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმაც.

რაც შეეხება იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, მან კენჭისყრა საერთოდ ვერ ჩაატარა, რადგან გაერთიანებულ საკომიტეტო მოსმენას კომიტეტის წევრთა საკმარისი რაოდენობა არ ესწრებოდა. (ინტერპრესნიუსი)

## „სადმე არ გადამეყარო!“ — მამა ანთიმოზი ლაშა ბუღაძეს უპირისპირდება

მამა ანთიმოზი ლაშა ბუღაძეს „ფეისბუკზე“ უპირისპირდება:

– ლაშა ბუღაძეს! ძებნას არ დაგიწყებ, სადმე არ გადამეყარო! მარცხენა ხელის თითი მოტეხილი მაქვს, მარჯვენასაც მოვიტეხავ. შენ თამაზ მეჭიაურის შეურაცხყოფით მთელ მთიულეთს მიაყენე შეურაცხყოფა! მეც თიანელი ტომაზო ვარ. არქიმანდრიტი ანთიმოზი (ივერიელი), – წერს მამა ანთიმოზი. (daijesti.pia.ge)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



წავიდნენ გრანდები მსოფლიო პოლიტიკიდან და დედამიწა გახდა დაუცველი. ტყუილად ნერვიულობ, ქართველო საზოგადოებავ, რომ შენ დაუცველი ხარ და რაიმე საფრთხე გემუქრება... უფრო სწორად, გემუქრება, მაგრამ ამაზე ძალიანაც არ უნდა ინერვიულო, რადგან სხვაგან უარესი ამბები ხდება. აგერ, მოუნდა ვინმე იბრაჰიმ სამაჰას თავის ყოფილ ცოლთან დალაპარაკება და ეგვიპტიდან აფრენილი სამგზავრო თვითმფრინავი ლარნაკას აეროპორტში დასვა. თუ ჩემი ყოფილი ცოლი არ დამელაპარაკება, თავს ავიფეთქებო. ალბათ, დამეთანხმებით, ეს დედამიწა კი არა, უკვე ნინიას ბაღია. აგერ, თეთრ სახლში შევარდა ვიღაც დამთხვეული, ატეხა სროლა და მთელი კონგრესი თავის პრეზიდენტიანად ქუჩაში აღმოჩნდა. ოღონდ ამას კულტურულად „ევაკუაცია“ დაარქვეს. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე (როგორც პოეტი ლუტეცია ამბობს) ხშირად მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს სამყაროს ვალი მაქვს:

**„გამარჯობა, სამყაროვ...**
**მე არაფერი მაქვს შენი ვალი,**
**ეს კარგად დაიმახსოვრე.**
**მარადისობაა, შენს ფერხთით ვარ**
**და გემსახურები,**
**დღეს კი, დღეს შენ იქნები**
**ჩემს ფერხთით და აღიარებ,**
**რომ არ ვარ ვალდებული,**
**ვიყო ლამაზი, როგორც შენ გინდა,**
**ვიყო გამხდარი, როგორც შენ გინდა,**
**ვიყო კარგი მეოჯახე,**
**როგორც შენ გინდა,**
**ვიყო კდემამოსილი, ან გარყვნილი,**
**იმის მიხედვით,**
**თუ რა ხასიათზე ხარ შენ.**
**გამარჯობა, სამყაროვ,**
**დღეს შენ იქნები ჩემს ფერხთით,**
**და მე ვიქნები ისეთი,**
**როგორიც მინდა ვიყო,**
**ისეთი, როგორიც ვარ.**
**მე ვიქნები ბედნიერი ამით**
**და გეტყვი, რომ არ მაინტერესებს,**
**რას ითხოვ შენ ჩემგან,**
**რომ არ მაინტერესებს,**
**როგორ ხასიათზე ხარ.**
**რომ ფეხებზე მკიდია,**
**როდის გაღიზიანებს ჩემი**
**ვნებიანი ბუნება**
**და განმსჯი მის გამო,**
**ან პირიქით, როდის გიზიდავს ის.**
**დღეიდან მე არაფერი მაქვს**
**შენი ვალი, რადგან დღეიდან**
**შენ იქნები ჩემს ფერხთით,**
**რადგან დღეიდან,**
**მე ვარ სამყარო“!**

აეგრე, პატივცემულო სამყაროვ... მართალია, ხშირად მეჩვენება, რომ რაღაც ვალი მაქვს შენი, მაგრამ იმასაც ვხედავ, როგორი ლაჩარი გახდი და შიშით კანკალებ, თითქოს გაუპატიურებენ. იცი, კიდევ რას გატყობ, სამყაროვ? შენი ე.წ. შვილები მთლად გადაგვარდნენ და სულებიც წაიწყმიდეს... სხვისი რა გითხრა? ვინ თვითმფრინავს დასვამს თავისი ყოფილი ცოლის გამო და ვინ თეთრ სახლში შევარდება, ცოტა ნაკლებად მაინტერესებს, ეგ შენი სისუსტეა, უფრო სწორად, იმ ბუტაფორიული სახელმწიფოების სისუსტეა, რომლებსაც თავი კიტრი ჰგონიათ და ამტკიცებენ, მსოფლიო წესრიგს ვაყალიბებთო. მე ჩემსას ვიტყვი: აგერ, ჩემი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს მეზობელი მემწვანილისა ეშინია და პროკურატურაში საჩივარი შეაქვს, არიქა, მაშანტაჟებენო. კარგი, რა, პატივცემულო სამყაროვ, აღარც ნამუსი, აღარც სინდისი და აღარც კაცობა? აგერ, მიხეილ მაჭავარიანის ძმა, ვანო მაჭავარიანი, რომელიც ხან მარგველაშვილთან იყო, ხან კიდევ ბურჭულაძესთან (მანამდე სად იყო, კაცმა არ იცის), ტელევიზორში გადმოდგა და „კაცურად“ ილაპარაკა, კომპიუტერში ვიდეოები გამომიგზავნეს, გულმა მიგრძნო, პირადი ცხოვრების კადრები უნდა ყოფილიყო და არ გავხსენიო. დაიბარეს ტიპი პროკურატურაში და ჩვენება მისცა: ესაო, მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი გახლავთო. ჰაი, დედასააა... ჩემი ფანტაზიის ნაყოფიო, კაცოოო! ტელევიზორში მაგრები არიან, ისე კიდევ ვინმემ რომ დაუყვიროს, შიშისგან იფსამენ! იცი, ჩემო მიჩმორებულო და გახუნებულო სამყაროვ, კიდევ როგორი შეგრძნება მაქვს? ასე მგონია, ყველა სადღაც გარბის, ყველას ეჩქარება და ამასობაში აღარ უკვირდებიან, რას ბოდიალობენ (ავტორი ქეთი ალასანია):

**„გემუდარებით, ნუ აჩქარდებით,**
**გთხოვთ ნუ გარბიხართ, ცოტა მადროვეთ,**
**ბევრს ხომ არ ვითხოვ, მხოლოდ შეჩერდით**
**და შემდგარ წამთან მარტო დამტოვეთ.**
**ვეღარ გეწევით, ნუთუ არ გესმით?**
**ჩემს გულის კართან გთხოვთ,**
**რომ ჩამოჯდეთ,**
**სულში ჩამხედეთ და შეისვენეთ,**
**სულ ერთი წამით დამიმახსოვრეთ,**
**მხოლოდ ის მინდა, აწმყო შეჩერდეს,**
**თუნდაც მაისის ვარდებს ათოვდეს,**
**ბედნიერება მინდა შევიცნო**
**და სიყვარული აღარ დამშორდეს,**
**ამ ჩემს ვედრებას დრო ყურს არ უგდებს,**
**წუთებმა წამებს აღარ ადროვეს,**
**მოპარულ ღამეს დაათენდა და**
**ცრემლმორეული, კვლავ, მიმატოვეს“.**

მართლა ყველას ეჩქარება, ყველა თავისებურად უბერავს, ზოგი მანქანით, ზოგი – ფეხით, ზოგი – საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ამას წინებზე (რაღა ამას წინებზე, ასეთები ყოველდღე ხდება) გურამიშვილის გამზირზე მივდივარ მანქანით, მშვიდად, ნორმალურად... მოგეხსენებათ, თბილისში სულ გადატვირთული მოძრაობაა, ერთი მომდევს უკან, ხან ფარებს მინთებს, ხან მისიგნალებს, ვერ გადავდივარ მეორე ზოლში, ვერ ვატარებ, როგორც იქნა, მარჯვნიდან დამცილდა ბღუილით, კინაღამ მიმლეწა და გადამაგდო გზიდან. გავარდა, იქოთქოთა, იბღუვლა, წითელზე გაჩერებულიყო და მეც მივადექი. უკანა მინაზე აწერია: „უფალო, შეგვიწყალენ“. ვაი, შენს პატრონს, ასე იარე, თავ-პირს რომ ჩაილეწავ და უფლის წინაშე წარდგები, შეგიწყალებს, აბა, რას იზამს? იცი, პატივცემულო სამყაროვ, კიდევ რა მაწუხებს? ჩვენ სულ გავიძახით, ერთად ვიყოთო, ერთმანეთი გვიყვარდესო, ერთ მუშტად შევიკრათო, მაგრამ ეს უკვე ძალიან დიდი სისულელეა, ჩვენ მარტო ვართ და სათითაოდ ვებრძვით ქარის წისქვილებს ჩვენსავე სადარბაზოებთან. თუ ცოტა გავცდით საკუთარ სადარბაზოს, გვეშინია (ავტორი გვანცა ჯობავა):

**ვდუმთ და... არაფერი,**
**ვყვირით... არაფერი,**
**ვცოცხლობთ შერისხულნი,**
**ვკვდებით დანანებით.**
**დილა, დილის ლოცვა,**
**ყავა, თბილი პალტო,**
**ქუჩა, სამსახური,**
**მინდა განგიმარტო:**
**ვდაობთ არაფერზე.**
**ისევ თბილი პალტო,**
**ქუჩა, ცივი სახლი,**
**გვშია. კითხვა: რატომ?**
**ღამე, ღამის ლოცვა,**
**მინდა განგიმარტო:**
**ჩვენ ჩვენს დარაბებთან**
**ვომობთ მხოლოდ მარტო“.**

სამყაროვ, თუ არ გამოფხიზლდები და ძალას არ მოიკრებ, უფრო მეტი ბაღლინჯო დაგვიწყებს კბენას, უფრო გამოგვაშტერებენ და თავად ცხოვრება გვიტირებს დედას. მახსოვს, ადრე, ოდითგან განათლებას განათლება ერქვა და სერიოზულ რაღაცებს გვასწავლიდნენ. ახლა მე-4 კლასელ ბავშვს მათემატიკის წიგნში ასეთ რამეს უწერენ, თუ უპასუხა, განათლებულად ითვლება:

„რა ნათესავი შეიძლება იყოს ის, ვისი დედაც დედაჩემის დედამთილია“?

სახელმძღვანელოს ავტორი გახლავთ ვინმე ზურაბ ვახანია... ჰოდა, ამ ვახანიას რა ველაპარაკო, როცა თავად პრეზიდენტი უბერავს, სექსი მაქვს, თანაც მდიდარიო? ლელა ფრიდონიშვილის ლექსი მომეწონა სწორედ ამ თემაზე:

**„კაცი სექსით თავს რომ იქებს,**
**ან გიჟია ანდა რეტი,**
**ჭკვიანი ამას არ იზამს,**
**რომ დაარტყათ თავში კეტი,**
**ან მდიდრული რაღას ნიშნავს?**
**რად უნდოდა ერთზე მეტი,**
**ეს ბატონი, გამარკვიეთ,**
**ბუღაა თუ პრეზიდენტი“?!**

მიდი, სამყაროვ, მიდი, შე გაოჩნებულო, გვერდი მაინც იცვალე, თორემ მსოფლიო პოლიტიკიდან გრანდების წასვლისა და უდღეური პიდარასტების მოსვლის შემდეგ დაგეხვია ბუზი და ეგაა. ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ ვეღარ ვარკვევთ, ვინ ბუღაა, ვინ პრეზიდენტი, ვინ – ქალი, ვინ – კაცი და ვინ – ბოზი. ამიტომ მე და ჩემნაირები აღარ გემორჩილებით, ბოიკოტს გიცხადებთ, როგორც ცხონებული მიხეილ ქვლივიძე ამბობდა:

**„დრომ დამაბერა და დამარბია,**
**გამიცამტვერა ნატვრა ყოველი,**
**მაინც ხვალინდელ დღისკენ გავრბივარ,**
**ვით უსინათლო მარათონელი.**
**სულ ასე ვირბენ... ღმერთის შეწევნით,**
**არც დავეცემი გზაზე მოხუცი**
**და თუ მომავალს ვერ დავეწევი,**
**გავჩერდები და... წარსულს მოვუცდი!**



ჩვენ, პოეტები საქართველოს!

# „...ეს ბატონი, გამარკვიეთ, ბუღაა თუ პრეზიდენტი“?!







**მეოთხეკლასელ ბავშვს მათემატიკის წიგნში ასეთ რამეს უწერენ, თუ უპასუხა, განათლებულად ითვლება: „რა ნათესავი შეიძლება იყოს ის, ვისი დედაც დედაჩემის დედამთილია“?**



ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



# „ჩემი და პრეზიდენტ ალიევის პაპები ნათესავები იყვნენ, აბა!“

**ვარკეთილის ხიდებთან ხშირად მიწევს გავლა და ზედ გზასთან, ერთ-ერთ ბეტონის კედელზე ყოველთვის თვალში მხვდება წარწერა „ცხვარი“. რა თქმა უნდა, მარტივი ლოგიკაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ იქ ცხვრის შეძენაა შესაძლებელი. „პროფესიის“ მორიგი რესპონდენტი სწორედ ამ პროფესიის ადამიანია - მეცხვარე აშრაფ ალიევი. იქიდან გამომდინარე, რომ აშრაფთან საუბარი რუსულ-ქართულ ენაზე წარიმართა, მაქსიმალურად ვეცადე, მისი საუბრის სტილი დამეცვა.**





**„აზერბაიჯანელი კაცი ვარ, მაგრამ აქ დავიბადე, გავიზარდე და საქართველო ძალიან მიყვარს, რადგან ვხედავ აქ ხალხის პატივისცემას, სიკარგეს და ჩემი ადგილი სწორედ აქ არის“**

– პრეზიდენტი ალიევი ჩემი ნათესავია, მაგრამ აბა, ჰა... ასე ვმუშაობ.

**— მართლა?**

– კი, აბა, ხომ არ მოგატყუებთ? ჩვენი პაპები არიან ნათესავები... მაგრამ ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— თუ გინდათ რუსულადაც ვისაუბროთ — ვთავაზობ.**

– ჩთო მნე სკაზატ, აბა? როგორც გამოვა, გამოვიდეს...



**— კარგით... თქვენ აქაური ხართ?**

– მე ვცხოვრობ საგარეჯოს რაიონში, სოფელ იორმუღანლოში. დიდი ხანია, რა ვიცი, აბა? ჯერ კიდევ ჩემი პაპის პაპა ჩამოვიდა აქ და აქაურები ვართ.

**— დიდი ხანია, რაც მეცხვარე ხართ?**

– მამაჩემი „ვაზშე“ პატარაობიდან იყო მეცხვარე. მერე ბრიგადირადაც მუშაობდა გომბორში, იალღუჯაშიც. ამის შემდეგ მწყემსადაცა მუშაობდა, თავისი ცხვარი იყო რამდენი, საქონელი ჰყავდა... ჩვენ ახლა ცხვარში აღარ დავდივართ, გავყიდეთ, მორჩა ცხვარი. ახლა ვწვალობთ, რა... ვცხოვრობთ „არაუშავრა“...

**— სად დაგყავდათ ხოლმე ცხვარი?**

– ჩვენი ცხვარი ბოგდანოვკის რაიონში დადიოდა, იქ კაი საძოვრები იყო. ზამთარში კიდე წითელწყაროში მოდიოდი, ახლა დედოფლისწყაროს ეძახიან.

**— ცხვრის მოვლა რთულია?**

– ბევრი წვალება უნდა, კი. „პრაზდნიკი“ არ გაქვს, „ვიხადნოი“ არ გაქვს, არაფერი არ არის... სულ ცხვართან ხარ. დილის 5-6 საათზე ვუშვებდი და ღამის 12 პირველ საათამდე მინდორში ხარ.

**— მარტო დადიოდით ხოლმე, თუ სხვა მეცხვარეებთან ერთად?**

– მეგობრები ბევრი იყო, მაგრამ ცხვარიც ბევრი იყო. ფარაფარა გვყავდა და ყველანი თავის საქმეს აკეთებდა. როცა ცხვარი ბევრია, ორი კაცი მაინც მიდის.

**— ყველაზე ბევრი რამდენი ცხვარი გყოლიათ მოსავლელად?**

– 2 000 მყოლია, ყაზბეგის რაიონში ვიყავი მაშინ. კომუნისტების დრო იყო და ოსებთან ვმუშაობდი. ჩვენს ადგილამდე მანქანა არ მოდიოდა, მარტო ორხიდიანი თუ ამოვიდოდა, რომ საჭმელი რაღაცა მოეტანათ. მარტო ვიყავი მაშინ.

**— მტაცებელი ცხოველები თუ შემოგპარვიათ?**

– მაგალითად, ყაზბეგში მგელი არა, მაგრამ დათვი კი იყო. დათვი მოიგდებდა ერთ ცხვარს და წაიღებდა საჭმელად. 2-3 დღეში ერთხელ მოდიოდა ხოლმე. მგელი უფრო საშიშია.

**— რატომ არის უფრო საშიში?**

– მგელი როცა მოდის, პირველად ცხვარს არ ჭამს, სულ კლავს რაც არის და რამდენსაც მოახერხებს. ფარაში რომ შევიდეს, თუ არავინ მიუსწრო, იმდენ ცხვარს გამოსჭამს ყელს, რამდენსაც ეცემა. სულ რომ ათასი სული იყოს, ყველას დახოცვა უნდა. მაგას დათვი ჯობია, აბა რა? ერთხელ მამაჩემი გომბორში იყო ცხვარში, მოვიდა ერთი მგელი, 12 ძაღლი იყო და ძლივს მოერივნენ. თან მაშინ პირდაპირ ბინაში შევიდა მტაცებელი, ძლივათი მოვკალით. კიდევ კარგი, ადამიანები არ დაჭამა.

**— შუაგულ მინდორში ცხოვრება საშიში არ არის? მტაცებლები რომ გამოვრიცხოთ.**

– კი, როგორ არა. ხანდახან ისეთი სეტყვა მოდის ხოლმე... ერთხელ ასე ვიყავით მინდორში, ძალიან ცუდი სეტყვა დაიწყო და ახალგაზრდა ბიჭი მოკლა, საწყალი... წელიწადი ისე გადის ხოლმე, რომ მეცხვარეს შეიძლება ლოგინში ძილი ვერ მოუწიოს. ძილის დროს ნაბადს დაიფენ და მორჩა, ეგაა. ხანდახან ორი დღე პური არ მიჭამია... ერთხელ ისეთი წვიმა მოვიდა, რა უნდა გამეკეთებინოს? ძილი მომერია, ერთი ქვა ვნახე, დავჯექი ზედ, გადავიფარე ზემოდან „პლაში“ და ეგრე მეძინა მთელი ღამე დილამდინ... ვხუმრობთ ხოლმე – მეცხვარე რომ დაინიშნება ქალზე, ერთი ღამე თუ ცოლთანაა, მომდევნო 6 თვე ცხვარშია.

**— ფერმაში ოჯახიანად თუ დადიან?**

– კი, ზოგი ოჯახით დადის და ზამთარ-ზაფხულ ფერმაში არიან. იქ ქალები დეეხმარებიან მეცხვარეებს – საქონელს წველიან, კარაქს აკეთებენ... როცა მეცხვარე თავის ოჯახით არის, არც მწყემსი უნდა და არაფერი – მისი შვილები და დედაკაცი ეხმარებიან... საერთოდ, ჩვენი ქალები ყოჩაღები არიან, დაუზარელები.

**— თქვენს ოჯახზე რას მეტყვით?**

– ოთხი შვილი მყავს, სამი გოგო და ერთი ბიჭი. გოგოები გათხოვილები არიან, ერთი ბაქოშია გათხოვილი. ბიჭი ახლა დაინიშნა, თურქეთშია, იქ მუშაობს, რადგან აქ ვერ ნახა სამსახური. იქ ხან მაღაზიაში მუშაობს, ხან – ქარხანაში... რა გააკეთოს?

**— ცხვარში მუშაობა ძალიან რთულიაო, ამბობთ, მაგრამ საინტერესოა, კარგი რითია?**

– რითი და სტუმარი რომ მოდის, ერთ კაი ბატკანი დაკლავ, კაი მწვადს, ჩაქაფულს გააკეთებ... მეცხვარის კაი საქმე ის არის, ცხვრის ხორცს რომ ნახავს ქვაბში და კარგად იქეიფოს (ილიმის).

**— ანაზღაურება როგორია ხოლმე, როცა ცხვარში მიდიხართ?**

– მწყემსის ფასი ვინ იცის... ზოგი მეტს იხდის, ზოგი ნაკლებს, მორიგებაზეა დამოკიდებული ყველაფერი. საშუალოდ, თვეში 400-500 ლარია ხოლმე, მაგრამ ხანდახან 300-იც ყოფილა...

**— ცხვარს კლავთ კიდეც, ხომ?**

– კი. ახლა სანამ მოხვიდოდი, ერთი ცხვარი დავკალი ბოინში და გაატყავე. ათი წელია უკვე, რაც ქალაქში ვმუშაობ ამ საქმეზე.

**— პირველად როდის დაკალით ცხვარი და რა შეგრძნება გქონდათ?**

## პროფესია

– ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მამაჩემი იყო მწყემსი, ჩემს გვერდზე დაკლავდა ხოლმე და მე უყურებდა. პატარა ვიყავი, როცა მამაჩემი ერთხელაც ვუთხარი, – მაიტა, ახლა მე დავკლავ-მეთქი. მოდი, შვილოო, მითხრა... მივედი, დავკალი, თავი მოვჭერი და მას მერე წავიდა და წავიდა. ეს მეცხვარეობაში ადვილი რამეა და სხვანაირად არ გამოდის, ამას ჩვეულებრივად ვაკეთებ, არანაირი ემოცია არ მაქვს. ზოგს ეშინია, არ უყვარს ცხვრის დაკვლა, მაგრამ საერთოდ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. როგორც ექიმი აკეთებს ოპერაციას და არ ეშინია, ასე ვარ მეც. ზოგ ცხვარსაც უნდა „ოპერაცია“ – ისე ცუდად ატყავებენ ხოლმე, თავიდან უნდა გააკეთო. მე ამ ყველაფერს „სუფთად“ ვაკეთებ, ჩემთან სპეციალურად მოდიან ხოლმე ამისთვის.

**— რომელიმე სასწავლებელი თუ გაქვთ დამთავრებული? ოფიციალური პროფესია თუ გაქვთ?**

– კი, უმაღლესდამთავრებული ვარ, „ტავარავიდენიე“ დავამთავრე. ბაქოში მუშაობდა, მერე აქ ჩამოვედი, სოფელში რესტორანი მქონდა... თურქეთშიც წავედი, რუსეთშიც, გერმანიაშიც, მაგრამ ბოლო გაჩერება აქაა, საქართველოში. ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, ყველას პატივს ვცემ, მაგრამ საქართველოსთანა ქვეყანა არსად არ არის. მე აზერბაიჯანელი კაცი ვარ, მაგრამ აქ დავიბადე, გავიზარდე და საქართველო ძალიან მიყვარს, რადგან ვხედავ აქ ხალხის პატივისცემას, სიკარგეს და ჩემი ადგილი სწორედ აქ არის.

**„დათვი მოიგდებდა ერთ ცხვარს და წაიღებდა საჭმელად. 2-3 დღეში ერთხელ მოდიოდა ხოლმე. მგელი უფრო საშიშია. ფარაში რომ შევიდეს, თუ არავინ მიუსწრო, იმდენ ცხვარს გამოსჭამს ყელს, რამდენსაც მოახერხებს. სულ რომ ათასი სული იყოს, ყველას დახოცვა უნდა. მაგას დათვი ჯობია, აბა რა?“**



## თბილისში ლარის ყალბი ბანკნოტები იბეჭდებოდა და ბაზრებში ასაღებდნენ



ყალბი ბანკნოტების დამზადება-გასაღებისთვის 2 პირი დააკავეს. სამართალდამცველებმა 1983 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი კვიჭიძე გ. და 1977 წელს დაბადებული, ასევე, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ლამბაშიძე გ. დაბა ჩოხატაურში, დააკავეს.

პოლიციამ ლამბაშიძე გ-ს პირადი ჩხრეკისას 31 ცალი ყალბი 20-ლარიანი და 6 ცალი ყალბი 50-ლარიანი კუპიურა, ხოლო კვიჭიძე გ-ს პირადი ჩხრეკისას 6 ცალი ყალბი 20-ლარიანი და 2 ცალი ყალბი 50-ლარიანი კუპიურა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დამნაშავეებმა სულ 1040 ლარის ყალბი ფული დაამზადეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ყალბი კუპიურები თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში, უცხოური წარმოების, ფერადი ლაზერული პრინტერის საშუალებით დაამზადეს. გასაღების მიზნით, ისინი ჩოხატაურის რაიონში ჩავიდნენ, საკოლმეურნეო ბაზარში 2 ტომარა თხილი შეიძინეს და საფასური ყალბი ფულით გადაიხადეს. (pia.ge)

## ირაკლი ალასანია — „რესპუბლიკურ პარტიასთან“ არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია და არც მომავალში გვექნება



„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია „რესპუბლიკურ პარტიასთან“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ერთობლივ მონაწილეობასთან დაკავშირებით მოლაპარაკების მიმდინარეობას უარყოფს.

– ეს ინფორმაცია სამართლეს არ შეესაბამება. რაც შეეხება კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მათ ყოფნა-არყოფნას, ეს, ბუნებრივია, მათი და კოალიციის გადასაწყვეტია. ჩვენთვის, „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ ამ შემთხვევაში არაფერი იცვლება. ჩვენი ოპონენტი არის „ქართული ოცნება“, რომელიც დღეს პრაქტიკულად, არაეფექტურ ხელისუფლებას წარმოადგენს, – განაცხადა ალასანიამ. (ინტერპრესნიუსი)

## 3 -10 აპრილის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული** – რომანებს, ახალი ურთიერთობების წამოწყებას, მომდევნო დღეებში ძალიან მსუბუქად შეხედავთ. ეს იმას ნიშნავს, რომ, ვთქვათ, დაიწყებთ ერთობლივ ცხოვრებაზე საუბარს (შესაძლოა, ხუმრობით), რასაც სულ მალე დაივიწყებთ. თქვენი პარტნიორი კი იფიქრებს, რომ მას გეგმებს უზიარებდით. ჰოდა, კარგს იზამთ, თუ სიტყვებს გააკონტროლებთ. საერთო ჯამში, მიმდინარე კვირა ხელსაყრელია ნაცნობობისთვის, ურთიერთობისთვის და ფლირტისთვის.

**სამსახური** – წარმატებული კვირაა ხანმოკლე მივლინებებისთვის, ასევე, საქმიანი მოლაპარაკებების წარმოებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 8, 9 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 5 აპრილი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული** – ამჟამინდელ ურთიერთობას უფრო გააღრმავებთ თუ პირიქით, გააფუჭებთ, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. პირველ შემთხვევაში, ფსონს სექსზე ჩადით, მოხიბვლის ხელოვნებაზე. თუნდაც ხანგრძლივი ურთიერთობა გქონდეთ, სიახლესა და ექსპერიმენტებზე უარი არასოდეს თქვათ. რაც შეეხება ურთიერთობის გაფუჭებას, სულ მცირე უყურადღებობაც კი შეიძლება ძალიან ძვირად დაგიჯდეთ. შეეცადეთ, პარტნიორს საყვედურის თქმის საფუძველი არ მისცეთ, თორემ მწარედ ინანებთ.

სამსახური – შეეცადეთ, მოვლენათა ეპიცენტრში იყოთ, რათა ხელსაყრელი მომენტი შემთხვევით ხელიდან არ გაუშვათ.

**სასიკეთო დღეები:** 10 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 8 აპრილი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული** – მიმდინარე კვირა უმჯობესია, მარტოობაში გაატაროთ, რათა დამოუკიდებლობა შეიგრძნოთ. მით უმეტეს, რომ საფიქრალი და ასაწონდასაწონი ბევრი გაქვთ. კარგს იზამთ, თუ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტთ, რა უნდა შეცვალოთ და რა – ხელუხლებლად დატოვოთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი დამოკიდებული იქნება თქვენს ქცევებზე, ინიციატივებსა და სურვილებზე.

**სამსახური** – იძულებული გახდებით, პროცესებში აქტიურად ჩაერთოთ და თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთოთ, რაც მშვენიერი შედეგის მომტანი იქნება.

სასიკეთო დღეები: 6 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 8 აპრილი.



მაია იასეშვილი

599 94-64-58



**ჩვენი რუბრიკის სტუმარია პარაფსიქოლოგი თამარ კობახიძე. როგორც ის განგვიმარტავს, ჩვენს ხელთ არის ჩვენი წარმატებისა და ბედნიერების კოდი. ქალბატონი თამარი გვიმხელს, რისი ცოდნა და გათვალისწინება მართებს ახლად დაქორწინებულ წყვილს, ბედნიერი თანაცხოვრებისთვის.**

– ძუნწი და მომჭირნე ადამიანი საკუთარ მატერიალურ კეთილდღეობას თვითონვე კეტავს, ვინც ეზოთერულ ცნობიერებაში ჩახედულია, დამეთანხმება, რომ ფული კოსმიური ენერგიის მატერიალური განსახიერებაა, რომელსაც არ უყვარს წუწუნი, სიძუნწე და გაჭირვებულთათვის ხელის გაუმართაობა. თუ უმწეო და გაჭირვებულ ადამიანს დაეხმარებით, გაცილებით მეტი შემოსავალი შემოგივათ და ეს ერთგვარი საკუთარი ფინანსური კოდის გახსნის საუკეთესო საშუალებაა. აბა სცადეთ, ოღონდ ეს გზა არ უნდა იყოს ანგარებიანი. თუ ვინმე ფულს გთხოვთ და არ დაეხმარებით, თქვენთვისაც დაინანებენ დახმარების აღმოჩენას, ხოლო თუ გაჭირვებულს ხელს გაუწვდით და შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარებით, მეორე დღესვე იგრძნობთ უფლის წყალობას. იმ მაწანწალებს არ ვგულისხმობ, საკუთარ ბიზნესად რომ აქციეს ფულის მოგროვება. ამ ადამიანებს ფული კეთილდღეობისთვის კი არ სჭირდებათ, მომხვეჭელობა აიძულებთ, საკუთარი თავი დაკარგონ და უკადრებელი იკადრონ. მოწყალების გაცემაში ვგულისხმობ ისეთ ადამიანებს, რომლებიც თანაგრძნობას იმსახურებენ.

**— როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან ნამდვილად გაჭირვებული და შარლატანი?**

– ბევრი გადაცემა მიეძღვნა გადაცმულ ადამიანებს, რომლებიც თავს აცოდებენ ქუჩაში მოსიარულეებს. თუ მაინცდამაინც გინდათ მათთვის წყალობის გაღება, შეგიძლიათ, სიწმინდეების გამორთმევის გარეშეც გაიღოთ წყალობა. კატეგორიული წინააღმდეგი ვართ სიწმინდეების სახელით სპეკულაციის. არ უნდა მოერიდოთ იმის თქმის, რომ სიწმინდეები ამგვარი ხრიკებისთვის არ უნდა გამოიყენონ. თაღლითისა და ნამდვილად გაჭირვებულის შეცნობა არცთუ ისე ძნელია. ადამიანს თვალები ყოველთვის ამხელს. თუ ხედავთ, რომ ადამიანი ახალგაზრდაა, ხეიბარი და ავადმყოფი არ არის, ჩათვალეთ რომ თქვენი შესაცოდი არაფერი სჭირს. ასეთ შემთხვევაში მათ კი არ ვეხმარებით, მათს უთავმოყვარეობას ვაორმაგებთ. ძნელად დასაჯერებელია, რომ ქუჩაში მოგროვებული კაპიკები ან ჯანმრთელობას მოახმაროს, ან მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოს.



# როგორ უნდა გააძლიეროთ ბარაქისა და შემოსავლის კოდი?

## „ერთ წესს გასწავლით, რომელიც ფულის გამრავლება-მოგებაში დაგეხმარებათ“



**— ბარაქისა და შემოსავლის კოდის გაძლიერება რა ხერხებით შეიძლება?**

– ბარაქის კოდის გაძლიერება და კოსმიურ არხთან მისი ისე დაბალანსება, რომ კონკრეტული ადამიანის კარიერულ წინსვლას შეუწყოს ხელი, შეიძლება შესაბამისი დარგის



სპეციალისტმა შეძლოს, მაგრამ თუ მან არ იცის, რა კოსმიური ენერგეტიკული პოტენციალი დევს ამა თუ იმ ადამიანის ბარაქის კოდში, ისე მის დახმარებას ვერ შეძლებ. ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება პერიოდი, როცა შემოსავლების კოდი დროებით იკეტება, ეს ჩავარდნის დროა და უნდა გაუძლოთ, თუ გინდათ, მომავალში მეტად გაგიმართლოთ. ერთ წესს გასწავლით, რომელიც ფულის გამრავლება-მოგებაში დაგეხმარებათ. ყოველ ახალმთვარეობას გამოიტანეთ მსხვილი კუპიურები, დაანახვეთ მთვარეს, შემდეგ სარკესთან დადექით, ფული დაანახეთ, საფულეში ჩადეთ და ბალიშის ქვეშ დადეთ, რომ ახალმთვარეობიდან მომდევნო ახალმთვარეობამდე ფული არ შემოგაკლდეთ. ადამიანები თავად ვქმნით ჩვენი წარმატების კოდს, ამისთვის პატარა ეშმაკობები ნამდვილად ღირს.

**— ქალბატონო თამარ, იქნებ გაგვიმხილოთ, წარმატების მიღწევაში ადამიანებს როგორ ეხმარებით?**

– ამისთვის არსებობს საგანგებო ამულეტები, ასევე, კარგია ბიოველის გასუფთავება. ამის შემდეგ ადამიანები ხდებიან წარმატებულები, თავდაჯერებულები და თავისუფლდებიან ყველაფრისგან. მინდა გაგიმხილოთ, რომ ადამიანს საკუთარ თავზე მეტი მტერი ან მოყვარე არც ჰყავს, არც ჰყოლია და არც ეყოლება. ბევრი ადამიანი თავის უიღბლობაში მხოლოდ სხვებს ადანაშაულებს, სინამდვილეში მხოლოდ თვითონ არის დამნაშავე. ერთ შემთხვევას გავიხსენებ ჩემი პრაქტიკიდან. ჩემთან მოვიდა ერთი ქალბატონი, რომელსაც ძალიან უჭირდა მატერიალურად. როგორც კი შევედი მის საინფორმაციო ველში, დავინახე ერთი კონკრეტული ამბავი, რომელიც შევახსენე. ეს ქალი მოსამსახურედ მუშაობდა ერთ-ერთ ოჯახში, საიდანაც რაღაც მოიპარა, ეგონა, ამ ნივთის მოპარვით ცხოვრებას აიწყობდა. რაღაც პერიოდში ასეც მოხდა, მაგრამ დადგა დრო, როცა ყველაფერი ცუდად წაუვიდა და მიზეზს ვერ ხსნიდა. მე ვთხოვე, ჩაღრმავებოდა საკუთარ საქციელს და იქ რაც დავინახე, თვითონვე მოვაყოლე. მოხდა საოცრება, ვისაც ეს სოლიდური ნივთი მოჰპარა, დაურეკა მონანიებულმა და ამ ნივთის შესაბამისი თანხა ბანკით გაუგზავნა, თანაც დიდი ბოდიშები უხადა. გარდა იმისა, რომ სინდისის ქენჯნისგან განთავისუფლდა, რაც მას ქვეცნობიერად აწვალებდა, სინანულის გრძნობამ და დანაშაულის აღიარებამ, მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა სასიკეთოდ, თითქოს ღმერთმა ამ დღიდან ჯადოსნური კვერთხი მისცა. ეს მაგალითი შემთხვევით არ მოვყევი, როცა ადამიანი ცოდვებისგან არის დამძიმებული და ღვთისგან წყალობას ითხოვს, ამაოდ ელის მისგან წყალობას. ეს მაგალითი იმიტომ მოვყევი, რომ ყველა ჩაუღრმავდეს საკუთარ წიაღს, მათზე უკეთ არავინ იცის, მათ წიაღში რა ხდება და სჯობს, მოინანიონ ჩადენილი.

**— ქალბატონო თამარ, მოვიდა აპრილი, მაისი აკრძალულ პერიოდად ითვლება ქორწინებისთვის, ხოლო აპრილი — ხელსაყრელ პერიოდად. თუმცა ამჟამად აპრილი მარხვაში უწევს...**

– არ ვეთანხმები მაგ თქმულებას, რომ მაისი აკრძალულია ქორწინებისთვის. სამომავლოდ ბედნიერი ოჯახური თანაცხოვრება სასურველ და საყვარელ ადამიანთან ერთად თვითონ უნდა დაგეგმოთ, კარგია თუ გაითვალისწინებთ ეზოთერულ ხრიკებს, რაც წინაპართა ცოდნას ეყრდნობა. გულის კარნახის აყოლას რა სჯობია, როცა ადამიანი შეყვარებულია, მაგრამ წინაპართა გამოცდილებას თუ გაითვალისწინებთ, შესაძლოა, ცოტა ხანში არასასიამოვნო რეალობის წინაშე აღმოჩნდეთ. ახალდაქორწინებულებმა, სანამ ცხოვრებას დაიწყებენ, აუცილებლად უნდა გაწმინდონ სახლი ენერგეტიკულად, ამისთვის არსებობს სპეციალისტები და საეკლესიო პირები. სახლში უნდა შეიტანოთ არომათერაპიის ნივთები, ისეთი სარკე, რომელშიც ჯერ არავის ჩაუხედავს. სახლის ზღურბლს გადააბიჯებს თუ არა, წყვილმა ამ სარკეში უნდა ჩაიხედოს და საძინებელში დაკიდოს. ახლად დაქორწინებულებმა ქორწილის პირველ დღეს უნდა მიირთვან თევზი. ჩვენი წინაპრები თვლიდნენ, რომ, თუ ასე მოიქცეოდა შეყვარებული წყვილი, ისინი თევზივით მოქნილები და სხარტები იქნებოდნენ. საყურადღებოა ისიც, რომ საქორწინო ტორტის პირველი ნაჭერი აუცილებლად ნეფე-დედოფალმა უნდა მიირთვას. მერწმუნეთ, ამაში დიდი ეზოთერული ცოდნაა ჩადებული და ვინც ასე მოიქცა, მათი თანაცხოვრება ჰარმონიული და ბედნიერი აღმოჩნდა. თუ ბედნიერი თანაცხოვრება გინდათ, სიყვარულისა და ერთგულების გარდა, პატარ-პატარა ადათწესების გათვალისწინებაც გმართებთ, რაც ძნელი შესასრულებელი არ არის.

## 3 -10 აპრილის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული** – თუ სასიყვარულო ურთიერთობები არ ლაგდება, სწორედ ახლაა დრო, ალტერნატივა ეძიოთ. არის დიდი ალბათობა, რომ თქვენით ბევრი დაინტერესდეს, თანაც ისე, რომ თავად ერთი ნაბიჯიც არ გექნებათ გადადგმული. მოსალოდნელია გარკვეული დაძაბულობა დაოჯახებულ კირჩხიბებში – სამწუხაროდ, თქვენი გაგება პარტნიორს ძალიან გაუჭირდება, რაც გულს ძალიან გატკენთ.

**სამსახური** – გადაჭარბებული აქტიურობა მხოლოდ უარყოფით შედეგებს მოგიტანთ.

**სასიკეთო დღეები:** 6, 7 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 10 აპრილი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული** – შეგიძლიათ, დაეხმაროთ მეუღლეს ან პარტნიორს, თუ მის კოლეგებთან დროის გატარებას დასთანხმდებით. ერთი მხრივ, ამით შეძლებთ, თქვენს მეორე ნახევარს სხვა თვალით შეხედოთ, მეორე მხრივ კი გაიგებთ, რა აღელვებს, რაშია მართალი, რაში მტყუანი და მესამე – მის კოლეგებზე დადებითი გავლენის მოხდენით ურთიერთობას კიდევ უფრო ძლიერს გახდით.

**სამსახური** – რაიმე მოსაზრების აკვიატება კოლეგების თვალში თქვენს რეპუტაციაზე დამღუპველ გავლენას მოახდენს – იფრთხილეთ!

**სასიკეთო დღეები:** 8, 9 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 6 აპრილი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული** – ახალი რომანები შესაძლოა, თქვენს სამუშაოსთან იყოს დაკავშირებული. არ არის გამორიცხული უდიდესი ინტერესი ხელმძღვანელობისგან და იმ ადამიანებისგან, რომლებიც კარიერულ საფეხურზე თქვენზე ბევრად მაღლა დგანან. მოკლედ, შანსი გეძლევათ, ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭიროთ – იპოვოთ მეორე ნახევარი, რომელიც წარმატებული და რეალიზებულია და ამით საკუთარი მომავალი უზრუნველყოთ.

**სამსახური** – მიმდინარე კვირა საკმაოდ დაძაბული იქნება, რაც თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრირებასა და ძალისხმევას მოითხოვს.

**სასიკეთო დღეები:** 6, 7, 10 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 8 აპრილი.

## 3 –10 აპრილის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული** – უმჯობესია, ოჯახურ და პირად ცხოვრებაში ყველაფერი ხელუხლებლად დატოვოთ. პირველ რიგში, რასაც ცვლილებები გამოიწვევს, შესაძლოა, საშინლად არ მოგეწონოთ. მეორე – ჯერ კიდევ ბოლომდე არ გაქვთ გააზრებული თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობის პლუსები. სიყვარულში არ არის გამორიცხული იმედების გაცრუება – შესაძლოა, აღმოაჩინოთ, რომ ახალი რომანი ძალიან ჰგავს წინას (ეს კი ზუსტად ის არის, რასაც გაურბოდით), ან კიდევ გააცნობიეროთ, წინა ურთიერთობა ბევრად გაბედნიერებდათ.

**სამსახური** – ხელმძღვანელობა განსაკუთრებით მომთხოვნი იქნება.

**სასიკეთო დღეები:** 8, 9 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 10 აპრილი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული** – პარტნიორთან ურთიერთობაში წესების დამკვიდრებას ცდილობთ. ჰოდა, თუკი რამე ისე არ მოხდა, როგორც გსურდათ, შეგიძლიათ, მხოლოდ საკუთარი თავი დაადანაშაულოთ. ცვლილებები შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური, რაც თქვენს ცხოვრებაზე უდიდეს გავლენას მოახდენს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოჯახში მთავარი თქვენ ხართ, „ბუნტი“ მაინც მოსალოდნელია.

**სამსახური** – დაასრულეთ წარსულში დაწყებული საქმე და ვალები გაისტუმრეთ.

**სასიკეთო დღეები:** 10 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 7 აპრილი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული** – ოჯახურ ურთიერთობებში შესაძლოა, დაგაკლდეთ სიმსუბუქე, იფიქროთ, რომ მეუღლეს იმდენად აღარ აინტერესებთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთმანეთი დეტალურად გყავთ შესწავლილი, 100 პროცენტით შეიძლება იმის თქმა, რომ მაინც არსებობს რაღაც თვისებები, რომლებიც გიზიდავთ. იქნებ სჯობს, იმუშაოთ იმაზე, რომ ეს ყველაფერი პარტნიორს ხელახლა და უფრო უკეთ შესთავაზოთ?

**სამსახური** – შესაძლოა, საქმიანი მოლაპარაკებებისას მეორე მხარის დარწმუნება გაგიჭირდეთ.

**სასიკეთო დღეები:** 6 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 8 აპრილი.



მაია იასეშვილი
599 94-64-58



**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი ლექსო ტურიაშვილი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანია — მწერალი, კომპოზიტორი, მთარგმნელი, ფილმებშიც არის გადაღებული. ოკულტური მეცნიერებითა და ეზოთერიკით ბავშვობიდანვეა დაინტერესებული, მან ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში თარგმნა ცნობილი ფილოსოფიური თხზულება „ლაოძი“. ბატონი ლექსო დღეს თავის შეხედულებებს გაგვიმხელს ამოუცნობ მოვლენებზე.**

# „ამაზე დიდი სასწაული რა უნდა იყოს?!“

**„ყველაზე მეტად რომ გამჭირვებია, ჩავსულვარ ეკლესიაში და ღმერთისთვის მითხოვია, — ღმერთო, ეს არის ზღვარი, ამას იქით ვერ გავძლებ-მეთქი და ყოველთვის გამოსწორებულა მდგომარეობა“**

**— ბატონო ლექსო, როგორ ფიქრობთ, რისი წყალობით გაჩნდა თქვენში მრავალმხრივი შემოქმედებითი ინტერესი?**

– ყველაფერი გენეტიკის ბრალია, ჩემი ბაბუა, ოტია პაჭკორია, გახლდათ ქართული კრიტიკული სკოლის ფუძემდებელი, ბებია – მერი ლომიძე ცნობილი ლამაზმანი და მსახიობი, პაპა – ტურიკო, მუსკოსმედიის ვარსკვლავი იყო, მამა – დათო ტურიაშვილი, კომპოზიტორი, დედა კი – მწერალი. ასე რომ, ცოტ-ცოტა ხელი ყველამ წამაშველა და ამიტომაც ვარ მოდებული ყველაფერს, ხან მწერალს ვეძახდი ჩემს თავს, ხან – დირიჟორს, მაგრამ დღეს ვარ მუსიკოსი, კომპოზიტორი, ვაკეთებ თეატრალურ მუსიკას, ელექტრონულ ექსპერიმენტებს და ვწერ საკუთარ სიმღერებს, ეს არის ჩემი ძირითადი საქმიანობა.

**— 17 წლის ასაკში ეზოთერულ-თეოლოგიური ფილოსოფიური ნაშრომი — „ლაოძი“ თარგმნეთ. საიდან გაჩნდა ასეთი ინტერესი თქვენში?**

– მაინტერესებდა, სხვა ადამიანები როგორ აღიქვამდნენ სამყაროს, ხომ შეიძლება რაღაცაში ისინიც მართლები იყვნენ. „ალუდა ქეთელაურის“ თქმისა არ იყოს, ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, და სხვა დანარჩენები ცდებიანო?.. დავინტერესდი ყველა აღმსარებლობის გაცნობით და მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ძალიან დიდ დროს მართმევს, ჩემი ძირითადი საქმიანობისთვის ცოტა დრო მრჩება. ამდენი რაღაცით რომ დაინტერესდე, ადამიანმა შეიძლება ვერც ვერაფერი შეიმეცნო ბოლომდე და საკუთარი თავიც დაკარგო. ამდენი რელიგიის ჩაღრმავებამ და სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობის გაცნობამ, ერთ ჭეშმარიტებამდე მიმიყვანა, თუ ადამიანი არ გიყვარს, შენი საშველი არსად არ არის. თუ ადამიანისთვის ბოროტებას განიზრახავ, ეს ცუდი სადღაც შენ წამოგეწევა, აუცილებლად, სამყაროში არაფერი ქრება, ეს ფიზიკის კანონია, ლომონოსოვმა დაამტკიცა, თუ საიდანღაც რაღაც გაქრა, ის აუცილებლად აღმოჩნდება სხვა ადგილზე, იგივე ხდება ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. ბუნებაში არ არსებობს შემთხვევები, რომ ადამიანს თავისი ცუდი ნამოქმედარი მდევარივით არ დაეწიოს. შეიძლება ერთი შეხედვით, ადამიანები ბედნიერად გვაჩვენებდნენ თავს, მაგრამ თავიანთი წილი გულისტკივილი და იმედგაცრუება მათაც აქვთ.

**— დადგენილია, რომ ხელოვანი ადამიანები სხვებზე მეტად ეხებიან ამოუცნობ მოვლენებს.**

– ხელოვანს იმაზე მეტი კარი ეხსნება მისტიკური სამყაროსი, ვიდრე სხვა დანარჩენს, ვისაც ამის სურვილი არა აქვს. ხელოვნებაში ეს ემოციური სამყაროა, კიდევ რაღაც ისეთი კარები იხსნება ხოლმე, რომელიც არ ეხსნება სხვებს და ყველაზე მეტად ამას მუსიკა და მხატვრობა ჰქვია.

**— რაიმე კონკრეტული შემთხვევის გახსენება ხომ არ შეგიძლიათ, რასაც ახსნა და სახელი ვერ მოუძებნეთ?**

– დილის 4 საათი იქნებოდა, სტადიონზე რომ ჭექს, ისეთი ხმა გვესმის გარედან. ასათიანის ქუჩაზე ვცხოვრობდით, ერთმანეთს გაკვირვებულებმა გადავხედეთ, ფანჯარა გავაღეთ და ძეხორციელი არ დაგვინახავს ქუჩაში, ეს ხმა კი თანდათან გვიახლოვდება.





მერე ჩვენს ფანჯარასთან გაჩერდა, ერთი დაიგუგუნა და თითქოს არაფერიაო, სადღაც გაქრა. მე და მამაჩემმა ერთმანეთს გადავხედეთ, ვერც ერთი ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. არავის არაფერი ჩართული არ ჰქონია და რომც ჰქონოდა, ასე როგორ მოუახლოვდებოდა ჩვენს ფანჯარას.

**— რა უნდა ყოფილიყო?**

– წარმოდგენა არ მაქვს, ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ეს გმინვა-ქუხილი, ჩემსა და მამაჩემის გარდა, არც ერთ მეზობელს არ გაუგია, მარტო რომ ვყოფილიყავი, ვიფიქრებდი ჰალუცინაცია მაქვს-მეთქი, მაგრამ მამაჩემმაც რომ იგივე ხმა გაიგონა?!.

**— კიდევ რა საოცრება მომხდარა თქვენს ცხოვრებაში?**

– ყველაზე მეტად რომ გამჭირვებია, ჩავსულვარ ეკლესიაში და ღმერთისთვის მითხოვია, – ღმერთო, ეს არის ზღვარი, ამას იქით ვერ გავძლებ-მეთქი და ყოველთვის გამოსწორებულა მდგომარეობა. ამაზე დიდი სასწაული რა უნდა იყოს?..

– თუ გჯერათ იმისი, რომ ამ უკიდეგანო სამყაროში მარტონი არ ვართ და სხვა პლანეტებზეც არსებობს სიცოცხლე?

– ისე, როგორც ბევრ ადამიანს, მეც დამინახავს ცაზე რამდენიმე ისეთი ობიექტი, ვარსკვლავისთვის რომ არ მიმიმსგავსებია. მე მქონია ძალიან ბევრი ღრმა და საინტერესო საუბარი მითოლოგებთან. ეს არის სფერო, რომელიც ძალიან მაინტერესებს, თუმცა ჩემს ცნობიერებას სცილდება. სამყაროში არის 64 მილიარდამდე გალაქტიკა, რაც უკვე ირეალური რამაა, ამიტომ შეუძლებელია, ცნობიერებამ წარმოიდგინოს არა ერთი მზის სისტემა, არამედ გალაქტიკა, სადაც უამრავი რამაა გაერთიანებული. სად რა განზომილებაში და როგორ, კაცმა არ იცის. ნამდვილად არ მგონია, რომ მარტო ჩვენთან არის სიცოცხლე, თანაც „ნასამ“ უკვე დაადგინა, რომ მარსზე არის წყალი და ვარაუდობენ, რომ სიცოცხლე იყო. როცა ყველაფერზე ფიქრობ, იცი, რომ სადღაც მარტო არ ხარ, ამას ბევრნაირად ხსნიან. მაგალითად, ბუდისტებს რომ ჰკითხო, ისინი გეუბნებიან, იმისთვის რომ ნირვანას მდგომარეობას მიაღწიო, ერთი განსხეულება არ გყოფნის. მართლმადიდებლები ცოტა სხვანაირად ვფიქრობთ.

**— თქვენ გჯერათ რეინკარნაციის?**

– ეზოთერულ მართლმადიდებლობაში რომ ჩავიხედოთ, იქ ძალიან ბევრი ამბობს, რომ რეინკარნაცია არსებობს, აპოკრიფებშიც წერია, რომ არსებობს. მე არ ვიცი, რა არსებობს, უბრალოდ, მგონია, რომ ერთი განსხეულება ნამდვილად არ არის საკმარისი, რომ სამუდამო ნეტარებას მიაღწიო. უკიდეგანო სამყაროში აუხსნელი და შესამეცნებელი გაცილებით მეტია, ვიდრე აღქმული და გაცხადებული, ამიტომაც გვაქვს ბევრი უპასუხო კითხვა.

**— გადამოწმებულიც ხომ არ გაქვთ, მერამდენედ ხართ მოსული?**

– სასაცილოა ამის გადამოწმება, რადგან მექსიკელები, ინდიელები და შამანებიც ვერ არკვევენ ამ ყველაფერს.

**— წინასწარმეტყველებების თუ გჯერათ და თუ აგხდენიათ ნათქვამი?**

– იმას, რომ ვილაცას რაღაცის დანახვა შეუძლია და არსებობენ ამ ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, მჯერა. არ არის აუცილებელი, ჩვენი ხვალინდელი დღე წინასწარ ვიცოდეთ.

**— ნივთი ხომ არ გაქვთ, რასაც საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებთ, ან რაიმე რიტუალი სცენაზე გასვლის წინ?**

– არანაირი ნივთი არ მაქვს და არანაირ რიტუალს არ ვატარებ, ჩემი თილისმა ჩემი გიტარა და კლავიატურაა, სხვა თილისმა არ მინდა (იცინის).

## 4 – 10 აპრილის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული** – სასიყვარულო ურთიერთობებში თქვენი მორჩილება პარტნიორს რომანტიკულ განწყობას შეუქმნის, რაც, ზოგადად, დადებითი შედეგების მომტანი იქნება. ნუ შეგეშინდებათ, მიენდოთ ინტუიციას. როგორც პირად, ისე ოჯახურ ცხოვრებაშიც თავის დაზღვევა გჩვევიათ, მაგრამ, თუკი აკვიატებულ სტერეოტიპებზე უარს არ იტყვით, ურთიერთობა ხუხულასავით დაგენგრევათ.

**სამსახური** – იძულებული იქნებით, მთელი დრო და ენერგია ყოველდღიური საკითხების მოგვარებას დაუთმოთ.

**სასიკეთო დღეები:** 6, 7 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 10 აპრილი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული** – მიმდინარე კვირა ხანმოკლე რომანების კვირა იქნება: როგორც დაიწყება, ისევე დასრულდება. შეიძლება შეიყვაროთ, მაგრამ უცბად გადაიყვაროთ, შემდეგ კი ისევ შეყვარებული იყოთ. თუკი ჯერ ისევ მარტო ხართ, ეს კვირა შესანიშნავი პერიოდია იმისთვის, რომ ცხოვრების თანამგზავრი იპოვოთ. თუ ვინმე მოგეწონათ, ნუ დაელოდებით, როდის გადმოდგამს პირველ ნაბიჯებს ის, თავადვე იაქტიურეთ.

**სამსახური** – შემოქმედებითად რეალიზებისთვის შესანიშნავი დროა.

**სასიკეთო დღეები:** 4, 8, 9 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 6 აპრილი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული** – არც ისე კარგი პერიოდია ოჯახის წევრებთან ერთად მოგზაურობისთვის, განსაკუთრებით თუ საქმე ხანგრძლივ მოგზაურობას ეხება. რაც შეეხება ახალ ურთიერთობებს, ყველაფერი შესაძლებელია და არ არის გამორიცხული, სწორედ ის ადამიანი იპოვოთ, რომელზეც წლების მანძილზე ოცნებობდით.

მიმოიხედეთ, ნუ მოისურვებთ მაინცდამაინც ისეთ ადამიანთან ურთიერთობას, რომელიც თქვენს მიმართ გულგრილია.

**სამსახური** – არ არის გამორიცხული, დაგაწინაურონ.

**სასიკეთო დღეები:** 6, 7, 10 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 9 აპრილი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ზღვის ძუძუმწოვარი
2. ცხვრის ქონი
3. ნიდერლანდის დედაქალაქი
4. ექს-პრეზიდენტი ფრანსუა ...
5. ტრაგედიის მუზა
6. „კუკარაჩა“ ინგა ...
7. საფრანგეთის ჰიმნი
8. მომღერალი ... კაასი
9. დიამეტრის ნახევარი
10. ალტერაციის ნიშანი მუსიკაში
11. ოპტიმისტის საპირისპირო
12. ნიკოლოზ ბარათაშვილის თიკუნი
13. მსახიობი ... ტერონი
14. ბრინჯაო
15. ჯერ შრომა, ... ხტომა
16. შვედური წურდა ფული
17. რომაელი იმპერატორი
18. პატარა, მომცრო, ანუ ...
19. ადამის მეუღლე
20. მისი დედაქალაქია დუბლინი
21. ... გვარზე ხტისო
22. ჟურნალისტი ... ობოლაძე
23. გამოძიების ერთ-ერთი გზა
24. მთათა სისტემა ევროპაში
25. ოპერის შესავალი ნაწილი
26. ნახატებიანი თავსატეხი
27. სინონიმის საპირისპირო
28. ებრაული ენა
29. ათასწლეულის დასასრული
30. რეჟისორი ... სკოტი
31. მოდელი ... კროუფორდი
32. ... და სიცილი მეგობრები არიანო
33. ძვირფასი წითელი ქვა
34. ხინჯი, ნაკლი
35. მომღერალი ... ტერნერი
36. იავნანა, ანუ ...
37. შინაური ცხოველი
38. ჯუჯა სამეფო სახ-...
39. მსახიობი ... შენგელაია
40. უნივერსიტეტი ... მატერი
41. „ბეჭდების მბრძანებ“. ჰობიტი
42. სვეტის ფორმის ძეგლი
43. ... შეიქმს სიყვარულსა
44. გაუშლელი ყვავილი
45. დირიჟორი ჰერბერტ ფონ ...
46. მწერალი კარლო ...
47. სოფოკლეს ტრაგედია
48. ჭამის სურვილი
49. რაზე აგებენ პარკეტს
50. მომღერალი თედორე ...
51. ცხენის რძის სასმელი
52. მაღალი კვიცი
53. დენის მარეგულირებ. ხელსაწყო
54. მსახიობი ... ბროსნანი
55. ადამიანი, რომელიც ახმოვანებს სპორტულ შეჯიბრებას
56. რეჟისორი გას ... სენტი
57. მხარე დას. საქართ.
58. მხ/ფ „გლახის ნაამბობი“ პერსონაჟი
59. მხ/ფ „ბორნის ...“
60. მსახიობი ... ჭიჭინაძე
61. წარგზავნილ ადამიანთა ჯგუფი
62. საკანი
63. აბატი ფარიას ციხე
64. მსახიობი ... ტაილერი
65. „ეზოში ... ძაღლია“
66. ხომალდის უკანა ნაწილი
67. შვილიშვილი
68. მსახიობი მიქელე ...
69. გმირი ჯუზეპე ...
70. მხ/ფ „... ქალაქში“
71. ინდური კაბა
72. ღვინის ღმერთი
73. მშვიდი განწყობა
74. შხამიანი გველი
74ა. რიცხვი 3,14
75. მსახიობი ია ...
76. ინერტული აირი
77. მსახიობი ... როთი
78. მსახიობი ... ტომასი
79. ხის ჯიში
80. ტარზანის მაიმუნი
81. რეჟისორი ... დოლიძე
82. შოლოხოვი. „წყნარი ...“
83. სილა
84. მხ/ფ „... ქუდი“
85. მომღერალი ... რიდი
86. მუხის ქერქი
87. კომპოზიტორი ედუარდ ...
88. ჰოლანდიელი მხატვარი
89. ქალაქი იტალიაში
90. მარჯნის კუნძული
91. ლენონის ქვრივი
92. მდინარე თერგის ხეობა
93. მომღერალი ვიქტორ ...
94. ზამბახი
95. მსახიობი გოიკო ...
96. დამამტკიცებელი საბუთი
97. ხორბლის ჯიში
98. მონო, დი, ..., ტეტრა
99. უმაღლესი სპორტ. მიღწევა
100. სიმსივნის ფორმა
101. ადამიანი ობობა
102. კრემიანი ნამცხვარი
103. ზღვის კომბოსტო
104. მუზების მფარველი ღმერთი
105. იგავი „... და კრავი“
105ა. ქალაქი აფხაზეთში
106. ლითონი
107. მისი დედაქალაქია რომი
108. საუკეთესო, გამორჩეული
109. დედამიწის გუმბათი
110. მსახიობი ... გიბსონი
111. მომღერალი ... პიაფი
112. პატარა ტანის მტაცებელი ცხოველი
113. ბრონტე. „ჯეინ ...“
114. ებრაული რიტუალ. ხმიადი
115. მოკრივე კასიუს ...
116. მომღერალი ... სოხაძე
117. მსახიობი ანუკ ...
118. ჩრდილოეთის ირემი
119. ცხენების ჯოგი
120. „მე ... ქართველი ვარ“
121. ... ძედუნი
122. შენობა საწნახლით
123. ... გავეყარე და ვუის შევეყარე
124. პინგვინების ჯგუფი
125. ოსური ცეკვა
126. ზღვაოსანი ... და გამა
127. ... ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო
128. სოფელი საგარეჯ. რაიონში
129. მსახიობი ... ჰეპბერნი
130. შხამიანი გველი
131. სოციალური ქსელი
132. ქორბუდა ცხოველი
133. საოპერო პარტია
134. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
135. ავტოსაგზაო შემთხვევა
136. მამითადი
137. საერთაშორისო ორგანიზაცია
138. ... და ჰერცეგოვინა
139. ცურვის სტილი
140. ყვავილი

პასუხები: 1. კაშალოტი; 2. დუმა; 3. ამსტერდამი; 4. მიტერანი; 5. მელპომენე; 6. ლალიაშვილი; 7. მარსელიეზა; 10. დიეზი; 11. პესიმისტი; 12. ტატო; 13. შარლიზ; 14. რვალი; 15. მერე; 16. ერე; 17. ნერონი; 18. მინიატურული; 19. ევა; 20. ირლანდია; 21. კვიცი; 22. დიმა; 23. ვერსია; 24. ალპები; 25. უვერტიურა; 26. რებუსი; 27. ანტონიმი; 28. იდიში; 29. მილენიუმი; 30. რიდლი; 31. სინდი; 32. ტირილი; 33. ლალი; 34. ზადი; 35. ტინა; 36. ნანინა; 37. კამეჩი; 38. მარინო; 39. არიადნა; 40. ალმა; 41. ფროდო; 42. ობელისკი; 43. შიში; 44. კოკორი; 45. კარაიანი; 46. კოლოდი; 47. „ანტიგონე“; 48. მადა; 49. იატაკი; 50. შალიაპინი; 51. კუმისი; 52. ურა; 53. რეოსტატი; 54. პირს; 55. კომენტატორი; 56. ვან; 57. იმერეთი; 58. გაბრიელი; 59. იდენტიფიკაცია; 60. დოდო; 61. დელეგაცია; 62. დილეგი; 63. იფი; 64. ლივ; 65. ავი; 66. კიჩო; 67. ბადიში; 68. პლაჩიდო; 69. გარიბალდი; 70. ორნი; 71. სარი; 72. დიონისე; 73. იდილია; 74. აგა; 74ა. პი; 75. ნინიძე; 76. რადონი; 77. ტიმ; 78. ტერი; 79. ტირიფი; 80. ჩიტა; 81. სიკო; 82. დონი; 83. ქვიშა; 84. ჩალის; 85. დინ; 86. კორპი; 87. გრიგი; 88. რემბრანდტი; 89. სან-რემო; 90. ატოლი; 91. ონო; 92. დარიალი; 93. ცოი; 94. ირისი; 95. მიტიჩი; 96. არგუმენტი; 97. იფქლი; 98. ტრი; 99. რეკორდი; 100. კისტა; 101. სპაიდერმენი; 102. ტორტი; 103. ლამინარია; 104. აპოლონი; 105. მგელი; 105ა. გალი; 106. სპილენძი; 107. იტალია; 108. რჩეული; 109. ცა; 110. მელ; 111. ედიტ; 112. კვერნა; 113. ეარი; 114. მაცა; 115. კლეი; 116. ირმა; 117. ემე; 118. მარალი; 119. რემა; 120. პატარა; 121. მაო; 122. მარანი; 123. ვაის; 124. კოლონია; 125. „სიმდი“; 126. ვასკო; 127. ძმა; 128. მანავი; 129. ოდრი; 130. ასპიტი; 131. ტვიტერი; 132. ირემი; 133. არია; 134. მარტინა; 135. ავარია; 136. ნადი; 137. იუნესკო; 138. ბოსნია; 139. ბრასი; 140. ია. იკითხება: შატილი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ავადმყოფური სიგამხდრე
2. ჩუკოვსკი. „ექიმი ...“
3. კიანუ რივზი ფილმში
4. გემი ორი კორპუსით
5. მისი დედაქალაქია ბერლინი
6. ჟურნალისტი ინგა ...
7. ვირას საპირისპირო ბრძანება
8. ტაში
9. მევიოლინე ლიანა ...
10. ჩანჩქერი აშშ-ში
11. მსახ. ... მაკგრეგორი
12. მდინარე ჩეხეთში
13. ნერვიული აშლილობა
14. საომარი ოპერაციის ადგილი
15. ჭურჭელი ზოგადად
16. ჰანს-ქრისტიან ...
17. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
18. სიმინდის ყვავილედი
19. ქალაქი ბელგიაში
20. მწერალი პროსპერ ...
21. გიორგი სააკაძის სოფელი
22. ფურუნკული
23. პოეტი ... ბარტო
24. კომპოზიტორი ... კვერნაძე
25. მეკარე ... იაშინი
26. პირთა ჯგუფის მიერ საქმიანობის შემოწმება
27. კოშკი პარიზში
28. რეპტილია, ანუ ...
29. მხატვარი ... ახვლედიანი
30. ველური ყაყაჩო
31. მსახიობი ... ჰეპბერნი
32. შოტლანდიის დედაქალაქი
33. მსახიობი ... ჩურიკოვა
34. კომპოზიტორი მიქაელ ...
35. დათვის ნაშიერი
36. საუბარი, ანუ ...
37. ბერძ. ანბანის პირველი ასო
38. მსახიობი ... მიდლერი
39. უნაყოფო ნიადაგი
40. მიწის ფართობის ერთეული
41. მთათა სისტემა აზიაში
42. ციებ-ცხელება
43. „... ვხედავ მზეს“
44. პირბადე
45. კურორტი თურქეთში
46. ერაყში: ... ჰუსეინი
47. კორიდორი
48. ჰუნების ბელადი
49. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
50. ატმოსფერული აირი
51. მწერალი კობო ...
52. ბიზეს ოპერა
53. მუსლიმანური მარხვა
54. მევიოლინე ნიკოლო ...
55. თვითნასწავლი მხატვრობა
56. თამაში ხის ჯოხებით
57. იკაროსის მამა
58. ეთერზეთოვანი მცენარე
59. რუსული წარმოების „ფიატი“
60. მისი დედაქალაქია ტალინი
61. მსახიობი ... როკი
62. სასვენი ნიშანი
63. ზღვის ცხოველი ხვეტიანი ცხვირით
64. ბურღულეული
65. წყლის შინაური ფრინველი
66. ავგაროზი
67. პოლონელი კომპოზიტორი
68. ნასესხები ფული
69. ტარტუს კალათბ. კლუბი
70. ცხენების სადგომი
71. ქორეოგრაფი მარის ...
72. ვაჟიშვილი
73. სანო, იგივე მერაბ ...
74. პოეტი ქალი ... ლესბოსელი
75. ბუდისტი მღვდელი
76. ხმლის ტარი
77. პოლიმერის მასალა
78. მხ/ფ „... ქექია“
79. ბელა მირიანაშვილი სპექტაკლში
80. რეჟისორი ... ფელინი
81. ქალაქი შორეულ აღმოსავლ.
82. 30დღე
83. ყაზახეთის დედაქალაქი
84. ეგვიპტის ფარაონი
85. ლათინოამერიკული ცეკვა
86. სახელმწიფო აზიაში
87. მსახიობი მერილ ...
88. ტალანტი
89. მსახიობი აიშვარია ...
90. გეოგრაფიაში: პარალელი და ...
91. ღამის ფრინველი
92. ბინოკლი, ანუ ...
93. გადახდილზეგიანი ეტლი
94. ყვავილი
95. ყურძნის არაყი
96. ალ. ტოლსტოის ფანტასტ. მოთხრობა
97. ციხესიმაგრე თბილისში
98. უკრაინის პარლამენტი
99. როკ-მუსიკოსი ... კუპერი
100. მსახიობი ... ბერიმორი
101. ბაში აჩუკის ქუდი
102. ფანქრის შავი გული
103. მსახიობი ჯესიკა ...
104. ქალაქი იტალიაში
105. მსახიობი უაინონა ...
106. თვითმფრინავების სადგომი
107. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
108. სპექტაკლი „ძველი ...“
109. ჭადრაკის ქალღმერთი
110. 1000კგ
111. რბილი სასის გაგრძელება
112. თავის ჩონჩხი
113. საყანედ გაჩეხილი ტყე
114. ხორბლით დათესილი ადგილი
115. ... მეფობენ და არა მეფენი
116. ქალაქი იტალიაში
117. ნადირობის ქალღმერთი
118. ბრაზილიელი ფეხბურთელი
119. მსახიობი ... ჰოუკი
120. საპნის ოპერის ერთი ფილმი
121. ლუდის მასალა
122. მომღერალი ... ჯონი
123. თბილისის საფეხბ. კლუბი
124. მსახიობი ... ოტული
125. მსახიობი ... ლი ჯონსი
126. დაწესებულების მომმარაგებელი
127. სახელმწ. ... და ტობაგო
128. ღმერთი სკანდინ. მითებში
129. აფრის სამაგრი
130. გაზაფხულის თვე
131. ასლი (მოძვ.)
132. ... კაჩინსკი
133. ცხენბურთი
134. დარტანიანის მტერი
135. მსახიობი ... ნოლტი
136. ისტორიიდან: ... არაგველი
137. ფალიაშვილის ოპერა
138. ხერხემლის ძვალი
139. შიიზმის მიმდევარი
140. ნინუა ფილმში „უდიპლომო სასიძო“
141. იუპიტერის თანამგზავრი
142. მედეა ჯაფარიძე ფილმში „წარსული ზაფხული“

პასუხები: 1. ანორექსია; 2. აიბოლიტი; 3. „მატრიცა“; 4. კატამარანი; 5. გერმანია; 6. გრიგოლია; 7. მაინა; 8. აპლოდისმენტი; 10. ნიაგარა; 11. ევან; 12. ოდერი; 13. ისტერიკა; 14. პლაცდარმი; 15. ტარა; 16. ანდერსენი; 17. მარადია; 18. ტარო; 19. ანტვერპენი; 20. მერიმე; 21. ნოსტე; 22. ძირმაგარა; 23. აგნია; 24. ზიძინა; 25. ლევ; 26. რეიდი; 27. ეიფელი; 28. ქვეწარმავალი; 29. ელენე; 30. იორდასალაში; 31. ოდრი; 32. ედინბურგი; 33. ინა; 34. ტარივერდიევი; 35. ზელი; 36. ბაასი; 37. ალფა; 38. ბეტ; 39. ეწერი; 40. აკრი; 41. ტიან-შანი; 42. მალარია; 43. მე; 44. რიდე; 45. ანტალია; 46. სადამ; 47. დერეფანი; 48. ატილა; 49. მისისიპი; 50. ჰაერი; 51. აბე; 52. „კარმენი“; 54. პაგანინი; 55. ნაივი; 56. კრიკეტი; 57. დედალოსი; 58. ლავანდა; 59. „ლადა“; 60. ესტონეთი; 61. კრის; 62. ტირე; 63. ნარვალი; 64. ვერმიშელი; 65. იხვი; 66. თილისმა; 67. შოპენი; 68. ვალი; 69. „კალევი“; 70. თავლა; 71. ლიეპა; 72. ძე; 73. სანოძე; 74. საფო; 75. ლამა; 76. ვადა; 77. ვინილი; 78. ბათა; 79. „ჭინჭრაქა“; 80. ფედერიკო; 81. ვლადივოსტოკი; 82. თვე; 83. ასტანა; 84. ტუტანხამონი; 85. ლამბადა; 86. ნეპალი; 87. სტრიპი; 88. ნიჭი; 89. რაი; 90. მერიდიანი; 91. ბუ; 92. დურბინდი; 93. ფაეტონი; 94. ია; 95. ჭაჭა; 96. „აელიტა“; 97. ნარიყალა; 98. რადა; 99. ელის; 100. დრიუ; 101. ფაფანაკი; 102. გრაფიტი; 103. ალბა; 104. ტურინი; 105. რაიდერი; 106. ანგარი; 107. რაფა; 108. ვოდევილები; 109. კაისა; 110. ტონა; 111. ნაქი; 112. ქალა; 113. ახო; 114. ყანა; 115. დრონი; 116. ნეაპოლი; 117. დიანა; 118. კაკა; 119. იტან; 120. სერია; 121. ალაო; 122. ელტონ; 123. „დინამო“; 124. პიტერ; 125. ტომი; 126. მნე; 127. ტრინიდადი; 128. ოდინი; 129. ანძა; 130. მაისი; 131. კოპიო; 132. ლეხ; 133. პოლო; 134. მილედი; 135. ნიკ; 136. სამასი; 137. „დაისი“; 138. მალა; 139. შიიტი; 140. ნიკოლოზი; 141. იო; 142. ელიკო. იკითხება: რობერტ დე ნირო.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## როგორ უნდა ვსვათ წყალი, რომ გავხდეთ?



ეს დიეტა 2 კვირაში 8-12 კილოგრამის დაკლების საშუალებას იძლევა. ერთადერთი პირობაა – ყოველი კვების წინ მიიღეთ 2 ჭიქა წყალი და არ მიიღოთ ის კვების შემდეგ 2 საათის განმავლობაში.

დიეტის არსი ძალიან მარტივია – კვების წინ 2 ჭიქა წყალი, ზუსტად 2 და არავითარ შემთხვევაში ნაკლები, 15-20 წუთის შემდეგ კი შეგიძლიათ, წყნარად მიირთვათ სასურველი საკვები.

დაიცავით ეს წესი: ჭამის დროს და ჭამის შემდეგ 2 საათის განმავლობაში აკრძალული გაქვთ წყლისა და ნებისმიერი სითხის მიღება. 2 საათის გასვლის შემდეგ თამამად შეგიძლიათ, დალიოთ თქვენი საყვარელი ჩაი ან ყავა, ოღონდ ნამცხვრისა და სხვა ტკბილეულის გარეშე.

როგორი უნდა იყოს ყოველდღიური მენიუ:

საუზმე – 2 ჭიქა წყალი. 15-20 წუთის შემდეგ საუზმობთ იმით, რაც თქვენს გულს გაუხარდება. სითხეს არ ვაყოლებთ. 2 საათის განმავლობაში არ ვიღებთ არც წყალს და არც სხვა სითხეს.

სადილი – 2 ჭიქა წყალი, 15-20 წუთის შემდეგ ვჭამთ ყველაფერს, რაც გვსურს და 2 საათის განმავლობაში არ ვსვამთ წყალს.

ვახშამი – 1 ჭიქა წყალი. 15-20 წუთის შემდეგ მიირთვით რაც გსურთ, არ დააყოლოთ წყალი და არ დალიოთ ჭამიდან 2 საათის განმავლობაში სითხე.

გისურვებთ წარმატებებს!

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელს გადაუნერგეს გული, რომელიც... არ ფეთქავს



თანამედროვე მედიცინა და ტექნიკა არნახული ტემპებით ვითარდება, რასაც ამერიკაში ჩატარებული უნიკალური ოპერაცია კიდევ ერთხელ ამტკიცებს.

როგორც ირკვევა, გარკვეული პერიოდის წინ ამერიკელ მამაკაცს ხელოვნური გული გადაუნერგეს, რომელიც არ ფეთქავს.

საუბარია აპარატზე, რომელიც ბოლო დრომდე მხოლოდ ცხოველებზე იცდებოდა, ადამიანს კი პირველად გადაენერგა.

აპარატის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სისხლის ნაკადის შეუჩერებელ მოძრაობას უზრუნველყოფს, ანუ ადამიანს არ ექნება არც გულისცემა და არც პულსი გაესინჯება არასოდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო მომენტამდე აპარატი მხოლოდ ცხოველებზე იცდებოდა და მის გადანერგვას ამერიკელი პაციენტი დასთანხმდა, რომელსაც ისეთი დაავადება ჰქონდა, რომ გადარჩენის იმედი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა.

სამწუხაროდ, მამაკაცი მაინც გარდაიცვალა, თუმცა სიკვდილის მიზეზი გულზე ჩატარებული ოპერაციის ბრალი არ ყოფილა.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ აპარატის შექმნას მედიკოსები რევოლუციას უწოდებენ. მიზეზი კი ასეთია: ნებისმიერი სხვა ტიპის ხელოვნური გული, სისხლის ნორმალური მიმოქცევა რომ უზრუნველყოს, დღეში მილიონჯერ და მეტჯერ უნდა შეიკუმშოს, რის გამოც ძალიან მალე ფუჭდება. რაც შეეხება ამ ახალ აპარატს, იმის გამო, რომ იგი არ იკუმშება, ანუ არ ფეთქავს, ექსპლოატაციის ვადა გაცილებით დიდი აქვს.

როდიდან დაიწყება მისი მასობრივი გამოყენება ან რა ღირს ოპერაცია, სამწუხაროდ, აღარ ზუსტდება.

*mydieta.ucoz.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## „მის მკერდი 2016“ – ყველაზე ლამაზი მკერდის გამოსავლენად საქართველოში კონკურსი ტარდება





საქართველოში ყველაზე ლამაზი მკერდის გამოსავლენად კონკურსი „მის მკერდი 2016“ ტარდება.

გახდი წარმატებული საკუთარი პროპორციებით და არა პლასტიკური ქირურგიის შედეგით. ნატურალური და ბუნებრივი სხეულის პროპორციების პროპაგანდა.

იწყება კასტინგი გოგონებისთვის, ვისაც სილამაზის კონკურსში მონაწილეობა სურს და აქვს მკერდი ზომით ოთხიდან ზემოთ. ასაკი 18-37 წლის ჩათვლით. კონკურსი თბილისში გაიმართება. კონკურსანტები მონაწილეობას მიიღებენ ფოტოსესიებში, ივენთებსა და სხვადასხვა შოუებში. გამარჯვებულს უამრავი საჩუქარი და სიურპრიზი ელის. „ღონისძიება მიმართულია მკერდის კიბოთი დაავადებული ქალბატონების მხარდასაჭერად“, – აღნიშნულია კონკურსის აღწერაში.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ნიუ-იორკში ყნოსვით გაცნობის სამსახური გაიხსნა



ერთ-ერთი გაცნობის სამსახური მომხმარებლებს ახალ, უჩვეულო სერვისს სთავაზობს. დაინტერესებულ პირს სხვადასხვა სურნელიანი ქსოვილი გადაეცემა და თავად აარჩევს, რომელი მოსწონს და რომელი ქსოვილის მფლობელთან სურს შეხვედრა.

სპეციალისტების თქმით, სუნით შეიძლება გენეტიკურ თავსებადობასა და ადამიანის სხვადასხვა მახასიათებელზე სიგნალები მივიღოთ.

პირველ 100 მსურველს მაისურები გადასცეს, რომელიც სამი დღის განმავლობაში უნდა სცმოდათ. არც სუნამოს და არც დეზოდორანტის გამოყენების უფლება არ ჰქონდათ.

შემდეგ ორგანიზატორების ეს მაისურები დაჭრეს და კლიენტებს მისი ნაწილები დაურიგეს. ამით არკვევენ, რომელი სუნი უფრო მეტად მოსწონთ.

თუ ორი ადამიანი ერთმანეთის სუნით დაინტერესდება, გაცნობის სამსახურისგან საკონტაქტო ინფორმაციას მიიღებენ და შესაძლოა, ყნოსვით ბედნიერებაც იპოვონ.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილზე... მარიხუანას აწევინებდა



ზოგიერთ სკოლაში ბავშვი სულ რომ ცრემლებად დაიღვაროს, გაკვეთილზე კანფეტის ჭამის უფლებას არ მისცემენ. აგერ, ამერიკის ქალაქ ჰენრიკოში კი მოსწავლეები გაკვეთილზე სულაც მარიხუანას აბოლებენ და მასწავლებელს რეაქცია არ აქვს.

23 წლის დომინიკ ლეუზი ვირჯინია რენდოლფის სახელობის აკადემიაში შრომას ასწავლის და გადაწყვიტა, რომ მის გაკვეთილებზე მარიხუანის მოწევა ბავშვებს ათვისების უნარს არ უფერხებდა და რატომ უნდა გამოეგლიჯა მათთვის ხელიდან სიამოვნების წყარო. არადა, სკოლაში ნარკოტიკული ნივთიერებების არათუ გამოყენება, ტარებაც აკრძალულია.

დაბოლილი მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია პოლიციას სკოლის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მიაწოდა. თურმე ის მოსწავლეები, რომლებიც არ კაიფობდნენ, შეწუხებულან თანატოლების ნირვანაში მოგზაურობით და პროტესტი გამოუთქვამთ.

„18 წელია, პოლიციაში ვმუშაობ და მსგავსი შემთხვევა ჯერ არ მქონია“, – განაცხადა პოლიციის აღშფოთებულმა თანამშრომელმა.

ლეუზი მოზარდებისთვის უკანონო ქმედებაში ხელშეწყობის ბრალდებით სკოლიდან მიაბრძანეს.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დეზოდორანტის ნაცვლად... კამფეტები



ბოლო მომენტამდე დეზოდორანტი პირადი ჰიგიენის განუყოფელი ნაწილი გახლდათ, თუმცა ეს წარსულს ჩაბარდა.

რატომ და იმიტომ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ამერიკულმა კომპანია „დეო პარფუმ ქენდიმ“ გამოუშვა კამფეტები, რომელიც ადამიანის სხეულის „განიავებას“ ახერხებს.

სიახლის ავტორების განმარტებით, კამფეტს გამაგრილებელი არომატი აქვს, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე ნარჩუნდება.

და რაშია ასეთი ეფექტის საიდუმლო? საქმე ისაა, რომ ახალი ნუგბარის შემადგენლობაში სპეციალური ინგრედიენტი შედის ვარდის არომატით, რომელიც კამფეტის შეჭმის შემდეგ კანის ფორებიდან ნელ-ნელა გამოდის.

მწარმოებლები ამტკიცებენ, რომ სულ რამდენიმე კამფეტის შეჭმა, ადამიანს ოფლის უსიამოვნო სუნისგან მინიმუმ 6 საათის მანძილზე დაიცავს.

რამდენად უსაფრთხოა ახალი სახეობის კამფეტი ჯანმრთელობასთან მიმართებაში, სამწუხაროდ, ამის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

*golosscience.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## გაზირებული სასმელის ბოთლი მომხმარებელს დიაბეტით „შეაშინებს“



ყველამ კარგად იცის, რომ სიგარეტის კოლოფებზე გამაფრთხილებელი წარწერებია დატანილი: „მოწევა კლავს“, „მოწევა იწვევს ფილტვის კიბოს“, „მამაშენმა არ გაგიგოს, თორემ ვაი, შენს დღეს!“

ნუ, ეს უკანასკნელი ჩვენ დავამატეთ, მაგრამ მთავარი ეს სულაც არ არის. საქმე ისაა, რომ, როგორც კანადელი მეცნიერები ამბობენ, სიგარეტის მსგავსად, უნდა მოხდეს გაფრთხილების დატანა გაზირებულ სასმელებზეც.

კანადის სამედიცინო ასოციაციის სპეციალისტებმა უკვე შეიმუშავეს რამდენიმე მაკეტი. კერძოდ, შაქრის შემცველ ბოთლებზე სურთ, რომ დატანილი იყოს გაფრთხილება დიაბეტის რისკის შესახებ. ასევე, იდეა ითვალისწინებს პიცის კოლოფზე დაავადებული ღვიძლის ფოტოს დამატებას, კარტოფილი ფრი კი მომხმარებელს მოსალოდნელ გასუქებაზე „შეაშინებს“.

მოგეხსენებათ, სიგარეტის კოლოფებზე არსებული გაფრთხილება დიდ შედეგს არ იძლევა და ვფიქრობთ, კანადელების ეს მცდელობაც ვერ გაამართლებს, თუმცა რა ვიცით, იქნებ, ჩვენ ვცდებოდეთ და არა ისინი...

*medkarta.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## თმის ცვენის საწინააღმდეგო 6 საუკეთესო საშუალება





სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, ჯერ იმას გეტყვით, რომ, როგორც მედიკოსები ამბობენ, თმის ცვენა ხშირ შემთხვევაში ორგანიზმის პრობლემებზე მეტყველებს, ან ვიტამინების ნაკლებობაზე. ორივე ვარიანტი არასასიამოვნოა და დაფიქრება ნამდვილად ღირს.

თუმცა ზოგჯერ თმის ცვენის მიზეზი არასწორი მოვლაა. აი, სწორედ აქ დაგეხმარებათ რეცეპტები, რომლებიც კარგად ყოფილა აპრობირებული.

1. ალოე – ეს მცენარე ყოველთვის იყო ერთ-ერთი ეფექტური საშუალება თმის ცვენასთან ბრძოლაში. მას ხშირად ისვამენ თავზე, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემასთან ბრძოლის საკმაოდ ხელმისაწვდომი საშუალებაა. რეცეპტი ასეთია: მოაჭერით ალოეს რამდენიმე ფოთოლი, გულდასმით გარეცხეთ და გააშრეთ. შემდეგ შეინახეთ მაცივრის კარში 12 საათი. თუკი ფოთოლს გვერდები გაუშავდება, მოაჭერით, ხოლო საღად დარჩენილი ნაწილი გაწურეთ და თმებზე 1-2 კვირის განმავლობაში წაისვით ხოლმე. ამბობენ, შედეგი გადასარევიაო.

2. ნიღაბი აბუსალათინის ზეთით – შემადგენლობა: აბუსალათინის ზეთი, ერთი ცალი ლიმონის წვენი, იმავე ლიმონის კანი, ერთი ცალი კვერცხის გული. ეს ყველაფერი კარგად აურიეთ ჭურჭელში, რომელიც დამზადებული იქნება ემალით და „მშვიდობით, მელოტო ჯემალი“. მიღებული მასა თმებზე 2 საათი დაიტოვეთ, შემდეგ კი შამპუნითა და თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

3. ბირკავას ზეთი წითელი წიწაკით – პირველ რიგში, შეგახსენებთ, რომ ბირკავა ეკლებიანი ყვავილია, რომელიც მინდორში ძალიან ბევრჯერ გექნებათ ნანახი. ჰოდა, მისი ზეთი მისწრება ყოფილა თმის ცვენისთვის. საკმარისია ნახევარი კოვზი ბირკავას ზეთი და რამდენიმე წვეთი წითელი წიწაკის წვენი. გულდასმით შეიზილეთ მასა თმის ძირებში და თავზე პოლიეთილენის ქუდი დაიხურეთ. 1 საათის შემდეგ თავი შამპუნით დაიბანეთ. პროცედურა კვირაში ერთხელ უნდა ჩატარდეს.

4. ჭინჭრის ნახარში – მისი რეგულარული გამოყენება აფერხებს არა მხოლოდ თმის ცვენის პროცესს, არამედ მუსრს ავლებს ქერტლსაც.

5. ხნა – ამ ნატურალური საღებავის გამოყენების შემდეგ ბევრი ქალი ამჩნევს, რომ ვარცხნის შემდეგ, სავარცხელზე სულ უფრო ნაკლები თმა რჩება.

6. რომი ვაშლით – შემადგენლობა: 200 გრამი გახეხილი ვაშლი და 500 მილიგრამი რომი. ვაშლი ალკოჰოლში 3 დღე უნდა შეინახოთ. ამის შემდეგ მიღებული მასა თმის ძირებში კვირის მანძილზე უნდა შეიზილოთ. ეს რეცეპტი უფრო ღია ფერის თმის მქონეებისთვის ყოფილა, თუმცა რატომ, აღარ ზუსტდება.

*forumnt.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## წლების განმავლობაში სწრაფი კვების პროდუქტზე დამოკიდებულმა გოგონამ ხილი პირველად გასინჯა



21 წლის ჯორჯი სკოტნი ბრიტანეთში, ქალაქ პორტსმუტში ცხოვრობს. ღრმა ბავშვობიდან კვებასთან დაკავშირებული პრობლემებით იტანჯებოდა და მისი რაციონი მხოლოდ გარკვეული საკვებისგან შედგებოდა. შედეგად კი, გოგონას უცნობი პროდუქტებისადმი შიში ჩამოუყალიბდა. ჯორჯი წლების განმავლობაში მხოლოდ პურს, ჩიფსებსა და ქათმის ხორცს ჭამდა.

მიუხედავად იმისა, რომ სპორტდარბაზში ყოველდღე დადიოდა, წონის პრობლემა მაინც შეექმნა.

გოგონას არაფერმა უშველა, რომ შიში დაეძლია და ჯანსაღი საკვები გაესინჯა. ბოლოს კი, ჰიპნოზის სეანსებზე დაიწყო სიარული და შიშიც გაუქრა.

„ყველაფერი შეიცვალა. ისეთი საკვების ჭამა დავიწყე, რომელსაც ადრე არც ვეკარებოდი. თითქმის 15 წელი ინგლისურ საუზმეზე ვოცნებობდი და ახლა უნდა ავიხდინო და დავტკბე“, – განაცხადა ნორმალურ ცხოვრებას დაბრუნებულმა ჯორჯმა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ექიმებმა ზურგის ტვინის აღდგენა ისწავლეს



პირველ რიგში, ის უნდა ითქვას, რომ ზურგის ტვინის დაზიანება წარმოუდგენელ სირთულეებს უკავშირდება და სტატისტიკის თანახმად, ეს პრობლემა შემთხვევათა თითქმის 80 პროცენტში პაციენტების დაინვალიდებას იწვევს.

კვინსლენდის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სწავლულების მიღწევა კი იმედს იძლევა, რომ ზურგის ტვინის მკურნალობა ძველებურად პრობლემატური აღარ იქნება.

რაც მთავარია, მეთოდი უკვე წარმატებით გამოიცადა ცხოველებზე, უახლოეს მომავალში კი სპეციალისტები კლინიკურ გამოცდებს უკვე ადამიანებზეც დაიწყებენ.

მიღწევის ავტორები მიიჩნევენ, რომ მათი მეთოდი დაინვალიდებისგან ასობით ათას ადამიანს გადაარჩენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

– ზურგის ტვინის საწყისი დაზიანება ჰემატომას ჰგავს, თუმცა ჩვეულებრივი დაზიანებისგან განსხვავებით, ზურგის ტვინი ანთებითი რეაქციებისკენ არის მიდრეკილი, რაც პაციენტის მდგომარეობის შემდგომ დამძიმებას იწვევს. ჩვენი მეთოდი ითვალისწინებს ზურგის ტვინში ცილების დამატებას, რომლებიც ცნობილია, როგორც ზრდის ფაქტორები. ამით ხდება ანთებითი პროცესების ჩახშობა და განმეორებითი ნევროლოგიური დაზიანებების აღკვეთა, – განმარტავენ მიღწევის ავტორები.

*infomain.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მამაკაცს ტელეშოუ მობეზრდა და ტელეკომპანიას აფეთქებით დაემუქრა



როცა ზოგ-ზოგიერთი ქართველების დემოკრატიულობას იწუნებს, თავის ქვეყანას მიხედოს, აბა, იქ როგორი მდგომარეობაა?!

როგორც ირკვევა, ნიუიორკის შტატის მკვიდრი პოლიციამ იმის გამო დააპატიმრა, რომ თურმე, მას ერთ-ერთი ტელეკომპანიის შოუ იმდენად მობეზრდა, რომ შეუთვალა: „თუ შოუს ჩვენებას არ შეწყვეტთ, ცულსა და ცუნცულას კი არა, ბომბს მოვიტან და ჰაერში აგწევთ თქვენი ასე და ისეო“...

ჰო, მართლა ამის გამო გაუნაწყენდა ტელეკომპანიას ფრედი კალდუელი და ტელევიზიის აფეთქებაც მოინდომა.

პოლიციამ დაადგინა, რომ ეჭვმიტანილმა ტელევიზიაში ორჯერ დარეკა - პირველად მიმდინარე წლის 11 მაისს, ხოლო როცა სასურველი შედეგი ვერ მიიღო, ანუ სულელური შოუ არ დასრულდა, „ტელევიზიონშიკებს“ კიდევ ერთხელ შეეხმიანა.

მოკლედ, ზის ახლა ფრედი კალდუელი და ელოდება სასამართლოს, რომელიც, ალბათ, მას მინიმუმ სოლიდური ჯარიმით „დაასაჩუქრებს“.

ისე, სულელური შოუებისა და მუშაობის გამო ჩვენც რომ ვაფეთქებდეთ ტელევიზიებს, ახლა საქართველოში არც ერთი არხი აღარ იქნებოდა.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## სასტუმროს მეპატრონემ გეი წყვილს შენობა არ მიაქირავა და 80-ათასიანი ჯარიმაც გაირტყა




ჩემი სასტუმროა და ვისაც მინდა, იმას ვუმასპინძლებო, განაცხადა ჯიმ ვოლდერმა და გეი წყვილს საქორწილო ცერემონიისთვის შენობა არ მიაქირავა.

თურმე, ტოდ და მარკ ვეზენები დაოჯახებას აპირებდნენ. ამისთვის კი საქორწილო ფართი სჭირდებოდათ. მათდა ჭირად ჯიმს მიმართეს, რომელიც თურმე ჰომოსექსუალებისადმი აგრესიული დამოკიდებულებით გამოირჩევა. ჯიმმა თქვა, ეგღა მაკლია, მაგ ამორალურ და არაბუნებრივ კავშირში მეც რამე წვლილი მიმიძღოდესო.

ჩვენი გრძნობების შეურაცხყოფა ეგრე არ უნდაო და ვეზენებმა იჩივლეს. ჰოდა, აგრესორს 80 ათასი დოლარი ჯარიმაც ჩაახუტეს. აქედან 15 ათასი დაჩაგრულ წყვილს ეკუთვნის.

„ბედნიერი ვართ, რომ ასეთი კრიტიკა და უარყოფა გადავიტანეთ“, – განაცხადეს ვეზენებმა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## აშშ-ში 12 წლის გოგონას სმაილების გამო ასამართლებენ



როგორც წესი, ადამიანი თვითმკვლელობაზე ყველაზე ხშირად გარდატეხის ასაკში ფიქრობს, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს 12 წლის გოგოს პოსტი, სადაც წერს – „მკვლელობა. სამშაბათს ბიბლიოთეკაში შევხვდებით“ – უცნობია. როგორც ჩანს, ეს ის შემთხვევაა, როცა მთელი სამყარო შენ წინაშე დამნაშავე გგონია.

აღნიშნული პოსტი ინსტაგრამ გვერდზე სკოლის პერსონალმა ნახა და პოლიციას დაუკავშირდა. ტექსტის გვერდით პისტოლეტის, ბომბისა და დანის აღმნიშვნელი სმაილები ეხატა.

გოგონას ბრალი სკოლაზე მუქარის გამო ედება.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩინელმა მარათონელებმა შემთხვევით საპონი დააგემოვნეს



ჩინეთის ქალაქ ცინიუანიში მარათონის მონაწილეებმა შეცდომით საპონს გემო გაუსინჯეს.

ორგანიზატორებმა მონაწილეებს საპნები დაურიგეს, რომელსაც ფერადი შეფუთვა და ყურძნის არომატი ჰქონდა.

მარათონის მიმდინარეობისას, ქუჩები მოკბეჩილი საპნებით იყო მოფენილი. ჰოდა, ვინაიდან მადისაღმძვრელად გამოიყურებოდა, თანაც წარწერაც ინგლისურად ჰქონდა და ვერავინ ვერაფერი გაიგო, ენერგეტიკულ შოკოლადად აღიქვეს და დააგემოვნეს.

მოგვიანებით, ორგანიზატორებმა შეცდომა აღიარეს და განაცხადეს, რომ საპონს მართლაც ნერწყვის მომგვრელი შეფუთვა ჰქონდა.

*anekdot-dnya.ru*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. რეჟისორი კოტე ...
2. პოეტი ... ჩუკოვსკი
3. ვარცხნილობის სპეციალისტი
4. აზერბაიჯანის ფულის ერთეული
5. მკერდის კორექციის მასალა
6. კამბოჯური ფულის ერთეული
7. ტყის ფრინველი
8. ადმირალი ჰორაციო ...
9. სხვადასხვა სახეობის საქონელი
10. მსახიობი ... ბარდემი
11. მხედართმთავარი
12. პარაზიტი მკბენარი
13. ფრანგი ნათელმხილველი
14. მომღერალი ... ჯონი
15. კონტინენტი
16. რისი ორგანოა ყური
17. სალექი რეზინი ზოგადად
18. რუს მხატვართა გაერთიანება
19. უნგრელი კომპოზიტორი
20. მომხიბვლელობა
21. გაშიშვლება მუსიკის თანხლებით
22. რბილი ლითონი
23. მწერალი დავით ...
24. გადამდნარი კარაქი
25. მხ/ფ „... რეისი“
26. თავის მოსაკვეთი მანქანა
27. განგსტერული დაჯგუფება
28. შენობა. ინახავენ ფულს
29. მომღერალი რაფაელა ...
30. აღვირის ნაწილი
31. თბილისის უბანი
32. გულუბრყვილო, ანუ ...
33. ტალახი
34. ყველაზე ღრმა ტბა
35. აკრძალვა ეპიდემიის დროს
36. ქალაქი ლატვიაში
37. ფულის გათამაშება ბილეთებით
38. მსახიობი ... დელონი
39. ფალიაშვილის ოპერა
40. მეფის მხლებლები
41. ფირმა „...-პარი“
42. სპორტის სახეობა
43. მომღერალი ... ნოულზი
44. სამკელი იარაღი
45. ბედი
46. ... გავეყარე და ვუის შევეყარე
47. ქალის პირბადე
48. „მაუგლი“ პითონი
49. ტბა სომხეთში
50. ბრიტანელი მომღერალი
51. ქალაქი უკრაინაში
52. რეჟისორი ... იოსელიანი
53. ზლოტის მეასედი
54. ცისარტყელას ფერი
55. მსახიობი ... ტაილერი
56. მწნილი
57. სამიანი ნარდში
58. ერთგვარი ოთხთვალა
59. რუსი პოეტი
60. ციხესიმაგრე დუშეთის რაიონში
61. რგოლებიანი პლანეტა
62. გამრავლების ცხრილი
63. „სამი მუშკეტერი“ კარდინალი
64. ჰომეროსის პოემა
65. მხ/ფ „შვიდი წელი ...“
66. ფოლაქი
67. ლითონი
68. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
69. სიმინდის გამხმარი ღერო
70. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
71. მწერალი ... კრისტი
72. თბილისის უბანი
73. ნორჩი, სველი ხე
74. მწერალი არტურ ... დოილი
75. ქალაქი ესპანეთში
76. ტურგენევის მოთხრობა
77. „ღვინის ქურდები“ კავსაძე
78. ბარდი ... ოკუჯავა
79. კენიის დედაქალაქი
80. მომღერალი სოფია ...
81. ნილოსის რეპტილია
82. ქალაქი აღმ. საქართ.
83. მსახიობი იპოლიტე ...
84. სია
85. მწერალი ... ტოლსტოი
86. მხატვარი, რომელიც ასფალტზე ცარცით ხატავს
87. ... დაიჭირავს სიკვდილსა
88. მტაცებელი ფრინველი
89. მსახიობი სერგო ...
90. ტაილანდის ძველი სახელწ.
91. ქალაქი საფრანგეთში
92. სიჩქარის საზომი მექანიზმი
93. მახრჩობელა გველი ამაზონში
94. მხატვარი ... ჯაფარიძე
95. ფორმის მისაცემი ჭურჭელი
96. ზაფხულის თვე
97. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
98. ფასიანი ქაღალდი
99. სოფელი გულრიფშის რაიონში
100. ხინჯი, ზადი
101. შაბათ საღამო
102. ყვავილის წვენი
103. მწერალი ... ჩეხოვი
104. მეფის ვაჟი
105. რეჟისორი გას ... სენტი
106. მომღერალი დევიდ ...
107. მდინარე გერმანიაში
108. თხის წინაპარი
109. პოლონეთის დედაქალაქი
110. გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი
111. სოფელი მარტვილის რაიონში
112. მსახიობი ჟან-ლუი ...
113. მსახიობი ... ელექტრა
114. მანეთის მეასედი
115. ინის საპირისპირო
116. რომაელი იმპერატორი
117. მსახიობი ... გარდნერი
118. ნამი
119. ძველი სტილი მოდაში
120. პოეტი ... შევჩენკო
121. მწვანილი
122. „... რაიანის გადასარჩენად“
123. კინომოთხრობა
124. „მე, ..., ილიკო და ილარიონი“
125. მსახიობი რობერტ დე ...
126. ახალი ... კარგად გვის
127. მახრჩობელა გველი
128. შხამიანი ბაყაყი
129. მსახიობი ... არტმანე
130. მოვლენა: ჩრდილოეთის ...
131. მსახიობი ... პარიიო
132. მამლის ჯიღა
133. თვალის ფერადი გარსის ანთება
134. წლოვანება
135. ქალაქი ...-ანჯელესი
136. ლეონიძე. „ნატვრის ...“
137. ..., არამისი, პორთოსი
138. მოწონების შეძახილი თეატრში
139. ამერიკელი მომღერალი ქალი
140. მომღერალი ... პიეხა
141. მომღერალი ... ბადურაშვილი
142. საყოფაცხოვრებო ნარჩენი

პასუხები: 1. მარჯანიშვილი; 2. კორნეი; 3. სტილისტი; 4. მანათი; 5. სილიკონი; 6. რიელი; 7. კოდალა; 8. ნელსონი; 9. ასორტიმენტი; 10. ხავიერ; 11. სარდალი; 12. ტკიპა; 13. ნოსტრადამუსი; 14. ელტონ; 15. ამერიკა; 16. სმენა; 17. კევი; 18. პერედვიჟნიკები; 19. ლისტი; 20. შარმი; 21. სტრიპტიზი; 22. კალა; 23. კლდიაშვილი; 24. ერბო; 25. ზოლიანი; 26. გილიოტინა; 27. მაფია; 28. ბანკი; 29. კარა; 30. ლაგამი; 31. ვაკე; 32. მიამიტი; 33. ლაფი; 34. ბაიკალი; 35. კარანტინი; 36. იურმალა; 37. ლატარია; 38. ალენ; 39. „დაისი“; 40. ამალა; 41. ისი; 42. კრივი; 43. ბიონსე; 44. ნამგალი; 45. სვე; 46. ვაის; 47. მანდილი; 48. კაა; 49. სევანი; 50. სტინგი; 51. ოდესა; 52. ოთარ; 53. გროში; 54. იისფერი; 55. ლივ; 56. მარინადი; 57. სე; 58. ტარანტასი; 59. ბლოკი; 60. ანანური; 61. სატურნი; 62. ტაბულა; 63. რიშელიე; 64. „ილიადა“; 65. ტიბეტში; 66. ლილი; 67. ნიკელი; 68. ინდიგო; 69. ჩალა; 70. ტანგენსი; 71. აგატა; 72. ოქროყანა; 73. ნედლი; 74. კონან; 75. ბარსელონა; 76. „მუმუ“; 77. ელიბო; 78. ბულატ; 79. ნაირობი; 80. როტარუ; 81. ნიანგი; 82. ლაგოდეხი; 83. ხვიჩია; 84. რეესტრი; 85. ლევ; 86. მადონარი; 87. ვერ; 88. ორბი; 89. ზაქარიაძე; 90. სიამი; 91. რუანი; 92. სპიდომეტრი; 93. ანაკონდა; 94. უჩა; 95. ყალიბი; 96. აგვისტო; 97. ბალასტი; 98. ასიგნაცია; 99. დრანდა; 100. ნაკლი; 101. კვირაძალი; 102. ნექტარი; 103. ანტონ; 104. პრინცი; 105. ვან; 106. ბოუი; 107. რაინი; 108. ნიამორი; 109. ვარშავა; 110. აბო; 111. ბანძა; 112. ტრენტინიანი; 113. კარმენ; 114. კაპიკი; 115. იანი; 116. ნერონი; 117. ავა; 118. ცვარი; 119. რეტრო; 120. ტარას; 121. კამა; 122. რიგითი; 123. სცენარი; 124. ბებია; 125. ნირო; 126. ცოცხი; 127. ბოა; 128. აგა; 129. ვია; 130. ციალი; 131. ან; 132. ბიბილო; 133. ირიტი; 134. ასაკი; 135. ლოს; 136. ხე; 137. ათოსი; 138. ბის; 139. ენია; 140. სტას; 141. ნინი; 142. ნაგავი. იკითხება: ჯონ ლენონი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სავაჭრო სახლი ძველად
2. კომპოზიტორი არამ ...
3. ღრიანკალი
4. ამერიკელი მომღერალი ქალი
5. კოლოფის ფორმის კულონი
6. სანელებელი
7. მთათა სისტემა ევროპაში
8. ქარით აჩანილი მტვერი
9. ხმაური, ყაყანი
10. მსახიობი ... გირი
11. იტალიის დედაქალაქი
12. გიგანტ. პარაზიტი ყვავილი
13. ...-დე-ჟანეირო
14. მაღალი ხარისხის ოქრო
15. კუნძული აფრიკასთან
16. კომიკოსი ... ჰილი
17. მწერალი ... იოსელიანი
18. მსახიობი მარინა ...
19. მსახიობი ... ვარდალოსი
20. ტენორი ბენიამინო ...
21. მსახიობი ... ელიავა
22. ბიბლიური მოსეს ძმა
23. მდინარის დატოტვილი შესართავი
24. ყვავილი
25. ძვ. თბილისური მიმართვა
26. უნგრეთის დედაქალაქი
27. მსახიობი მეგ ...
28. მსახიობი ვიქტორიო ...
29. აშშ-ს დედაქალაქი
30. განმუხტვა ღრუბლებში
31. ვენეციელი მენავეების სიმღერა
32. ხელოვნური ენა
33. მონეტების შემგროვებელი
34. ერთ-ერთი თითი
35. სამოთხის ბაღი
36. პოეტი ... გრანელი
37. კუდმაკრატელა ფრინველი
38. მთიდან დაშვებული თოვლის მასა
39. კიანუ რივზი ფილმში
40. სამხედრო ხომალდი
41. კომპოზიტორი ... ყანჩელი
42. მთაში გაყვანილი კომუნიკაცია
43. მახრჩობელა გველი ამაზონში
44. მსახიობი გრეტა ...
45. რეჟისორი მარსელ ...
46. უქოჩრო თუთიყუში
47. ქალაქი იმერეთში
48. მსახიობი ... პაპასი
49. ნაჭრის წვეტიანი ქუდი
50. კომპოზიტორი ბედრჟიკ ...
51. მომღერალი ... ტატიშვილი
52. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
53. მომღერალი ... კალასი
54. ჯეკ ნიკოლსონი ფილმში
55. ქალაქი ყირიმზე
56. ცეცხლ. ენა
57. შვეულფრენი
58. მულტფილმი „... და დათვი“
59. ეგვიპტის დედოფალი
60. თეატრის ყველა სპექტაკლი
61. მსახიობი გოიკო ...
62. მომღერალი ... პრესლი
63. ... ძედუნი
64. მწერი. ჭამს შალეულს
65. ... დაიჭირავს სიკვდილსა
66. მდინარე პარიზში
67. ლითონი
68. მისი დედაქალაქია დამასკო
69. განთიადი
70. ესპანეთის დედაქალაქი
71. ... პოპესკუ გოპო
72. სტუდენტის ხელფასი
73. რეჟისორი ... მჭედლიძე
74. მხ/ფ „... ჭაბუკი“
75. ხმა გურულ სიმღერაში
76. იაპონური თეატრი
77. მდინარე აფხაზეთში
78. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
79. მსახიობი ... ჯიროტი
80. მწერალი ... ლინდგრენი
81. ქართ. საესტრადო ანსამბლი
82. მსახიობი ... ბრინერი
83. მგზავრის ადგილი ვაგონში
84. ბუდისტი მასწავლებელი
85. პალმის ნაყოფი
86. დოსტოევსკი. „ძმები ...“
87. კეთილი საქმე
88. იუდა ...
89. აბელის ძმა
90. „მიმინო“ ვასილ ჩხაიძე
91. უბედურების სიგნალი
92. მომღერალი ცისანა ...
93. გადამდნარი კარაქი
94. მოკლე პალტო
95. არეკლილი გამოსახულება
96. დიდი სალექციო ოთახი
97. სტალინის დედა
98. ალკოჰოლური სასმელი
99. სასიმინდე
100. მუსიკალ. ტემპი
101. პირველი კოსმონავტი
102. ქვეყნიერების დასასრული
103. „წითელი“ პლანეტა
104. უმაღლესი ხარისხის ბროლი
105. შვედური ხურდა ფული
106. კურდღლის ნაშიერი
107. მწერალი ვიტალი ...
108. პიგმალიონის სატრფო
109. გამოუწვავი აგური
110. ცისარტყელას ფერი
111. დღის დასაწყისი
112. პარკოსანი მცენარე
113. ზღვის მოლუსკი
114. გოგებაშვილი. „თხა და ...“
115. ცეცხლსასროლი იარაღი
116. ერთ-ერთი მუშკეტერი
117. მსახ. ... პიპინაშვილი
118. მენდელსონი. „საქორწილო ...“
119. ქედი საქართველოში
120. გულსაბნევი
121. გერმანული ფულის ერთეული
122. ბულგარ. ფულის ერთეული
123. თავაშვებული ღრეობა
124. ფანდი ჭიდაობაში
124ა. ფირმა „...-პარი“
125. ფიზიკოსი მაიკლ ...
126. მომღერალი ლარისა ...
127. ნიშნავს საწინააღმდეგოს
128. მსახიობი ... ბესინჯერი
129. პატარა არხი
130. ბედი
131. ლანგარი
132. რიცხვი 3,14
133. აბატი ფარიას ციხე
134. „20000 ... წყალქვეშ“
135. ძაღლის ჯიში
136. ქათმების დასაჯდომი ძელი
137. ... კიხოტ ლამანჩელი
138. თოვლის კრისტალი
139. ... ია
140. მტაცებელი ფრინველის ფრენა
141. მდინარე იტალიაში
142. მტაცებელი ფრინველი
143. „... მონტე-კრისტო“

პასუხები: 1. ქარვასლა; 2. ხაჩატურიანი; 3. მორიელი; 4. მადონა; 5. მედალიონი; 6. დაფნა; 7. ალპები; 8. კორიანტელი; 9. გნიასი; 10. რიჩარდ; 11. რომი; 12. რაფლეზია; 13. რიო; 14. ბაჯაღლო; 15. მადაგასკარი; 16. ბენი; 17. ოტია; 18. ვლადი; 19. ნია; 20. ჯილი; 21. ლია; 22. აარონი; 23. დელტა; 24. ია; 25. ტო; 26. ბუდაპეშტი; 27. რაიანი; 28. გასმანი; 29. ვაშინგტონი; 30. ელვა; 31. ბარკაროლა; 32. იდო; 33. ნუმიზმატი; 34. ცერი; 35. ედემი; 36. ტერენტი; 37. მერცხალი; 38. ზვავი; 39. „სიჩქარე“; 40. კრეისერი; 41. გია; 42. გვირაბი; 43. ანაკონდა; 44. სკაკი; 45. კარნე; 46. არარა; 47. წონი; 48. ირენ; 49. ჩაჩი; 50. სმეტანა; 51. ნოდიკო; 52. პაპი; 53. მარია; 54. მგელი; 55. სევასტოპოლი; 56. ალი; 57. ვერტმფრენი; 58. მაშა; 59. კლეოპატრა; 60. რეპერტუარი; 61. მიტიჩი; 62. ელვის; 63. მაო; 64. ჩრჩილი; 65. ვერ; 66. სენა; 67. ალუმინი; 68. სირია; 69. ალიონი; 70. მადრიდი; 71. იონ; 72. სტიპენდია; 73. ნანა; 74. საბუდარელი; 75. კრიმანჭული; 76. ნო; 77. ენგური; 78. ბალასტი; 79. მასიმო; 80. ასტრიდ; 81. „ორერა“; 82. იულ; 83. კუპე; 84. გურუ; 85. ფინიკი; 86. კარამაზოვები; 87. მადლი; 88. ისკარიოტელი; 89. კაენი; 90. არისტოფანი; 91. სოს; 92. ტატიშვილი; 93. ერბო; 94. მანტო; 95. ანარეკლი; 96. აუდიტორია; 98. ლუდი; 99. ნალია; 100. ლარგო; 101. გაგარინი; 102. აპოკალიფსი; 103. მასრა; 104. ბაკარა; 105. ერე; 106. ბაჭია; 107. ბიანკი; 108. გალატეა; 109. ალიზი; 110. იისფერი; 111. დილა; 112. მუხუდო; 113. მიდია; 114. გიგო; 115. „ვალტერი“; 116. არამისი; 117. გოგა; 118. მარში; 119. ლიხი; 120. ბროში; 121. მარკა; 122. ლევი; 123. ორგია; 124. სარმა; 124ა. ისი; 125. ფარადეი; 126. დოლინა; 127. ანტი; 128. კიმ; 129. რუ; 130. სვე; 131. სინი; 132. პი; 133. იფი; 134. ლიე; 135. ლაბრადორი; 136. ქანდარა; 137. დონ; 138. ფიფქი; 139. აი; 140. ირაო; 141. პო; 142. ქორი; 143. გრაფი. იკითხება: ვლადიმერ ვისოცკი.



ბებია სახოლს თეთრეულს უცვლის. პატარა მიხო უყურებს.

– ბებო, რას აკეთებ?

– ვერ ხედავ? თეთრეულს ვცვლი.

– რა იყო, ბებო, ფისები ქენი?

*****

– ალოო, ეს „სექსი ტელეფონით“ არის ხომ?

– დიახ.

– ასე ჩურჩულით რატომ ლაპარაკობ?

– რატო და შვილიშვილები ძლივს დავაძინე, მეშინია არ გაიღვიძონ.

*****



შალიკიას დიდი ლოქო დაუჭერია და ძლივს მოათრევს. გზაში მეზობელი შემოხვდა, რომელსაც ათიოდე თევზი დაუჭერია.

– რა იყო, შალიკია, ამ ერთი თევზის გულისთვის მთელი დღე მოცდი ამხელა კაცი?

*****

ექიმმა პაციენტი გასინჯა და რეცეპტის წერას შეუდგა:

– ეს დეპრესიის მოსახსნელად, ეს უძილობის საწინააღმდეგოა, ეს თავის ტკივილს შველის, ეს ნერვებს აწყნარებს...

– კი მაგრამ, ექიმო, არყის გარდა, არაფერი მიშველის?

*****



– ილარიონა არაყს ხდის.

– რა იცი?

– რა ვიცი და მისმა კურდღლებმა, ეტყობა, გადაყრილი ჭაჭა შეჭამეს, დათვრნენ ის მხეცები და ჩემი ძაღლი ბისკვიტია სცემეს.

*****

– აი, შენ, 30 ლარი და წადი, დახვდი ჩემს სიდედრს ავტოსადგურში.

– სევერიანოვიჩ, რომ არ ჩამოვიდეს?

– მაშინ ორ მაგდენს მოგცემ!

*****

– ძვირფასო, დამესიზმრა, თითქოს ოქროს ბეჭედი მიყიდე დაბადების დღეზე.

– თუ ჭკვიანად მოიქცევი, სიზმარში სიასამურის ქურქსაც გიყიდი.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო ამბები...

## პელე კომპანია „სამსუნგისგან“ 30 მილიონ აშშ დოლარს ითხოვს



ბრაზილიელმა ფეხბურთელმა „სამსუნგ ელექტრონიქსის“ წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღძრა.

ლეგენდარული სპორტსმენი კომპანიისგან 30 მილიონ აშშ დოლარს ითხოვს და ამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელმა უკანონოდ გამოიყენა მისი ორეულის ფოტო. ორეულს კი იმიტომ უწოდებს, რომ არსად მისი სახელი ნახსენები არ არის.

სააგენტო ირწმუნება, რომ რეკლამა გამოცემა „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ფეხბურთელის ნებართვის გარეშე გამოქვეყნდა. საუბარია „სამსუნგის“ მაღალი გარჩევადობის ტელევიზორებზე, სადაც სპორტსმენის გამოსახულება მისგან დაუკითხავად გამოიყენეს.

– მიუხედავად იმისა, რომ რეკლამაში არ ჩნდება თავად პელეს სახელი, მასში გამოყენებულია მამაკაცის გამოსახულება, რომელიც ვიზუალურად ძალიან ჰგავს ფეხბურთელს. იქვე დატანებულია ფოტო, სადაც აღნიშნული მამაკაცი ცნობილ „მაკრატელას“ ასრულებს, რასაც ხშირად იყენებდა პელე, – ნათქვამია სარჩელში.

„სამსუნგ ელექტრონიქსის“ წარმომადგენლებს აღნიშნულ ბრალდებაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

***fortunaplus.ge***

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო ამბები...

## მაღალი ქუსლები ქალს აინვალიდებს



ძვირფასო ქალებო – მეცნიერები ჯანმრთელობის ძალიან ადვილი ტესტის გავლას გთავაზობენ. ამისთვის საკმარისია კარადაში შეხედვა, სადაც ფეხსაცმელები ინახება. უპირატესობას მაღალ ქუსლს ანიჭებთ? რას ვიზამთ, ესე იგი, მყესების სერიოზული ანთებისთვის მოემზადეთ.

ექიმების დასახმარებლად, რომლებიც ამაოდ ცდილობენ ქალების დარწმუნებას, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნონ, მოდის მიმდევართა სტატისტიკა გამოჩნდა, რომლებიც გასული საუკუნის 50-იან წლებში პირველები „შემოსხდნენ“ მაღალ ქუსლებზე.

დღეისთვის მხოლოდ დიდ ბრიტანეთში ფეხების ართრიტისგან 5 მილიონი ადამიანი იტანჯება. რთული მისახვედრი არ არის, რომ აბსოლუტურ უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ, რომლებსაც პრობლემები სწორედ ქუსლებმა შეუქმნა.

მედიკოსები კიდევ ერთხელ ამბობენ, რომ ვერავითარი მოდა ვერ დაუდგება გვერდში ჯანმრთელობას. ამდენად, მაღალ ქუსლებზე უარი ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას.

***myjane.ru***

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## მაღალკალორიული პროდუქტი ძვლებს ანადგურებს



მოგეხსენებათ, კალორიული საკვები ძალიან სახიფათოა ფიგურისთვის და რაც ყველაზე ცუდია, გულისთვის, თუმცა უსიამოვნებების ჩამონათვალი ამით როდი სრულდება.

აღმოჩნდა, რომ მაღალკალორიულ საკვებს ძვლების დაზიანებაც შეუძლია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ძვალი მტვრევადი ხდება.

სპეციალისტების განმარტებით, გარდა იმისა, რომ კალორიებით მდიდარი საკვები ძვალს აზიანებს, ქოლესტერინი ახალი ქსოვილების გაჩენასაც უშლის ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღდგენას ძვალი ველარ შეძლებს. ყოველ შემთხვევაში, ამისთვის საჭიროზე ბევრად მეტი დრო დასჭირდება.

რა უნდა გავაკეთოთ და როგორ მოვიქცეთ, ასეთი უსიამოვნება რომ თავიდან ავიცილოთ? პასუხი ძალიან მარტივია – სწორი კვება!

ამასთანავე, სპეციალისტები კიდევ ერთხელ გვახსენებენ, რომ უმჯობესია, საჭმელი სახლში მოამზადოთ, რათა ზუსტად იცოდეთ, რა რაოდენობის ცხიმს შეიცავს იგი.

***myjane.ru***

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო

## შამპანური მეხსიერებას აუმჯობესებს



რედინგის უნივერსიტეტის მიკრობიოლოგების ჯგუფმა ექსპერიმენტის შედეგები გამოაქვეყნა. როგორც კვლევამ აჩვენა, შამპანურის ზომიერების ფარგლებში მირთმევა, მეხსიერებას საგრძნობლად აუმჯობესებს.

შამპანურში არსებული ორგანული ნაერთები, სახელწოდებით ფენოლები ცილების ჯგუფებთან ურთიერთქმედებენ, მათ შორის, ჰიპოკამპსა და თავის ტვინის ქერქში არსებულ ცილებთანაც, რომლებიც ინფორმაციის დამახსოვრებაში აქტიურად არიან ჩართულები. მათი როლი განსაკუთრებით დიდია სივრცობრივი და საგნობრივი ინფორმაციის დამახსოვრების საკითხში. ასაკის მატებასთან ერთად, ცილები კვდებიან, დარჩენილების აქტივობა კი იკლებს, როგორც ირკვევა, ფენოლი ამ პროცესებს აქტიურად ეწინააღმდეგება.

რედინგის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჯერემი სპენსერმა აღნიშნა, რომ მსგავსი ეფექტი ადრეც აღმოუჩენიათ, მაგრამ ადრე ამას ფლავონოიდების ზემოქმედებას უკავშირებდნენ. ამ ნივთიერებას დიდი რაოდენობით შეიცავს წითელი ღვინო. შამპანური კი ფლავონოიდებს არ შეიცავს, მაგრამ ტვინის კოგნიტურ ფუნქციებზე დადებით ზემოქმედებას ახდენს, შესაბამისად, ეს ეფექტი ფენოლების დამსახურებაა.

***okmagazine.ge***

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## დევიდ ბექჰემმა ვიქტორია მიატოვა



დევიდ და ვიქტორია ბექჰემებმა ბიზნესის რეორგანიზაცია გადაწყვიტეს, ამიტომ დევიდმა მეუღლის მიერ დაარსებული მოდური ბრენდის დირექტორის პოსტის დატოვება გადაწყვიტა. ყოფილმა ფეხბურთელმა ამ პოსტზე 6 წელი გაატარა.

ამ ფაქტმა გამოიწვია ლოგიკური ეჭვი, რომ წყვილს შორის განხეთქილება მოხდა. ბოლო დროს ტაბლოიდები მუდმივად წერენ, რომ ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებაა, მაგრამ ჯერჯერობით, არც ვიკი და არც დევიდი ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

***okmagazine.ge***

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო

## წიწიბურის დიეტა – იკლებთ შიმშილის გარეშე და შედეგს დიდი ხნით ინარჩუნებთ



ეს არის დიეტა შიმშილობის გარეშე და განსაკუთრებით მოეწონებათ მათ, ვისაც წიწიბურა უყვარს. დიეტის შედეგად კვირაში მინიმუმ 3 კილოგრამს იკლებთ, თუმცა ამ შედეგს მყარად ინარჩუნებთ.

დიეტის დროს თქვენი რაციონი უნდა შედგებოდეს წიწიბურისგან (2-3 საშუალო ზომის თეფში), უცხიმო კეფირისგან (არაუმეტეს 1 ლ დღე-ღამეში), მწვანე ჩაისგან ან გაზგასული მინერალური წყლისგან. შაქარი, ცხიმი და მარილი უნდა ამოიღოთ მოხმარებიდან. კეფირი საკვების მიღებიდან 30 წუთით ადრე ან ჭამიდან 30 წუთის შემდეგ უნდა მიიღოთ. წონის კლებას მესამე დღიდან იწყებთ.

დიეტის დასრულების შემდეგ მაშინვე არ დაიწყოთ ცხიმიანი და ტკბილი საკვების მიღება, ჩვეულებრივ კვებით რეჟიმს ნელ-ნელა უნდა დაუბრუნდეთ, ამიტომ დიეტის დასრულების შემდეგ რამდენიმე დღე უცხიმო ხორცი, თევზი, ბოსტნეული, ხილი და მწვანილეულობა მიირთვით.

***newposts.ge***

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## ოპერაციების გადატანა გამხდარ ადამიანებს უფრო უჭირთ?



მეცნიერების მტკიცებით, არასაკმარისი წონის ადამიანებს ოპერაციის შემდგომი პირველი ერთი თვის განმავლობაში უფრო სერიოზული გართულებები ელით, ვიდრე ფუმფულპუტკუნებს.

მათივე თქმით, სხეულის მასის მიხედვით, შესაძლებელია რისკებისა და სარეაბილიტაციო პერიოდის მსვლელობის წინასწარმეტყველება.

ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორის ჯორჯ სტაკენბორგის განმარტებით, გამხდარი პაციენტებისთვის რისკი განსაკუთრებით მაღალია ოპერაციიდან 30 დღის განმავლობაში.

აღნიშნული დასკვნა 190 ათასი პაციენტის მონაცემების შესწავლის შედეგად იქნა გამოტანილი.

რა იწვევს ამ უჩვეულო კანონზომიერებას, კითხვაზე პასუხის გაცემას მეცნიერები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

***medkarta.com***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფხვნილი ადამიანის თავის ქალისგან და წავის კვერცხები – არატრადიციული მედიცინის ყველაზე უცნაური საშუალებები



მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული მედიცინა და ტექნიკა არნახული ტემპებით ვითარდება, ბევრი ადამიანი დღემდე ენდობა და უპირატესობასაც კი ანიჭებს სხვადასხვა დაავადების სამკურნალო სახალხო საშუალებებს.

უნდა ითქვას ისიც, რომ თავად ექიმებიც იყენებენ ხოლმე ბუნებრივ საშუალებებს. გარდა ამისა, მედიკამენტების ბოლომდე ნდობაც ხშირად არცთუ სახარბიელო შედეგებით სრულდება.

მოკლედ, არატრადიციული მედიცინის ძალიან ბევრი უცნაური საშუალება დღემდე შემორჩენილია და სწორედ ასეთების დადგენა სცადეს ბრიტანელმა მკვლევარებმა.

მაშ ასე, არატრადიციული მედიცინის ყველაზე უცნაურ საშუალებებად დასახელდა ფარშევანგის ბუმბული, რომელიც გველნაკბენმა ადამიანმა ფეხზე უნდა დაიდოს, რათა შხამმა სიცოცხლე არ მოუსწრაფოს. შემდეგია ძროხის შარდი. არსებობს მოსაზრება, თითქოს, ძროხის შარდით შეიძლება ღვიძლის, გულის პრობლემების მოგვარება და ასევე, შეკრულობასთან და კიბოსთან გამკლავება.

სხვათა შორის, არატრადიციული მედიცინის ამ უცნაურ საშუალებას თანამედროვე სპეციალისტები სწავლობენ და სასურველი შედეგების მიღების შემთხვევაში, ძროხის შარდის საფუძველზე პრეპარატსაც დაამზადებენ.

რძის, მაწვნის, ყველისა და შარდის გარდა, ძროხას ის სარგებლობაც მოაქვს, რომ სასარგებლო ყოფილა ნაკელიც. კერძოდ, თუკი ცემენტის ნაცვლად სწორედ ძროხის ნაკელს გამოიყენებს ვინმე იატაკის დაგებისას, სახლი ბაქტერიებისგან განთავისუფლდება და სულ სიგრილე იქნება. ესე იგი, ძვირად ღირებული კონდიციონერების ყიდვის ნაცვლად, გვიჯობს, ძროხის ნაკელით დავაგოთ მეტლახიცა და კაფელიც...

ერთ-ერთი ყველაზე უცნაური საშუალება მაინც ადამიანის თავის ქალის ფხვნილია, რომელსაც არატრადიციული მედიცინის მიმდევრების მტკიცებით, ეპილეფსიის დაძლევა შეუძლია. სექსუალური პრობლემების დაძლევისთვის ისინი წავის კვერცხებს



ნიშნავდნენ და ალბათ, ზოგი ახლაც ნიშნავს, ოღონდაც, ერბო-კვერცხი უნდა დამზადდეს თუ მაგრად მოიხარშოს, ვერ გეტყვით.

ბევრს დღესაც სჯერა, რომ კლაუსტროფობიის საწინააღმდეგო შესანიშნავი საშუალებაა მწვანე ვაშლი, სიბერის პროცესის შეჩერებას ხელს უწყობს ლუდის აბაზანები, ღამურის სისხლი თვალის ინფექციებს ავლებს მუსრს, ხოლო ობობას ქსელი მალარიას ამარცხებს.

*medkarta.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ალკოჰოლი შეცდომის შეცნობას ხელს სულაც არ უშლის



ბევრისგან გექნებათ მოსმენილი: „მთვრალი ვიყავი და ეს რა შარში გავყავი თავიო“... ადამიანს ხომ თავის მართლება ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია და როცა ისეთი „საპატიო მიზეზი“ არსებობს, როგორიც სიმთვრალეა, აბა, უარს რატომ იტყვის?

ბრიტანელი მეცნიერები შეეცადნენ დაედგინათ, რა ხდება ალკოჰოლის მიღების დროს ადამიანის ტვინში და რა უბიძგებს მას უცნაური ნაბიჯების გადადგმისკენ.

კვლევაში 21-დან 35 წლის ასაკის რამდენიმე ათეული ადამიანი ჩართეს და მათ გარკვეული დავალებები შეასრულებინეს. ამასთანავე, ზოგიერთ მოხალისეს ალკოჰოლი მიაღებინეს, ზოგს წყალი, ზოგს კი პლაცებო.

აღმოჩნდა, რომ სამივე შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რამდენად იმოქმედა ალკოჰოლმა ადამიანის ტვინზე, დაშვებულ შეცდომას ყველა ერთნაირად ხვდებოდა და მის გამოსწორებას ცდილობდა.

აქედან გამომდინარე, ბრიტანელი სწავლულები ასკვნიან, რომ სიმთვრალეში ადამიანს შეცდომის შეცნობაში ხელს არაფერი არ უშლის.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დეპრესია შესაძლოა... სასარგებლო იყოსო



დაუჯერებელია, მაგრამ დეპრესია და მოწყენილობა სულაც არ ყოფილა ისეთი საშინელი, როგორც ეს ყველას გვგონია. თურმე ჩვენი ორგანიზმი ასეთი მდგომარეობიდან ბევრ სარგებელსაც იღებს.

ნიუ-იორკის სამედიცინო ცენტრის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ დეპრესია ადამიანის ორგანიზმს სტრესის უსიამოვნო შედეგებისგან იცავს, რაც, მათი აზრით, ზოგიერთი ალერგენის ეფექტის მსგავსია. დეპრესიის გამოვლენა მადის დაკარგვის, დაღლილობის სახით, სულაც არ არის საგანგაშო, რადგან პერსპექტივაში შეგვიძლია, თავი ავარიდოთ უფრო სერიოზულ უსიამოვნებას – სტრესს.

აღნიშნულ მოსაზრებას ემხრობიან სპეციალისტები არიზონის უნივერსიტეტიდანაც. ისინი მიიჩნევენ, რომ დეპრესია – ეს არის ორგანიზმის რეაქცია სხვადასხვა დაავადებაზე. ამასთანავე, დეპრესია იმის საშუალებასაც იძლევა, რომ ადამიანი სხვადასხვა ინფექციურ დაავადებას უფრო სწრაფად დაუძვრეს ხელიდან, მაგალითად, გრიპს.

*golosscience.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ელტონ ჯონს ყოფილი პირადი მცველი სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს



NME-ს ინფორმაციით, სერ ელტონ ჯონს ყოფილი პირადი მცველი ჯეფრი ვენინჯერი სასამართლოში უჩივის. საქმე კი სექსუალურ ძალადობას ეხება.

ინფორმაციის თანახმად, ვენინჯერი სარჩელში აღწერს, რომ ის ელტონ ჯონთან 2014 წლიდან მუშაობდა.

აღნიშნულ პერიოდში მომღერალი პირად დაცვაზე სექსუალურად ძალადობდა. პირადი დაცვა სარჩელში სექსუალური ხასიათის ძალადობის რამდენიმე ფაქტსაც აკონკრეტებს.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ელტონ ჯონს კომენტარი არ გაუკეთებია.

გასულ პერიოდში, სექსუალურ ძალადობაში რობი უილიამსსა და მის ცოლსაც ადანაშაულებდნენ, რომელთა წინააღმდეგ „დაზარალებულმა“ სასამართლოს მიმართა.

*info9.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## Ideal Conceal – იარაღი და სმარტფონი ერთ მოწყობილობაში



მინესოტის შტატში იარაღი – Ideal Conceal წარადგინეს, რომელიც დაკეცილ მდგომარეობაში ჩვეულებრივი სმარტფონია. როგორც გამოცემა CNN Money წერს, აღნიშნული სიახლის იდეა კირკ ჩელბერგს ეკუთვნის.

მეცნიერმა გადაწყვიტა, ცეცხლსასროლი იარაღი შეექმნა, რომლის ტარებაც გარშემომყოფებისთვის უსაფრთხო იქნებოდა.

Ideal Conceal-ში ორი ცალი 9×17-მილიმეტრიანი კალიბრის ვაზნა ეტევა, გასროლა, როდესაც იარაღი დაკეცილ მდგომარეობაშია, შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ავტორმა უკვე მიიღო უამრავი შეტყობინება ხალხისგან, რომლებსაც მისი შეძენა სურთ.

Ideal Conceal გაყიდვაში წლის ბოლომდე გამოვა და 395 დოლარი ეღირება.

*fortunaplus.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## კაფე-ბარი „გულის შეტევა“ სასოწარკვეთილებს სპეციალურ კერძს სთავაზობს

მართლაც, ძალიან უჩვეულო სახელწოდების მქონე კაფე-ბარის მდებარეობა: აშშ, არიზონას შტატი. სასოწარკვეთილი სტუმრებისთვის მომზადებული სპეციალური კერძის ზუსტი დასახელება: უცნობია, თუმცა მის კომპონენტებზე კი ახლავე მოგახსენებთ:

„გულის შეტევის“ საფირმო კერძი ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბუტერბროდია, თუმცა მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის გახლავთ, რომ 8 ათასი კილოკალორიითაა სავსე. კერძოდ, ბურგერი მომზადებულია დაახლოებით 1 კილოგრამი საქონლის ხორცისგან, ყველის სამი და ბეკონის ოთხი უსქელესი ფენისგან, სალათის ფოთლებისგან და პომიდვრისგან.

– იმისთვის, რათა ჩვენმა სტუმარმა ასეთი ბუტერბროდი შექამოს, აუცილებლად სასოწარკვეთილი უნდა იყოს, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, დეპრესიაში მყოფი ადამიანი ძალიან ბევრს ჭამს და ამით ნერვებს იმშვიდებს, – განმარტავენ „გულის შეტევის“ ადმინისტრაციაში.

როგორი სულელური სახელიც აქვს ამ კაფე-ბარს, სერვისიც ისეთივე ჰქონიათ, თუმცა იმასაც ამბობენ, „გულის შეტევა“ სტუმრების მიღება-გასტუმრებას ვერ აუდისო.

*mainfun.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ 593 19-85-99**



მაყვალა და მისი ქმარი თენგიზა ჩხუბობენ:

– რას გეტყვი, იცი, მაყვალ? შენ ჩემზე წლოვანებით დიდი ხარ და ადრე მოკვდები,

– შენ ასე ფიქრობ? დაუძრო პისტოლეტი მაყვალამ.

*****

– მამი, ჩემი უფროსი ძმა სად იპოვეთ?

– სად და კომბოსტოში.

– ჩემი დაიკო?

– შენი და – კარტოფილში.

– მეე?

– შენ პომიდვრებში გეძინა.

– ვერ გავიგე, მამი, ჩვენი გულისთვის დედიკოს ბაღ-ბოსტანში დაატარებდი?

*****



ღამის ოთხი საათია, მიხოს გამასხარავება მოინდომეს და ტელეფონზე დაურეკეს:

– ალო, გისმენთ.

– ბოდიშით, თქვენკენ ვირებს ხომ არ ჩამოუვლიათ?

– რა იყო, ჯოო, ჩამორჩი?

*****

თემურია გოგოს მისდევს.

– რა იქნება ერთი რო მოიხედო, ას ლარს მოგცემ ერთ შემოხედვაში.

გოგომ მოიხედა.

– ორას ლარს მოგცემ, ოღონდ მეორედ აღარ მოიხედო ჩემკენ.

*****



მამა შვილს ეუბნება:

– მოდი ფიქრებში შახმატი ვითამაშოთ.

– კარგი, პაიკი ე-2 ე-4.

– მხედარი ჰ-6.

– მაშინ მხედარი დ-6 ე-3.

– ვის ატყუებ, ლაწირაკო, მხედარი ეგრე არ დადის, – და მამამ თავში წაუთაქა.

– კარგი, რა, მამი, მთელი ფიგურები მიყარ-მოყარე, ადექი ახლა და მარტომ ითამაშე!

*****

– ჭიჭიკია, თუ იცი, ბამბით თუ შეიძლება კაცის მოკვლა?

– კი, როგორ არ შეიძლება, ბამბაში თუჯის უთოს თუ გაახვევ, მაშინ კი.

***მოამზადა დავით ახობაძემ***

***დავით ახობაძის ნახატი***

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

დედა ლამარა მჭედლიშვილი, მამა თამაზ სტურუა, მეუღლე მაია ზაგაშვილი. შვილები: ლუკა და მარიამი. ძმა უშანგი. ბიძები: რეზო სტურუა, თენგიზ მჭედლიშვილი. ბიძაშვილები: ვანო და მანანა სტურუები, დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი, მღვდელი ვახტანგ მჭედლიშვილი. სიდედრი მზია ზაგაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### ირაკლი სტურუა

**მისამართი:** დიდი დიღომი, მესამე მიკრორაიონი, კორპუსი 19.
**პანაშვიდი:** 3, 4 აპრილს.
**გამოსვენება:** 5 აპრილს, დიდი დიღმის ასი ათას მოწამეთა სახელობის ტაძრიდან (იოანე პეტრიწის ქუჩა №1-ა, საქართველოს ბანკთან, ათონელების სახელობის სკოლის ეზო).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს პროფესორ რეზო სტურუას ძმისშვილის

### ირაკლი სტურუას

გარდაცვალების გამო.

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

## ამერიკელები მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ პუდინგს ამზადებენ



ალბათ, ჭეშმარიტი გურმანები, რომლებსაც, რაღა თქმა უნდა, ჯიბეც აძლევთ ამის საშუალებას, ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში, სახელწოდებით „ინტუიცია“, მომზადებული პუდინგის დაგემოვნებაზე უარს არასოდეს ამბობენ, აი, რაც შეეხებათ „ჩვეულებრივ მოკვდავებს“, სამწუხაროდ, მათ ამერიკელების ამ ნაწარმის მხოლოდ ფასის გაგება თუ აქვთ პერსპექტივაში – პუდინგი, რომელსაც აღნიშნულ რესტორანში ამზადებენ, 26 ათასი აშშ დოლარი ღირს!

აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის რესტორნის პუდინგი გინესის რეკორდების წიგნშიც კია შეყვანილი და პრინციპში, სრულებით სამართლიანადაც, რადგან ფასის მხრივ მას კონკურენტი არ გააჩნია.

ამერიკელების პუდინგი 26 ათასი დოლარი, თურმე, იმიტომ ღირს, რომ იგი 28 სახეობის ეგზოტიკური კაკაოსგან მზადდება და ზედ 23-კარატიანი ჭამისთვის ვარგისი ოქრო ეფრქვევა.

გარდა იმისა, რომ რესტორნის სტუმრებს ასეთი ძვირად ღირებული დესერტის დაგემოვნება შეუძლიათ, მათ იმ ჭურჭლის წაღების უფლებაც აქვთ, რომელშიც პუდინგი იყო მოთავსებული და ასევე, მათ საკუთრებაში გადადის ბრილიანტებით გაფორმებული ოქროს კოვზიც.

*myjane.ru*

## ინტერნეტ-აუქციონზე... ნამუსი იყიდება

ჩვენთან არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მგონი, ბევრს არ აწყენდა ასეთი „ლოტის“ შეძენა, მაგრამ აბა, ვინ აღიარებს ხმამაღლა, „ნამუსი მინდა ვიყიდოო?“...





მართლაც უჩვეულო ლოტის პატრონი უკრაინელი მამაკაცია, რომლის ვინაობაც უცნობია. იგი ნამუსს ყიდის და „საქონელს“ ასე ახასიათებს:

– საკმაოდ გაცვეთილი, თუმცა მუშაობისთვის ჯერ კიდევ ვარგისი...

გარდა ამისა, იგი ამბობს, რომ აუქციონზე საკუთარს კი არა, სხვის ნამუსს ყიდის, თავისი კი ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს:

– ორი ნამუსი ერთად, ძალიან რთული მისახედია, ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან, – ასეთია მორიგი განმარტება.

სხვათა შორის, სურვილის შემთხვევაში, „სხვისი ნამუსი“ არც ისე იაფი ჯდება – ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე იგი 100 ათასი უკრაინული გრივნა ღირს, რაც შეეხება საწყის ფასს, აქ უფრო ადვილადაა საქმე, რადგან ლოტი, სულ რაღაც, 1 გრივნადაა შეფასებული.

ამ დროისთვის, ნამუსის შესაძენად ვიღაც-ვიღაცები უკვე მზად არიან 105 გრივნა გადაიხადონ, თუმცა აუქციონი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და შესაძლოა, ფასმა კიდევ მოიმატოს.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*top.rbc.ru*


გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

## სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 435 553

რედაქტორი მანანა გიორგაძე


## წითელი ხილ-ბოსტნეული მკერდის კიბოს წინააღმდეგ



საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონია იმას, რა ფერის პროდუქტით იკვებება ადამიანი. კერძოდ, ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ წითელი ფერის ხილისა და ბოსტნეულის მიღება მნიშვნელოვნად ამცირებს მკერდის კიბოს გაჩენის ალბათობას. ასევე, დადებითი შედეგების მიღება შეიძლება ყვითელი და სტაფილოსფერი პროდუქტებით კვებისას. შესაბამისად, მათი ყოველდღიურ რაციონში დამატება, უბრალოდ, აუცილებელია.

ოქსფორდის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნივთიერება, სახელწოდებით კაროტინოიდი ავთვისებიანი სიმსივნეების გაჩენას აფერხებს. ასევე, არ აძლევს ზრდის საშუალებას, თუკი ის ადამიანს უკვე აქვს.

*rg.ru*

## სამზარეულოს დანა სასიკვდილოდ სახიფათოა



რა თქმა უნდა, ნებისმიერი დანის გამოყენება შეიძლება ადამიანის საიქიოში გასასტუმრებლად, თუმცა ამ შემთხვევაში სულ სხვა რაღაცას ვგულისხმობთ.

აღმოჩნდა, რომ დანა შეიძლება ძალიან ბევრი საშიში ვირუსის გადამცემი იყოს, რომლებსაც ჯანმრთელობის დაზიანება და ფატალური შედეგის გამოწვევაც კი შეუძლია.

ჯორჯიას უნივერსიტეტის კვების უსაფრთხოების ცენტრის ექსპერტების მონაცემებით, ყველა ჩატარებულ ექსპერიმენტში ა ჰეპატიტისა და ნოროვირუსის ჩხირები დანიდან გადავიდა ბოსტნეულზეც და ხილზეც. რაც შეეხება მიქსერებსა და ჩანგლებს, ვირუსების გავრცელების მხრივ, ორივე სრულიად უსაფრთხო აღმოჩნდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალისტების რეკომენდაციაა, დანა არა მხოლოდ გულმოდგინედ იქნას გარეცხილი, არამედ დიასახლისებმა ამისთვის მაღალი ტემპერატურა და ანტიბაქტერიული საშუალებები გამოიყენონ.

*manin-dom.ru*

## ზეითუნის ზეთი თავის ტვინს ყველაზე უკეთ კვებავს

ყოველდღიურად ადამიანის ორგანიზმი თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებას ეჯახება. ამას შეიძლება ის შედეგი მოჰყვეს, რომ ორგანიზმის უჯრედები შეიცვალოს.

სამწუხაროდ, თავისუფალ რადიკალებთან კონტაქტის თავიდან აცილება, უბრალოდ, შეუძლებელია. თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მათგან თავის დაცვა ისეთი ნივთიერებების მოხმარებითაა შესაძლებელი, როგორიცაა, მაგალითად, ანტიოქსიდანტები. ანტიოქსიდანტებს შეუძლიათ, ამ მოლეკულების განეიტრალება. კერძოდ, თავისუფალ რადიკალებს ანტიოქსიდანტები ელექტრონებით ეწინააღმდეგებიან, რის შედეგადაც ხდება მათი დასტაბილურება და უჯრედული რღვევა.

მართალია, ორგანიზმს საკუთარი ძალებითაც შეუძლია ანტიოქსიდანტების გამომუშავება, მაგრამ ადამიანს, ასევე, აქვს იმის საშუალება, რომ სასარგებლო ნივთიერებების მარაგი სხვადასხვა პროდუქტის მიღებითაც შევივსოთ.

გასათვალისწინებელია, რომ ანტიოქსიდანტები სხვადასხვაგვარი არსებობს, ხოლო ყველაზე ეფექტური ზეითუნის ზეთში შემავალი ნივთიერებებია. სწორედ ამიტომ, მედიკოსების რჩევაა, ეს პროდუქტი აუცილებლად შედიოდეს თითოეული ადამიანის რაციონში.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*24inews.ru*



– დროა, საქორწილო ტრადიციები შევცვალოთ. იმის მაგივრად, რომ დედოფალი ზურგს უკან ყვავილების თაიგულს ისროდეს გაუთხოვარი გოგონების ჯგუფისკენ, სჯობს, თაიგულის ნაცვლად უცოლო მამაკაცი ისროლოს.

*****

– ცოლი რატო არ მოგყავს?

– რა ვიცი, რამდენიც მოვიყვანე, დედაჩემს არ მოეწონა.

– შენც ადექი და დედაშენს რომ ჰგავდეს, ისეთი მოიყვანე.

– რას ამბობ, ეგეთი მოვიყვანე და მამაჩემმა კინაღამ მომკლა.

*****



ცუცა მოდის და დიდი ცოცხი მოაქვს, შალიკიამ დაინახა და მიაძახა:

– რა იყო, ცუცას ვენაცვალე, არ იქოქება, ხომ?

*****

– გავიგე, მანქანა გიყიდია.

– კი, ვიყიდე.

– რა ფერია?

– რა ფერია და გარიჟრაჟი ხომ იცი?

– კი, როგორ არ ვიცი.

– ხოდა, ეგეთია, ოღონდ მწვანე.

*****

– რა მანქანა იყიდე?

– „ოპელ ასტრა“.

– კარგი ერთი, ეგ რა მანქანაა, ჯართია სუფთა.

– შენ ავტობუსიდან გეჩვენება ეგრე.

*****

როდესაც მოძლიერდები, მეგობრები გაიგებენ, ვინ ხარ შენ.

როდესაც დაეცემი, გაიგებ, ვინ არიან შენი მეგობრები.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*


სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 3.10